PRIME Time

N48 (246) ორშაბათი, 2 დეკემბერი 2013 წ.

ყოველკვირეული გაზეთი ფასი 2 ლარი www.ptpress.ge



EXCLUSIVE

# ნარმანია უგულავას ემუქრება

**დავით ნარმანია:** „მომიწევს მერიიდან მასალების ამოწევა და საგამოძიებო ორგანოებში გადაგზავნა“



**დავით ზურაბიშვილი:**
„ბრალდებები, რაც მერაბიშვილს წაყენებული აქვს, დარწმუნებული ვარ, ჟურნალია და კინო იქნება... თუ ვანო მერაბიშვილი მართალია, ესე იგი, ჩვენ ყველა დასაჭერები ვყოფილვართ“

EXCLUSIVE

# SCANDAL

# რა კავშირია ციხის ბუნტს, ნანა კაკაბაძესა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის







EXCLUSIVE

**ნანა კაკაბაძე:** „ორშაბათიდან მასობრივ შიმშილს დაიწყებენ მოქალაქეები კანცელარიასთან, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით. ამას გარდა, ჩვენ 15-ში ვგეგმავთ აქციას ძველი პარლამენტის შენობის წინ“

# ნარკოსკანდალი მე-5 საავადმყოფოში

## მედპერსონალს პაციენტებისთვის განკუთვნილი ნარკოტიკების მითვისებაში ადანაშაულებენ



EXCLUSIVE

**მამუკა აბუაშვილი:** „წინასწარ გაფრთხილებთ, რომ აუცილებლად გიჩივლებთ, თუ ეს სტატია დაიბეჭდება“



**ლელა ხურციძე:** „გუბაზ სანიკიძე ქუჩა-ქუჩა დადიოდა და ხალხს გვეხვეწებოდა მხარდაჭერას, დღეს კი ზედაც აღარ გვიყურებს... მასა გვჭირდება ძალიან დიდიო, გვეუბნებოდა. დღეს ეს მასა აღარაა საჭირო?! უსუფაშვილი მზეთუნახავია, რომ არანაირად არ გამოდის და არ გვენახვება?!“
„მურმან დუმბაძემ რომ გვნახა, წვიმასა და უბედურებაში ვიდექით, აქამდე მოვიდა მანქანით, მოგვიახლოვდა თუ არა, მოატრიალა და უკან გაბრუნდა. ჩვენ გავეკიდეთ, ის კიდევ გაიქცა“



EXCLUSIVE

# იპოთეკარები დაბალპროცენტიანი სესხის მიღებას ივანიშვილის ბანკისგან ითხოვენ

**შალვა რამიშვილი:**
„არგუმენტი, რომელიც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა წარმოადგინა, თითქოს თბილისის მერი აუცილებლად უნდა იყოს თბილისელი ან არ უნდა საუბრობდეს აქცენტით, არადამაჯერებლად მეჩვენება“



EXCLUSIVE

## რით აშანტაჟებს თეა წულუკიანი მთავრობას?



„თეას პოზიცია ასეთია: მე ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ მთავრობამ არ მიიღოო. ეს მისი მხრიდან მთავრობის შანტაჟის მცდელობაც არის...“

EXCLUSIVE

## რა სკანდალურ კანონს იღებს პარლამენტი





**ირაკლი კერესელიძე:**
„ნაციონალებსაც კი არ გაუბედავთ ასეთი რამ, რომ კანონისმიერი დავალდებულებით დაეწყოთ ძალადობა ადვოკატებზე“

**ზაქარია ქუცნაშვილი:**
„ამ პროექტისთვის მე მხარი არ დამიჭერია“

EXCLUSIVE

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა კავშირია ციხის ბუნტს, ნანა კაკაბაძ

ქეთი ხატიაშვილი

**კანონიერი ქურდები, ალბათ, მალე ნანა კაკაბაძეს წმინდანად შერაცხავენ, უფრო სწორად აკურთხებენ. როგორი იქნება კურთხევის ცერემონია ეს ჯერ საიდუმლოა, დეტალები, ალბათ, მას შემდეგ გაცხადდება, რაც კაკაბაძე ბოლომდე მიიყვანს იმას, რაც „დაავალეს“.**



**„შიმშილობა ყველგან დაიწყო, პატიმრების მოთხოვნაა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა. მიიჩნევენ, რომ მოქმედი პარლამენტის პირობებში, სამართლიანობის აღდგენა ვერ მოხერხდა“**

# EXCLUSIVE

დავალებების ერთი ეტაპი როგორც იქნა აღასრულა - ფართომასშტაბიანი ამნისტიის შედეგად ციხეები ბევრმა პატიმარმა დატოვა. პროცესი შეფერხებით მიდიოდა და ყველას გვახსოვს როგორ იტირა პარლამენტში ნანა კაკაბაძემ. ბევრმა მაშინ ღიად ისიც თქვა, რომ კაკაბაძეს ფინანსური ინტერესები ამოძრავებდა, ანუ ქურდებმა მას გადაუხადეს.

თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ კანონიერი ქურდები ერთი მხრივ და ფინანსებიც მეორე მხრივ, მჭიდროდ არის დაკავშირებული პოლიტიკასთან, მაშინ ისიც ცხადი გახდება, რომ ნანა კაკაბაძის ცრემლებიც არ იყო მხოლოდ ადამიანური...

კანონიერი ქურდების ინსტიტუტი საბჭოთა მმართველობის გადმონაშთია, მოსკოვი სწორედ მათი საშუალებით აკონტროლებდა ვითარებას პერიფერიებში, განკარგავდა ფინასნურ რესურსებს და ავრცელებდა მისთვის მისაღებ წესებს.

ამის კლასიკური მაგალითი (უკვე სბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ) ედუარდ შევარდნაძისა და ჯაბა იოსელიანის ურთიერთობაა. ყველას გვახსოვს, როგორ აუბუნტდა საქართველოში დაბრუნებულ შევარდნაძეს კანონიერი ქურდი ჯაბა იოსელიანი. აქციებიც წამოიწყო და ფართომასშტაბიანი ბუნტითაც იმუქრებოდა. შევარდნაძე გამოცდილი პოლიტიკოსი იყო. ის, არა მხოლოდ თბილისის კულუარებს იცნობდა საკუთარი ხუთი თითივით, არამედ კრემლსაც. ჯაბა იოსელიანი მაშინ კატეგორიულად უარყოფდა რუსეთთან რაიმე კავშირებს და ამბობდა, რომ ის სამართლიანობისთვის იბრძოდა, თუმცა, შევარდნაძემ მის დასაშოშმინებლად შიკრიკი მოსკოვში აფრინა. შიკრიკის როლი ვინ ითამაშა ძნელი სათქმელია, თუმცა, ფაქტია, რომ შევარდნაძემ გზავნილი გურამ მგელაძეს გაუგზავნა. „მხედრიონიც“ და მაშველთა კორპუსიც სწორედ მისი, ანუ მგელაძის ბრძანებით შეიქმნა; როცა ჯაბამ შევარდნაძის წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი აქციები დაგეგმა გურამ მგელაძე რუსეთში მუშაობდა. შევარდნაძემ მაშინ მგელაძეს დაზავება ურჩია. რჩევა გათვალისწინებული, ალბათ, არ იყო, ასე რომ, საქართველოში ჯაბა იოსელიანთან ბრძოლის სხვა მეთოდებს მიმართეს. მისი განეიტრალებით კი საქართველოში არა მხოლოდ კანონიერი ქურდი ჯაბა იოსელიანი დასრულდა, არამედ გურამ მგელაძის გავლენებიც ამოიწურა.



და როგორც რუსები იტყვიან «святое место пусто не бывает».

როგორც ჩანს, ახლა ჯაბა იოსელიანი ნანა კაკაბაძემ ჩაანაცვლა. მგელაძე კი გულუამ და ხომერიკმა.

კაკაბაძეს იოსელიანთან შედარებით ერთი უპირატესობა აქვს - ის კანონიერი ქურდის რეგალიებით კი არ სარგებლობს, არამედ უფლებადამცველის სტატუსით.

თუმცა, თავგამოდებით იცავს იმ კანონიერ ქურდებს ვისი მეშვეობითაც კაგებე სხვების მართვას ცდილობდა. (კაგებესა და კანონიერი ქურდების კავშირებზე დღეს თავად რუსეთშიც ბევრს წერენ და ამ ისტორიებზე უახლოეს ნომერში მოგითხრობთ...).

ნანა კაკაბაძე ისევ ბუნტს აანონსებს. საქართველოში, ბოლო წლებია, ყველა არეულობისა თუ ქაოსის უკან სწორედ ნანა კაკაბაძე იდგა. სკანდალური გახდა ის ჩანაწერიც, რომელიც „პრაიმტაიმმა“ შემთხვევით მოიპოვა და რომელიც 2009 წლის ქალთა კოლონიაში ბუნტს ეხებოდა.

**„პრაიმტაიმი“ მაშინ წერდა:**

„პრაიმტაიმს“ ხელში ჩაუვარდა ჩანაწერი, რომელიც ბუნტის დროს ქალთა კოლონიასთანაა ჩაწერილი. კერძოდ, არასამთავრობო ორგანიზაციის („ყოფილი პოლიტპატიმრები – ადამიანის უფლებებისთვის“) თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე ტელეფონით ესაუბრება ერთ-ერთ პატიმარს, რომელიც, სავარაუდოდ, ბუნტის მოთავე უნდა ყოფილიყო. ჩანაწერში მხოლოდ კაკაბაძის ხმა ისმის, რადგან იგი მის შორიახლოს მდგომმა პიროვნებამ, სრულიად შემთხვევით, დიქტოფონით ჩაიწერა. ჩანაწერში გარკვევით ისმის კაკაბაძის სიტყვები, რომელიც დაახლოებით ასე ჟღერს: მიდით, კარებს მოაწექით, აბრახუნეთ... მე გარეთ გავწვები და არავის შემოვუშვებ...“




**ნანა კაკაბაძემ, მაშინ, ჩვენთან საუბარში, ქალთა ბუნტის დროს პატიმრებთან სატელეფონო საუბრები დაადასტურა, წაქეზების ფაქტი კი უარყო. ამ თემაზე „პრაიმტაიმმა“ მაშინ ნანა კაკაბაძესთან მცირე ინტერვიუც ჩაწერა:**

**– არის მოსაზრება, რომ ამ ბუნტს გარედან ვიღაც მართავდა. გაიჟღერა რამდენიმე გვარმაც, მათ შორის თქვენი გვარიც ფიგურირებს...**

– რა სისულელეა. მსგავსი არაფერი ყოფილა.

**– საუბარია იმაზე, რომ პატიმრებს მითითებებს აძლევდით – მოაწექით, გამოანგრიეთ და ასე შემდეგ... ასე არ ყოფილა?**

– რა სისულელეა. მსგავსი არაფერი ყოფილა. რომელი ჭკუათმყოფელი ეტყოდა ამას პატიმრებს?.. პირიქით, პატიმრებისგან შევიტყვეთ, რომ ადმინისტრაციამ კარები გაგვიღო და ღია დაგვიტოვაო, რომ იქიდან გამოქცევის მცდელობა ყოფილიყო. მათ არც კი უცდიათ, რომ კარი გამოენგრიათ.

**– ბუნტის დროს ციხესთან მყოფმა ერთ-ერთმა პიროვნებამ შემთხვევით ყური მოჰკრა თქვენს სატელეფონო საუბარს და დიქტოფონზე ჩაიწერა. საუბარია იმაზე, თუ როგორ მოუწოდებდით პატიმრებს კარის გამონგრევისკენ...**

– ასეთი ჩანაწერი რომ არსებობდეს, დარწმუნებული იყავით, რომ აქამდე გამოაქვეყნებდნენ. რეალურად არანაირი ჩანაწერი არ არსებობს. უნდათ, რომ რაღაც შექმნან. იქ ვინც იყო, თავში ასეთი სისულელი არავის მოსვლია, გამომდინარე პატიმრების უსაფრთხოებიდან“.

არეულობა ახლაც იგეგმება, მათ შორის ციხეშიც. ნანა კაკაბაძემ საკუთარ გეგმაზეც ისაუბრა: მიტინგები ციხის გარეთ და მასობრივი შიმშილობა ციხის შიგნით. ციხის „მაყურებლებთან“ და პატიმრებთან, ერთ-ერთი ინფორმაციით, მოლაპარაკებებს უკვე აწარმოებენ ნანა კაკაბაძე და გელა ნიკოლაიშვილი.

**„პრაიმტაიმთან“ საუბარში ნანა აცხადებს, რომ შიმშილობა სამართლიანობის აღდგენის მოთხოვნას უკაშირდება და ამასთან პოლიტიკას და მით უფრო რუსეთის ინტერესებს არავითარი კავშირი არა აქვს:**

- რა კავშირშია რუსეთი? სამართლიანობის აღდგენაზე ვლაპარაკობთ, წართმეულ ქონებებზე ვლაპარაკობთ, ციხეებში უკანონოდ დაპატიმრებულ ადამიანებზე ვლაპარაკობთ, რომლებსაც „ქართულმა ოცნებამ“ სულში ჩააფურთხა და უთხრა, მერე რა, რომ უკანონოდ ხართ ციხეებში და კარგად იყავითო. რა რუსეთი, რის რუსეთი?

თუმცა, მისივე განცხადების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, პატიმრები ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით იშიმშილებენ.

**ნანა კაკაბაძე:**

- შიმშილობა ყველგან დაიწყო, ჩვენთან, სხვადასხვა ციხეებიდან დღის განმავლობაში მოშიმშილეთა სიები შემოვა. გლდანის ციხიდან უკვე მივიღეთ სიები, სადაც სხვა პატიმრებთან ერთად, უვადო პატიმრობამისჯილი ყველა პატიმარი შიმშილობს. მათი მოთხოვნაა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა. მიიჩნევენ, რომ მოქმედი პარლამენტის პირობებში, სამართლიანობის აღდგენა ვერ მოხერხდა...

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა ეს მხოლოდ პოლიტიკური მოთხოვნაა და მას სამართლიანობასთან კავშირი არა აქვს. მით უფრო, რომ იგივე ციხეებში ისეთი პატიმრებიც „ეძებენ“ სამართალს, რომლებსაც უვადო პატიმრობა ჰქონდათ მისჯილი. მაგალითად, პროკურორის მკვლელობის გამო უვადო პატიმრობა ჰქონდა მისჯილი და ფართომასშტაბიანი ამნისტიის შემდეგ 25-წლიანი პატიმრობა შეეფარდა; ახლა კი, ეს პატიმარი სამართლიანობის აღდგენისთვის იბრძვის და ვადამდელ საპარლამენტო არჩევნების დანიშვნას ითხოვს. პირდაპირ სატირაა.

**ნანა კაკაბაძე მომავალ გეგმებზე საუბრისას ამბობს:**

- დღეიდან მასობრივ შიმშილს დაიწყებენ მოქალაქეები, კანცელარიასთან, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით. ამას გარდა ჩვენ 15-ში ვგეგმავთ აქციას ძველი პარლამენტის შენობის წინ...

რა თქმა უნდა, იმ ფონზე, რაც უკრაინაში ხდება, ძნელი დასაჯერებე-


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ...ესა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის

## ნანა კაკაბაძე: „დღეიდან მასობრივი შიმშილს დაიწყებენ მოქალაქეები კანცელარიასთან, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით. ამას გარდა, ჩვენ, 15-ში ვგეგმავთ აქციას ძველი პარლამენტის შენობის წინ"





ლია, რომ ნანა კაკაბაძე პოლიტიკისგან და რუსული გეგმებისგან შორს დგას.

იანუკოვიჩმა გულწრფელად აღიარა ევროკავშირთან - რუსეთი ჩემზე ზეწოლას ახდენსო. ეს თბილისისთვისაც სიგნალი იყო (და არა მხოლოდ ჩვენთვის). საქართველოს ხელისუფლებაში იანუკოვიჩი არა ჰყავს. ახალმა ხელისუფლებამაც ჯერ ბიძინა ივანიშვილმა და შემდეგ უკვე ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადეს, რომ მათ საგარეო პოლიტიკური კურსი დასავლეთისკენ აქვთ მიმართული და რომ ევროკავშირი და ნატო ეს ქართველი ხალხის მთავარი მიზანია და ეს დაკვეთა ხელისუფლებამ უნდა შეასრულოს.

ასე რომ, საქართველოს ხელისუფლება არ აპირებს იტიროს, რუსულ ზეწოლას ვერ ვუძლებ და ევროპასთან ინტეგრაციის მეშინიაო... შესაბამისად, რუსეთს აქ სხვა გეგმები ექნება. არეულობა ის ერთადერთი მექანიზმია, რომელიც საქართველოს ევროპასთან დაახლოებას ჩაშლიდა. ვადამდელი არჩევნებიც, შიმშილობაც, ციხის ბუნტიც - ყველაფერი ეს ემსახურება მხოლოდ დესტაბილიზაციის მცდელობას, ეს არის საბოტაჟი, მოსწონს ეს სიტყვა კაკაბაძეს თუ არა, ეს მაინც ასეა. რუსეთში მოღვაწე ქართველი ბიზნესმენები რომლებიც ღიად საუბრობენ საკუთარ პოლიტიკურ ამბიციებზე საქართველოს რუსეთთან „ჩახუტებას" ურჩევენ. მათ რიცხვში არიან ხუბუტიაც და ხომერიკიც. ამ თემაზე „პრაიმტაიმი" ბერვჯერ წერდა.

არა მგონია კაკაბაძე იმდენად მეამიტი იყოს, რომ ვერ ხვდებოდეს რა პოლიტიკური მოძრაობები იკვეთება მისი გეგმების უკან. ის, ან ამ რუსული გეგმის - საქართველოში არეულობის მოწყობის - ნაწილია შეგნებულად, ანდა... თუმცა, პირადად მე სხვა ალტერნატივას ვერ ვხედავ.


NATIONAL OSTEOPOROSIS FOUNDATION

# ადამიანის უფლებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მთავარია თავისუფლად გადაადგილების უფლება!

ოსტეოპოროზი – XX საუკუნის ბოლოს „უცნობი" დაავადებიდან XXI საუკუნის პირველ დეკადაში დედამიწაზე ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ დაავადებად იქცა. ის მოექცა სიცოცხლისათვის საშიშ დაავადებათა ოთხეულში და მოიაზრება ისეთ დაავადებებთან ერთად, როგორიცაა გულ-სისხლძარღვთა პათოლოგიები, დიაბეტი, ონკოლოგია. 50 წელს გადაცილებული მოსახლეობის 65-70%-ს უვითარდება



ოსტეოპოროზი, რომელსაც ახლავს მაღალი ინვალიდობა და ხშირი მოტეხილობები. ძვლის ნაადრევი დიაგნოსტიკა და ეფექტური ადრეული მკურნალობა – გამოსავალი, იცხოვროთ ოსტეოპოროზული მოტეხილობების გარეშე!

დარეკეთ და დარეგისტრირდით ჩვენს ცხელ ხაზზე – 2181555.

დენსიტომეტრია – მაღალი ფასდაკლებით, ~~105~~ ლარის ნაცვლად **30 ლარი**

რევმატოლოგის კონსულტაცია – ~~50~~ ლარის ნაცვლად **20 ლარი.**

იჩქარეთ!!!

მისამართი: ლუბლიანას ქ. #18/20, „თბილისის გულისა და სისხლძარღვთა კლინიკა".

WOMEN OVER 50 WILL EXPERIENCE OSTEOPOROTIC FRACTURES. AS WILL MEN

ouch!


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნარმანია უგულ

## „ყოფი
## „მომა
## მერ
## სკანდა
## კომპრო



ერეკლე სტურუა

**სულ მალე თბილისის მერის პოსტზე საარჩევნო მარათონი გაიმართება. სტარტი მარათონმა ჯერ კიდევ მაშინ აიღო, როცა გიგი უგულავამ თქვა: მერის პოსტზე კენჭს ვიყრიო, მოგვიანებით ბიძინა ივანიშვილმა მერის კანდიდატად დავით ნარმანია დაასახელა. პირველი რეპლიკები ყოფილმა და მომავალმა მერებმა უკვე გაცვალეს და კომპრომატების ომიც, სავარაუდოდ, სწორედ მათ შორის წარიმართება, თუკი ნაციონალების პრაიმერისში მოულოდნელად გიორგი ვაშაძე არ გაიმარჯვებს.**

**„პრაიმტაიმმა" საკუთარი მკითხველისთვის ყველა იმ „კომპრომატს" მოუყარა თავი, რომელზეც მედია წერდა.**

**ამჯერად არ ვსაუბრობთ თბილისის მერის სასურველ წარმომავლობაზე და ამ თანამდებობის შესაბამის „ცოდვებზე", რეგიონალური წარმომავლობის მიუხედავად. უბრალოდ, მოდით, ერთად გადავავლოთ თვალი, რა გზა გამოიარა გიგი უგულავამ 2005 წლის 12 ივლისიდან, როცა მერად დაინიშნა, და რა კომპრომატები დააგროვა თბილისის თავკაცმა.**

**თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ მხოლოდ მისი ე.წ. „ცოდვებით" შემოვიფარგლებით. „პრაიმტაიმი" თავის მკითხველს მერობაზე „ოცნებისგან" წარდგენილი კანდიდატის შესახებაც მოგახსენებთ, თუ რამდენჯერ მოხვდა ის, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ სიტუაციებში იმ ერთი წლის განმავლობაში, რაც ის პოლიტიკურ სცენაზე გამოჩნდა.**

### უგულავას 10 ცოდვა

დავიწყოთ ოფიციალური ბრალდებით, რომელიც გიგი უგულავას პროკურატურამ წაუყენა. ბრალდება ორ დამოუკიდებელ ეპიზოდს მოიცავს. პირველ ეპიზოდი იმჟამინდელი ხელისუფლების მიერ ტელეკომპანია „იმედის" ხელში ჩაგდების დანაშაულებრივ სქემას შიფრავს და ადასტურებს, რომ მისი განხორციელების ერთ-ერთი მთავარი მონაწილე სწორედ გიორგი უგულავა იყო. რაც შეეხება მეორე ეპიზოდს, ის შემდეგში მდგომარეობს:

უგულავას დავალებით 2009 წლის 31 დეკემბერს შპს „თბილსერვის ჯგუფში" „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" აქტივისტებისთვის ფულის დარიგების მიზნით სპეციალურად შეიქმნა საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილება, სადაც 764 აქტივისტი, ე.წ. „ნაციონალური მოძრაობის" კოორდინატორი ფიქციურად გაფორმდა. უმეტესობას ამ სამსახურში არც ერთი დღე არ უმუშავია და პარტიულ საქმიანობას ეწეოდა, თუმცა მათ ხელფასის სახით დედაქალაქის ბიუჯეტისათვის განკუთვნილი ასიგნებებიდან მიღებული აქვთ 4 130 728 ლარი... ვერდიქტი ჯერ კიდევ წინ არის. მანამდე კი თვალი გადავავლოთ იმ თემებს, რომელიც შესაძლოა, სხვა ბრალდებების საფუძველი გახდეს:

გაზეთი „ვერსია" იუწყება, რომ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტმა (IDFI) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან 2003-2012 წლებში, 1 ლარად გასხვისებული სახელმწიფო ქონების ჩამონათვალი და შესაბამისი სამართლებრივი აქტების ასლები გამოითხოვა. 2012 წლის 17 სექტემბრიდან, 30 ნოემბრის ჩათვლით, სახელმწიფო ქონება 1 ლარად სხვადასხვა უწყებებზე გასხვისებულა. ამ ჩამონათვალში, გიგი უგულავას ძმის კომპანია – შპს „ჯეოლენდიც" არის მოხსენიებული.

საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით, 2012 წლის 10 ოქტომბერს, შპს „ჯეოლენდს" პირდაპირი მიყიდვის ფორმით, ყაზბეგის მუნიციპალიტეტში, 1 ლარად გადასცეს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება – 8 000 კვ.მ ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. ხელშეკრულების გაფორმებიდან ორ წელიწადში, შპს „ჯეოლენდი" ვალდებულია, ამ ტერიტორიაზე სამთო ქოხი ააშენოს და საკემპინგე ტერიტორია მოაწყოს. ფირმის დამფუძნებელი, უგულავას რძალი, ნატალია ფარცხალაძე 2009 წლიდან პარალელურად საჯარო სამსახურში, კერძოდ, ეკონომიკის სამინისტროს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის უფროსის მოადგილედ მუშაობდა. 2009 წლიდან, როდესაც ეს დეპარტამენტი გაუქმდა, გიგი უგულავას რძალი ტურიზმის სააგენტოს თავმჯდომარის მოადგილეა, ოღონდ შპს „ჯეოლენდში" 50%-იან წილს ისევ ფლობდა...

ნათესავების ლობირება ამით არ ამოიწურება.

2011 წელს, „ნაციონალური მოძრაობის" ინიციატივით, პოლიეთილენის პარკები ნელ-ნელა, ეტაპობრივად, უნდა ჩაენაცვლებინა ქაღალდის პარკებს. ეს იმიტომ, რომ უგულავას სიმამრს, შალვა კილაძეს ქაღალდი ავსტრიიდან და ესპანეთიდან შემოჰქონდა. იდეა პრესაში ატეხილი განგაშის გამო ჩავარდა...

ახლა აღარ გავაგრძელებთ სანათესაო ხაზზე წერას და გიგი უგულავას ბიზნესინტერესებს გადავავლოთ თვალი: დავიწყოთ „ყვითელი" სამარშრუტო ტაქსების ბიზნესით, სადაც უგულავას ინტერესებზე არასამთავრობოებიცა და საკრებულოს ოპოზიციონერი წევრებიც ღიად საუბრობდნენ. გიგი უგულავამ სამარშრუტო ტაქსების ტენდერში იმ ოთხ კომპანიას გაამარჯვებინა, რომლებიც ტენდერის ჩატარებამდე რამდენიმე საათით ადრე, „ჯი-ემ-თი ჯგუფის" დამფუძნებლებმა, მიხეილ სააკაშვილთან დაახლოებულმა ძმებმა შარანგიებმა, რესტორან „შემოიხედე გენაცვალეს" მისამართზე დაარეგისტრირეს...

ჯიხურების სკანდალური ისტორიაც გიგი უგულავასა და დავით კეზერაშვილს უკავშირდება. უგულავას ინიციატივით, მერიის კუთვნილი ჯიხურები კერძოთი ჩაანაცვლეს, სამაგიეროდ, პრესის გავრცელება აშკარად შეზღუდეს. მეტიც, პრესის ჯიხურების განთავსების ნებართვას თბილისის მერია მხოლოდ პრივილეგირებულ კომპანიებს აძლევდა, მათ შორის, „აუთდორ ჯის", „ლატარიის კომპანიასა" და „ვაით დისტრიბუშენს". სამივე კომპანიის მფლობელი კი თავდაცვის ექსმინისტრის, დავით კეზერაშვილის ცოლისძმა, დიმიტრი ჩიქოვანი იყო.

ამბობენ, რომ თბილისის შემოვლითი რკინიგზის პროექტს გიგი უგულავა აკონტროლებდა და რელსების შემოტანის ტენდერში მისთვის სასურველ ჩინურ კომპანიას გაამარჯვებინა. ეს პროექტი ამჟამად შეჩერებულია და გამოძიება მიმდინარეობს.

დაბა გუდაური რომ მცხეთას კი არა, თბილისს ეკუთვნის, ესეც, როგორც ამბობენ, გიგი უგულავას დამსახურებაა და ბუნებრივია, დამსახურება საკუთარი ინტერესების წინაშე. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, გუდაურში მშენებარე სასტუმროები უგულავას მფლობელობაშია, მეტიც, „გუდაურის განვითარების ფონდიდან" თანხები არამიზნობრივად იხარჯება. პროექტის ყველა ტენდერი უგულავას ნათესავ-მეგობრების კომპანიებმა მოიგეს, ხოლო, გავრცელებული, თუმცა დაუდასტურებელი ინფორმაციით, ტენდერში გამარჯვების საფასურად, გიგი უგულავას 20%-ს უხდიდნენ...

უგულავას ინტერესებს ხედავენ ქალაქში ე.წ. შუშის შენობების დანგრევის უკანაც. ერთის ადგილზე „პიქსელი" აშენდა, რომელსაც უგულავ-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ავას ემუქრება

## ლი“ და ვალი“ ების ლები და მატები



## დავით ნარმანია: „მომიწევს მერიიდან მასალების ამოწევა და საგამოძიებო ორგანოებში გადაგზავნა“

ასა და კეზერაშვილის სახელი დღემდე შემორჩა...

ქალაქის მერის ინტერესებს ხედავენ სამშენებლო ბიზნესში, როდესაც ნაციონალური ხელისუფლების პირობებში არაპროფესიონალი თვალისთვისაც კი ადვილი შესამჩნევი იყო, რომ ტენდერებს ერთი და იგივე კომპანიები იგებდნენ...

მოდით, ახლა ვნახოთ, როგორ მეგობრობას „ქაჩავდა“ქალაქის მერი:

როგორც ამბობენ, „იაფი ბაზრობა“ თბილისის მერმა საკუთარი მეგობრისთვის, არჩილ გეგენავასთვის „გამოიგონა“ და ამისთვის 3 200 000 ლარიც გამოუყო. ეს ბაზრობები არჩილ გეგენავას „ფუდ სერვისის“ პროდუქტებით მარაგდებოდა.

ამ დროს ის საქართველოს პარლამენტის წევრი იყო, რომელიც შს სამინისტროსა და სხვა უწყებების კვების ტენდერებიდან ამოაგდეს.

გიგი უგულავას სკანდალი არც პირადი ცხოვრების გამო დაჰკლებია.

პირველი მეუღლე თაკო ცაგურია გახლდათ. მათ ორი საერთო შვილი ჰყავთ, თუმცა რამდენიმე წლის წინათ მათი დაშორების შესახებ ამბავი გავრცელდა.

ამბობდნენ, რომ ქალაქის მერ გიგი უგულავას თავისივე ადმინისტრაციის უფროსის ყოფილი მოადგილე, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის პირადი ვიზაჟისტი ლელა კილაძე შეუყვარდა. თაკო და გიგი მალე მართლაც დაშორდნენ. მალე უგულავა-კილაძის წყვილი საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში ერთად გამოჩნდა. როგორც ამბობენ, პირადი ვიზაჟისტის სტატუსით, ლელა ადრე მიხეილ სააკაშვილს ხშირად დაჰყვებოდა უცხოურ ვოიაჟებში. მას შემდეგ, რაც თბილისელთა პირველი ლედი გახდა, ლელა კილაძის გამო უგულავა კიდევ ახალ სკანდალში გაეხვია. როგორც ამბობენ, სწორედ მის მეუღლესთან შეთანხმებით ხდებოდა შოუბიზნესში მომღერლების ერთი კონკრეტული გუნდის ლობირება და „მკვდარ სულებად“ სამსახურებში მოწყობა... უკვე აღარაფერს ვსაუბრობთ იმ ფოტოსკანდალზე, რომელმაც მთელი ინტერნეტსივრცე მოიარა და რომლის შემდეგაც გაირკვა, რომ მერის, მისი მეუღლისა და მეგობრების თავაწყვეტილ გართობას თბილისის განვითარების ფონდი აფინანსებდა. ეს სწორედ ის ფონდია, რომელიც ცოტა ხნის წინ მერიამ გააუქმა და ყველა გადაწყვეტილებაზე პასუხისმგებლობა აჰკიდა...

### ნარმანიას სკანდალები

მას შემდეგ, რაც მერობის კანდიდატად დასახელდა, ბუნებრივია, ინტერესი მის მიმართ ერთი ორად გაიზარდა. თუმცა, წარდგენისთანავე, დავით ნარმანია ერთ კურიოზულ სკანდალში გაეხვია:

გია კორკოტაშვილის სურვილებს – „თბილისს სჭირდება განათლებული, მეურნე და ოქრო, თბილისურად რომ ვთქვათ, ჯიგარი მერი“, ჯერ კიდევ ინფრასტრუქტურის მინისტრი თავისებურად, როგორც შეეძლო, ისე გამოეხმაურა ინგა გრიგოლიასთან ეთერში:

„ბატონი კორკოტა არ იცნობს, როგორც ჩანს, ჩემს ჯიგრიანობას და ბევრი არ გაუგია. თუ ფიქრობენ, რომ ჯიგარმა უნდა გადაწონოს ყველაფერი, მაშინ აწონონ ჩემი ჯიგარიც. ეს ჩემში ირონიას იწვევს. დედაქალაქი სხვა რელსებზეა გადასაყვანი“.

ჯერჯერობით ვერაფერს გეტყვით ამ რელსების მიმართულების შესახებ, თუმცა დააკლებს თუ არა ნარმანიას ჯიგრის წონას რამეს ის ისტორიები, რომელთა შესახებაც ქვემოთ მოგახსენებთ და შეგახსენებთ, ამას არჩევნების დღე ნამდვილად აწონ-დაწონის...

დავით ნარმანიას ინფრასტრუქტურის მინისტრად დანიშვნით ბიძინა ივანიშვილმა ერთგვარი ტაქტიკური სვლა გააკეთა და სამოქალაქო სექტორის გულიც მოიგო. ამ გადაწყვეტილების შემდეგ არცთუ დიდი ხნის შემდეგ მინისტრის სახელმა ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური საქმის კონტექსტში გაიჟღერა: სამეგრელოში აღმოჩენილი სამალავების საქმეზე დაკავებული სამხედრო პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, კობა თოდუა მისი ბიძაშვილი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, მისი ადვოკატი მინისტრის ძმა, ირაკლი ნარმანია გახდა. კობა თოდუა თავდაცვის სამინისტროს მოქმედი თანამშრომელი იყო. მას მაღალი თანამდებობები ეკავა, როგორც შევარდნაძის, ისე სააკაშვილის მთავრობის პერიოდში. პროკურატურის ბრალდებით, ის უშუალოდ მონაწილეობდა ადამიანების წამებასა და გაუპატიურებაში. მიუხედავად ასეთი ახლო ნათესაობისა, მინისტრი ბიძაშვილს მაშინვე გაემიჯნა და განაცხადა:

„ვადასტურებ, რომ კობა თოდუა ჩემი ბიძაშვილია, მაგრამ მე ვერაფერს გეტყვით იმასთან დაკავშირებით, ნამდვილად აქვს თუ არა მას ამ საქმესთან კავშირი. უფლება არ მაქვს, რამეში ჩავერიო და არც მისი მონახულების უფლება გამაჩნია“.

მინისტრის ძმა, ირაკლი ნარმანია კი ხმამაღლა აცხადებდა: „დიახ, ხმამაღლა მინდა განვაცხადო, რომ მე მჯერა, კობა უდანაშაულოა და მას არავინ უწამებია, რადგან არსებობს მტკიცებულებები, რომლებიც მის უდანაშაულობას ამტკიცებს“. ამ „მტკიცებულებების“ არსებობის მიუხედავად, მინისტრის ბიძაშვილი ახლაც ციხეშია. როგორც „პრაიმტაიმმა“ ირაკლი ნარმანიასგან შეიტყო, საქმე ამჟამად სასამართლო განხილვის სტადიაშია უკვე...

დავით ნარმანიას გარშემო ატეხილი ერთ-ერთი აურზაური კი თვითმმართველობის კოდექსში შესატან ცვლილებებს შეეხებოდა. არასაპარლამენტო ოპოზიციამ ის ტყუილში ამხილა, როცა გაირკვა, რომ ნარმანია, თურმე სულაც არ შეხვედრია მათ, როცა კატეგორიულად აცხადებდა, კონსულტაციები გავიარე ოპოზიციასთანო.

„მე შემიძლია დავასახელო არასაპარლამენტო ოპოზიციის ის წარმომადგენლები, რომლებიც თვითმმართველობის კოდექსის შემუშავების პროცესში იყვნენ ჩართულნი და ვიდრე ეს პროექტი განსახილველად გამოვიდოდა, ზოგიერთ მათგანთან შესაბამისი კონსულტაციები იყო გავლილი და ისინი ძალიან კარგად იცნობდნენ ამას. უბრალოდ, მათ ახლა პოლიტიკური დივიდენდების მისაღებად სჭირდებათ ეს საკითხი და ამიტომ გადმოვიდნენ შეტევაზე. მე მათ, ვინც იცნობდა ამ კოდექსის პროექტს, ვურჩევდი, რომ აღიარონ სიმართლე, სხვა შემთხვევაში მე მათ სახელებსა და გვარებს დავასახელებ და ძალიან ცუდ დღეში ჩავარდებიან. თუმცა დღეს ამ ყველაფრისგან თავს შევიკავებ“.

ოპოზიციამ მაშინვე მოითხოვა გვარების დასახელება. თუმცა, არც ბოდიში მოუხდია ვინმეს და არც გვარები დასახელებულა.

თუმცა, როგორც ჩანს, მუქარა ნარმანიას „ჯიგარში“ დევს. უკვე მერობის კანდიდატად დასახელებული ამჟამინდელ მერსაც ემუქრება: „როდესაც მერი გავხდები, ავტომატურად მომიწევს ყველა მიმდინარე პროექტის რევიზია და მე წინასწარ ვიცი, რომ თბილისის მერია ერთ-ერთი გაუმჭვირვალე უწყებაა და იმიტომ რომ იქ არსებული ძირითადი სქემები და მიმდინარეობები არ დაინახოს საზოგადოებამ... მე ვიცი, რომ თბილისის მერიაშიც იქნება გარკვეული კითხვები და მომიწევს მასალების ამოწევა და საგამოძიებო ორგანოებში გადაგზავნა. მე, რა თქმა უნდა, ამას როგორც ბრალდებას, ისე არ ვამბობ, მაგრამ გარკვეული კითხვები, რაც არსებობს, ამ ყველაფერს აეხდება ფარდა თავის დროზე...“

რამდენად ფუჭი აღმოჩნდება ეს მუქარა და ჰაერში დარჩება თუ არა მოქნეული მუშტი დავით ნარმანიას, ამას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე გავარკვევთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

რით აშანტაჟებს თეა წ

# სამართლიანობის აღდგენის გადავადებას მთავრობა გადაჰყვება?!



მარიამ ნადირაძე

**ის, რომ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენა „გადავადდა“, ახლად გამომცხვარი მთავრობისთვის სერიოზული დარტყმის საფუძველი შეიძლება გახდეს. ექსპერტები პროგნოზირებენ, რომ უკვე აქა-იქ დაწყებული შიმშილობები და საპროტესტო განცხადებები სულ მალე მასობრივ აქციებში გადაიზრდება ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით.**

ამ ერთ-ერთი ყველაზე მგრძნობიარე თემის დინამიკა კი ძველი და ახალი ხელისუფლების მიჯნაზე და შემდგომ ასეთი იყო: საპარლამენტო არჩევნებამდე საზოგადოების უკმაყოფილება, შეიძლება ითქვას, მარტო ნაციონალური ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული სისასტიკისა და უსამართლობის გარშემო აკუმულირდა... ახალი ოპოზიციური კოალიციისთვისაც ეს ყველაზე კარგად გასაყიდი სლოგანი გახდა... სლოგანი ხალხთან შეთანხმებაში გადაიზარდა, რომ უახლოეს ოთხ და არა 24 წელიწადში უნდა მოხერხებულიყო 9 წლის განმავლობაში დარღვეული სამართლიანობის აღდგენა... და „ოცნებამ“ გაიმარჯვა...

ერთი წლის შემდეგ კი გაირკვა, რომ ეს შეთანხმება, მისი შესრულების პირობით ხელისუფლებაში მოსულმა ძალამ დაარღვია და მაინც უნდა კიდევ სამი წლით ხელისუფლებაში დარჩენა. შესაბამისად, მისი დათხოვნის მოთხოვნა, ერთი შეხედვით, აბსოლუტურად ლეგიტიმურია...

თუ ამ დინამიკას უფრო სიღრმისეულად შევხედავთ, მივხვდებით, რომ პოპულისტური დაპირებით გახელისუფლებული პოლიტიკური ძალა, მის მიერვე აწეული ტემპერატურის გაგრილებას უკვე ერთი წელია ცდილობს: ჯერ ნაციონალური ხელისუფლებისგან დაჩაგრულებს პროკურატურისკენ მოუწოდეს, შემდეგ კი განუცხადეს, ვერაფრით დაგეხმარებით, სანამ კანონს არ მიიღებს პარლამენტიო. მილეულ მოთმინებას რომ საშიში ძალა არ შეეძინა, წულუკიანმა სასამართლო რეფორმა წამოიწყო, რომელიც საბოლოო ჯამში იუსტიციის საბჭოს წევრების შეცვლამდე დავიდა და ისიც წააგეს... ამასობაში სხვა ხერხიც ამუშავდა – ნაციონალი მაღალჩინოსნების დაკავებები... ესეც წარუმატებლად, ვინაიდან მანამდე უკვე დადგა არაერთი გამამართლებელი განაჩენი... ამდენ წარუმატებლობას ლეიტმოტივად გასდევდა, რომ ეს ყველაფერი საპრეზიდენტო არჩევნებამდე, ანუ კოაბიტაციის დასრულებამდე მოხდება, თორემ მერე ყველაფერი კარგად იქნება, აგერ ხომ ხედავთ, მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შესახებ კანონზე ვმუშაობთ (მიუხედავად იმისა, რომ ვენეციის კომისიამ ის არაერთხელ მოკრძალებულად გათათხა. – მ.ნ.) და აი, მერე ვუჩვენებთ სეირს თქვენს დამჩაგრავებსო...

ეს დროც მოვიდა და სწორედ მაშინ, როდესაც ამომრჩეველი ხელისუფლებისგან ერთწლიანი მოთმინების შემდეგ ქმედით ზომებს ელოდა, ოფიციალურად განუცხადეს – ფული არ გვეყოფა იმისთვის, რომ დარღვეული სამართლიანობა აღგიდგინოთ, ვინაიდან კომპენსაციების მოთხოვნის შემთხვევაში ბიუჯეტი ამას ვერ გასწვდებაო...

ამ მიდგომის შეფასებები ჩვენმა მკითხველმა უკვე ისედაც კარგად იცის. თუმცა ის მხარე, შესაძლოა, ბევრისთვის უცნობი იყოს, რაც თეა წულუკიანის ამ სკანდალური განცხადების მიღმა შეიძლება იმალებოდეს.

ბევრს მხედველობიდან გამორჩა ის ფაქტი, რომ სამართლიანობის აღდგენის „გადავადების“ შესახებ გადაწყვეტილება არც წულუკიანს ეკუთვნის და არც ღარიბაშვილს. ის „ანდერძად“ მთავრობის ერთ-ერთ უკანასკნელ სხდომაზე ბიძინა ივანიშვილმა დატოვა. მას კი, ცხადია, ვერავინ შეეწინააღმდეგა. ხმაური არავის აუტეხავს, როგორც ჩანს, ბიძინა ივანიშვილი მაინც ფაქტორია.

თეა წულუკიანი ერთ-ერთ წარუმატებელ მინისტრად შეიძლება ჩაითვალოს.

მთავრობის ეს გადაწყვეტილება ყველაზე დიდი დარტყმის ქვეშ სწორედ წულუკიანს აყენებდა, ვინაიდან მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისია, სწორედ იუსტიციის ქუდის ქვეშ უნდა შექმნილიყო. წულუკიანი კი ის მინისტრია, რომელიც უკვე დიდი ხანია გუნდის წევრად აღარ მოიაზრება. მთავარი პოლიტიკური სკანდალები უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში სწორედ ამ მინისტრის გარშემო ტყდებოდა. ჯერ იყო და მისი დიპლომის გარშემო ატეხილი მითქმა-მოთქმა, შემდეგ მისგან გენერალური შტაბის უფროსის დაპატიმრების უფლებამოსილება, რომელიც საბოლოოდ გამართლდა... კრახით დასრულდა მისგან წამოწყებული სასამართლო რეფორმა და სწორედ მაშინ, როდესაც წულუკიანსა და კბილაშვილს შორის აშკარა დაპირისპირება დაიწყო, ოცნების „ბელადმა“ მხარი არა წულუკიანს, არამედ კბილაშვილს დაუჭირა, როდესაც თავად ეახლა მას სასამართლოში და საჯაროდ განაცხადა – ჭკვიანი ბიჭია და რეფორმები უნდა დაასრულოსო.

თეა წულუკიანმა მაშინდელი პრემიერის ზურგის შექცევა აიტანა, თუმცა, როგორც ჩანს, ახალი პრემიერის მიმართ ისეთივე მოწიწება არ აქვს. ამიტომაც ახლა სამართლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით თქვა:

– მართლმსაჯულების ხარვეზების დამდგენი კომისიის შესახებ კანონპროექტი უკვე რამდენიმე თვეა მზადაა, მას რეალურად არაფერი სჭირდება, გარდა იმისა, რომ გაეგზავნოს პარლამენტს. ჩვენ კანონპროექტი მთავრობის ერთ-ერთ ბოლო სხდომაზე გავიტანეთ, თუმცა მიუხედავად იმისა, რომ კომისიის შექმნას არავინ ეწინააღმდეგება, მთავრობამ მიიჩნია, რომ ძალიან ფრთხილადაა გასათვლელი ის შედეგები, რაც შესაძლოა, ეკონომიკური და ფინანსური თვალსაზრისით მივიღოთ, ვინაიდან თუკი ადამიანი გამართლებულად იქნება მიჩნეული და მას უკვე გაუჩნდება მატერიალური მოთხოვნის დაყენების უფლება, ამისთვის დღეს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური, ფინანსური მდგომარეობა მზად არ არის. ამ ერთადერთი მიზეზის გამო ჩაითვალა, რომ ეს ამ ეტაპზე ნაადრევია, თუმცა თავისთავად იდეა უარყოფილი არ ყოფილა.

ბიძინა ივანიშვილის დროს მიღებულ გადაწყვეტილებაზე თეა წულუკიანმა კომენტარი ირაკლი ღარიბაშვილის დროს გააკეთა, თანაც მაშინ როცა თემა საერთოდაც არ იყო აქტუალური და წინ ვილნიუსის სამიტი იდგა... რას ფიქრობენ ამაზე ექსპერტები და ისინი, ვინც „სამართლიანობის“ აღდგენას ელოდება.

**ექსპერტი ლევან ალაფიშვილი:**

– როდესაც თეა წულუკიანმა ეს განცხადება გააკეთა, მისი გათვლა ასეთი იყო: თემა სწორედ ვილნიუსის სამიტის წინ გაჟღერებულიყო, რომ დიდად არ გაშლილიყო. იუსტიციის მინისტრის განცხადების კონტექსტი ასე დავინახე: იუსტიციის სამინისტროში ვიმუშავეთ, დღე და ღამე გავასწორეთ სამართლიანობის აღდგენაზე, კანონიც დავწერეთ, მთავრობაზე წარვადგინეთ და მთავრობამ, პრემიერის თამადობით, ჩემმა გუნდელებმა, არ გაიზიარეს, იმ საზიზღრებმა, ცუდი საქმე გააკეთესო...


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ულუკიანი მთავრობას?



**„მის განცხადებაში ორი მიზანი დავინახე: ერთი, თუ მივდივარ, კარგი თემით მივდივარ, მეორე: ფარს ვიკეთებ პრემიერის წინაშე, ნებისმიერ გადაწყვეტილებაში ფრთხილი იყავი, რადგან, ხომ ხედავ, დაგასწარიო“**

ანუ, გათეთრების მცდელობაა, მეტი არაფერი... მე, როგორც საქმეში ჩახედულს, კარგად მახსოვს, რომ მან კარგი საქმე კი არ გააკეთა, ვენეციის კომისიამ მისი სამინისტროს მიერ დაწერილ კანონპროექტზე თქვა, ბოდიში მომითხოვია, თქვენთან კანონების კითხვა თუ არ იციან, კონსტიტუცია მაინც წაიკითხეთო.

**– სამიტამდე, მთავრობა პრაქტიკულად ძველი შემადგენლობით დამტკიცდა, რადგან წინ სამიტი იყო. ახლა კი ხომ არ ხდება ჯოხის გადატეხა თეა წულუკიანზე, რომელიც ისედაც არ მოიაზრება გუნდის წევრად?..**

– ამდენი წარუმატებლობის ფონზე, მთავრობაში შენარჩუნებული იქნა მინისტრების უმრავლესობა... მათი პოლიტიკური წარმომავლობა გასაგებია... ვიცით, რომ კოალიციურია ეს მთავრობა. ამ მიმართულებით მკვეთრი გადაწყვეტილების მიღება ნიშნავდა კოალიციის დაშლას. მაგალითად, ერთი მინისტრის შეცვლა ნიშნავდა თუ დაშლას არა, კოალიციაში ბზარის შეტანას მაინც. ვფიქრობ, რომ მთავრობის კულუარებში ამის მოლოდინი მაინც სრულიად არის. ეს განცხადება კი თეას მხრიდან, იყო სიტუაციიდან საუკეთესო შედეგით გამოსვლის მცდელობა. ტაქტიკურად სწორი ნაბიჯია, უბრალოდ, არ გაუმართლა, რადგან ცუდი თემით დააპირა სარგებლის ნახვა, რადგან მისი წვლილიც იყო ამ შეცდომებში... თეამ ითამაშა დასწრებაზე... უწყინარ სიტუაციაში გააკეთა ეს კომენტარი. თვითონვე გაშალა თემა, მგონი, კითხვაც არ ყოფილა დასმული.

**– ანუ, სანამ გაათავისუფლებდნენ, პროცესებს დაასწრო?**

– თუკი ის იმ თამაშს თამაშობს, რომ პოლიტიკაში დარჩეს, პოზიცია ასეთია: მე ყველაფერი გავაკეთე, მაგრამ მთავრობამ არ მიიღოო. ეს მისი მხრიდან მთავრობის შანტაჟის მცდელობაც არის, რადგან მის მიმართ გადაწყვეტილებებში პრემიერი ფრთხილად უნდა იყოს, რადგან მან დაასწრო. დღეს, როდესაც ოთხპარტიული მთავრობა გვყავს, ნებისმიერი საკადრო გადაწყვეტილება ნიშნავს, რომ ამას უნდა მოჰყვეს კოალიციის დაშლა, თუ ამ გადაწყვეტილებას პრემიერი, ან ერთი პოლიტიკური პარტია იღებს.

**– ამას შეიძლება სხვა მინისტრების ცვლაც მოჰყვეს?**

– თუ ოციდან 5 ერთი პოლიტიკური გუნდის წევრია და ერთის გაშვებას მოჰყვა დანარჩენი ოთხის განცხადების დაწერა, ბუნებრივია, ამ შემთხვევაში უნდა გადახალისდეს მთავრობა. მაგრამ ეს თეორიაა. არ მგონია, რომ გაზაფხულამდე ამის პერსპექტივა იყოს.

**– არც წულუკიანის გაშვების?**

– არა, არ მგონია.

**– იმიტომ რომ ასეთ შანტაჟზე წავიდა?**

– ბუნებრივია. ყოველ შემთხვევაში მის განცხადებაში ორი მიზანი დავინახე: ერთი, თუ მივდივარ, კარგი თემით მივდივარ, მეორე: ფარს ვიკეთებ პრემიერის წინაშე, ნებისმიერ გადაწყვეტილებაში ფრთხილი იყავი, რადგან, ხომ ხედავ, დაგასწარიო. მან ეს განცხადება მყუდრო სიტუაციაში თქვა, როდესაც მთავრობის ყურადღება ვილნიუსის სამიტისკენ იყო მიპყრობილი. უბრალოდ, მისდა უნებურად გაიშალა ეს თემა.

**ამ სამთავრობო კულუარული ინტრიგების ფონზე კი სამართლიანობის აღდგენის მომლოდინე საზოგადოება ქუჩაში იწყებს გამოსვლას. ამის შესახებ „პრაიმტაიმს“ ნანა კაკაბაძე ესაუბრება:**

– „ქართულმა ოცნებამ“ კარგად იცის, რომ სამართლიანობის აღდგენა თვითონ შესთავაზა ხალხს და ამიტომაც გაიმარჯვა. სამართლიანობის აღდგენის ერთ-ერთი მთავარი პოსტულატი იყო უდანაშაულო ადამიანების საქმეების გადახედვა, პირველ რიგში პოლიტპატიმრების საქმეების გამოტანა სააშკარაოზე და ჩვენება, რის გამო იყვნენ ეს ადამიანები დაპატიმრებულები. ასევე, ყველა ის უკანონო გადაწყვეტილება, რომელიც პოლიტიკური დაკვეთით იყო მიღებული სასამართლოებში – ბიზნესის წართმევა, ქონების წართმევა თუ სხვაგვარი ინტერესები. ეს ყველაფერი სააშკარაოზე უნდა ყოფილიყო გამოტანილი. ამ კომისიის შექმნა საჯაროს გახდიდა იმას, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ იყო არა ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაზე ზრუნავდა, არამედ ეს იყო ჩვეულებრივი კრიმინალური ბანდა, რომელსაც ჰქონდა პოლიტიზებული პროკურატურა, ყურმოჭრილი სასამართლო, რომელიც მის დაკვეთებს ასრულებდა. ეს დაკვეთები იყო დანაშაულებრივი საქმეები. აქედან გამომდინარე, ახალმა ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა, რომ ეს არ უნდა გამხდარიყო საჯარო და აშკარა და მოსახლეობას უკვე მტკიცებულებებით არ უნდა დაენახა, რასთან ჰქონდა საქმე. ეს არის აბსოლუტური გარიგება ნაციონალებთან. ეს გამოიწვევს საზოგადოების აფეთქებას: ორშაბათიდან მასობრივი შიმშილს დაიწყებენ მოქალაქეები კანცელარიასთან ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების მოთხოვნით. ამას გარდა ჩვენ 15-ში ვგეგმავთ აქციას ძველი პარლამენტის შენობის წინ. ამ ფონზე, ხელისუფლება შეიძლება წავიდეს დათმობაზე, მაგრამ ექსკლუზიურად გეუბნებით: დარწმუნებული იყავით, რომც შეიქმნას ეს კომისია, ის არ გადახედავს საქმეებს ძირფესვიანად, რადგან ნებისმიერი საქმის გადახედვის შემთხვევაში, იქვე დგანან კრიმინალი გამომძიებლები, რომლებმაც ჩაიდინეს სისხლის სამართლის დანაშაული, პროკურორები და მოსამართლეები, რომლებმაც მიიღეს მონაწილეობა ამ ბინძურ დაკვეთაში და აღასრულეს ის. ასევე, გამოიკვეთებიან ყოფილი ხელისუფლების მაღალი ეშელონების წარმომადგენლები, რომლებიც ამ ყველაფერს უკვეთდნენ და მის აღსრულებას ხელმძღვანელობდნენ – ტერორსა და პოლიტიკურ დევნას ქვეყანაში. ამიტომ, დღეს ხელისუფლებისგან და საერთაშორისო საზოგადოებისგან აღიარებული პირველი ოპოზიციური ძალა გამოიკვეთება კრიმინალურ დაჯგუფებად, რომელიც წლების განმავლობაში სჩადიოდა ათასგვარ სისასტიკეს. სწორედ ამის თავიდან ასაცილებლად მოიფიქრეს, რომ თითქოს ფინანსები არ არის ბიუჯეტში. რომელმა უთხრა, რომ ფინანსების გამო უნდოდა საქმის გადახედვა, მაინტერესებს, რა... რა ფინანსებზეა ლაპარაკი? ბოლოს და ბოლოს, სახელმწიფო ვალდებულია, თუნდაც ვალში აიღოს ამ ადამიანებისთვის გასაცემი კომპენსაცია. თუკი სახელმწიფო ხარ და ამბობ, რომ ეს ადამიანები უკანონოდ ისხდნენ ციხეებში, მაშინ მათი კომპენსაცია ვალში აიღე და 20-30 წლის შემდეგ გადაიხადე... მაგრამ აქ თანხა რეალურად არაფერ შუაში იყო, ვინაიდან ეს იყო პოლიტიკური გადაწყვეტილება, რომ არ უნდა გამომჟღავნდეს კრიმინალი ნაციონალების კრიმინალური საქმიანობა. კომისიის მუშაობის შემთხვევაში დარტყმის ქვეშ დადგებოდა არა მარტო კრიმინალური ნაციონალური ხელისუფლება, არამედ მათი კრიმინალი მხარდამჭერებიც დასავლეთში, რომლებიც ამ კრიმინალს უჭერდნენ მხარს ქვეყანაში მთელი 9 წლის განმავლობაში და აფინანსებდნენ და არამარტო აფინანსებდნენ, ხალხს უქმნიდნენ შთაბეჭდილებას, რომ ეს იყო დემოკრატიის შუქურა. იმ დროს, როდესაც იმ ხელისუფლების ძალაუფლება იდგა ქუჩებში ჩახოცილი ადამიანების გვამებზე. ამიტომაც გამოინახა გამოგონილი მიზეზი, რომ ბიუჯეტს საკმარისი ფული არ აქვს. ჰკითხეს რომელიმე დაზარალებულს, კომპენსაციის აუნაზღაურებლობის შემთხვევაში გინდათ თუ არა საქმეების გადახედვაო და ვინმემ უარი უთხრა, თუ საიდან მოიტანეს ეს ფულის თემა?..

**– ხომ არ ფიქრობ, რომ ეს ერთგვარი ვაჭრობაა ამ ადამიანებთან, რომ სწორედ ანაზღაურება არ მოითხოვონ?**

– უფრო უარესთან გვაქვს საქმე. ამ ადამიანებს არა მხოლოდ ქვეყნის შიგნით მოუსპეს მათი საქმეების გადახედვის საშუალება, არამედ ევროსასამართლოშიც, რადგან ჩვენმა ორმა წევრმა უკვე მიიღო ევროსასამართლოდან პასუხი, რომ მათი საქმეების გადახედვა აღარ მოხდება, ვინაიდან თქვენმა ხელისუფლებამ აიღო თავის თავზე ამ საქმეების გადახედვის ვალდებულებაო. მე ხელს ვაწერ იმაზე, რომ პოლიტპატიმრები მზად არიან, ყოველგვარი ფინანსური კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე ახადონ გრიფი „საიდუმლო“ მათ საქმეებს და გაასაჯაროონ, რა დებოდა ამ სასამართლოებზე და რა დაკვეთები მიმდინარეობდა. რატომ არ აინტერესებდა ეს ხელისუფლებას? რატომ არ აკეთებს ამას? იმიტომ რომ მოხდა გარიგება და რა დგას ამ გარიგების უკან, ეს უკვე ჟურნალისტური გამოძიების საგანია.

**– მხედველობაში გაქვთ ეჭვები იმის თაობაზე, რომ ამ ორ პოლიტიკურ ძალას შორის ფინანსური შეთანხმება შედგა ე.წ. შავ ფულზე?**

– ეს ეჭვები კიდევ უფრო ძლიერდება ამ გადაწყვეტილების ფონზე. სხვა აბა, რა მოტივაცია აქვს დღეს ხელისუფლებას, როდესაც პოლიტპატიმრები მოითხოვენ, სააშკარაოზე გამოვიდეს საქმეები, რომ ადამიანებმა ნახონ, ვინ ვართ ჩვენო. უმძიმესი დანაშაულებით არის ეს ხალხი გასამართლებული – ჯაშუშობის მუხლებით. სკრილნიკოვს რომ გაიძახის სააკაშვილი, მოდი, რა ვნახოთ, იქნებ მართლა დამნაშავეა ეს სკრილნიკოვი? რატომ არ უნდა ვნახოთ, ეს საქმე პოლიტიკური არის თუ არა? იმის სიტყვას უნდა ვენდოთ, თუ საქმეს? გაასაჯაროონ ეს საქმეები და გვაჩვენონ. გადატრიალების მცდელობისთვის იყო დაპატიმრებული მუხროვანისა და ყინწვისის ხალხი. არ უნდა გავიგოთ, იქნებ მართლა აპირებდნენ ამ ყველაფერს? არ გააკეთებენ ამას, რადგან ყველა ეს საქმე გახდება საბრალდებო დასკვნა „ნაციონალური მოძრაობის“ წინააღმდეგ.

**– მთავრობის ეს გადაწყვეტილება ეს შეიძლება გახდეს ვადამდელი არჩევნების მოთხოვნის საფუძველი?**

– სწორედ ამ მოთხოვნის წამოყენებას ვაპირებთ, როცა შიმშილობები და საპროტესტო აქციები დაიწყება. მასიურად დავიწყებთ ხელმოწერების შეგროვებასაც. რადგან უკვე ნათელია, რომ ეს ხელისუფლება არ აპირებს ამ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენას და კრიმინალი ნაციონალების დასჯას. ამაზე გარიგებაა შემდგარი. ამ გარიგების შუამავალი ევროპაა, თუ ამერიკა, ეს არ არის ჩვენთვის მნიშვნელოვანი, რადგან მთავარია, რომ ეს ხდება საზოგადოებრივი ინტერესების საწინააღმდეგოდ. ეს გარიგება, ეს პოლიტიკური რეალობა, რაც დღეს გვაქვს, არის მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების ინტერესში. ხალხის ინტერესებშია, ნათელი მოეფინოს ყველაფერს, რა ხდებოდა იმ პერიოდში. ამ კომისიის შექმნა-არშექმნით იმასაც მოეფინება ნათელი, ამ ხელისუფლებას რა აქვს ჩაფიქრებული და რისკენ მივდივართ. ეს კომისია რომც შეიქმნას, ის მაინც არ გადახედავს სერიოზულ საქმეებს. შეიძლება ხალხი ციხეებიდან გამოუშვან. ახლა მიდის ლაპარაკი იმაზე, რომ პრიორიტეტული იყოს მათი საქმეები, ვინც ამჟამად ციხეებში არიან და მათი განთავისუფლება არის მთავარი. პოლიტპატიმრები შეწყალებით არ გამოსულან, ამბობდნენ, რომ ჩვენ სტატუსი გვინდაო. ჩვენ ციხეებში იმიტომ კი არ წამოვედით, რომ გიჟები ვიყავით, არამედ იმიტომ, რომ ჩვენს ღირსებას ეხებოდა ეს ყველაფერიო. დღეს კი გვეუბნებიან, რომ ამათი საქმეების განხილვა არ მოხდება, არც ბიზნესწართმეულების, არც ქონებაწართმეულების, რადგან პირდაპირ იკვეთება „ნაციონალური მოძრაობის“ დანაშაულები. ამას არ გააკეთებს ეს კომისია. თავად დარწმუნდებით ამაში, როდესაც ეს კომისია შეიქმნება. შეიძლება მან გადახედოს უმტკივნეულო საქმეებს.

**– ანუ, კომისია მაინც შეიქმნება?**

– რომც შეიქმნას, ის მოლოდინებს ვერ გაამართლებს.

**– ...და შეიქმნება?**

– როგორი ხარისხის ზეწოლა იქნება, ამაზეა დამოკიდებული და გპირდებით, რომ ზეწოლა უდავოდ ძლიერი იქნება. ასე რომ, ეს კომისია შეიქმნება. მოიფიქრებენ, რომ ახლა კიდევ რაღაცას გადახედავენ და გადმოხედავენ. ყოველ შემთხვევაში, რაღაც კომისიის ილუზიას უახლოეს დღეებში შექმნიან. წინააღმდეგ შემთხვევაში, ამას სერიოზული საზოგადოებრივი მღელვარება მოჰყვება.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# საქართველოში ადვოკატების მასო

მარიამ ნადირაძე

**თავშივე ვთხოვთ მკითხველს, მოთმინებით გადაიკითხოს ქვემოთ შემოთავაზებული ამონაწერები სხვადასხვა კოდექსებიდან, ნორმატიული აქტებიდან, თუ საერთაშორისო რეკომენდაციებიდან, ვინაიდან, სწორედ მათი გაცნობის შემდეგ მიხვდებით, რომ საქართველოში სერიოზული სკანდალი მწიფდება, რამაც შესაძლოა, ჩვენი სამართლებრივი პასუხისმგებლობაც დააყენოს. მაშ ასე:**



**ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის 2000 წლის #21 რეკომენდაცია:** „ყველა ზომა უნდა იქნას მიღებული ადვოკატის თავისუფლების პატივისცემის, დაცვისა და ხელშეწყობის მიზნით, დისკრიმინაციისა და არასათანადო ჩარევის გარეშე საზოგადოებისა და ხელისუფლების მხრიდან...“

**ევროგაერთიანების ადვოკატთა ქცევის კოდექსი, მეორე ნაწილი:** „ადვოკატის ძირეული ფუნქციაა, კლიენტისგან მიიღოს ინფორმაცია, რომელსაც ეს უკანასკნელი სხვა პირს არ გაანდობდა და იყოს ნდობის საფუძველზე ამ ინფორმაციის მიმღები. კონფიდენციალობის უეჭველობის გარეშე შეუძლებელია ნდობის არსებობა. ამდენად, კონფიდენციალობა ადვოკატის უპირველესი ფუნდამენტური უფლება და მოვალეობაა“.

**გაეროს დოკუმენტი, ადვოკატის საქმიანობის გარანტიები. მუხლი მე-16:** „სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ადვოკატებმა შეძლონ თავიანთი პროფესიული ფუნქციების შესრულება დაშინების, დაბრკოლების, ღირსების შელახვისა და არასათანადოდ ჩარევის გარეშე“...

**ადვოკატთა ეთიკის კოდექსი**: „ინფორმაცია, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა მისი პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, კონფიდენციალურია. ადვოკატი ვალდებულია, დაიცვას



## „ნაციონალებსაც კი არ გაუბედავთ ასეთი რამ, რომ კანონისმიერი დავალდებულებით დაეწყოთ ძალადობა ადვოკატებზე“

კონფიდენციალური ინფორმაცია იმგვარად, რომ მესამე პირს მასზე ხელი არ მიუწვდებოდეს. კონფიდენციალობის ვალდებულება ვრცელდება ნებისმიერ ინფორმაციაზე, რომელიც ადვოკატისთვის ცნობილი გახდა კლიენტისგან, ან იურიდიული რჩევის მიღების სხვა მსურველზე, რომელიც ადვოკატმა მიაწოდა კლიენტს, ან ადვოკატმა სხვა წყაროდან გაიგო მის საქმესთან დაკავშირებით...“

**საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, 43-ე მუხლი:** „ბრალდებულის ურთიერთობა მის ადვოკატთან კონფიდენციალური და თავისუფალია. ასევე, კონფიდენციალურია პირის ბრალდებულად ცნობამდე მისი ურთიერთობა მის შესაძლო ადვოკატთან“.

ეს ნორმები „პრაიმტაიმს“ ერთ-ერთმა ადვოკატმა, ირაკლი კერესელიძემ წარმოუდგინა, ვინაიდან ის საგანგაშო სიგნალებს ხედავს იმაში, რომ საქართველოს პარლამენტი სწორედ ამ კონფიდენციალობის დარღვევას გეგმავს და ამით ადვოკატის პროფესიას უქმნის საფრთხეს.

თუკი ნაციონალური ხელისუფლება ადვოკატებს პირდაპირი წესით სჯიდა – იჭერდა, დევნიდა, ან საკუთარ „კონფიდენტებად“ ხდიდა, ახალმა ხელისუფლებამ ამ პროფესიის წინააღმდეგ, როგორც ჩანს ახალ იარაღს მიაგნო: უკვე ორი მოსმენით განიხილა პარლამენტმა უკანონო შემოსავლებს ლეგალიზაციის ხელშეწყობის შესახებ კანონში და ადვოკატურის შესახებ კანონში ცვლილებები. ორი მოსმენით კანონპროექტის გასვლა თითქმის დამტკიცებას ნიშნავს, რადგან მესამე მოსმენა უბრალო ფორმალობაა.

**ამ ცვლილებების არსი შემდეგში მდგომარეობს:** ადვოკატის მიმართ დგება არაადეკვატური ვალდებულების მოთხოვნა. თუ ადვოკატი კლიენტთან ურთიერთობისას შეიტყობს რაიმე ფინანსური სახის დანაშაულის შესახებ – თანხების აღრიცხვა, საფინანსო დავები, ფულის გარეცხვა, უკანონო შემოსავლები და ა.შ.– ვალდებულია, ამის შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს. არადა, ყველამ ვიცით, რომ ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთობა კონფიდენციალურია და ამის შეცვლა არ შეიძლება.

**უფრო დაწვრილებით ამ თემაზე „პრაიმტაიმი“ ადვოკატ ირაკლი კერესელიძეს ესაუბრა:**

– მოდი, ფორმალიზმის დონეზე განვიხილოთ შესაძლო სიტუაცია. თუკი ეს კანონი ამოქმედდება და ინფორმაციის გაცემის ვალდებულება გაუჩნდება ადვოკატს, გამოდის, რომ ადვოკატი დამოუკიდებელი აღარ არის. მოდი, ყველაფერს სახელი დავარქვათ და ვთქვათ, რომ ადვოკატი ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის კონფიდენტი ხდება ოფიციალურად. ამ სამსახურის საპროცესო ზედამხედველობას ახორციელებს პროკურატურა. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პროკურატურაც მხარეა და ადვოკატიც, ერთი მხარე მეორის თანამშრომელი როგორ უნდა გახდეს?

**– დანაშაულის დაფარვაზე, ან შეუტყობინებლობაზე ნებისმიერი მოქალაქე ისჯება. თუმცა აქამდე**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ბრივი დაპატიმრებები დაიწყება?!



# რა იგეგმება ადვოკატების წინააღმდეგ და რა სკანდალური ცვლილებები შედის საქართველოს კანონებში?

**„ეს ცვლილებები ძალაში რომ შევიდეს, საქართველო დადგება ირანის გვერდზე, სადაც, თუ ადვოკატს ეჭვი გაუჩნდება კლიენტზე, რომ მას რელიგიის, ან რელიგიური ლიდერის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულება აქვს, ის ვალდებულია, რელიგიურ პოლიციაში „ჩაუშვას“ კლიენტი, რომელსაც შემდგომ სიკვდილით დასჯიან“**

**ეს ადვოკატს არ ეხებოდა სწორედ კონფიდენციალობის გამო. ამ ცვლილების შემდეგ ადვოკატსაც შეიძლება დაეკისროს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა?**

– მე, როგორც ადვოკატმა, თუ ვიცი მოქალაქის დანაშაულის შესახებ და არ შევატყობინე სამართალდამცველებს, ჩვეულებრივ დავისჯები, თუ ეს მოქალაქე კლიენტი არ არის.

**– რა იქნება ამ ცვლილების ამოქმედების შემთხვევაში...**

– ამ შემთხვევაშიც დავისჯები შეუტყობინებლობის და შესაძლოა, თანამონაწილეობის მუხლითაც... მაგრამ იმდენად სახიფათო არ არის ადვოკატის დასჯის მექანიზმი, რამდენადაც იმ ბერკეტის არსებობა, რომელიც კონფიდენციალობის მთავარ პრინციპს არღვევს. ეს კანონი ძალიან ბევრ გაუგებრობას დაბადებს.

**– თუ ამ ცვლილებით ხელისუფლება გავალდებულებთ, რომ შეატყობინოთ სამართალდამცველებს თქვენი კლიენტების ფინანსური დანაშაულების შესახებ, ხომ შეიძლება, ხვალ ისეთივე ვალდებულებები დაგიყენონ სხვა ტიპის დანაშაულებებზე?**

– ეს ძალიან ბევრი რამის ცუდად სტიმულატორი გახდება, რადგან ფინანსური შეიძლება ჰქონდეს მკვლელობასაც, ტერორიზმსაც... ყველაზე ცინიკური იცით, რა არის? კანონპროექტის ავტორები იჩემებენ, ეს ევროპული რეკომენდაციაა, რადგან ლეგალიზაციის მაღალი ხარისხი გვჭირდებაო. ეს არამარტო სამართლებრივი აბსურდია, სრული ცინიზმია. მე ამოვწიე ეს რეკომენდაცია და იქ წერია – უზრუნველყავით გამჭვირვალობის მაღალი ხარისხიო. აქ არსად არ არის საუბარი ადვოკატის კონფიდენციალობის უარყოფაზე და ვერ იქნება.

**– ეს ცვლილება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსთან წინააღმდეგობაში არ მოდის?**

– რა თქმა უნდა, კოლიზიაა. ამ შემთხვევაში უპირატესია აღმატებული კანონი. მაგრამ თანაბარი ძალის კანონებთან გვაქვს საქმე. აქაც არსებობს დისტინქციები, მაგრამ ამას არ აკეთებს პროკურატურა. კოლიზიის შემთხვევაში მათთვის სასურველ ინტერპრეტაციას იყენებენ.

**– ეს კოლიზია რომ არ წარმოიქმნას, სხვა უამრავ კანონში უნდა შევიდეს ცვლილება, ალბათ...**

– ბუნებრივია. ყველაზე ცინიკური კი ის არის, თუ გეტყვით, რომ ცვლილება ადვოკატურის შესახებ კანონის სწორედ იმ მუხლში შედის, რომელიც ასეა დასათაურებული: პროფესიული საიდუმლოება. ეს ხომ ნონსენსია? თანაც ამის გაკეთილშობილების მცდელობა აქვთ ევროპული სტანდარტით. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციაა სტანდარტი და არა ის, რომ ადვოკატი სახელმწიფოს ინფორმატორი გახდეს. ეს რამე ლოგიკაში ჯდება?

**– თუ ამას სახელმწიფო პროფესიულ ვალდებულებად გაგიხდის, იქნებ აღარ გამოდიხართ ინფორმატორი?**

– არსით ხომ გამოდიხარ? მთავარი ის არის, რომ, თუ კონფიდენციალობა არ იარსებებს, აღარ იარსებებს ადვოკატის პროფესიაც. მოდი, გავითვალისწინოთ ის მოცემულობა, რაც ისედაც არის საქართველოში. არსებული ფორმალური სტანდარტების პირობებშიც კი ზოგიერთი ადვოკატი ახერხებს სახელმწიფოს ინფორმატორობას რაღაც გარკვეული გარიგებების ფასად. როდესაც ეს სტანდარტი კანონის დონეზე აიწევს, თქვენი აზრით, რა ფასი ექნება ამ პროფესიას? პროფესიისადმი ნდობა კანონის დონეზე იკარგება და ბევრი არაკეთილსინდისიერი ადვოკატი ამას ძალიან ცუდად გამოიყენებს.

**– გამოდის, რომ ხელისუფლება ადვოკატების წინააღმდეგ ახალ იარაღს იყენებს?**

– დიახ. თქვენთვის ცნობილია, როგორი „სიმპათიები“ მაქვს ნაციონალების, როგორც პოლიტიკური მოვლენის და პოლიტიკური ტრაგედიის მიმართ საქართველოსთვის. მათ 200-ზე მეტი ადვოკატი ჰყავდათ დაჭერილი, რის გამოც იმ პერიოდში სისხლის სამართლის სფეროში ადვოკატად მუშაობა პირდაპირ ნიშნავდა გამრიგებლობას, მაგრამ ნაციონალებსაც კი არ გაუბედავთ ასეთი რამ, რომ კანონისმიერი დავალდებულებით დაეწყოთ ძალადობა ადვოკატებზე. კანონი ფორმალიზმის დონეზე მაინც იყო გამართული ამ ნაწილში. ადვოკატი სახელმწიფოს ალტერნატივაა სამართლებრივ დავაში და სახელმწიფოს უსწორებს შეცდომებს. თუკი კონფიდენციალობა ადვოკატის პროფესიაში არ არსებობს, ადვოკატის პროფესიაც არ არსებობს. შეიძლება უხეში შედარება გამომივიდეს, მაგრამ მღვდლებისთვის კონფიდენციალობის დაცვა მორალური კატეგორიაა, ადვოკატებისთვის კი – სამართლებრივი. ამის ნაწილობრივ შელახვა არ არსებობს. ის ან არის, ან არ არის. ეს ცვლილებები ძალაში რომ შევიდეს, საქართველო დადგება ირანის გვერდზე, სადაც, თუ ადვოკატს ეჭვი გაუჩნდება კლიენტზე, რომ მას რელიგიის, ან რელიგიური ლიდერის მიმართ უპატივცემულო დამოკიდებულება აქვს, ის ვალდებულია, რელიგიურ პოლიციაში „ჩაუშვას“ კლიენტი, რომელსაც შემდგომ სიკვდილით დასჯიან. კონფიდენციალობა ერთადერთი იარაღია, რომელიც შესაძლებელია, იყოს ეფექტური დაცვის ბერკეტი. თუ სახელმწიფო კონფიდენციალობის ნაწილში ერევა, მაშინ დაარქვან ბრალდების მხარეს უფროსი პროკურორი, დამცველ მხარეს – უმცროსი პროკურორი და მივალთ სტალინის „ტროიკამდე“. როცა ოთახში ჯდებოდა სამი კომისარი, ერთი ფორმალურად იტყოდა, მოდით, ამხანაგებო, განვიხილოთ დადებითი მხარეებიცო. განიხილავდნენ და დახვრეტდნენ. ეს ვარიანტია აქაც. განსაკუთრებით აღმაშფოთებელი ის არის, რომ პარლამენტში ხუთი თუ ექვსი ძალიან ცნობილი ადვოკატი ზის. რა ხდება? ირანი ვართ, თუ რუსეთი?

**„პრაიმტაიმმაც“ კითხვებზე პასუხისთვის ყოფილ ადვოკატს, ამჟამად კი პარლამენტის დეპუტატს, ზაქარია ქუცნაშვილს მიმართა:**

**– თქვენ დაუჭირეთ მხარი ამ ცვლილებებს?**

– არა, მე მხარი არ დამიჭერია.

**– მაშინ, საინტერესოა თქვენი პოზიცია იმის თაობაზე, რომ ასეთი სახის საკანონმდებლო ცვლილებას ორი მოსმენით დაუჭირა მხარი პარლამენტმა, სადაც რამდენიმე საკმაოდ ცნობილი ადვოკატი ხართ...**

– რაკი მე არ დავუჭირე მხარი, ალბათ, ჩემი პოზიცია უკვე გასაგებია.

**– როგორ ფიქრობთ, ასეთი ცვლილებების ძალაში შესვლა, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულ მდგომარეობაში ხომ არ ჩააგდებს საქართველოს სამართლებრივ სისტემას?**

– ბოლო მოლაპარაკებისას კომპრომისი მოინახა.

**– რა სახის?**

– მსგავსი ინფორმაციის შეტყობინების შემთხვევაში, ადვოკატი ამას აცნობებს ადვოკატთა ასოციაციას და შემდეგ ის გადაწყვეტს, მიაწოდოს თუ არა ეს ინფორმაცია საგამოძიებო სამსახურს. ამით არც კონფიდენციალობა დაირღვევა და ევროპული რეკომენდაციაც შესრულდება, რომელიც იმაში მდგომარეობს, რომ არ უნდა არსებობდეს არც ერთი სამსახური – არც ბანკი, არც ნოტარიუსი, არც ადვოკატურა, რომელიც ასეთ ფინანსურ დანაშაულს დაფარავს...

**– რა სახის კომპრომისული ნორმაც არ უნდა ჩაიდოს, ფაქტია, რომ ამ ცვლილებით სახელმწიფო ავალდებულებს ადვოკატს, დაარღვიოს კონფიდენციალობა...**

– მეც ამ მოსაზრებაზე ვარ.

სამწუხაროდ, სხვა ყოფილ ადვოკატებთან დაკავშირება ვერ მოხერხდა. ფაქტი კი ის არის, რომ პარლამენტი ადვოკატებზე შეტევას ნაციონალური ხერხებისგან განსხვავებული, მაგრამ თავისებური, თანაც უფრო ფუნდამენტური იარაღით გეგმავს, რომელსაც ლეგიტიმურად შეიძლება მოჰყვეს არასასურველი ადვოკატების დაპატიმრებები.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნარკოსკანდალი მე

## my View

მირიან ბოქოლიშვილი

ნარკოსკანდალი, რომელიც შესაძლოა, მალე საგამოძიებო ორგანოების შესწავლის საგანი გახდეს. სანამ ამ საქმით სამართალდამცველები დაინტერესდებიან, სპეციალურ მოკვლევას ჯანდაცვის სამინისტროს სამედიცინო რეგულირების სააგენტო ჩაატარებს, სადაც საჩივარი უკვე შეტანილია. სააგენტოს დასკვნა, სავარაუდოდ, პროკურატურას გადაეგზავნება, რის შემდეგაც გაირკვევა, რა მსვლელობა მიეცემა საქმეს. მოკლედ, ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, საქმე ეხება #5 კლინიკურ საავადმყოფოს, რომლის მედპერსონალს პაციენტებისთვის განკუთვნილი ნარკოტიკების მითვისებაში ადანაშაულებენ. ამის შესახებ „პრაიმტაიმმა“ ჟურნალისტური გამოძიება ჯერ კიდევ ორი წლის წინათ ჩაატარა, თუმცა მაშინ არც სტატიას და არც ჯანდაცვის სამინისტროს მოკვლევას რეაგირება არ მოჰყოლია. ექიმები, რომლებსაც ნარკოდანაშაულში ამხელდნენ, ძველებურად განაგრძობდნენ საქმიანობას. ამ დეტალებს ოდნავ ქვემოთ შეგახსენებთ, მანამდე კი გეტყვით, რომ საავადმყოფოს იმ თანამშრომელთა შორის, რომლებსაც საკმაოდ მძიმე ბრალდებებს უყენებდნენ, ანესთეზიოლოგი, მამუკა აბუაშვილიც ფიგურირებდა. გასულ კვირას რედაქციაში დაგვიკავშირდნენ 21 წლის პაციენტის ახლობლები, რომლებმაც მამუკა აბუაშვილის მიმართ იგივე ბრალდებები გაახმაურეს. გოგატიშვილების ოჯახი ანესთეზიოლოგს ნარკოტიკების მოხმარებაში ადანაშაულებს და მისთვის საქმიანობის შეჩერებას ითხოვს. 21 წლის თამარ გოგატიშვილმა მე-5 საავადმყოფოში ბრმა ნაწლავის ოპერაცია რამდენიმე დღის წინ გაიკეთა. გოგონა ირწმუნება, რომ ანესთეზიის დროს მას ნარკოტიკის ნაკლები დოზა შეუყვანეს, რის გამოც მთელი ოპერაციის მიმდინარეობისას, გაჭრიდან გაკერვამდე, აუტანელი ტკივილები ტანჯავდა.



## ასმათ გოგატიშვილი: „საინტერესოა, ვინ მფარველობს მამუკა აბუაშვილს, რომ, ასეთი ფაქტების მიუხედავად, ის უპრობლემოდ ინარჩუნებს თანამდებობას“

# EXCLUSIVE



**ასმათ გოგატიშვილი, პაციენტის და:**

– ჯანდაცვის სამინისტროში შესატანი საჩივარი უკვე მზად გვაქვს. ვფიქრობ, ყველა პროფესია საპასუხისმგებლოა, მაგრამ, როცა ადამიანის სიცოცხლეს ეხება საქმე, ეს კიდევ ორმაგად საპასუხისმგებლოა. აუცილებელია, ექიმმა პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა. არა მგონია, რომელიმე ჭკუათმყოფელმა ადამიანმა მოიწონოს, როდესაც ექიმი ნარკოტიკული საშუალების ზემოქმედების ქვეშ შედის საოპერაციოში და ვერ არულებს მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

**– და რა გაძლევთ ამის თქმის საფუძველს?**

– ჩემი და, 21 წლის თამარ გოგატიშვილი საავადმყოფოში გადავიყვანეთ სასწრაფოთი. გვითხრეს, რომ არის სასწრაფოდ საოპერაციო. არაჩვეულებრივი ქირურგი შეგვხვდა, რომელსაც ნამდვილად არ დაუკლია ყურადღება, ისევე, როგორც სხვა მედპერსონალს, თუმცა მე პრეტენზია მაქვს ანესთეზიოლოგთან. ოპერაციის დასრულების შემდეგ ჩემმა დამ მომიყვა იმ აუტანელი ტანჯვის შესახებ, რაც განიცადა საოპერაციო მაგიდაზე. მას ყველაფერი ესმოდა, რას საუბრობდნენ ექიმები, გრძნობდა, როგორ გაჭრეს, როგორ ამოაცალეს მუცლიდან რაღაც და როგორ გაკერეს. ეს გრძელდებოდა დაახლოებით ერთი საათი.

**– ანესთეზია არ გაუკეთეს?**

– ანესთეზია გაუკეთეს, მაგრამ ნაკლები დოზით. მხოლოდ ის დოზა შეუშვეს, რომელიც მხოლოდ მეტყველების უნარს დააკარგვინებდა, დანარჩენს ყველაფერს გრძნობდა. მე არ ვიცი, რატომ არ გაუკეთეს საკმარისი დოზა, სად წავიდა ის წამალი, რომელიც ნარკოზისთვის უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ მაქვს ეჭვი, რომ ანესთეზიოლოგი საოპერაციოში ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა. ამ ეჭვს მიმყარებს ის ფაქტიც, რომელსაც მე პირადად შევესწარი წინა დღეს.

**– რა ფაქტზე საუბრობთ?**

– ეს პიროვნება გამოვიდა მოსაცდელისკენ, სადაც ვიყავით მე და კიდევ რამდენიმე ადამიანი და ეს ყველამ დაინახა. პრაქტიკულად გადაადგილება უჭირდა, მოდუნებული და თვალებმიბინდული ნელ-ნელა მოძრაობდა, ხელში ეჭირა სიგარეტი, რომელიც თითებზე ეწვებოდა უკვე, მაგრამ ვერ გრძნობდა, ისეთ მდგომარეობაში გახლდათ. ეს ფაქტი ვინც ნახა, ეჭვი არავის შეჰპარვია იმაში, რომ ეს ადამიანი ნარკოტიკებისგან შორს არ იყო. ეს პიროვნება გახლავთ ანესთეზიოლოგი მამუკა აბუაშვილი.

**– თუკი წინა დღეს ეს ადამიანი ასეთ მდგომარეობაში ნახეთ, არ გააპროტესტეთ, როდესაც თქვენს დას შეჰყვა საოპერაციოში მეორე დღეს?**

– მე არ ვიცოდი, რომ ეს იყო ანესთეზიოლოგი. ბუნებრივია, როდესაც სასწრაფო ოპერაციაზეა საუბარი, პირველ რიგში, კითხულობ, ვინ არის ქირურგი. ქირურგი კი ნამდვილად კარგი სპეციალისტი გახლავთ და აღარც კი მიფიქრია, რომ ანესთეზიოლოგს შეიძლება იქ საქმე გაეფუჭებინა და ჩემი და ასე გაემწარებინა. როდესაც ჩემმა დამ მომიყვა ყველაფერი, ამის შემდეგ გავარკვიე, რომ მამუკა აბუაშვილი და ექიმი, რომელიც წინა დღეს ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ ვნახე, ერთი და იგივე პიროვნებაა. შემდეგ უკვე მოვიძიე ამ პიროვნებაზე ინფორმაცია და აღმოჩნდა, რომ თქვენს გაზეთშიც იყო ჟურნალისტური გამოძიება მსგავს თემაზე, სადაც ასევე სხვა პირებთან ერთად მამუკა აბუაშვილი ფიგურირებს.

**– ანუ თქვენ ფიქრობთ, რომ პაციენტებისთვის განკუთვნილ ნარკოტიკს მოიხმარენ?**

– მე არ ვარ ამ დარგის სპეციალისტი



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# -5 საავადმყოფოში

## მედპერსონალს პაციენტებისთვის განკუთვნილი ნარკოტიკების მითვისებაში ადანაშაულებენ



## მამუკა აბუაშვილი: „წინასწარ გაფრთხილებთ, რომ აუცილებლად გიჩივლებთ, თუ ეს სტატია დაიბეჭდება“

და არ ვიცი, ვენაში რას მოიხმარენ. შესაბამისად, ვერ ვამტკიცებ, რომ ჩემს დას დააკლეს მაინცდამაინც, იმიტომ რომ თვითონ მოეხმარათ, მაგრამ ფაქტია, რომ ეს ადამიანი მოიხმარს ნარკოტიკულ ნივთიერებას. პირადად გავხდი თვითმხილველი, რა მდგომარეობაშიც იყო ის. დანარჩენი უკვე შესაბამისმა ორგანოებმა უნდა გაარკვიონ. იმაზე, ალბათ, არავინ იდავებს, რომ ანესთეზიოლოგებს ასეთ პრეპარატებთან ხელი ნამდვილად მიუწვდებათ. ერთში დარწმუნებული ვარ, როგორც მინიმუმ: იმენად მძიმე ზემოქმედების ქვეშ იმყოფებოდა ეს პიროვნება, რომ ვერ განსაზღვრა, რა დოზით უნდა შეეყვანა წამალი ნარკოზისთვის. ნარკომანი, რომელიც პაციენტთან შედის და ადამიანის სიცოცხლესთან აქვს შეხება, ნამდვილად არ უნდა მუშაობდეს. ჩემი მთავარი მოთხოვნაა, რომ მას შეუჩერდეს საქმიანობის უფლება, ჩამოართვან ლიცენზია და დაიწყოს ამ ადამიანის საქმიანობის შესწავლა. ასეთი პიროვნებები რეალურად სახელს უფუჭებენ იქ მომუშავე პროფესიონალ კადრებსაც და, ზოგადად, საავადმყოფოსაც. როდესაც გაიგებს ხალხი, რომ მე-5 საავადმყოფოში ასეთი ადამიანი მუშაობს, შესაძლოა, პაციენტები მოერიდონ ამ საავადმყოფოში მისვლას. ჩემი მიზანი კი არის ის, რომ არა საავადმყოფოს, არამედ მამუკა აბუაშვილს მოარიდონ პაციენტები, რადგან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ამ დაწესებულებაში ბევრი მართლაც პროფესიონალი კადრია, მათ შორის ქირურგი, რომელმაც ჩემს დას ჩაუტარა ოპერაცია. ჩემი დის საკითხი უკვე ჩავლილია, მას იმ ტკივილს ვერავინ დაავიწყებს, მაგრამ არ მინდა, იგივე ტანჯვის წინაშე აღმოჩნდეს სხვაც.

**– თუკი თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს პიროვნება ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ შედის ოპერაციაზე, ეს სხვა თანამშრომლებმა არ იციან?**

– რა თქმა უნდა, შესაძლოა, იციან, მაგრამ დღევანდელ დღეს ყველას გმირობას ვერ მოსთხოვ. თქვენს სტატიაშიც არის საუბარი იმაზე, რომ თანამშრომელი, რომელიც მას დაუპირისპირდა და სხვებთან ერთად ამხილა ნარკოსკანდალში, სამსახურიდან გაათავისუფლეს, იმის ნაცვლად რომ თვითონ ნარკოსკანდალში გახვეული პირები მოეშორებინათ საავადმყოფოსთვის. ამიტომ, როგორც ჩანს, ძნელია ამ ნაბიჯის გადადგმა, თუნდაც სოციალური პირობებიდან გამომდინარე. საინტერესოა, ვინ მფარველობს მამუკა აბუაშვილს, რომ, ასეთი ფაქტების მიუხედავად, ის უპრობლემოდ ინარჩუნებს თანამდებობას.

**– ეჭვი გაქვთ, რომ მას ვიღაც მფარველობს?**

– ასე რომ არ იყოს, მერწმუნეთ, დიდი ხნის წინ გაუშვებდნენ სამსახურიდან, თუნდაც მაშინ, როდესაც პირველად გაახმაურეთ თქვენ ეს ფაქტი. ჩემი და არ გახლავთ ერთადერთი, ვისაც მსგავსი პრობლემა შეექმნა. მე იქ გამოვკითხე რამდენიმე პაციენტი. იქ იყო ერთი ქალბატონი, რომელმაც კუჭის ოპერაცია გაიკეთა და იგივეს ყვებოდა, რომ ყველაფერი გაიგო ოპერაციის მიმდინარეობისას. იმდენად გრძნობდა აუტანელ ტკივილს, რომ უნდოდა, ეთქვა, წამალი დამიმატეთო, მაგრამ მეტყველების უნარი მასაც არ ჰქონდა. ძალიან მძიმე მოსასმენი იყო, როდესაც ჩემი და ამ ყველაფერს ყვებოდა. ლოცვა დავიწყე, რომ უფალს ძალა მოეცა ჩემთვისო. ჩაუტარდეს ამ პიროვნებას ნარკოტესტი და მგონი, ყველაფერი ნათელი გახდება.

„პრაიმტაიმი“ ბრალდებების მთავარ ადრესატს, ანესთეზიოლოგ მამუკა აბუაშვილს დაუკავშირდა. ჩვენთან საუბრისას ის კატეგორიულად ითხოვდა, რომ სტატია არ დაბეჭდილიყო, წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლოში სარჩელის შეტანით დაგვემუქრა.

**მამუკა აბუაშვილი, ანესთეზიოლოგი:**

– სისულელეა, რომ ამბობენ, რატომ ჰქონდა მგრძნობელობა პაციენტსო. როდესაც ილვიძებს და ნარკოზიდან გამოდის, თავისთავად იგრძნობდა.

**– პაციენტის ოჯახი ნარკოტიკების მოხმარებაში გადანაშაულებთ... რას უპასუხებთ მათ ბრალდებას?**

– უკვე დავიღალე ამდენი სისულელით. თუ რამეში მდებს ბრალს, შეუძლია, პოლიციას მიმართოს. ძალიან გთხოვთ, გაზეთში არაფერი დაწეროთ.

**– ბატონო მამუკა, მე სწორედ იმიტომ დაგიკავშირდით, რომ ამ სტატიაზე ვმუშაობ და თქვენი პოზიციის დაფიქსირება მსურს...**

– არა, მაგაზე სტატიას თუ დაწერთ, აუცილებლად გიჩივლებთ სასამართლოში.

**– ჩვენ რატომ გვიჩივლებთ, კონკრეტულმა ადამიანმა მოგვმართა პრეტენზიით, მოვუსმინეთ მასაც და დაგიკავშირდით თქვენც...**

– მე წინასწარ გაფრთხილებთ, რომ აუცილებლად გიჩივლებთ, თუ ეს სტატია დაიბეჭდება. ადრეც დაიწერა თქვენთან მსგავსი რაღაც, ყველაფერი გაკეთებულია, გამოკვლევები. მაშინ გავჩუმდი და ხმა აღარ ამოვიღე. ახლა კი ნამდვილად გირჩევთ, არაფერი დაწეროთ. ვისაც რამე პრეტენზია აქვს, გაზეთს კი არ უნდა მიმართოს, მოვიდეს და მე დამელაპარაკოს.

**– ჩვენთან დაკავშირებას ნამდვილად ვერავის ავუკრძალავთ, მით უმეტეს, როდესაც ასეთ სერიოზულ ბრალდებებზეა საუბარი...**

– მეც რომ მოვიდე და მოგმართოთ, დაწერთ?

**– რა თქმა უნდა, დავწერთ. სწორედ ამიტომ დაგიკავშირდით მომართვის გარეშე...**

– გასაგებია, მესმის, რომ ეს თქვენი საქმეა, მაგრამ ყველაფრის დაფიქსირება არ შეიძლება.

როგორც ზევით მოგახსენეთ, ეს არ გახლავთ პირველი შემთხვევა, როდესაც ხსენებული სამედიცინო დაწესებულება ნარკოსკანდალში ეხვევა. „პრაიმტაიმმა“ ამ თემას ჟურნალისტური გამოძიებაც მიუძღვნა. მაშინ ჩვენთან საუბარში საავადმყოფოს ყოფილმა ექთანმა, ლეილა ფანცულაიამ დეტალურად აღწერა, როგორ ქრება პაციენტებისთვის განკუთვნილი ნარკოტიკები. მის ბრალდებებზე რეაგირება იყო ის, რომ 33-წლიანი სტაჟის მქონე ექთანი თავად გაათავისუფლეს საავადმყოფოდან, ნარკოსკანდალში გახვეული ექიმები კი კვლავ განაგრძობდნენ საქმიანობას. რაც შეეხება უშუალოდ მამუკა აბუაშვილს, აი, რას ყვებოდა **ლეილა ფანცულაიას** მასთან დაკავშირებით:

„2009 წლის 27 ოქტომბერს დავბრუნდი კუთვნილი შვებულებიდან. 28 ოქტომბერს კი გეგმიურ ოპერაციაზე უნდა შევსულიყავი, მაგრამ განყოფილების გამგემ იქიდან გამომაგდო. ეს იმის გამო მოხდა, რომ ერთი თვით ადრე, ანუ შვებულებაში გასვლამდე, სამსახურში ცუდ ფაქტს შევესწარი. ექიმმა ანესთეზიოლოგმა მამუკა აბუაშვილმა ოპერაციაზე მძიმე ავადმყოფი მიატოვა, საოპერაციოდან ნარკოტიკები აიღო და მეექვსე სართულზე თავის გასახდელში ამოვიდა, სადაც ადრე სააბაზანო იყო. თურმე მასთან ერთად იმყოფებოდა ექთანი მათიაშვილიც, რომელმაც ასევე მიატოვა საოპერაციო. გვერდით ოთახში სამი თანამშრომელი ვიყავით. ჩვენ არ ვიცოდით, რა ხდებოდა სააბაზანოში და ვერც გავიგებდით, განყოფილების კარზე ბრახუნი რომ არ ატეხილიყო. შემოვარდნენ ანესთეზიოლოგი და რეანიმატოლოგი ექიმი კაკუბავა, აგრეთვე, ექიმი გვანცა ჯაფარიძე და აყვირდნენ, აბუაშვილი სად არისო. აბუაშვილი, წესით, საოპერაციოში უნდა ყოფილიყო, მძიმე ოპერაცია ჰქონდა. ვუთხარით, რომ ოპერაციაზე იქნებოდა. ამ დროს სააბაზანოდან ექთნის ყვირილი გავიგონეთ, რომელიც იძახდა, აქა ვართო, შევედით სააბაზანოში და იქ ჩაკეცილი, გალურჯებული და ნარკოკომაში მყოფი ექიმი აბუაშვილი ვნახეთ, სასწრაფოდ ინტენსიურ პალატაში გადავიყვანეთ, ვენა ძლივს მოვუძებნეთ, ჟანგბადი ვასუნთქეთ და კომიდან გამოვიყვანეთ. მას, ზედმეტი დოზის გამო, სუნთქვის ცენტრი ჰქონდა გათიშული“.

ისევე, როგორც მაშინ, ექიმი ანესთეზიოლოგი მამუკა აბუაშვილი მის წინააღმდეგ გაჟღერებულ ბრალდებებს დღესაც სისულელეს უწოდებს, თუმცა ამას, ალბათ, უფრო შესაბამისი ორგანოები გაარკვევენ. როგორც უკვე გითხარით, გოგატიშვილების ოჯახმა ჯანდაცვის სამინისტროს საჩივრით უკვე მიმართა.



## ლეილა ფანცულაია: „ჩაკეცილი, გალურჯებული და ნარკოკომაში მყოფი ექიმი სასწრაფოდ ინტენსიურ პალატაში გადავიყვანეთ“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# იპოთეკარები დაბალპროცენტიანი სესხის

**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**იპოთეკართა მიმართ მოვალეთა დავალიანებამ 250 მილიონ ლარს მიაღწია. დაახლოებით 74 ათასი ოჯახი კერძო საკუთრების დაკარგვის პირას უკვე დგას. ისინი ხელისუფლებას დაპირებულ დახმარებას უკვე ერთი წელია, სთხოვენ. თხოვნა დიდი ხანია, მოთხოვნასა და პროტესტში გადაიზარდა, მაგრამ შედეგი მაინც არ შეცვლილა.**

„ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი დაპირება სწორედ იპოთეკარების პრობლემების მოგვარება იყო. იპოთეკით დაზარალებულთა რიცხვი ძალიან ბევრია, შესაბამისად, „ოცნებამ“ ამ დაპირებით თავის დროზე ბევრი ხმა მიიღო. ახლა ეს ადამიანები საკუთარ არჩევანს უკვე ხმამაღლა ნანობენ და რაც მთავარია, კანონის შეცვლას უშუალოდ დამპირებლებისგან ითხოვენ. ასეთია გუბაზ სანიკიძე, გედევან ფოფხაძე, ზვიად ძიძიგური, ეკა ბესელია და კიდევ ბევრი. მათგან უმეტესობა საკუთარ ამომრჩევლებს აღარც ხვდება. მეტიც, იმისთვის, რომ შეხვედრა თავიდან აიცილონ, პარლამენტის ცენტრალურ შესასვლელსაც აღარ იყენებენ. ასე გუბაზ სანიკიძე მოიქცა, როდესაც იპოთეკით დაზარალებულმა მოქალაქეებმა საკანონმდებლო ორგანოსთან კარვები გაჭიმეს და პრობლემის მოგვარებამდე იქ ყოფნით დაიმუქრნენ... ყველა მათგანს ერთი მოთხოვნა აქვს – იპოთეკური სესხების გადავადება და დაბალპროცენტიანი კრედიტების გაცემა.

საკითხზე მუშაობა პარლამენტმა, პრინციპში, დაიწყო კიდეც. „აღსრულების შესახებ“ კანონზე პარლამენტი ოქტომბერში მუშაობდა. მისი მთავარი დადებითი მხარე 6 თვით გამოსახლებების შეჩერება იყო. პარლამენტმა საკითხი პირველი მოსმენით მიიღო კიდეც, თუმცა მთავრობის უარყოფითი დასკვნის შემდეგ კანონპროექტის განხილვა შეჩერდა და დაიწყო დეპუტატებსა და მთავრობას შორის კონსულტაციები. საკითხის განხილვის თარიღად კი დეკემბერი სახელდება.

საკითხის ირგვლივ ძალიან ბევრი განსხვავებული მოსაზრება იყო. იყო მორატორიუმის გამოცხადების იდეაც, თუმცა ექსპერტებმაც და საბანკო სისტემის წარმომადგენლებმაც მოსაზრება გააპროტესტეს. ექსპერტების განცხადებით, მორატორიუმის გამოცხადება გაუმართლებელია და მსგავსი პრეცედენტი მთავრობამ არ უნდა დაუშვას. ეკონომიკური ექსპერტის, ემზარ ჯგერენაიას განცხადებით, საბანკო სექტორი ვერ გაჩერდება და ეს პროცესი ცუდ ფინანსურ შედეგს მოიტანს.

რაც შეეხება საბანკო პროტესტს, ისინი ნებისმიერ ცვლილებას ხელისუფლების მხრიდან საბანკო საქმიანობაში ჩარევად აფასებენ და აცხადებენ, რომ ყველა საკითხი ინდივიდუალურ მიდგომას საჭიროებს.

**ზურაბ გვასალია, ბანკების ასოციაციის პრეზიდენტი:**

– მინდა ყველამ იცოდეს, რომ ნებისმიერ იპოთეკურ სესხს გავლილი აქვს რესტრუქტურიზაცია და ყველა შეღავათი, რაც არსებობს, და საქმე აღსრულების ბიუროს მხოლოდ ამის შემდეგ გადაეცემა. მიუხედავად ამისა, კომერციული ბანკები იპოთეკით დატვირთული ბინებიდან მოქალაქეების გამოსახლებისგან თავს მაშინაც კი იკავებენ, როდესაც საქმეზე სასამართლო გადაწყვეტილება მიღებულია. თუმცა, თუ ბანკს გაცემული სესხიდან გარანტია არ აქვს, რომ თანხას ამოიღებს, ცხადია, იპოთეკით დატვირთულ ქონებას წაიღებს.

ფინანსისტები და საბანკო სექტორის წარმომადგენლები მიიჩნევენ, რომ თუნდაც გარკვეული პერიოდის მიცემის შემთხვევაში დაზარალებულები მაინც გადახდისუუნაროები იქნებიან და, შესაბამისად, პრობლემაც იგივე იქნება, უბრალოდ დროში გაიწელება...

ახლა ყველაფერი პარლამენტზეა დამოკიდებული. არასაპარლამენტო ოპოზიციამ ბევრჯერ სცადა ამ თემით ხელისუფლების კრიტიკაც, კონკრეტული იდეებიც შესთავაზეს, თუმცა გამოხმაურება არც ერთ შემთხვევაში არ მომხდარა. ოპოზიციამ კერძო მევახშეების თაღლითური სქემებიც კი დადო,



## „მურმან დუმბაძემ რომ გვნახა, წვიმასა და უზედურებაში ვიდექით, აქამდე მოვიდა მანქანით, მოგვიახლოვდა თუ არა, მოატრიალა და უკან გაბრუნდა. ჩვენ გავეკიდეთ, ის კიდევ გაიქცა“



რომლებიც სწორედ იპოთეკის მეშვეობით იგდებდნენ ხელში კერძო ქონებას, თანაც ძალიან დაბალ თანხებში, თუმცა არც ამ მიმართულებით მოხდა საქმის გამოძიება... დაზარალებულების რიცხვი კი კატასტროფულად იზრდება და ისინი უკვე პირადად ბიძინა ივანიშვილისგან ელოდებიან პასუხს. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილმა პრემიერმა პოლიტიკა დატოვა, მოსახლეობას მოლოდინი მაინც აქვს. აცხადებენ, რომ ივანიშვილს საკუთარი ბანკი აქვს და სწორედ ამ ბანკმა უნდა გასცეს დაბალპროცენტიანი სესხები...

**რუსიკო ღვალაძე, იპოთეკით დაზარალებული:**

– ამჟერად ჩემი ბინა სხვაზეა გადაფორმებული, ერთ-ერთი იპოთეკარის ცოლზე. მათ შეიტანეს პოლიციაში განაცხადი გამოსახლებაზე. თუმცა მოხდა სასწაული, გამიმართლა და დროებით შეჩერდა გამოსახლება. ჩემთან, ჩემ გარდა, ორი სოხუმელი ნათესავი ცხოვრობს. ახლა დროებით ვართ ჩემს სახლში, რამდენ ხანს გაგვაჩერებენ, არ ვიცი. ველოდები, რომ პოლიციაში გამოსახლებაზე ისევ შეიტანენ განაცხადს. ჩემი ბინის ისტორიის დასაწყისიც ძალიან უცნაურია. 2009 წელს კერძო ბანკიდან ავიღე 5 ათასი დოლარი. ყოველთვიურად 200 დოლარი შემქონდა ბანკში. ამ თანხით ვფარავდი მხოლოდ ძირ თანხას და არა პროცენტს. დაახლოებით ერთი წლის განმავლობაში სამი ათას დოლარამდე უკვე გადახდილი მქონდა, როდესაც მომდევნო თვის გადასახადი ოთხი დღით დავაგვიანე. როცა მივედი, ბანკმა გამომიცხადა, „გაშავებული“ ხარო, ადგილზე დამახვედრა ვიღაც ქალბატონი და მითხრეს, ეს არის კერძო იპოთეკარი, თუ არ გინდა, რომ ბინა დაიკარგოს, მასთან უნდა გადაიპოთეკარდეო. მე მაშინ ასეთი დეტალები არ ვიცოდი, ამიტომ დავთანხმდი და კერძო იპოთეკართან გადავედი. მას შემდეგ ძალიან ბევრი იპოთეკარი შევიცვალე. ერთი მეორეს გადასცემდა, რადგან თანხას ვერ ვიხდიდი და საბოლოოდ 5 ათასი დოლარი 55 ათას დოლარამდე ავიდა. სულ ახლახან აღმოვაჩინე, რომ არის არასამთავრობოები, რომლებიც ამ თემებზე მუშაობენ, ასევე გვქონდა საუბარი კახა კუკავასთან. ჩემსავით დაზარალებული ძალიან ბევრია. მე ერთი იპოთეკარიდან მეორეზე გადამცემდნენ და საშუამავლოს იღებდნენ უამრავ თანხას. მაგალითად, ბოლო შემთხვევა მხოლოდ იმიტომ მოხდა, რომ ერთმა იპოთეკარმა მეორესთან გადანაცვლებაში 5 ათასი დოლარი აიღო. მე ეს ხუთი ათასი დოლარი თვალითაც არ მინახავს.

**– ბინის გაყიდვის უფლება გაქვთ?**

– იცით, როგორ არის? ახლა თანხა იმხელაზეა გაზრდილი, რომ გაყიდვას აზრიც არ აქვს. ჩემი ბინა 100 კვადრატია, დაახლოებით 80-85 ათასი უნდა ღირდეს, წესით. თუმცა ამ ფასადაც არ იყიდება და რომც გაიყიდოს, თითქმის მთელი თანხა მათ რჩებათ.

**– საჩივარი შეტანილი გაქვთ?**

– ვის წინააღმდეგ შევიტანო, მითხარით, ის ბანკი საერთოდ არსებობს თუ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# მილიონერ ივანიშვილის ბანკისგან ითხოვენ



არა, ისიც არ ვიცი. საერთო ჯამში, 55 ათასიდან მაქსიმუმ 3-4 ათასი იყოს, რომელიც მე გამოვიყენე. მაქვს საბუთები, სადაც ნათლად ჩანს, რომ ძირითად თანხას იპოთეკარები იღებდნენ. ჩემნაირ დღეში ძალიან ბევრი ადამიანია. ახლა მუხლებში ჩავარდნილი ვეხვეწები, რომ ცოტა დრო მომცენ, დეკემბრის ბოლომდე...

**– რისი იმედი გაქვთ?**

– ვიცი, რომ დეკემბერში პარლამენტი აპირებს საკითხის გატანას და განხილვას. ამის იმედი მაქვს, არ უნდა მქონეს? სხვა ვარიანტი არ მაქვს დარჩენილი არანაირი...

**ლელა ხურციძე, დაზარალებული:**

– გაიარეს არჩევნები, შეგვპირდნენ ყველაფერს და მორჩა, მერე დანაპირები აღარ ახსოვთ. ჩვენი სახლის ფასი ჯიპებით დადიან ეს პარლამენტარები. ჩვენით დასხდნენ იმ სკამებზე და დღეს ჩვენ არავინ გვაქცევს ყურადღებას, დავით უსუფაშვილს ვთხოვეთ და არ შეგვხვდა. მე ქუთაისელი ვარ, ჩვენი დეპუტატი გუბაზ სანიკიძე ქუჩა-ქუჩა დადიოდა და ხალხს გვეხვეწებოდა მხარდაჭერას, დღეს კი ზედაც აღარ გვიყურებს. თურმე ესენი ხალხი არ ყოფილან, მასა გვჭირდება ძალიან დიდიო, გვეუბნებოდა. დღეს ეს მასა აღარაა საჭირო?! უსუფაშვილი მზეთუნახავია, რომ არანაირად არ გამოდის და არ გვენახვება?!

**– გეუბნებოდნენ, რომ ეს პრობლემა მოგვარდებოდა?**

## ლელა ხურციძე: „გუბაზ სანიკიძე ქუჩა-ქუჩა დადიოდა და ხალხს გვეხვეწებოდა მხარდაჭერას, დღეს კი ზედაც აღარ გვიყურებს... მასა გვჭირდება ძალიან დიდიო, გვეუბნებოდა. დღეს ეს მასა აღარაა საჭირო?! უსუფაშვილი მზეთუნახავია, რომ არანაირად არ გამოდის და არ გვენახვება?!“




– წინასაარჩევნოდ, ჩემო კარგო, არავის მიუცია ხმა არც უსუფაშვილისთვის, არც ქუცნაშვილისთვის და არც არავისთვის. ჩვენ მივეცით ხმა ბიძინა ივანიშვილს... რატომ? სწორედ ივანიშვილმა მოგვცა პირობა, ხალხო, სააკაშვილმა და მისმა ბანკებმა დაგაქციათ და ჩვენ რომ მოვალთ, დაბალპროცენტიან, გრძელვადიან სესხებს მოგცემთო. მამაჩემს არ უჩუქებია ჩემთვის არაფერი და ივანიშვილს რა მოვთხოვო. დაბალპროცენტიანი გრძელვადიანი სესხი მომცეს, რომ ვიმუშაო, ან დამასაქმოს... ან სამსახური მოგვცეს, რომ ბანკს წარვუდგინოთ, ან პენსიაში გაგვიშვას, რომ ის 160 ლარი იქნება თუ 150, იქ მივიტანოთ.

**– კონკრეტულად რამდენი გაქვთ გადასახდელი ამჟამად?**

– 22 ათასი მქონდა გატანილი, 38 კი მაქვს შეტანილი. ახლა 5 ათასი დოლარის გულისთვის მასახლებენ. იმაზე მეტი მაქვს შეტანილი, რაც გამოვიტანე. იმასაც შევიტანდი, მაგრამ მეუღლე გამიხდა ავად და მისი ქიმიოთერაპია არავინ დამიფინანსა.

**– გუბაზ სანიკიძესთან სცადეთ შეხვედრა?**

– ვინ გხვდება, შვილო, ან საიდან შემოდის, ან კარებში საიდან გადის? აქ ვდგავართ რამდენი ხანია, საიდან ეტევა ეს კაცი და საიდან ძვრება, ვერ გავიგეთ. ჩვენ რომ გვნახულობენ, მანქანებს აბრუნებენ და იქით შედიან მეორე მხარეს. აგერ ბათუმელმა მურმან დუმბაძემ რომ გვნახა, წვიმასა და უბედურებაში ვიდექით, აქამდე მოვიდა მანქანით, მოგვიახლოვდა თუ არა, მოატრიალა და უკან გაბრუნდა. ჩვენ გავეკიდეთ, ის კიდევ გაიქცა. სამკვდრო სასიცოცხლო პრობლემა გვაქვს. თუ არ დადგა სამართლიანობა, ძალიან ცუდად წავა ყველაფერი.

**სვეტლანა ახალაია, დაზარალებული:**

– ჩვენ ყველას გვქონდა სამსახურები, მე ქონება წამართვა ნაციონალების ძმამ და მეგობარმა მიშა ჩოგოვაძემ, 500-ათასიანი ქონება წამართვა, მეორე კი ახლა მეკარგება. 24 დღე ვიშიმშილე და არავის არაფერს არ ვაპატიებ. კარგად მიცნობს მთელი საქართველო. 66 წლის ვარ! მე, ამ ხალხმა და მთელმა საქართველომ ივანიშვილს მივეცით ხმა, მე არ ვამცირებ სხვას, მაგრამ ის წავიდა პოლიტიკიდან და ვისთან დაგვტოვა? ჰოდა, მას გაჰყვება მისი გუნდიც! მე ვთხოვ ბიძინა ივანიშვილს, ხალხის ხმა მოისმინოს და არა ბანკირებისა და მაფიოზების!

**ლონდა ფრანგიშვილი, დაზარალებული:**

– კერძო იპოთეკარები თავისი ე.წ. ბიზნესსაქმიანობით მოსახლეობის 80%-ზე მეტს ასახლებენ საკუთარი სახლებიდან. შეიძლება ბიზნესმენი ეწოდოს ისეთ ადამიანს, რომლის საქმიანობაც ქვეყანას ასეთ მდგომარეობამდე მიიყვანს? აქვე გეტყვით, რომ ხელმოწერით არ არის დაფიქსირებული, რომ ისინი 10%-ს საშუამავლოსაც იღებენ. წინასწარ პროცენტის აღება ნიშნავს იმას, რომ 5 ათასიდან 2 ათასი მიაქვს მას. მოვითხოვთ, პირველ რიგში, გამოცხადდეს მორატორიუმი, დაეხმარონ ამ ადამიანებს, შეაძლებინონ, ჩამოყალიბდეს კომისია და რეალურად რაც აიღეს თანხა, ის დააბრუნებინონ. არიან ადამიანები, რომელთაც 2-3 ათასში 25 ათასის გადახდას სთხოვენ. 6 ათასი უკვე გადახდილი აქვთ, ამას კი საზღვარი არ აქვს. ჩამოყალიბდეს კომისია და ამ ხალხს დაეხმაროს. ჩვენ მოვიყვანეთ ეს ხალხი, მაგრამ დღეს ჩვენ უბრალოები ვართ, ისინიც თავის დროზე უბრალოები იყვნენ. ვთხოვთ, საკუთარი დედის, ოჯახის, შვილის თვალებით შეხედონ ამ ყველაფერს და იგრძნონ ის, რაც დღეს ნამდვილად საჭიროა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „არანაირი აზრთა სხვადასხვაობა არ გამოუწვევია



my View

ხათუნა მგალობლიშვილი

„ქართული ოცნების“ ორი ახალი კანდიდატურა, რომელსაც საზოგადოებაშიც და ოპოზიციურ წრეებშიც სერიოზული წინააღმდეგობა შეხვდა. ალეკო ელისაშვილის ბედი უკვე გადაწყვეტილია. ის ახალმა პრეზიდენტმა ახალ თანამდებობაზე დანიშნა და დღეიდან ელენე თევდორაძის ჩამნაცვლებლად მოიხსენიება. თანაც ხაზგასმით. ხაზგასმით იმიტომ, რომ ელენე თევდორაძე ჯერ კიდევ სააკაშვილის პრეზიდენტობის დროს იხვეწებოდა, მზად ვარ კომისიის უბრალო წევრად დავრჩეო... თუმცა ახალ ხელისუფლებას ახალი სახეები, ახალი სისხლი და ახალი თავები დასჭირდა... ჩანაცვლებულ-ჩამნაცვლებელიც დიდი პოლიტიკური გაბუტვებისა და საქმეების გარჩევის შემდეგ შეხვდნენ ერთმანეთს... მოკლედ, გადაბარების პროცესი ერთ უწყებაში შედგა.

რაც შეეხება მეორე უწყებასა და მეორე კანდიდატს, ეს დავით ნარმანიაა. ინფრასტრუქტურის მოქმედი მინისტრი და, სავარაუდოდ, მომავალი მერი. ელისაშვილის შემთხვევაში თუ პოლიტიკური სპექტრი ორ ნაწილად გაიყო, ნარმანიამ საზოგადოებაში გააჩინა კითხვები. თბილისელების ნაწილი ითხოვს, რომ მათი მერი დაბადებითა და გაგებით თბილისელი იყოს.

ხელისუფლებას ორივე მათგანზე საკუთარი მოსაზრება აქვს. პრეზიდენტის კონსულტანტი საზოგადოებასთან და პრესასთან ურთიერთობების საკითხებში ორივე კანდიდატს საუკეთესოდ აფასებს და მიაჩნია, რომ ელისაშვილი ყველაზე – ჰუმანური, ნარმანია კი ნიჭიერი პოლიტიკოსია...

# შალვა რამიშვილი: „თევდორაძე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იყო თავმჯდომარე, თანაც სააკაშვილის ხელში. ეს ძალიან დიდი ტვირთია და მას თანავუგრძნობ“

EXCLUSIVE

**შალვა რამიშვილი, პრეზიდენტის კონსულტანტი მასობრივი კომუნიკაციების, საზოგადოებასა და პრესასთან ურთიერთობის საკითხებში:**

– შეწყალების კომისიის თავმჯდომარისა და წევრების დანიშვნით პრეზიდენტმა ნათლად თქვა, როგორი იქნება ამ კომისიის მუშაობის სტილი. წინა ხელისუფლების დროს ჩვენ ვიცით, რომ არაჯანსაღ პრაქტიკას ჰქონდა ადგილი. ძალიან ბევრი, მათ შორის სულ ახლახან გასამართლებულები, ძებნაში მყოფები სააკაშვილმა ერთი ხელის მოსმით, ყოველგვარი კომისიის გარეშე შეიწყალა. ამის გამო ყოფილი კომისიის წევრებიდან ზოგიერთს ჰქონდა პროტესტი. თუმცა მოხარული ვარ, რომ კომისიაში ძველი წევრებიდან სამი ადამიანი კვლავ დარჩა. შეწყალების პრაქტიკა იქნება ღია, გამჭვირვალე, წესებსა და დებულებას დაქვემდებარებული. სხვათა შორის, ითქვა, რომ ეს დებულება უნდა შეიცვალოს. რაც შეეხება ალეკო ელისაშვილს, მას აქვს კარგი რეპუტაცია, ნაღდი ადამიანის, სწორედ ასეთი თავმჯდომარე სჭირდებოდა კომისიას. მე ძალიან კარგად ვიცნობ მას, ის ჰუმანური ადამიანია და საზოგადოებაში მაღალი ნდობით სარგებლობს. მეტი რა თვისება უნდა ჰქონდეს კომისიის თავმჯდომარეს? არანაირი აზრთა სხვადასხვაობა არ გამოუწვევია ელისაშვილის კანდიდატურას, გარდა აკაკი მინაშვილისა, რომელმაც გააკეთა აბსოლუტურად დაუსაბუთებელი განცხადება. მე პირადად მის განცხადებაზე არანაირი რეაგირება არ მქონია.

**– მიგაჩნიათ, რომ ახალი კომისია პროფესიონალებით არის დაკომპლექტებული?**

– პროფესიონალიზმი ამ შემთხვევაში არ გულისხმობს იმას, რამდენად ერკვევა კომისიის წევრი სისხლის სამართლის კოდექსში, არამედ იმას, რომ, პირველ რიგში, ეს ადამიანები უნდა იყვნენ ჰუმანურები, უნდა შეეძლოთ ტვირთის პატიოსნად ზიდვა და უნდა ერკვეოდნენ ცხოვრებისეულ პერიპეტიებში. აქედან გამომდინარე, კომისიის წევრები ამ მოთხოვნებს სრულად აკმაყოფილებენ.

**– რა მოხდა ელენე თევდორაძესთან დაკავშირებით?**

– სჯობს, ეს თავად თევდორაძეს ჰკითხოთ. თევდორაძე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში იყო თავმჯდომარე, თანაც სააკაშვილის ხელში. ეს ძალიან დიდი ტვირთია და მას თანავუგრძნობ.

**– ფიქრობთ, რომ შეიძლება სწორედ ეს გახდა მიზეზი კომისიიდან მისი გაშვების?**

– ჩვენ გვჭირდებოდა ახალი ხედვა, განახლება, პრეზიდენტის ხედვაც სწორედ ასეთი იყო. ეს ძალიან ბუნებრივი პროცესია...

**– ასევე, ხმაური მოჰყვა თქვენი პოლიტიკური ძალის მიერ დასახელებულ მეორე კანდიდატს (თბილისის მერის პოსტზე), საზოგადოების დიდი ნაწილი ნარმანიას დაუპირისპირდა...**

– არგუმენტი, რომელიც საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა წარმოადგინა, თითქოს თბილისის მერი აუცილებლად უნდა იყოს თბილისელი ან არ უნდა საუბრობდეს აქცენტით, არადამაჯერებლად მეჩვენება. ჩვენ საარჩევნო კამპანიის დროს ძალიან ბევრი ვიმოგზაურეთ, ის არის დახვეწილი პოლიტიკოსი, რომელიც ასეთ თანამდებობაზე ღირსეულად იმუშავებს. აუცილებელი პირობა არ არის თბილისელობა, შეიძლება საზოგადოების ნაწილს თბილისელი მერი უფრო მოსწონდეს, მაგრამ ამას არჩევნები გაარკვევს. ჩემთვის, პირადად, ეს არ არის გადამწყვეტი კრიტერიუმი.

**– საზოგადოების ის ნაწილი, ვინც ნარმანიას კანდიდატურას ეწინააღმდეგება, აცხადებს, რომ მას კარგად არ ეცოდინება თბილისის პრობლემები...**

– თბილისის პრობლემები არ არის განსაკუთრებული და ციდან მოვლენილი პრობლემები. თბილისს აწუხებს ის, რაც აწუხებს საქართველოს სხვა ქალაქებსაც. რა თქმა უნდა, არის თავისი სპეციფიკა, თბილისი არის დედაქალაქი და რა თქმა უნდა, განსაკუთრებული მიხედვა სჭირდება, თუმცა მიმაჩნია, რომ ნიჭიერი ადამ-



„მას კანონი თანამდებობის დატოვებას არ ავალდებულებს. სიმართლე გითხრათ, ჩვენ არანაირი უფლება კანონის მიხედვით არ გაგვაჩნია, რომ მას ეს მოვთხოვოთ“

„საქართველოს არასაპარლამენტო ოპოზიცია ძალიან ეკლექტურია და ძალიან სუსტი, სამწუხაროდ. თვითონ არიან ასეთები, ხელოვნურად ისინი არავის დაუსუსტებია. ნახეთ ძალიან პატიოსანი არჩევნების შედეგები და ნახავთ, რა ნდობა აქვთ მათ მოსახლეობაში – ძალიან დაბალი“



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ელისაშვილის კანდიდატურას“



იანისთვის არაფერი რთული და შეუძლებელი ამაში არ არის.

**– ანუ თქვენ ნარმანიას გამარჯვებაში დარწმუნებული ხართ?**

– მე დარწმუნებული ვარ იმაში, რომ კამპანია იქნება პატიოსანი, დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თავად მერობის კანდიდატი აქტიურად ჩაატარებს წინასაარჩევნო კამპანიას, შეხვდება თბილისელებს, საკუთარ თავს გააცნობს ამ ამპლუაში და დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ნარმანია შეძლებს, მათ დარწმუნებას, მხარი დაუჭირონ.

**– არ თვლით, რომ მან დაკავებული თანამდებობა უნდა დატოვოს კანდიდატად დასახელების გამო?**

– შეგახსენებთ, რომ გიორგი მარგველაშვილმა თავის დროზე დატოვა თანამდებობა, როდესაც საპრეზიდენტო კანდიდატად დასახელდა, თუმცა მას არ ჰქონდა ამის ვალდებულება. ეს თავად ბატონი მინისტრის გადასაწყვეტია, მას კანონი თანამდებობის დატოვებას არ ავალდებულებს. სიმართლე გითხრათ, კანონის მიხედვით, ჩვენ არანაირი უფლება არ გაგვაჩნია, რომ მას ეს მოვთხოვოთ. ის თავის საქმეს კარგად აკეთებს მინისტრის რანგში, არჩევნები მაისშია და დარწმუნებული ვარ, რომ ნარმანია არანაირ პიარხრიკს არ მიმართავს იმისთვის, რომ საკუთარი გამარჯვება უზრუნველყოს. მას ეს არ დასჭირდება.

**– ნაციონალების კანდიდატები უკვე დასახელდა. ცნობილია, რომ ისინი ჩაატარებენ პრაიმერისს საბოლოო კანდიდატის გამოსავლენად...**

– გიგი უგულავა ისტერიული ნატურის მქონე ადამიანია, ის აკეთებდა კომენტარს ნარმანიაზე და ამ კომენტარისას შეურაცხყოფა მიაყენა მას. ამავე ინტერვიუში უგულავამ აუგად მოიხსენია საქართველოს პრეზიდენტი, ანუ ის ვერ გამოვიდა ისტერიიდან და „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტის მედროშეობის პოზიციიდან. გიგი უგულავას არანაირი შანსი არ აქვს. „ნაციონალური მოძრაობა“ არ არის ის პარტია, რომელსაც მინდა, რაიმე რჩევა მივცე, მაგრამ გაკვრით ვეტყვი, რომ კანდიდატად გიორგი ვაშაძე სჯობს. თუმცა არც ისე ძალიან. ჩემი აზრით, ვაშაძე აიღებს იმაზე ნაკლებს, ვიდრე დავით ბაქრაძემ აიღო.

**„ნაციონალური მოძრაობა“ არ არის ის პარტია, რომელსაც მინდა, რაიმე რჩევა მივცე, მაგრამ გაკვრით ვეტყვი, რომ კანდიდატად გიორგი ვაშაძე სჯობს“**

**– თუმცა ნარმანიას მისამართით უკვე ვრცელდება კონკრეტული ბრალდებები, რომელიც ეხება მის ძმას...**

– არ მინდა ნარმანიას კანდიდატურა ასე განვიხილო. მიმაჩნია, რომ ის არის კარგი კანდიდატურა, რომელიც გაიმარჯვებს, რადგან ის ჩაატარებს სუფთა კამპანიას, ისეთივეს, როგორიც ჩაატარა გიორგი მარგველაშვილმა.

**– ასევე, აქტიურობს არასაპარლამენტო ოპოზიცია, დასახელდა ირაკლი ოქრუაშვილიც, ლევან გაჩეჩილაძეც... ფიქრობთ, რომ მათ შანსები აქვთ?**

– ჩამოყალიბდნენ, რა უნდათ, ერთიანდებიან თუ არა... საქართველოს არასაპარლამენტო ოპოზიცია ძალიან ეკლექტურია და ძალიან სუსტი, სამწუხაროდ. თვითონ არიან ასეთები, ხელოვნურად ისინი არავის დაუსუსტებია. ნახეთ ძალიან პატიოსანი არჩევნების შედეგები და ნახავთ, რა ნდობა აქვთ მათ მოსახლეობაში – ძალიან დაბალი.

# ლაშა ბუღაძე: „პრინციპში, უნდა ვთქვა, რომ შეწყალების კომისია პოლიტიზირებული იყო“

ნინო დათაშვილი

**შეწყალების კომისია ახალი სახეებით დაკომპლექტდა. ძველი შემადგენლობიდან ახალში მხოლოდ სამი წევრი გადავიდა. აქედან ორი სავალდებულო იყო: მეუფე და სახალხო დამცველი. დანარჩენ წევრებზე ხელისუფლებამ უარი თქვა, განაცხადა, რომ ახალი სისხლია საჭირო.**

**ლაშა ბუღაძეც ძველი შემადგენლობიდან არის. მან შეწყალების კომისიაში რვა წელზე მეტი იმუშავა და აცხადებს, რომ შეთავაზების შემთხვევაშიც კი უარს იტყოდა იგივე საქმის გაგრძელებაზე. ბუღაძის განცხადებით, ფსიქოლოგიური სიმძიმის და საპასუხისმგებლო ვალდებულებების გარდა ათობით ათასი პატიმრის საქმის დეტალური შესწავლა და მრავალსაათიანი დეტალური განხილვა საკმაოდ მძიმე გადასატანი იყო... თუმცა დარწმუნებულია, რომ ახალი კომისია ბევრად თავისუფალი და არაპოლიტიზირებული იქნება.**

**ლაშა ბუღაძე, მწერალი:**

- სიმპათიით ვარ განწყობილი ცვლილების მიმართ, იქ არიან წარმოდგენილი ადამიანები, რომლებიც უფრო თავისუფლები იქნებიან პარტიული კონიუნქტურისგან. ისინი მხოლოდ საკუთარი სინდისის და საზოგადოების წინაშე იქნებიან პასუხისმგებლები, რადგან ძალიან რთულია ამ საქმეების განხილვა და მუშაობა. თითქმის 8 წელი ვიყავი კომისიის წევრი და მინდა გითხრათ, რომ ურთულესი იყო. გარდა იმისა, რომ უნდა შეაფასო კონკრეტული პატიმრის საქმე, ასევე უნდა იფიქრო იმაზეც თუ რამდენად საშიში შეიძლება ყოფილიყო მისი გარეთ გამოშვება.

**- თქვენზე იყო რაიმე ტიპის ზეწოლა?**

- არანაირი ზეწოლა არც ჩემზე და არც ჩემს კოლეგებზე არ ყოფილა. ვერაფერს ვიტყვი „ნაციონალური მოძრაობის“ წევრებზე. სხვა პარტიებიდან მგონი არც ყოფილან, ან შეიძლება იყვნენ და ხმას არ იღებდნენ არასოდეს, მხოლოდ ბუტაფორიად იყვნენ კომისიაში. ისინი მხოლოდ ხმას აძლევდნენ და მეტს არაფერს აკეთებდნენ. ჩვენ ვიცოდით, რომ რეალურად პატიმრების ბედის განმსაზღვრელი იყო პროკურატურა. ხშირად ხდებოდა, რომ ჩვენ გადავცემდით მაგალითად 100-კაციან სიას და პრეზიდენტი ხელს მხოლოდ ათზე ან რვაზე აწერდა. ჩვენთვის ეს ძალიან გაუგებარი იყო. მუდმივად გვქონდა განცდა, რომ პროკურატურას თავისი ინტერესები ამოძრავებდა, მას ჰქონდა ინტერესი, რომ გამოსულიყო რომელიღაც კონკრეტული პატიმარი და იგივე დანაშაულის ჩამდენი, იგივე კრიტერიუმების მქონე შიგნით რჩებოდა. სწორედ ეს იყო ყველაზე დიდი წნეხი, ოღონდ არა პირდაპირი გაგებით. ასევე კამათი გვქონდა ნარკომანიასთან დაკავშირებით. ვფიქრობ, რომ ნარკომანის ციხეში გაშვებით ნარკომანიასთან ბრძოლა არ ხდება. პრობლემა პრობლემად რჩება. სახელმწიფომ უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, ნარკომანია არის კრიმინალი თუ არის ავადმყოფობა. მე ვფიქრობ, რომ უნდა იყოს ალტერნატიული სასჯელები, ასეთი მსოფლიოში ძალიან ბევრია. მაგალითად, იძულებითი დასაქმება, იძულებით სამკურნალო დაწესებულებებში მოთავსება. შეიძლება ნარკომანი ჩასვა ათი წლით ციხეში, მაგრამ ამით პრობლემას ვერ მოაგვარებ. ერთხელ, ერთმა საკმაოდ ცნობილმა პოლიტიკოსმა თქვა, ციხის კარი უნდა გავხსნათ და გარეთ გამოვუშვათ ყველაო, ასეთი უპასუხისმგებლო განცხადება ჩემთვის მიუღებელია. რა თქმა უნდა, მე მინდა, რომ ყველა ადამიანი თავისუფალი იყოს, მაგრამ, ბუნებრივია, ძალიან რთულია და საპასუხისმგებლო მსგავსი გადაწყვეტილების მიღება. შენ კარგად უნდა განსაღვრო ვინ შეიძლება გამოუშვა და ვინ არა. თითოეულ საქმეს ინდივიდუალური მიდგომა და განხილვა სჭირდება.

**- ელენე თევდორაძეს სურვილი ჰქონდა ახალ კომისიაში დარჩენის, როგორ ფიქრობთ, რატომ არ დატოვებს?**

- ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, რომ ელენე თევდორაძე თუნდაც როგორც წევრი ისე დარჩენილიყო, მას ძალიან დიდი გამოცდილება აქვს და ძალიან ბევრ რამეს აკეთებდა; ის უამრავ ინფორმაციებს აგროვებდა, ხვდებოდა თითოეული პატიმრის მშობლებს, ოჯახის წევრებს. არ ვთვლი, რომ ქალბატონ ელენეზე იმიტომ თქვეს უარი, რომ ის ამდენი წლის განამვლობაში იყო კომისიის ხელმძღვანელი. თუ პოლიტიკოსების მიმართ ასეთი მიდგომა ექნება ახალ ხელისუფლებას, მაშინ ის გაიმეორებს ყოფილი ხელისუფლების შეცდომას. პრინციპში უნდა ვთქვა, რომ შეწყალების კომისია იყო პოლიტიზირებული. იქ ძალიან ბევრი ხალხი იყო „ნაციონალური მოძრაობიდან“, უმეტესწილად ბევრ საქმეზე გვიწევდა ჩვენ ბრძოლა ნაციონალების დემაგოგიასთან. საერთოდ, არაადეკვატური აკვიატება, არაადეკვატური დემაგოგია, არაედაკვატური სიმკაცრე, არაადეკვატური თავდაჯერება, რომელიც ზოგადად ნაციონალებს ახასიათებდა, პრობლემას ქმნიდა კომისიაშიც. ამიტომ შეექმნათ მათ პრობლემები. ისინი არაადეკვატურად ჯიუტდებოდნენ თითქოს და მარტივ საკითხებთან დაკავშირებით... ჩვენ ამას ყოველთვის ვაპროტესტებდით, ვკამათობდით, რა თქმა უნდა. წარმოიდგინეთ ხანდახან ხუთი-რვა საათის განმავლობაში ვკამათობდით ხოლმე, მაგრამ ჩვენ ამ კამათში ვიღლებოდით, ვიფიტებოდით, ისინი კი ისევ ჩართულები იყვნენ, რომ ედემაგოგათ. იქ მყოფებს ხშირად ავიწყდებოდათ, რომ ეს შეწყალების კომისია იყო; იქ, ბუნებრივია, არავინ იყო სუფთა ფურცლის და სუფთა წასრულის მქონე. პრინციპში კომისიის წევრებსაც და კომისიის თავმჯდომარესაც მთავარი ბრძოლა პროკურატურასთან უხდებოდათ. ყველაზე მეტად სწორედ ელენე თევდორაძე ებრძოდა ამხელა მონსტრს. საბოლოოდ ეს მწარე გაკვეთილი აღმოჩნდა ამ კონკრეტული ძალისთვის და თუ ახალი კომისიაც ძველ გზას გააგრძელებს, ისიც აუცილებლად ჩიხამდე მივა.

**- ახალი კომისიის მიმართ როგორი განწყობა გაქვთ?**

- ვიცი, რომ ალეკო სამართლიანი ადამიანია. დარწმუნებული ვარ და მგონია, რომ კარგი თავმჯდომარე იქნება. თუმცა ეს თანამდებობა ძალიან საპასუხიმგებლოა და ადმინისტრაციულ ცოდნას მოითხოვს. ჯაბა ჯანიკაშვილი ჩემი მეგობარია, ვიცი, რომ მას საქმეები ძალიან დაამძიმებს, თუმცა მის ჰუმანურობაში და სამართლიანობაში დარწმუნებული ვარ.

**- თქვენთვის რომ შემოეთავაზებინათ, დარჩებოდით კიდევ კომისიის წევრად?**

- არა, მე ამ 9 წლის განმავლობაშიც სულ ვფიქრობდი, როგორ მეთქვა უარი, რადგან ძალიან მძიმე იყო ფისქოლოგიურადაც და პასუხისმგებლობის მხრივაც, თანაც ჩემთვის დღემდე ამოუცნობი იყო პროკურატურის საკითხი. ვფიქრობ, რომ მას კონკრეტული ინტერესი ამოძრავებდა და სწორედ ამ კონკრეტული ინტერესებიდან გამომდინარე წყვეტდა, ვინ უნდა გათავისუფლებულიყო და ვინ არა.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „არასაპარლამენტო ოპოზიციის ე

# დავით ზურაბიშვილი: „ბრალდებები, რაც მერაბიშვილს აქვს წაყენებული, დარწმუნებული ვარ, ჟურნალია და კინო იქნება... თუ ვანო მერაბიშვილი მართალია, ესე იგი ჩვენ ყველა დასაჭერები ვყოფილვართ“

ქეთი ხატიაშვილი

**სააკაშვილის ხელისუფლების დროს ოპოზიციამ „რვიანის“ ფორმატი შექმნა, რომელიც აქტიურად მუშაობდა იგივე 2010 წლის ადგილობრივი არჩევნების კანონმდებლობაზე. ისინი მოითხოვდნენ მერის არჩევას არა მხოლოდ თბილისში, არამედ სხვა ქალაქებშიც, მაგალითად, ქუთაისსა და ბათუმში. ასევე, ბარიერის აწევას 30-50%-მდე. ახლა, კახა კუკავას განმარტებით, ამ რვიდან 6 ხელისუფლებაში მოვიდა, ორი პარლამენტს გარეთ დარჩა და მაშინდელი პროექტი დაივიწყეს, არც ბარიერის დაწევა უნდათ და არც სხვა ცვლილებების შეტანა. „რესპუბლიკური პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი, დავით ზურაბიშვილი ამბობს, რომ ამჯერად რეალობა შეიცვალა, არასაპარლამენტო პარტიებს კი ამ ახალ რეალობაში საკუთარი ფუნქციის პოვნას ურჩევს...**

**ამ და სხვა საკითხებზე „პრაიმტაიმს“ დავით ზურაბიშვილი ესაუბრა:**

– „რვიანის“ დროს ერთი რეალობა იყო, ახლა სხვა რეალობაა. ყოველთვის, როცა გადაწყვეტილებას ვიღებთ, ვიღებთ კონკრეტული რეალობიდან გამომდინარე. ვნახოთ, რაღაც შეიძლება ლეგიტიმური შენიშვნებია, რაღაც შეიძლება არ იყოს მთლად სამართლიანი, ვნახოთ. საბოლოო ჯამში, გადაწყვეტილებას მაინც უმრავლესობა იღებს. ასე იქნება ახლაც. მით უმეტეს, მაშინ სუბიექტი „ქართული ოცნება“ არ არსებობდა. ახლა, გინდა-არ გინდა, ეს რეალობაც უნდა გაითვალისწინო. ვნახოთ, ჩემი აზრით, უფრო მეტი მსჯელობა საარჩევნო მომენტებზე იქნება, ცალკე ცესკოს დაკომპლექტება, როგორ მოხდეს საკრებულოს წევრების არჩევა, ოლქები იყოს მრავალმანდატიანი თუ ერთმანდატიანი...

**– როდის იგეგმება ადგილობრივი არჩევნები და მოესწრება თუ არა თვითმმართველობის ახალი კანონის მიღება?**

– არჩევნები დაგეგმილია მაისისთვის. თვითმმართველობის კანონის მიღება, სავარაუდოდ, მოესწრება. ყოველ შემთხვევაში უმრავლესობა ამით დაინტერესებულია.

**– რამდენადაც ცნობილია, არჩევნებამდე სამი-ოთხი თვით ადრე უნდა იყოს მიღებული ეს კანონი, პარტიებმა რომ მომზადება მოასწრონ...**

– თუ ახლა მივიღეთ, ესწრება.

**– არასაპარლამენტო ოპოზიცია ამ საკითხის მიმართ ძალიან მგრძნობიარე გახდა, ისინი ეჭვობენ, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ და „ქართულმა ოცნებამ“ შესაძლოა, ჩაკეტონ პოლიტიკური სივრცე...**

– ეს იყო ის რეალობა, რომელშიც ჩვენ ვიყავით არჩევნების წინ. შეუძლებელი იყო სხვანაირად „ნაცმოძრაობის“ მმართველობის შეცვლა და მასთან დაპირისპირება. ყოველთვის, როცა ოპოზიციას დიდი რეიტინგი ჰქონდა, ეს ყოველთვის დიდი გაერთიანება იყო, სადაც მესამე ძალისთვის ადგილი არ რჩებოდა. ბუნებრივია, ასეთი ტიპის რეჟიმს სხვანაირად ვერ დაუპირისპირდები. პირველი ოქტომბრის არჩევნები პოლიტიკური არმაგედონივით იყო. შავი და თეთრი ერთმანეთს შეეჯახა. გაიმარჯვა ერთმა მხარემ. ამ სიტუაციაში არასაპარლამენტო ოპოზიციის ერთმა ნაწილმა შეცდომა დაუშვა. ისინი ცდილობდნენ, დაეჭირათ მესამე ნიშა, რომელიც არ არსებობდა. და იმიტომ რომ ეს ნიშა არ არსებობდა, გამოსდიოდათ ერთ-ერთი მხარის პოზიციებზე დგომა. ამ რეალობაში მათი ამოცანაა საკუთარი ადგილის პოვნა.

მეორე მხრივ, სერიოზული პრობლემაა, რომ არასაპარლამენტო პარტიებმა ვერ გააცნობიერეს, რომ თვითონ ეს კოალიციაა ძალიან ჭრელი. „ქართული ოცნება“ სრულიად განსხვავებული პარტიების ერთობლიობაა. გინდა კონსერვატორი? აქაა კოალიცია „ქართული ოცნება“. არ გინდა კონსერვატორი და გინდა ლიბერალი? შეგიძლია „ქართული ოცნების“ კოალიციაში მოძებნო. არ გინდა ლიბერალი და სხვა მოგწონს? იმასაც კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ იპოვი.

„ნაციონალური მოძრაობა“ ძალიან ცენტრალიზებული და იერარქიული იყო. აქ ექვსი სუბიექტია, სადაც ყველას ერთი უფლება აქვს. შეუძლებელია „ქართულ ოცნებას“ იდეოლოგიურად დაუპირისპირდე და ოპოზიციაში ჩაუდგე. მით უმეტეს, ეს ერთობა არის იმისთვის, რომ რაღაცნაირად შექმნას ქართული დემოკრატიული სახელმწიფოებრიობის ფუნდამენტი. აქ იდეოლოგიური განსხვავებები უკანა პლანზეა. ვთქვათ, მასმედია და სასამართლო რომ თავისუფალი უნდა იყოს, ამას ყველა ერთნაირად აღიარებს, მაგრამ „ნაცმოძრაობის დროს ესეც არ იყო. ამიტომ იყო დაპირისპირება.

**– ნინო ბურჯანაძემ, შეიძლება ითქვას, იპოვა ასეთი ნიშა, სამართლიანობის აღდგენის სახით...**

– ის შეეცადა, რადიკალურად განწყობილების კონცენტრირება მოეხდინა, მაგრამ მან არჩევნებში სერიოზული მარცხი განიცადა. „ქართულმა ოცნებამ“ შეინარჩუნა დიდი უპირატესობა და „ნაცმოძრაობამაც“ შეინარჩუნა უპირატესობა. ისეთი ტიპის ძალასთან, როგორიც კოალიციაა, მხოლოდ ისეთი ტიპის ოპოზიცია შეიძლება არსებობდეს, როგორიც „ნაციონალური მოძრაობაა“, რომელიც ამბობს, მარტო მე უნდა ვიყო ამ ქვეყანაშიო. „ნაციონალური მოძრაობის“ გზავნილი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც და მერეც იყო ის, რომ ჩვენ ვართ ერთადერთი ცივილიზებული, პროგრესული, პროდასავლური ძალა და ვინც ჩვენთან არ არის, არის ბნელი, რეტროკრატი და რუსეთის აგენტი. ანუ ის ყველას უარყოფს, გარდა საკუთარი თავისა. თუმცა ასეთ განწყობებს მომავალი არ აქვს. ასეთი დამოკიდებულება მათ კრახამდე მიიყვანს.

რაც შეეხება კოალიციას, წინააღმდეგობები იქნება კონკრეტულ საკითხებზე. გარკვეულ კონკრეტულ საკითხებზე შეიძლება კოალიციაში არ იყოს თანხმობები. განსაკუთრებით თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ველოდები ასეთ პროცესებს.

ასეთ სიტუაციაში არასაპარლამენტო პარტიებმაც უნდა იპოვონ რაღაც ნიშა. მაგალითად, ბურჯანაძეს ჰქონდა ასეთი მიდგომა, რომ კოალიციაში დაეკავებინა ვიღაცის ადგილი. ბიძინა ივანიშვილს ის არ უარყოფდა, ამბობდა, რომ მას მხარს უჭერს, მაგრამ, მაგალითად, რესპუბლიკელები ცუდი ხალხია. თავად ბურჯანაძე მაინცდამაინც რესპუბლიკელებზე არ ლაპარაკობდა ცუდად, მაგრამ მისი გარემოცვა და ის პარტიები, ვინც მას უჭერდნენ მხარს, ამბობდნენ, რომ ეს რესპუბლიკელები აფუჭებენ საქმეს. ისინი ცდილობდნენ, გაეთამაშებინათ კეთილი მეფისა და ბოროტი ვეზირების სქემა. ჩვენ გამოვყავდით ბოროტ ვეზირად, მაგრამ ეს არ მუშაობს.

**– თქვენ ახლა მინიშნება გააკეთეთ, რომ ადგილობრივი არჩევნების შემდეგ უმრავლესობა რაღაც საკითხებზე არ იქნება მყარი გაერთიანება...**

– არ ვფიქრობ, რომ არ იქნება მყარი. არ ვიცი, ნაციონალები კვლავ ტოტალური უარყოფის პოზიციიდან აგრძელებენ საუბარს. მათ კიდევ სხვა პრობლემა აქვთ, ეს არის მათი რეჟიმის დანაშაულების ტვირთი, რომლის აღიარება არ უნდათ და ამბობენ, ბიჭები ხართ გაგვასამართლეთ, მაგრამ არაფერი გაგვიკეთებიაო.

**– ალბათ, პროკურატურამ მისცათ ამის თქმის მიზეზი...**

– ეს ცალკე თემაა, ამ მიმართულებით პრობლემები იყო. არ ვიცი... მე ვიცი რაღაცები, რასაც ბევრი გამოძიება არ სჭირდება...

**– მაგალითად?**

– მაგალითად, კობა დავითაშვილის საქმე, მურმან დუმბაძის საქმე...

**– კი მაგრამ, ოპოზიციაში ყოფნისას ის პარტიები, ვინც ახლა ხელისუფლებაში არიან, გირგვლიანის თემაზე საუბრობდნენ, ჟვანიას მკვლელობაზე, რობაქიძეზე...**

– მე ვახსენე ისეთი საქმეები, სადაც ბევრი რამ არ არის გასაკეთებელი და მარტივად საბუთდება. ჟვანიას საქმეში უფრო მეტი სამუშაოა. ალბათ, ესეც აუცილებლად იქნება გამოძიებული. დავუბრუნდები წინა საკითხებს.

კოალიციაში განსხვავებული მოსაზრებები რაღაც საკითხებზე არ ნიშნავს, რომ კოალიცია დაინგრევა. კონკრეტულ საკითხებზე განსხვავებული მოსაზრებები იყო და იქნება. ჩვენ გარდამავალ ეპოქაში ვართ, როდესაც ავტორიტარული რეჟიმიდან დემოკრატიულ სახელმწიფოებრიობაზე უნდა გადავეწყოთ. ეს ძალიან რთული პროცესია. პირველი ექსპერიმენტი იყო, როდესაც საბჭოთა კავშირიდან დამოუკიდებელ სახელმწიფოზე გადაწყობა მიდიოდა. იმ პერიოდში ბევრი რამ დავკარგეთ, რადგან რაღაცები არ გავითვალისწინეთ... ახლაც ძალიან რთულ პერიოდში ვართ. „ნაციონალური მოძრაობა“ ხშირად გვამადლის, ჩვენ სახელმწიფო ავაშენეთ და მადლობასაც არ გვიხდითო. მე ასე არ მგონია. არ მგონია, რომ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ გააკეთა ის, რასაც სხვა ვერ შეძლებდა. მათ რაღაც მიმართულებით ინსტიტუტების განმტკიცება მოახერხეს, მაგრამ ისეთი ფუნდამენტური ცვლილებები, როგორიც მოხდა 90-იანი წლების შუახანებში, როდესაც შინაგან საქმეთა, უშიშროებისა და თავდაცვის მინისტრებად რუსი გენერლები გვყავდა... და ეს შეიცვალა... ახლა ასეთი მასშტაბის ცვლილებები არ მომხდარა. იგივე ბაქო-ჯეიჰანი, ფუნდამენტური საკანონმდებლო აქტები, რომელმაც მთელი



**„ნაციონალური მოძრაობის“ გზავნილი ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც და მერეც იყო ის, რომ ჩვენ ვართ ერთადერთი ცივილიზებული, პროგრესული, პროდასავლური ძალა და ვინც ჩვენთან არ არის, არის ბნელი, რეტროკრატი და რუსეთის აგენტი“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რომ ნაწილმა შეცდომა დაუშვა“




სახელმწიფო სამსახურები ააწყო... ეს მაშინ გაკეთდა. შემდეგ, „ნამოძრაობის“ დროს, ამის გაუმჯობესება მოხდა, თორემ მას ინსტიტუციური ბაზა დახვდა. სააკაშვილის დროს ძალიან ეფექტურად აეწყო ავტორიტარული მოდელი. ახლა ამ მოდელიდან დემოკრატიულ წყობაზე უნდა გადავიდეთ. ეს არ არის მარტივი. აგრეთვე, აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება.

**– რაც შეეხება ნარმანიას, მერობის კანდიდატად მისმა დასახელებამ დიდი ხმაური გამოიწვია. როდესაც ვსაუბრობთ, რომ დემოკრატიულ მმართველობაზე გადავდივართ, ერთი შედარება გავაკეთოთ: „ნაცმოძრაობაში“ გადაწყვეტილებას იღებდა ხუთი-ექვსი ადამიანი. ამ შემთხვევაში, უკვე მესამედ, ერთმა კაცმა იცოდა და მერე უთხრა დანარჩენებს...**

– ეს ასე არ არის. მას ჰქონდა თავისი მოსაზრება და ეს პოლიტსაბჭომ გაიზიარა. შეიძლება არც გაეზიარებინა.

**– ფაქტი, რომ არ გაიზიარა, არ არსებობს, არ არსებობს ალტერნატიული ფიგურა, რომელთა შორისაც არჩევა მოხდებოდა...**

– ჩემი აზრით, კარგი შერჩეულია.

**– ოპოზიციაში რომ იყოთ, ამასვე იტყოდით?**

– კი. გააჩნია, ვის შეარჩევს. ამ შემთხვევაში, თბილისის მერის კანდიდატურა მაშინ რომ დაესახელებინა, როდესაც სიტუაცია წინასაარჩევნოდ მომწიფდებოდა, ამას შეიძლება შიდაკოალიციურ ურთიერთობებში დაძაბულობა მოჰყოლოდა. როდესაც შეთანხმება ბოლო მომენტში ხდება, არ არის გამორიცხული, შეთანხმება ჩაიშალოს და დარჩე გაღიმებული.

**– რა შეიძლებოდა მომხდარიყო? კოალიციას რომელიმე სუბიექტი დააშანტაჟებდა?**

– დაშანტაჟებაზე არ არის საუბარი. არ უნდა გარისკო.

**– რა რისკზეა საუბარი? შეიძლებოდა რომელიმე სუბიექტს კოალიცია დაეტოვებინა?**

– თუ არ მიიღწეოდა შეთანხმება თბილისის მერის კანდიდატურაზე, არჩევნებზე ერთიანი გასვლა გართულდებოდა. მერის კანდიდატურა ისეთი მომენტია, რაზეც კოალიციაში თანხმობა უნდა იყოს. ამიტომ რაც ადრე მოხდებოდა სიტუაციის „გაიასნება“, უკეთესი იქნებოდა კოალიციისთვის. ამიტომ შეირჩა ფიგურა, რომელიც კოალიციის ყველა სუბიექტისთვის მისაღებია.

**– ანუ ნეიტრალიტეტის გამო შეირჩა?**

– გარკვეულწილად ნეიტრალიტეტის გამო, გარკვეულწილად პროფესიონალიზმის, რადგან ამ ადამიანმა საქმე იცის, სამინისტროს, რომელსაც ხელმძღვანელობს, კარგად ხელმძღვანელობს, ახლოს არის იმ საქმიანობასთან, რაც მერის საქმეა, თვითმმართველობაში ნამუშევარია და პროფესიონალია. ლაპარაკი იმაზე, რომ ის თბილისელი არ არის, სისულელეა. თბილისი არის მეგაპოლისი, სადაც საქართველოს მოსახლეობის ნახევარი ცხოვრობს. ყველაზე დიდი გლდანის საარჩევნო ოლქია და ის ქუთაისზე დიდია.

**– მეგაპოლისი ძალიან განსხვავებული განცდაა და როგორ ფიქრობთ, თბილისელებში არის ეს განცდა?**

– თბილისელებში მეგაპოლისის განცდა არსებობს იმდენად, რამდენადაც ეს არის პრაქტიკულად რამდენიმე ქალაქი ერთად. გლდანში რა ხდება – ერთი ამბავია, ვარკეთილში რა ხდება – მეორე, ვაკეში – მესამე და ავლაბარი კიდევ სხვა არის. ძალიან განსხვავებულია. ნებისმიერი ადამიანი თბილისელია, ვინც თბილისში ცხოვრობს და საქმიანობს. მეგაპოლისებში მერი ყველგან ასეა არჩეული. ნიუ-იორკის მერი, მაგალითად, არ არის ნიუ-იორკიდან, ის ბოსტონიდანაა.

> „თბილისის მერის კანდიდატურა მაშინ რომ დაესახელებინა, როდესაც სიტუაცია წინასაარჩევნოდ მომწიფდებოდა, ამას შეიძლება შიდაკოალიციურ ურთიერთობებში დაძაბულობა მოჰყოლოდა“

**– თქვენი კონკურენტი ადგილობრივ არჩევნებში ვინ იქნება? ნაციონალები ამბობდნენ, რომ მათი კონკურენტი იყო არა პიროვნება, არამედ პრობლემები. მაგალითად, უმუშევრობა ან სოციალური ფონი... შეგიძლიათ თქვათ, რომ „ნაცმოძრაობაში“ კონკურენტს ხედავთ?**

– არა მგონია. ვფიქრობ, კოალიცია იქნება ის ძალა, რომელიც თვითმმართველობის არჩევნებში იმ რეიტინგს შეინარჩუნებს, რაც დღეს აქვს. დავით ნარმანიას ექნება დიდი უპირატესობა და ბრძოლა კვლავ მეორე ადგილისთვის გაიმართება.

**– ვარაუდობთ, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია „ნაცმოძრაობას“ კონკურენციას გაუწევს?**

– არა მგონია. ვფიქრობ, ურთიერთობის დაახლოებით ის რეჟიმი შენარჩუნდება, რაც დღეს არის. ძალიან პატარა დროა და ოთხხუთ თვეში ახალ რეალობაზე გადაწყობა ვერ ესწრება. თუმცა მერე უფრო დაიწყება ეს რეალობა და მიდგომები დივერსიფიცირდება. თუ „ნაცმოძრაობა“ ისევ იმ პლატფორმაზე დარჩება, რაც დღეს აქვს, ის ნელ-ნელა ჩამოყალიბდება... პარალელი რომ გავავლოთ... ზვიად გამსახურდია რომ ჩამოაგდეს, მოთხოვნა, რომ კანონიერი ხელისუფლება აღმდგარიყო, იყო ლეგიტიმური. დღეს რომ ვიღაც ამას ითხოვს, რაღაც კომიკურია. დაახლოებით ეგეთ რაღაცას ვხედავ „ნაცმოძრაობაში“. თუ რაღაცებს დაიჩემებენ, დაახლოებით იმ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, როგორშიც ის ხალხი, ვინც უზენაესი საბჭოს აღდგენას ითხოვს.

**– ვაშაძემ „ფეისბუკის“ გვერდზე გააკეთა განცხადება, რომ აუცილებელია ახალი ფიგურები, გადახალისება და ძირეული ცვლილება...**

– კი, ბატონო, ძალიან კარგია, ასეთი განწყობა თუა, მაგრამ რაში გამოიხატება ეს? იგივე ვაშაძეს ვიცნობდი საჯარო რეესტრიდან, მაგრამ ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი სახე არ იყო. გვქონდა პრეტენზიები მის მიმართ, იგივე ყალბი პირადობის მოწმობების დაბეჭდვასთან დაკავშირებით, მაგრამ, ასე თუ ისე, მისი უწყება კარგად მუშაობდა. იგივე ბოკუჩავა...

**– ზურა ჯაფარიძე...**

– ჯაფარიძემ არჩევნების წინ გამოიჩინა თავი „სუფთა პოლიტიკაში“. დაგვდევდა იქ და სახლებს უყიდდა სხვებს... ეგ არ უყიდდა, მაგრამ ატარებდა ბრიფინგებს და მოდიოდა მერე მოგელაძე და იღებდა ზომებს. ასე თუ ისე, მათ ჰქონდათ ეს რეზერვი და ისინი არ განსხვავდებიან ძველი სახეებისგან. მათ ეს ერთი წელი იგივე რიტორიკა გააგრძელეს, რაც ძველმა სახეებმა, ამიტომ ასოცირდებიან მათთან. მესმის, რომ ადვილი არ არის იმ როლიდან გამოსვლა, რომ მარტო არიან ქვეყანაზე და სხვა არავინ არ არის. თუ ამ როლიდან გამოსვლას მოახერხებენ, ეს არა მარტო მათთვის, არამედ ქართული პოლიტიკისთვისაც კარგი იქნება. მე არ ვეკუთვნი იმათ რიცხვს, ვისაც ვიღაცების მოსპობა უხარიათ. ადამიანს თუ დანაშაული აქვს ჩადენილი, პასუხი უნდა აგოს, მაგრამ არა პოლიტიკური ნიშნით.

**– დაბოლოს, ვანო მერაბიშვილი თქვენთვის პოლიტიკური ნიშნით დაკავებული ადამიანია?**

– არ მიყვარს ამ თემაზე საუბარი. ამ კაცს ვიცნობ 1995 წლიდან, მასთან არასდროს ცუდი ურთიერთობა არ მქონდა და მისგან პირადად ჩემ მიმართ რამე ცუდი არ მახსოვს. თუმცა პირველი, ვინც უნდა იჯდეს, ჩემდა სამწუხაროდ, ეს არის ვანო მერაბიშვილი. ის იმ ძალადობის, რომელსაც ჩვენ განვიცდიდით, პირამიდის სათავეში იყო. გინდა-არ გინდა, ის ამ პასუხისმგებლობას ვერ გაექცევა. აქ პოლიტიკურ დევნაზე საუბარი არ შეიძლება. ის მარტო პოლიტიკური ფიგურა არ იყო, ის იყო უშუალო ხელმძღვანელი, როდესაც სამართალდამცავების მხრიდან ხდებოდა იარაღის ჩაგდებები და პოლიტიკური აქტივისტების დაჭერები, ასევე, ზონდერბრიგადების თარეში რომ მიდიოდა და ხალხის ცემა. ამ ყველაფრის სათავეში იდგა ეს კაცი. ან უნდა ვთქვათ, რომ ამ კაცმა ეს არ იცოდა, და თუ არ იცოდა, ეს კიდევ დანაშაულია.

**– რატომ არ აქვს ბრალდება წაყენებული ამ მიმართულებით?**

– რაც შეძლო პროკურატურამ, ის წაუყენა. თუმცა მე, ამ მხრივ, კმაყოფილი არ ვარ. ბრალდებები, რაც მერაბიშვილს აქვს წაყენებული, დარწმუნებული ვარ, ჟურნალია და კინო იქნება... თუ ვანო მერაბიშვილი მართალია, ესე იგი ჩვენ, ყველა, დასაჭერები ვყოფილვართ.

**– ელოდებით, რომ ახალმა მთავარმა პროკურორმა შეიძლება კბილაშვილზე უფრო რადიკალური ნაბიჯები გადადგას?**

– რადიკალურის მოთხოვნები უკვე აღარ მაქვს. მინდა, რომ იყოს მტკიცებულებები. მაგალითად, ახალაიას რომ ასამართლებენ, მოწმე შპარგალკებით არ დადიოდეს და სისულელეებზე არ ედავებოდნენ, როდესაც ამდენი სხვა რაღაც არსებობს მასზე. იმედია, ეს უფრო მეტად დასაბუთებულ ბრალდებებს წაუყენებენ და აღარ იქნება ეჭვი, რომ ვიღაცაზე პოლიტიკური დევნა მიდის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# კორკოტას „გ



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**მსოფლიოში ყველაზე „კრუტოი“ მერი რეიკიავიკელებს ჰყავთ. იონ გნარი დაბადებითაც და „გაგებითაც“ რეიკიავიკელია, პოლიტიკაში კი მერის არჩევნებამდე ზუსტად ექვსი თვით ადრე შემოვიდა საკუთარი პარტიით – „საუკეთესო პარტია“ და დღესაც აღიარებს, რომ პოლიტიკის თითქმის არაფერი გაეგება. თუმცა ეს არ უშლის ხელს მას, იყოს მოსახლეობის ყველაზე საყვარელი თანამდებობის პირი. ყოფილი კლოუნი, ტაქსისტი, კომიკური როლების მსახიობი, მუსიკოსი, პანკ-ჯგუფის წევრი, უმაღლესი განათლების გარეშე და გეების ყველაზე დიდი დამცველი პროფესიით მსახიობია. შოუბიზნესისთვის კარგად ცნობილმა სახემ ისლანდიის პოლიტიკაში გარდამტეხი როლი ითამაშა. როგორც ისლანდიის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, „საუკეთესო პარტიის“ გამარჯვებამ ისლანდიის პოლიტიკაში ოთხი პარტიის მმართველობის მრავალწლიანი ერა დაასრულა. ადგილობრივმა პოლიტოლოგებმა არჩევნების შემდეგ განაცხადეს, რომ ასრულდა მათი ყველაზე საშინელი სიზმარი და მოსახლეობამ არჩევანი კლოუნზე შეაჩერა. ახლა მთელი მეგაპოლისი სწორედ მან უნდა მართოს.**

მისი, როგორც მერობის კანდიდატის, წინასაარჩევნო დაპირებებიც ასეთივე ექსცენტრიკული იყო. იონ გნარი თითოეულ მოქალაქეს ჰპირდებოდა, რომ მათ, თითოეულს, საკუთარი პირსახოცი ექნებოდათ აუზზე, ზოოპარკში იყოლიებდნენ თეთრ დათვს რუსეთის პრეზიდენტის „პატივსაცემად“, აუცილებლად ააშენებდა „დისნეი ლენდს“ რეიკიავიკის აეროპორტში და ყველაზე მთავარი – თითოეულ მოქალაქეს ჩამოეწერებოდა ყველანაირი ვალი... შედარებით პოლიტიკური დაპირებები ისლანდიის პოლიტიკის გაწმენდის პირობა იყო. მან სწორედ ამ დაპირებებით გაიმარჯვა და ერთადერთი დაპირება შეასრულა – დაიწყო პოლიტიკის წმენდა. იონ გნარი ერთადერთი პოლიტიკოსი გახდა, ვინც ყველანაირი ურთიერთობა გაწყვიტა რუსეთის ხელისუფლებასთან და მოსკოველებს შორიდან გაუგზავნა კითხვა: მინდა ხალხმა საკუთარ თავს კითხვები დაუსვას, თუ მოსკოვში არ არის საქმე, ისე, როგორც თქვენ გინდათ, იქნებ სჯობდეს ცვლილებებზე იფიქროთ?..

მოსკოვი – ნაკლებად, თბილისი კი ცვლილებებზე აქამდე ჩუმად ფიქრობდა და ახლა ხმამაღლა ალაპარაკდა. თბილისელებისთვის მართალია, არ შეუთავაზებიათ არც კლოუნი, არც ყოფილი ტაქსისტი და არც პანკ-ჯგუფის წევრი, სამაგიეროდ შესთავაზეს არათბილისელი და ამით ყველაფერია ნათქვამი.

დავით ნარმანიას უმაღლესი განათლებაც აქვს და პოლიტიკური გამოცდილებაც. თუმცა ამომრჩეველი მას წინასწარვე უწუნებს დიალექტს, ნარმომავლობას და პირობას დებს, რომ „ოცნების“ არათბილისელ კანდიდატს აუცილებლად დაუპირისპირებს ნამდვილ, გაგებითა და მეობით თბილისელს...

ასეთი მოსაზრება აქვს კორკოტას,









## გია კორკოტაშვილი: „თუ არ იაქტიურებთ, შემდეგ ნუ დაჯდებით „ქუხნაში“ და ნუ დაიწყებთ წუწუნს. თბილისელების გადასაწყვეტია, როგორი მერი უნდათ – თბილისელი თუ მეურნე? თუ ორივე ერთად?“

იგივე გია კორკოტაშვილს. რადიოწამყვანი მინიშნებას ლევან გაჩეჩილაძეზე აკეთებს, თუმცა იქვე ამატებს, რომ „გრეჩიხას“ მერობის სურვილი ჯერ არ გამოუთქვამს.

საუბარია იმაზეც, რომ არასაპარლამენტო ოპოზიცია სწორედ ერთი კანდიდატის ირგვლივ გაერთიანდება. ვინ შეიძლება გახდეს ბურჯანაძის, ნათელაშვილის, ქრისტიან-დემოკრატების, ახლებისა და კიდევ ბევრი სხვა პარტიის შეთანხმების ობიექტი, რთული სათქმელია, თუმცა ფაქტია, რომ ამ მიმართულებით კახა კუკავას გვარმა უკვე გაიელვა. თავად „თავისუფალი საქართველოსთვის“ ლიდერი კანდიდატობას უარყოფს, თუმცა ესეც პოლიტიკური პოზაა. დანარჩენები კი აცხადებენ, რომ მერის არჩევნებამდე ჯერ კიდევ დიდი დროა.

ლევან გაჩეჩილაძის, კახა კუკავასა და „ნამდვილი თბილისელი ბიჭის“ გარდა, ირაკლი ოქრუაშვილიც დასახელდა. ის, სავარაუდოდ, ნოღაიდელის ყოფილი პარტიის, „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ რჩეული იქნება. თუმცა თავად ყოფილი თავდაცვის მინისტრი ჯერ ღიად არსად ფიქსირდება...

მაისამდე შეიძლება მართლაც ბევრი დღეა, თუმცა ფაქტია, რომ დავით ნარმანიას ძირძველი თბილისელები გაგებით უკვე ვერ მოეკიდნენ...

**გია კორკოტაშვილი, რადიოწამყვანი:**

– ნარმანია „ოცნების“ კანდიდატია. საქართველოში ყველაზე პოპულარულმა ადამიანმა, ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა ამდენი კეთილი საქმის შემდეგ მერობის კანდიდატთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება გამოთქვა. ნუ შეეგუებით ამ აზრს იმიტომ, რომ ეს აზრი ბატონმა ბიძინამ გამოთქვა. არსებობს საზოგადოების აზრი და ეს თავად „ოცნებისთვისაც“ მნიშვნელოვანია. ქალაქის მერის არჩევნებზე, უეჭველი ვიცი, რომ საზოგადოების ჩართულობა განაპირობებს შედეგებს. თუ არ იაქტიურებთ, თუ არ ჩაერთვებით, შემდეგ ნუ დაჯდებით „ქუხნაში“ და ნუ დაიწყებთ წუწუნს, ასე არ უნდა მომხდარიყოო. თბილისელების გადასაწყვეტია, როგორი მერი უნდათ – თბილისელი თუ მეურნე? თუ ორივე ერთად?

**– პირადად თუ იცნობთ დავით ნარმანიას?**

– მე არ ვიცნობ ნარმანიას, ის „ოცნების“ გუნდში გამოჩნდა, როგორც მინისტრი. ყოველ შემთხვევაში დავით ნარმანიას არაფერი გაუფუჭებია თუ არ გაუკეთებია. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, როგორ შევა ის ქალაქელებთან კომუნიკაციაში. უნდა იცოდეს, რა პრობლემაა „ნახალოვკაში“, უნდა იცოდეს, არის თუ არა გასაკეთებელი პლეხანოვი... რამდენად შეუძლია ამ ადამიანს კომუნიკაცია. ისე, ეს კომუნიკაბელურობაც შეიძლება ისწავლო, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ მნიშვნელოვანია მეორე მხარეც. თბილისელები უნდა იცნობდნენ საკუთარ მერს. მერს თავისი ქალაქი ხელგაშლილი უნდა დახვდეს. ისეთი ბიჭი უნდა მოვიდეს მერად, პატივისცემა უნდა გაუჩნდეს ხალხს. ძალით და სინთეტურად ჩატენილი ადამიანი ცოტა რთული ასატანი იქნება. ამ ქალაქს თავისი სპეციფიკა აქვს, თავისი ნერვი, თავისი მოფერება და გაბრაზება სჭირდება. ჩემი პიროვნულიდან გამომდინარე, ავხსნი. საქმე ისაა, რომ გიორგი მარგველაშვილს ვიცნობ და ვიცი, რომ ამ ტვირთის ამწევია. ასევე, ვიცნობ ირაკლი ღარიბაშვილს და ვიცი, რომ ისიც არის ტვირთის ამწევი. შეიძლება ბევრ ადამიანს ვიცნობდე, მაგრამ არ იყვნენ ტვირთის ამწევები და შესაბამისად, მათ ვერ მოვიაზრებ ამ თანამდებობებზე. ამ შემთხვევებში ჩვენი, საზოგადოებისა და ბატონი ბიძინას აზრები დაემთხვა. ქალაქის მერის კანდიდატის საწინააღმდეგო, რომელიც „ოცნებამ“ წარადგინა, არაფერი მაქვს. უბრალოდ, მე შემიძლია მოვიძიო ამ ქალაქში ისეთი ადამიანი, რომელსაც ჩემი მხრიდან წარვადგენ. ვიპოვი ადამიანს, რომელიც საზოგადოების დიდ ნაწილს მოეწონება და ჩვენ შევთავაზებთ „ოცნებასაც“ და ხალხსაც. იქნებ ჩვენ მიერ წარდგენილმა კანდიდატმა აჯობოს „ოცნების“ კანდიდატს. თუ ვერ აჯობებს, მაშინ ჩვენ არც პროტესტს გამოვთქვამთ და არც არაფერს. საარჩევნო ბრძოლაში შეხვდებიან ისინი ერთმანეთს და ხალხი გადაწყვეტს, ვინ უნდა გახდეს დედაქალაქის მერი.

**– მინიშნებას გაჩეჩილაძეზე თუ აკეთებთ, მან ერთ არჩევნებში უკვე მიიღო მონაწილეობა, მით უმეტეს მაშინ „გაერთიანებული ოპოზიციის“ საერთო კანდიდატი იყო, მაგრამ დამარცხდა...**

– 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნებს გულისხმობთ? საპრეზიდენტო









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რეჩიკა“ უნდა

## „ჩემი კრიტერიუმებით განმსაზღვრელი ესაა: მირჩევნია, დედაქალაქის მერი თბილისელი იყოს და ბევრი თბილისური რამე იცოდეს“

## „ნარმანია რომ თბილისელი იყოს, მას ექნებოდა ყველა თვისება და დააკმაყოფილებდა იმ კრიტერიუმებს, რომელსაც მე სავალდებულოდ ვთვლი“



არჩევნები ლევან გაჩეჩილაძემ მოიგო. მოიგო, ოღონდ მაშინ ნაციონალებმა გაუყალბეს, ეს ცნობილი ფაქტია და ეს ყველასთვის ნათელი იყო, თვითონ სააკაშვილისთვისაც კი. უბრალოდ, მაშინ ისეთი რაღაცები მოხდა, რაც ლევანის პიროვნებას აღემატებოდა.

**– რას გულისხმობთ?**

– ჩარევა მოხდა სხვადასხვა დონიდან, გაირკვა, რომ არ იყო მთლად ასე საქმე... ამ გაყალბებაზე თვალი დახუჭა ევროპამ, ამერიკამ და რუსეთმაც. ჩვენ ახლა უნდა დავაფიქსიროთ ჩვენი აზრი. ბიძინა ივანიშვილს არ უნდა ეწყინოს, თუ დედაქალაქის მერი თბილისელებისთვის საყვარელი ადამიანი გახდება. პირიქით, მას ეს უნდა გაუხარდეს. ბატონმა ბიძინამ წარადგინა ადამიანი თავისი გუნდიდან და დარწმუნებულია, რომ ის არის ერთადერთი, ვინც კარგად წარუძღვება ქალაქის საქმეებს. კი ბატონო, ეს დასაფასებელია და მისაღები. ახლა მეორე მხარე ავიღოთ – საზოგადოება. საზოგადოება შეიძლება უკეთეს პიროვნებას იცნობს, ვიდრე დავით ნარმანიაა. რა, არ შეიძლება იყოს უკეთესი? ადამიანები იცნობენ ცნებას – უკეთესი და უკეთესზე უკეთესი. ჩვენ მოვძებნით ადამიანს, ვისაც თბილისის ავანჩავანიც ეცოდინება და თბილისის წიაღშიც კარგად იქნება გარკვეული. მაგალითად, მე თუ მკითხავთ, პირადად ლევან გაჩეჩილაძეზე გეტყვით, რომ ის კარგი მერი იქნებოდა.

**– ანუ ნარმანია, რომ თბილისელი იყოს, არ გააპროტესტებდით მის კანდიდატურას?**

– ნარმანია რომ თბილისელი იყოს, მას ექნებოდა ყველა თვისება და დააკმაყოფილებდა იმ კრიტერიუმებს, რომელსაც მე სავალდებულოდ ვთვლი. ის თუ იქნებოდა თბილისელი და იქნებოდა კარგი მეურნე, მე ჩემს კანდიდატს მაინც წარვადგენდი, რა თქმა უნდა. ნარმანიას ნუ უქმნიან დისკომფორტს, თითქოს მისი კანდიდატურა არ უნდათ მისი წარმომავლობის გამო.

**– მინიშნება სწორედ მის წარმომავლობაზეა...**

– ეს არ არის სწორი მიდგომა.

**– თქვენც ამაზე არ აკეთებთ აქცენტს? აბა, წინასწარ რა იცით, როგორი მეურნე იქნება ნარმანია?**

– მე სხვა რამეს ვამბობ. ივანიშვილმა ხომ წარადგინა არათბილისელი თბილისის მერად? მე ვამბობ, რომ თბილისში შესაძლებელია მოინახოს ზუსტად ასეთივე კარგი მეურნე და თან თბილისელი. ჩემი კრიტერიუმებით განმსაზღვრელი ესაა: მირჩევნია, დედაქალაქის მერი თბილისელი იყოს და ბევრი თბილისური რამე იცოდეს.

**– თქვენ თქვენი კანდიდატი აუცილებლად გეყოლებათ?**

– ჩვენ, საზოგადოებას, გვეყოლება ჩვენი კანდიდატი. სხვა არასამთავრობოებთან ერთად, ვაპირებთ, ვიმსჯელოთ ბევრ კანდიდატზე, შევჯერდეთ და შევთავაზოთ „ოცნებას“.

**– როდის გახდება მისი ვინაობა ცნობილი?**

– სამუშაო პროცესი, ალბათ, ძალიან დიდხანს გაგრძელდება.

**– ლევან გაჩეჩილაძის გარდა, ვინ განიხილება?**

– ლევანს საერთოდ არ უთქვამს ჯერ, მერობა მინდაო. თუ ის ამას გადაწყვეტს, ხმამაღლაც იტყვის. ლევანის გარდა, არიან კანდიდატები, რომელთა წარდგენაც შეგვიძლია. ნარმანია გაიმარჯვებს, საზოგადოების რჩეული თუ სხვა პარტიის წარმომადგენელი, ამას მნიშვნელობა არ ექნება. მთავარია, რომ არჩეული მერი, მთავრობასთან ერთად, გუნდს წარმოადგენდეს. მათ არ უნდა დაიწყონ, მე ჩემი გუნდით მოვდივარ და სხვას არ მოვიყვან...

**– ამ მიმართულებით ახლა კმაყოფილი ხართ? სამართლიანად ინიშნებიან თანამდებობებზე?**

– როგორც კი შევატყობთ, რომ სხვა მხარეს გადაიხარნენ, არ ხდება სამართლიანობის აღდგენა, ვინც არ უნდა იყოს, პირდაპირ ვიტყვით, რომ არ არის სწორი გზა. სწორედ ამას ვლაპარაკობდით არჩილ კბილაშვილზე და მის გუნდზე, რომ არასწორად მიჰყავდათ საქმეები. ეს დაეტყო კიდეც ნაციონალების თავხედურ საქციელებს. ახალ პროკურორზე ჯერ ვერაფერს ვიტყვი, მარტო ის მომწონს, რომ ცვლილება განხორციელდა. რას განახორციელებენ ახალდანიშნული თანამდებობის პირები, ამას ცოტა ხანში შევაფასებთ.

ბიძინა ივანიშვილის მიერ დატოვებული მერობის კანდიდატი საკუთარმა გუნდმაც არ მიიღო. რეალური მიზეზი ყველამ ვიცით. სწორედ იგივე იგულისხმა უმრავლესობის წევრმა ზაზა პაპუაშვილმა, როდესაც განაცხადა, თბილისის მერობის კანდიდატზე დადებითი წარმოდგენა არ მაქვსო, თუმცა მოგვიანებით საკუთარი მოსაზრება თავადვე შეცვალა და თქვა, თბილისელობა და წარმომავლობა რა შუაშია, რატომ აკომპლექსებთ ამ ადამიანსო...

**ზაზა პაპუაშვილი, უმრავლესობის წევრი:**

– დავით ნარმანიას, როგორც თბილისის მერობის კანდიდატის მიმართ, დადებითი წარმოდგენის არ ვარ. ნარმანია, როგორც მინისტრი, სანიმუშო სახელმწიფო მოხელეა, მაგრამ თბილისის მერად არასწორად შერჩეული კანდიდატურაა. არჩევნები ჯერ კიდევ წინ გვაქვს, მთავარია, ქართული საზოგადოება ვის აირჩევს. „ქართული ოცნების“ მიერ თბილისის მერად დავით ნარმანიას კანდიდატურის წამოყენება არ ნიშნავს იმას, რომ ის უკვე მერია. მისი კანდიდატურა, ჩემი აზრით, არასწორად დასახელებული კანდიდატურაა. კოალიციის პოლიტსაბჭოსგან განსხვავებული აზრი მაქვს. დავით ნარმანიას კანდიდატურას თბილისის მერად ვერ განვიხილავ. ნარმანია, როგორც თბილისის მერობის კანდიდატი, ჩემთვის მისაღები არ არის. მას პიროვნულად არანაირად არ ვეხები. როგორც მინისტრმა, ბევრი რამ შესანიშნავად გააკეთა. თბილისი ცოტა სხვა თემა მგონია – სხვა მგრძნობიარებაა. ამ შემთხვევაში ბევრი რამის გათვალისწინება უნდა მოხდეს. თბილისმა ბოლო წლების განმავლობაში ბევრი რამ გადაიტანა. ეს ქალაქი მუდმივი ბრძოლის რეჟიმში იყო და, რომ ვერ წააქცია იმ ჯალალედინმა, რომელსაც მიხეილ სააკაშვილი ჰქვია, ამიტომაც გადაიტანა პარლამენტი ქუთაისში. თბილისი შეძლებს, თავად ჩამოყალიბდეს მერობის კანდიდატურაზე და გამოინახება ღირსეული ადამიანი. გამოჩნდებიან მერობის კანდიდატები, ვისაც ნარმანია მეტოქეობას ვერ გაუწევს. არც კოალიციაში და არც პარლამენტში იმიტომ არ ვარ, რომ მარიონეტივით ხელი ავწიო და დავწიო. მაქვს ჩემი მოსაზრებები, ჩემი გემო პირში და ჩემი სისხლი ჩქეფს ძარღვებში. კოალიციამ დაასახელა ნარმანიას კანდიდატურა – კი ბატონო, დაასახელა, ხალხმა შეიძლება ალტერნატიული კანდიდატურა დაასახელოს. თბილისის მერმა ბევრი კომპონენტი უნდა დააკმაყოფილოს. არსებობს ნიუანსები, რომელსაც თბილისის მერი უნდა აკმაყოფილებდეს.

პაპუაშვილის განცხადება რამდენიმე დღის შემდეგ, თავისივე სათაურით – „ეს წერილი იმათ, ვინც ვერ გებულობს, თუ „ამ სიძულვილში რაოდენი სიყვარულია“, შეიცვალა: „არავისთან საღრეჯი, ენის მოსაჩლექი და საბოდიშო არ მაქვს. ის, რაც არ მითქვამს, თქმულად ნუ აცხადებთ, თქვენეულ ფიქრებს ჩემად ნუ დასახავთ, ნუ შეეცდებით, მალამო შხამად აქციოთ. მე ამ დემაგოგიურ, პრიმიტიულ მსჯელობაში სამოგზაუროდ რა ვქნა, რომ არც გამოგყვებით, ვერც გამოგადგებით. ქართველი კაცი ვარ, ჩემი ქვეყნის შვილი და თავში აზრადაც არ მომსვლია ვინმეს წარმომავლობის, ჯიშისა თუ მოდგმის განკითხვა და გაქილიკება. ეს არ შედის ჩემი თამაშის წესებში. მავანსა და მავანს თუ სურს ჩემი მოსაზრება ასეთ მდაბიო, პროვინციულ პლასტში გადაიტანოს, მაინც არაფერი გამოუვა, მარტივი მიზეზის გამო – ასე არ ვფიქრობ. ასე რომ, მოიკრიბეთ ძალ-ღონე, რამენაირად შეძელით და შეებრძოლეთ თქვენში არსებულ თუ ჩაბუდებულ კომპლექსებს. ჩაიხედეთ საკუთარ სინდისში, შეიგრძენით თავისუფლება, შეეცადეთ, ილაპარაკოთ ის, რასაც თქვენ ფიქრობთ და განიცდით. ამით უფრო მეტ სარგებელს მოუტანთ ქვეყანასაც და საკუთარ თავსაც. ეს დემაგოგიური ქილიკი კი წარმომავლობაზე, სამშობიაროზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, მერწმუნეთ, ისევ თქვენთვის არის დამღუპველი. რაც შეეხება ხოხბის ისტორიის „მოყვარულებს“, ეგ კინო ხოხობზე დიდი ხნის წინ ვნახეთ. როგორც ჩანს, არც ეს ლეგენდა გეპიტნავებათ მაინცდამაინც ზოგიერთებს და ვფიქრობ, ჩახოხბილზეც მწყრალად ხართ. ვწუხვარ, ჩვენი ქვეყანა ჯერ კიდევ სტერეოტიპებით დახუნძლული აზროვნების ტყვეა. ერთნი იტყვიან, მეორენი კი დაუფიქრებლად იმეორებენ ანალიზისა და საკუთარი პოზიციის გარეშე. დასანანია, მაგრამ რეალობაა – შინაგანი თავისუფლების მისაღწევად გზა ჯერ კიდევ შორია. საკუთარ თავს თუ ვერ მივაგნებთ, თავსაც, ქვეყანასაც და ქალაქსაც დავკარგავთ. ჩემი სათქმელისთვის არც ქვეტექსტის სიბრძნე და გულწრფელობა და ზემოდან არც სიმართლე არ მომიკლია. გამგებმა გაიგოს... ასე რომ, გაატარეთ, გაატარეთ ხალხი...“









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# არასაპარლამენტო ოპოზიცია





## EXCLUSIVE

ნინო დათაშვილი

**შესაძლებელია თვითმმართველობის კოდექსის განხილვა ინტერპარტიულ ფორმატში მოხდეს და მასში მონაწილეობა არასაპარლამენტო პარტიებმაც მიიღონ. საბოლოო გადაწყვეტილება კოალიციის ლიდერებმა უნდა მიიღონ. ეს იყო ძირითადად შედეგი შეხვედრისა, სადაც ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილი და არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები თვითმმართველობის კოდექსის შესახებ მსჯელობენ. შეხვედრამ საკმაოდ მწვავე კამათის ფონზე ჩაიარა. როგორც შეხვედრის დასრულების შემდეგ მინისტრის მოადგილე თენგიზ შერგელაშვილმა განაცხადა, ხელისუფლების მხრიდან მზადყოფნა იყო, რომ კანონპროექტის თითოეულ მუხლზე მსჯელობა მომხდარიყო, თუმცა, სამწუხაროდ, პოლიტიკურმა პარტიებმა მსჯელობა წარმართეს მხოლოდ ფორმატზე და მათ კანონპროექტთან დაკავშირებით არც ერთი შენიშვნა არ წარმოუდგენიათ. არასაპარლამენტო პარტიები შერგელაშვილის პოზიციას არ ადასტურებენ და ამბობენ, რომ კანონზე სამინისტროს წარმომადგენლების შეხვედრაზე „საპონტაოდ“ იყვნენ მისულები. შეხვედრის დეტალებზე „პრაიმტაიმს“ „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია ესაუბრა.**



„ჯონდი ბაღათურია: ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ ერთმანეთი ნაციონალებს და „ოცნებას“, მაგრამ ჩვენთან თანამშრომლობის ფორმატი ასეთი ვერ იქნება“

ჯონდი ბაღათურია

კახა კუკავა

**ჯონდი ბაღათურია, „ქართული დასი“:**

- შეხვედრამ მწვავე კამათის ფონზე ჩაიარა, რომელიც თანამშრომლობის ფორმატმა გამოიწვია. ხელისუფლების სურვილი იყო, რომ შევხვდეთ და დავიშალოთ. არ იყვნენ მზად საქმიანი თანამშრომლობისთვის. როდესაც მივედით, გვკითხეს როდის დავიწყებდით კანონპროექტის პრეზენტაციას. ჩვენ ვუთხარით, რომ ჯერ საჭირო იყო თანამშრომლობის ფორმატზე შეთანხმება. მოკლე ვადა უნდა დაგვეთქვა, რომ ინტენსიური ყოფილიყო ამ დროში შეხვედრები და მაქსიმალურად სწრაფად მიგვეღო გადაწყვეტილება. ამაზე ისინი თანახმა არ იყვნენ. დადებით ან უარყოფით პასუხს ვერ მოგვცემდნენ, რადგან კოალიციის სხვა ლიდერებთანაც უნდა შეეთანხმებინათ ეს საკითხი. მართალია გია ჟორჟოლიანი იყო წარმოდგენილი იქ კოალიციიდან, მაგრამ ის იყო როგორც თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. ამიტომ ამაზე პასუხს ვერ გაგვცემდა. საბოლოო ჯამში შევთანხმდით, რომ ისინი ჩვენს მოსაზრებას კოალიციას გააცნობდნენ და უახლოეს დღეებში გაგვაცნობენ ერთობლივ გადაწყვეტილებას. ანუ მოხდება თუ არა ინტერპარტიულ ფორმატში განხილვა, ეს კოალიციის ლიდერებთან შეთანხმებით უნდა გადაწყდეს. კამათი გამოიწვია ასევე თვითმმართველობის კოდექსმა, ანუ რას ვირჩევთ. საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით ჩვენ გვაცნობეს, რომ დაგეგმილია ინტერფრაქციული ჯგუფის განახლება. ამან გამოიწვია ჩვენი პროტესტი. ინტერფრაქციული ჯგუფი ნიშნავს, რომ მასში ფრაქციები მონაწილეობენ. ფრაქციები აქვთ „ქართულ ოცნებას“ და ნაციონალებს. გამოდის, რომ მათ უნდათ ითანამშრომლონ „ნაციონალურ მოძრაობასთან“. ღმერთმა მშვიდობაში მოახმაროთ ერთმანეთი ნაციონალებსა და „ოცნებას“, მაგრამ ჩვენთან თანამშრომლობის ფორმატი ასეთი ვერ იქნება, რადგან ჩვენ ფრაქციები არ გვაქვს. ვნახოთ, მათგან პასუხს კვირის დასაწყისში ველოდებით, იმის შესახებ, თუ როგორი ფორმატით გაგრძელდება მუშაობა. რაც შეეხება საარჩევნო კოდექსს, ამასთან დაკავშირებით კიდევ ცალკე შეხვედრები გაიმართება კოალიციის ლიდერებთან და საპარლამენტო უმრავლესობასთან. ეს არის ჩვენი და ინფრასტრუქტურის სამინისტროს შეხვედრის შედეგი. დღეს რაზეც შევთანხმდით, რომ კოალიციის ლიდერებთან თვითმმართველობის კოდექსის განხილვის ფორმატი შეთანხმდება.



თენგიზ შერგელაშვილმა

**კახა კუკავა, „თავისუფალი საქართველო“:**

- 12 არასაპარლამენტო პარტია ვითხოვთ, რომ შეჩერდეს თვითმმართველობის კოდექსის განხილვა. ის არ არის შეთანხმებული არც პოლიტიკურ პარტიებთან და არც სამოქალაქო საზოგადოებასთან და წარმოადგენს ნარმანიას და მელაშვილის თვითშემოქმედებას. რამდენადაც ვიცი, თვითმმართველი პარტიის ფართო წრეებთანაც კი არ არის ეს საკითხი შეთანხმებული. სხვათა შორის მმართველი პარტიის რამდენიმე წევრმა დაადასტურა, რომ ასეთი პარტიზანული წესით მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა არასწორია. ჩვენ საარჩევნო კოდექსთან და თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებით გვაქვს კონკრეტული შენიშვნები. უახლოეს დღეებში გაიმართება მოსმენები ბრიუსელსა და სტრასბურგში იმ ანტიდემოკრატიული ტენდენციების შესახებ, რომელსაც ადგილობრივი რეფორმების გატარებაში აქვს ადგილი. თვითმმართველობის კოდექსი მიღებული უნდა იქნეს პოლიტიკური კონსენსუსის გზით. ნარმანიამ თქვა, რომ ამ კოდექსთან დაკავშირებით მოლაპარაკებებს არასაპარლამენტო პარტიების ლიდერებთან აწარმოებდა. ეს სიცრუეა. რაც შეეხება კოდექსის შინაარსს, ორიოდე სიტყვით გეტყვით, რა არის ჩვენი შეშფოთების ძირითადი საგანი საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით. ძალაში რჩება ყველა ის შენიშვნა, რომელიც ჩვენ გვქონდა ე.წ. რვიანის ფორმირების პროცესში. გახსოვთ, ერთად ვქმნიდით საარჩევნო პროგრამას ე.წ. რვიანი. იმ რვიანიდან შემდგომ ექვსი მოვიდა ხელისუფლებაში და ორი ოპოზიციაში დარჩა. დღეს ჩვენ რვიანის ექვსეულისგან საკუთარი პროგრამის დაცვა გვიწევს. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის ჩქარა მიღებას ცდილობენ, რადგან აქ არის ჩადებული ნაღმი ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობისათვის. კონკრეტულად, საქართველოში შემოდის რეგიონალური დაყოფა, რეგიონებს ექნებათ



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება








# ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი სკანდალური ხდება



ბაჩუკი ქარდავა



მამუკა კაციტაძე

საკუთარი არჩევითი ორგანოები და ასევე არჩეული გუბერნატორები. ავტონომიების ფორმირებაზე საზოგადოებამ უნდა იმსჯელოს. ახლი ავტონომიების ფორმირება არის ნაღმი. იგივე ეხება მუნიციპალიტეტების დაყოფას. ამ კანონში წერია, რომ რაიონების შექმნას და გაუქმებას მთავრობა გადაწყვეტს თავისი დადგენილებით. ტერიტორიული დაყოფა კანონის გადასაწყვეტია და მთავრობამ არ უნდა შექმნას და დაშალოს რაიონები. აპირებენ რაიონების ორ-ორ სამ-სამ ნაწილად დაყოფას. ანუ ალმოსავლეთ რაიონში შეიქმნება შვიდი ახალი ეთნიკური მუნიციპალიტეტი. ესეც ნაღმია. ეთნიკური ნიშნით გამოცალკევება არ უნდა მოხდეს. თუ ამ სისტემით ჩაატერებენ არჩევნებს საბოლოო ჯამში ჯავახეთის გუბერნატორი გახდება ჩახალიანი. მიმდინარეობს კონსულტაციები საერთაშორისო დახმარებით, სადაც დამტკიცდა შეთანხმებული ვარიანტი საარჩევნო გარემოსთან დაკავშირებით და თვითმმართველობის კოდექსთან დაკავშირებითაც მიმდინარეობს შენიშვნები, რათა ალტერნატიულ ვარიანტზე შევჯერდეთ.

**ბაჩუკი ქარდავა, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“:**

- თვითმმართველობა ქვეყანაში დემოკრატიულობის განვითარების თავი და საფუძველია. როდესაც ამ რეფორმას იწყებ უნდა გქონდეს მცდელობა, რომ პოლიტიკურ პარტიებთან, არასამთავრობოებთან და მოსახლეობასთან რეფორმა გავლილი იყოს. ახლა ხდება ფორმალური შეხვედრები რაიონებში და რეგიონებში. რეალურ განხილვასთან ამას საერთო არაფერი აქვს. „ქართული ოცნება“ არ ცდილობს „ნაციონალური მოძრაობის“ გარდა სხვა პარტიებს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმა გააცნოს. ნარმანიამ იცრუა, როდესაც თქვა, რომ არასაპარლამენტოებთან ამ საკითხზე შეხვედრებს მართავდა. ეს იყო არასწორი განცხადება. თორმეტმა არასაპარლამენტო ოპოზიციამ სამი დღის განმავლობაში IFES-ის მხარდაჭერით შევძელით ჩამოგვეყალიბებინა შეხედულებები ამ რეფორმასთან დაკავშირებით. მეტ-ნაკლებად მოვახერხეთ ყველა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმება, რაც შეეხება ადგილობრივ თვითმმართველობას და საარჩევნო კანონმდებლობას. სულ მალე ჩვენ მოვახერხებთ გავმართოთ პრეზენტაციები ამერიკის საელჩოსთან, სხვა ინსტიტუტებთან და ჩვენი შეხედულებები მათ გავაცნოთ. მინდა ვუთხრა ხელისუფლებას, რომ ეს არ არის ის შემთხვევა, როდესაც ის მოახერხებს სიჩქარეში ამ კანონის ისე გატანას, რომ არ გაითვალისწინოს ფართო პოლიტიკური სპექტრის შეხედულებები. იმედია, ამაზე ხელისუფლება უარს იტყვის. აუცილებელია შეხვედრა, ხელისუფლებისა და არასაპარლამენტო პარტიების, მაგრამ ეს ვერ იქნება ერთდღიანი და ორდღიანი ფორმალური შეხვედრები. 12 პარტიას სამი დღე დაგვჭირდა, რომ მინიმუმ შეხედულებები შეგვეჯერებინა და ერთი და ორი შეხვედრა არ იქნება საკმარისი, რომ პოზიციებზე შევჯერდეთ, მით უმეტეს ხელისუფლებასთან, რომელსაც ასეთი განსხვავებული პოზიცია აქვს. ჩვენი მოთხოვნაა, რომ ჩამოყალიბდეს ინტერპარტიული სამუშაო ჯგუფი და მას მონიტორინგს უნდა უწევდეს საერთაშორისო ორგანიზაცია. თუ ხელისუფლებას სურს, რომ რეალურად დავდოთ პროდუქტი, უნდა გაითვალისწინოს ჩვენი შეხედულებებიც. ამ შემთხვევაში აუცილებლად იქნება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მაღალი ლეგიტიმაცია.

**მამუკა კაციტაძე, „ახალი მემარჯვენეები“:**

- თვითმმართველობის რეფორმის არსი სადღაც კულუარებში ჩაკეტეს. უცებ გამოაცხვეს კანონპროექტი, შეაგდეს პარლამენტში და ახლა გვეუბნევიან გვეჩქარებაო. ჯერ გვითხრან რა არეალებში ტარდება დაწყებული სოფლიდან ქალაქით დამთავრებული ეს არჩევნები. ეს პირველი. მეორე, რა სისტემით ტარდება ეს არჩევნები და მესამე, როდის ტარდება ეს არჩევნები. არის საუბარი, რომ თბილისში იყოს მერი, საკრებულო და კიდევ 30 საუბნო საბჭოები. ამას ვირჩევთ? ხომ უნდა ვიცოდეთ. როდესაც მერზე ვსაუბრობთ უნდა წარმოვიდგინოთ მისი კომპეტენციებიც. ბევრი კითხვაა პასუხგაუცემელი. მარტივ კითხვაზეა პასუხი გასაცემი, სად ვატარებთ არჩევნებს, როგორ ვატარებთ და როდის ვატარებთ და შემდეგ უნდა ვილაპარაკოთ იმაზე თუ ვინ უნდა ავირჩიოთ. რაც შეეხება თვითმმართველობის კოდექსის განხილვას. ნარმანიამ თქვა, რომ არასაპარლამენტო პარტიებთან ჰქონდა შეხვედრები ამ საკითხზე. მე პირადად ეს შეხვედრა არ მქონია. დაასახელოს კონკრეტული გვარები, ვინ შეხვდა ნარმანიას და შემდეგ ვნახოთ ვის ექნება ბოდიში მოსახდელი.

**სერგო ჯავახაძე, „სამართლიანი საქართველოსთვის“:**

- ჩვენ ძალიან მკაფიოდ, ძალიან გასაგებ ენაზე ჩამოვაყალიბებთ ხედვას ტერიტორიულ მოწყობაზე. ჩვენი პოზიცია იქნება ასეთი, რომ ჩვენ ერთი მერის გარშემო და რაღაც თემის გარშემო მხოლოდ ერთ შემთხვევაში გავერთიანდებით, თუ ეს მოხდება ბლოკის ან კოალიციის შემთხვევაში. არც „ტრადიციონალისტთა კავშირს“ და არც „სამართლიან საქართველოს“ დასაკარგი დრო არ გვაქვს, რვიანების და თორმეტიანების ფორმატისთვის. ჩვენ ვიმუშავებთ იმ პარტიებთან, რომლებსაც აქვთ შემდეგი ხედვა, რომ არასაპარალამენტო ოპოზიციის გადარჩენის ერთადერთი გზა არის გაერთიანება, რომ შეიქმნას ერთი დიდი ბლოკი, რომელიც დაძლევს ბოლოს და ბოლოს იმ ბარიერს, რომლის დაძლევაც სხვა პარტიებს, გარდა ორი სუბიექტისა, ძალიან გაუჭირდათ. მგონი გამოჩნდება ის პოლიტიკური სუბიექტები, რომელიც ამ ნაბიჯს გადადგამენ. ჩვენ ვაპირებთ ერთად გასვლას ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე. ჩვენი კარი ნებისმიერი პარტიისთვის ღიაა, ვინც ამ ფორმატში აპირებს მუშაობას. რაც შეეხება კუკავას განცხადებას თვითმმართველობის არჩევნებზე არასაპარლამენტო ოპოზიციის საერთო კანდიდატთან დაკავშირებით, ჩვენი საერთო მერობის კანდიდატი ერთ შემთხვევაშია დასაშვები, თუ ჩვენ და კახა კუკავა ერთ ბლოკში ვიქნებით. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ გვეყოლება ჩვენი მერობის კანდიდატი. კახა კუკავას უნდა პოლიტიკურ კოალიციაში ყოფნა? ჩვენ უკვე გადავდგით ეს ნაბიჯი. ლაპარაკია იმაზე, რატომ გვიკეთებს ხელისუფლება იგნორირებას. ხელისუფლება ყოველთვის გაგვიკეთებს იგნორირებას თუ ერთად არ ვიქნებით.



სერგო ჯავახაძე

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ის, რაც აუცილებლად უნდა იცოდეს მძღოლმა!



# საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისთვის ჯარიმა მცირდება, სიმთვრალეზე კი სანქცია მკაცრდება

**ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობა 80 პროცენტით შემცირდა, გარდაცვალების შემთხვევებმა კი 85 პროცენტით იკლო**

**მირიან ბოქოლიშვილი**

31 ოქტომბერს ბათუმში დიდი სისწრაფით მოძრავი BMW-ს მარკის ავტომანქანა ფეხით მოსიარულეს შეეჯახა, რა დროსაც ის ადგილზევე გარდაიცვალა... ორიოდე დღეში, 3 ნოემბერს, ლანჩხუთის რაიონის სოფელ გრიგოლეთში გადაჭარბებული სისწრაფით მოძრავი „მერსედესის" მარკის ავტომობილი საპირისპიროდ მოძრავ „ოპელის" მარკის ავტომობილს შეეჯახა. ავარიის შედეგად „მერსედესის" 2 მგზავრი (ქალები) გარდაიცვალა. სამწუხაროდ, მსგავს ინფორმაციებს ხშირად მოისმენთ მედიასაშუალებებით, თუმცა აღნიშნულ მონაკვეთებზე, უფრო სწორად კი აჭარისა და გურიის რეგიონში მალე ავტოსაგზაო შემთხვევების შემცირებას ვარაუდობენ. აღნიშნულ პერიმეტრზე უკვე დამონტაჟდა სიჩქარის შემზღუდავი რადარები. მსგავსი მოწყობილობები რამდენიმე თვეა, წარმატებით მუშაობს დედაქალაქში, სადაც ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობამ და გარდაცვალების რიცხვმა საგრძნობლად იკლო. გარდა ე.წ. რადარებისა, მძღოლებისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება ისიც, რა სახის მოძრაობის წესების დარღვევაზე მცირდება ჯარიმები. ამ თემებზე „პრაიმტაიმი" შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილეს, ლევან მაჭავარიანს ესაუბრა.

**– ბატონო ლევან, პირველ რიგში, გკითხავთ, სულ რამდენი რადარი მოქმედებს თბილისის მასშტაბით?**

– ჩვენ თბილისში ავარჩიეთ 29 ადგილი, სადაც მოძრაობას ჰქონდა გარკვეული პრობლემები და დავიწყეთ ამ ადგილებში რადარების მონტაჟი. ამ დროისთვის უკვე დამონტაჟებულია და მუშაობს 17 რადარი და გრძელდება დანარჩენის დამონტაჟება.

**– და რა შედეგი მოგცათ ამან?**

– ამ რადარების მუშაობამ უკვე გამოიღო დადებითი შედეგი. როდესაც ჩვენ შევადარეთ წლევანდელი მონაცემები გასული წლის პერიოდს, როდესაც არ იყო რადარები, ვნახეთ, რომ ამ ადგილებში ავტოსაგზაო შემთხვევების რაოდენობამ 80 პროცენტით იკლო, ცალსახად დადებითი შედეგია. რაც შეეხება გარდაცვლილთა რაოდენობას, მთელი ქვეყნის მასშტაბით ის შემცირდა 85 პროცენტით, თბილისის მასშტაბით კი იმ ადგილებში, სადაც რადარები დამონტაჟდა, შარშან დაიღუპა 39 ადამიანი, წელს მხოლოდ ექვსი. ნოემბერში კი საერთოდ არ ყოფილა მძიმე შემთხვევიანი საგზაო შემთხვევა. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ თბილისით. ჩვენ ეტაპობრივად ვავრცელებთ ამ სერვისს მთელ საქართველოში. აჭარა-გურიაში სატესტო რეჟიმში უკვე დავამონტაჟეთ რადარები და პირველი დეკემბრიდან სრული დატვირთვით ამუშავდა.

**– რა კრიტერიუმით არჩევთ იმ ადგილებს, სადაც რადარები მონტაჟდება?**

– ეს არის მაღალი რისკის მქონე ადგილები, საგზაო ინციდენტების რაოდენობისა და მძღოლების მხრიდან საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის შემთხვევებიდან გამომდინარე. ასეთი ადგილები გამოვკვეთეთ, როგორც მაღალი რისკის ზონა. მაგალითად, ვერეს ხეობა, სადაც ხდებოდა თავაშვებული მოძრაობა. რადარების დამონტაჟების შემდეგ შედარებით დარეგულირდა. ეს არის კარგად აპრობირებული მექანიზმი ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაში.



**– ალბათ, ამით საპატრულო პოლიციის რესურსსაც დაზოგავთ...**

– რასაკვირველია. ამით დავზოგავთ საპატრულო პოლიციის რესურსს, რასაც სხვა მიმართულებით გამოვიყენებთ. უფრო მეტი დატვირთვით მოვემსახურებით სხვა არანაკლებ მნიშვნელოვან საკითხებს, მაგალითად, ოჯახურ ძალადობას და ა.შ. როგორც უკვე გითხარით, გეგმაში გვაქვს, მოვიცვათ მთელი საქართველო. ეს არის პერმანენტული პროცესი. გარდა რადარებისა, როგორც იცით, მოქმედებს სპეციალური კამერები, რომელიც არეგულირებს საგზაო მოძრაობის წესებს. ასეთი კამერები მხოლოდ თბილისის მასშტაბით 600-ს აღწევს. საერთო ჯამში, ეს არის კომფორტი როგორც პოლიციისთვის, ისე მოქალაქეებისთვის. ჩვენ მაქსიმალურად ვცდილობთ საზოგადოებრივი უსაფრთხოების დონის ამაღლებას. რადარებიც ამ თემის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

**– რაც შეხება ჯარიმებს... როგორც ვიცით, პარლამენტი გარკვეულ ცვლილებებზე მუშაობს...**

– ჩვენ მოვამზადეთ ცვლილებათა პაკეტი ჯერ კიდევ ირაკლი ღარიბაშვილის მინისტრობის დროს, მისი უშუალო ინიციატივით. ეს პაკეტი განსახილველად გადაგზავნილია პარლამენტში. როდესაც პარლამენტი ამ ცვლილებებს დაამტკიცებს, ჯარიმის ზედა ზღვარი საგრძნობლად იქნება დაწეული. მაგალითად, ე.წ. რადარის ჯარიმა, ანუ სიჩქარის გადაჭარბებაზე ჯარიმის ოდენობა დაიწევს 100 ლარიდან 50 ლარამდე. დღეს ნებისმიერ გადაჭარბებაზე ჯარიმა 100 ლარით განისაზღვრება, რაც ხშირ შემთხვევაში მძიმე ტვირთად აწვება საშუალო სტატისტიკური მოქალაქის ბიუჯეტს. იმისთვის, რომ ჯარიმას დარჩეს რაღაც ტიპის აღმზრდელობითი პროცესი, შემოვიფარგლეთ 50-ლარიანი ჯარიმით, რომელიც საგრძნობია ბიუჯეტისთვის, მაგრამ არ არის დამაქცეველი მოქალაქისთვის. ასევე, დაიწევს ჯარიმა ღერძულა ხაზის გადაკვეთისთვის. დღეის მდგომარეობით, ღერძულა ხაზის გადაკვეთა ისჯება 100-ლარიანი ჯარიმით, ყოველი შემდეგი გადაკვეთა კი – 200-ლარიანით. ჩვენ ჩავთვალეთ, რომ ესეც სცილდება გარკვეულ ლოგიკას და ასევე, გავანახევრეთ ჯარიმის ოდენობა.

**– თუმცა წარმოდგენილი პროექტით, პირიქით, მკაცრდება სანქცია ნასვამი მძღოლების მიმართ...**

– დიახ, ჩვენ, ერთი მხრივ, წავედით ლიბერალიზაციისკენ, მაგრამ, მეორე მხრივ, მტკიცედ დავიცავით მკაცრი მიდგომა სიმთვრალესთან დაკავშირებით. დღეს ნასვამი მძღოლი 200-ლარიანი ჯარიმით ისჯება, ცვლილებების შემდეგ კი პირდაპირ მართვის მოწმობა ჩამოერთმევა. ის, რაც გაუმართლებლად მკაცრია და არ მუშაობს საზოგადოების საკეთილდღეოდ და იძენს რეპრესიულ ხასიათს, რა თქმა უნდა, შეიცვლება, მაგრამ კიდევ უფრო გამკაცრდება მიდგომა ნასვამ მძღოლებთან მიმართებაში, რომელიც ნამდვილად პრობლემაა და აქ რაიმე შერბილება, რა თქმა უნდა, არასწორი იქნებოდა.

**– შეგიძლიათ გვითხრათ, რამდენს შეადგენს ჯარიმებიდან შემოსული თანხა თუნდაც ბოლო კვარტალში?**

– ჯარიმებიდან შემოსული თანხა არ აისახება საპატრულო პოლიციაზე, ის პირდაპირ მიდის ბიუჯეტში. კარგი კითხვაა, რადგან ამაზე საზოგადოების ნაწილში არსებობს მითი, რომ თითქოს, რაც უფრო მეტ ჯარიმას გამოწერს პატრული, მით უკეთესია მისთვის და რომ თითქოს ეს აისახება მის ხელფასზე. ხაზგასმით მინდა ვუთხრა თქვენს მკითხველსა და მთლიანად საზოგადოებასაც, რომ არც ერთი თეთრი ჯარიმებიდან არ შემოდის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტში და ეს არ აისახება პატრულის წახალისებაზე, ხელფასზე ან პრემიაზე... ჩვენი ხელფასი არის სტანდარტული, პატრულის წახალისება ხდება არა იმით, რამდენ ჯარიმას გამოწერს, არამედ იმით, რამდენად წარმატებულად იმუშავებს ის და ამ შემთხვევაში, მერწმუნეთ, შეფასების კრიტერიუმები პროფესიონალიზმია და არა ჯარიმების რაოდენობა. ეს გაბატონებული აზრი, ალბათ, იქიდან მომდინარეობს, რომ ჩვენს მეზობელ ქვეყნებში მართლაც მოქმედებს ასეთი სისტემა. მაგალითად, სომხეთში გამოწერილი ჯარიმების 10 პროცენტი ოფიციალურად ილექება იმ პოლიციელის ჯიბეში, რომელიც ამ ჯარიმას წერს.

**– რამდენად ინფორმირებულია საზოგადოება იგივე რადარების მონტაჟთან დაკავშირებით... თუ გეგმავთ საინფორმაციო კამპანიას?**

– თუ დააკვირდით, ჩვენ პერმანენტულად ვაწვდით ინფორმაციას საზოგადოებას. გარდა ამისა, თითოეული რადარის წინ, რამდენიმე ასეული მეტრის დაშორებით დაყენებულია სპეციალური გამაფრთხილებელი ნიშანი, რომელიც აცნობს მძღოლს, რომ უახლოვდება სიჩქარის შეზღუდვის ზონას. არც ერთი ჩვენი რადარი არ არის დამონტაჟებული ბუჩქებში, მოსახვევში ან მალულად.

**– რამდენად უტყუარია რადარის მონაცემები და რა ხდება იმ შემთხვევაში, თუ მძღოლს პრეტენზია გაუჩნდა?**

– ჩვენ მზად ვართ, განვიხილოთ თითოეული მძღოლის პრეტენზია. ეს არის 21-ე საუკუნის ტექნოლოგია, რომელიც თითქმის გამორიცხავს რაიმე ცდომილებას. ჩვენ არასდროს არ ვწერთ ჯარიმას, თუ 100 პროცენტით არ ვართ დარწმუნებული. მაგალითად, მაშინ, როდესაც რადარის მოქმედების ზონაში ხვდება ორი მანქანა და არ ვართ დარწმუნებული, რომელი აჭარბებს სიჩქარეს, ან არ იკითხება სანომრე ნიშნები.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ნინო გვასალიას ოჯახმა ფსიქოლოგი დაიქირავა



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

**ნინო გვასალია ზურაბ მხეიძემ დაკარგვის შემდეგ გაიცნო. დახმარება ფსიქოლოგს თავად ნინოს მშობლებმა სთხოვეს. დაახლოებით ექვსას გვერდამდე მასალის წაკითხვის, ნინოს ყველა მეგობართან, ოჯახის წევრთან და ნათესავთან ხანგრძლივი გასაუბრების შემდეგ ფსიქოლოგი შეეცადა, ნინოს გავლილი გზა თავად გაევლო და ასე მიმხვდარიყო, სად შეიძლებოდა ყოფილიყო დაკარგული გოგონა. მეგობრებთან ნათქვამი თითოეული სიტყვა, ბოლოს წაკითხული წიგნები, ინტერესის სფეროები, ურთიერთობები მშობლებთან და წასვლამდე სახლში დატოვებული ერთადერთი წერილი – თითოეულ დეტალს ძალიან დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ფსიქოლოგი ნინოს საკითხზე ძალიან დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა. მისთვის ეს პირველი შემთხვევა არ ყოფილა. ნინომდე იყო ორი დაკარგული მოზარდი, თავისი ისტორიებით. თუმცა წინა ორი შემთხვევა, საბედნიეროდ, კარგად დასრულდა. ფსიქოლოგმა დიდხნიანი შესწავლის შემდეგ შეძლო დაკარგული ახალგაზრდების კვალის მიგნება... ნინოს ისტორია განსხვავებული გახლდათ. ეს ბატონმა ზურამ თავიდანვე შეამჩნია, როდესაც მის მიერ წაკითხული ლიტერატურა აღმოაჩინა. ამბობს, რომ ნინოს განსხვავებული და კარგი გემოვნება ჰქონდა... „თავისი ასაკის ახალგაზრდებსა და ახლანდელ თაობას თუ შევადარებთ, ძალიან კარგი გემოვნება ჰქონდა“...**

სამწუხაროდ, საქართველოში მსგავსი „დეტექტიური სამსახურები“ არ არსებობს. ამ შემთხვევაში ზურაბ მხეიძეც დამოუკიდებლად მუშაობდა. მისი განცხადებით, ეს საკმაოდ შრომატევადი საქმეა, სადაც თითოეულ წუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს და თანაც უნდა შეძლო, გათვალო ადამიანის სავარაუდო ფიქრები, ქცევები, აზრებიც კი... საუბედუროდ, ყველა ასეთი მცდელობა კარგად არ სრულდება... ნინოს შემთხვევაში შრომატევადმა სამუშაომ შედეგი მაინც ვერ გამოიღო... მიუხედავად იმისა, რომ მუხათწყაროს ტყე არც ნინოსთვის და არც მისი ახლობლებისთვის უცხო და შორეული არ ყოფილა, იქ მისი მოძებნა რატომღაც არავის აზრადაც არ მოსვლია, დედის გარდა... როგორც ამბობენ, დედა პირველი დღეებიდანვე ითხოვდა ნინოს სწორედ იქ მოძებნას.

ნინოზე საუბრისას მეგობრებიც, ახლობლებიცა და ნათესავებიც ერთ მთავარ თვისებას უსვამენ ხაზს – ის ძალიან მხიარული გოგო იყო. იგივეს ამბობს ზურაბ მხეიძეც: იუმორი ნინოს საიდენტიფიკაციო ნიშანი იყო... ნინოს ბავშვობის მეგობრის თქმით, ნინო ყოველთვის, ყველა სიტუაციაში ახერხებდა ხუმრობას და სხვების გამხიარულებას. შესაბამისად, ახლობლებისთვისაც კი ძნელი იყო მიხვედრა – ეს ხასიათი გულწრფელი იყო, თუ ნაძალადევი...

სასულიერო პირების განცხადებით, თანამედროვე ახალგაზრდობას განსაკუთრებული მიდრეკილება აქვს სუიციდისკენ. ფსიქოლოგ ზურაბ მხეიძის განცხადებით, მსგავსი პრობლემის აღმოჩენა ადამიანში ნებისმიერ გვერდით მყოფს შეუძლია...

**ზურაბ მხეიძე, ფსიქოლოგი:**

**– ეკლესია ამბობს, რომ დღევანდელი ახალგაზრდობა მიდრეკილია სუიციდისკენ, რით შეიძლება ეს აიხსნას?**

– არ ვიცი, რა კვლევებს ან სტატისტიკას ეყრდნობიან, მაგრამ, ზოგადად, სოციალურ-ეკონომიკური ფონი, ყოფითი პრობლემები, უმუშევრობა, დაბალი შემოსავლები ხელს უწყობს დეპრესიულ განწყობებს მოსახლეობაში.

**– სუიციდის აღმსრულებელი უშიშარი ადამიანია თუ პირიქით, სუსტი?**

– ცალსახად სისუსტეა, თვითმკვლელობა ეს არის არსებული რეალობიდან გაქცევა, პრობლემების გადაწყვეტის გზა. ეს ხდება მაშინ, როცა ადამიანმა სხვა გამოსავალი ვერ მონახა, ან ვერ გაუძლო არსებულ რეალობას. სხვა გამოსავალი ვერ მონახა და ვერ გაუძლო – ძლიერ ადამიანზე არ ითქმის. თუმცა არის სულ რაღაც წუთები, რომლის დროსაც ადამიანმა შეიძლება იგრძნოს თავი ძლიერად. თვითმკვლელი თავის თავზე ძლიერი ხდება, რადგან თვითონ წყვეტს საკუთარი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს, მაგრამ ეს განცდა მას თვითმკვლელობის პროცესში შეიძლება დაეუფლოს. საბოლოო ჯამში, ეს მაინც სისუსტეა.




**– შესაძლებელია, მშობელმა იეჭვოს შვილის მხრიდან მსგავსი გადაწყვეტილების შესახებ?**

– შესაძლებელია, მშობელმაც და არა მარტო მშობელმა, არამედ ყველა იმ ადამიანმა იეჭვოს, ვისაც მეტ-ნაკლებად ინტენსიური კონტაქტი აქვს... უბრალოდ, კარგია, თუ რამდენიმე ზოგად სიმპტომს ვიტყვით, როგორ იქცევა ადამიანი, რომელმაც სუიციდის გადაწყვეტილება მიიღო: 1. ყველა, ადრე მისთვის საინტერესო და საყვარელი საქმიანობის მიმართ უცბად ინტერესი ეკარგება; 2. ხდება თვითმკვლელობაზე საუბრის დაწყება, უფრო სწორად თემის შემოტანა, ხსენება, მაგრამ არა ხანგრძლივი დისკუსია და დებატები. საუბრის ბოლოს ნაღვლიანი ღიმილი და შესაძლებელია „ხუმრობაში გატარება“; 3. „ვალების“ გასტუმრება, უფრო მორალურის. მაგალითად, პატიების თხოვნა ძველ, მომხდარ ამბებთან დაკავშირებით და ა.შ.; 4. საყვარელი ნივთების გაჩუქება, თითქმის სრულად დარიგება... ეს არის ის სიმპტომები, რომლის შემთხვევაშიც მაქსიმალური ყურადღება გვმართებს.

**– შეიძლება ნინომ გადაწყვეტილება მეგობრების, მშობლების, ზოგადად, ახლობელი ადამიანების ყურადღების ნაკლებობის გამო მიიღო, თუ ეს იყო პროტესტი რაიმე კონკრეტული საკითხის მიმართ?**

– პროტესტი რაიმე კონკრეტული საკითხის გამო ნინოს არ ჰქონია.

**– ცნობილია, რომ ნინო ბოლო პერიოდში მოწყენილი იყო, მისი მეგობრებიც ამბობენ, რომ ისე აქტიურად აღარ ეკონტაქტებოდა მათ, მშობლები ატყობდნენ ამ ცვლილებას?**

– როგორც მშობლები ამბობენ, ატყობდნენ რაღაც ცვლილებებს, თუმცა სათანადო ყურადღება არ მიუქცევიათ.

**– სუიციდის გადაწყვეტილების მიღებისას და მისი აღსრულების დროს, შეიძლება ითქვას, ადამიანი ვერ აცნობიერებს საკუთარ ნაბიჯს?**

– ვერ – არა, უფრო, შეიძლება ითქვას, არასწორად აცნობიერებს. ძალიან ბევრი ადამიანი, რომელსაც სუიციდის მცდელობაც კი არ ჰქონია, ვერ აცნობიერებს თავის ნაბიჯებს.

**– მეგობრები ამბობენ, რომ ის ძალიან მხიარული გოგო იყო და ნებისმიერ სიტუაციაში შეეძლო, ეხუმრა, შეიძლება ამ თვისებას დაემალა ნინოს შინაგანი მდგომარეობა?**

– კი, ასეა, იუმორი ნინოს საიდენტიფიკაციო ნიშანი იყო.

**– როგორც მისმა ბავშვობის მეგობარმა გვითხრა, ძალიან იყო გატაცებული ფსიქოლოგიით. თუ იცით, რა ლიტერატურას კითხულობდა და რა ზეგავლენა შეიძლებოდა მოეხდინა ამას?**

– კი, ჩემთვის ცნობილია, ძალიან აინტერესებდა ფსიქოლოგია. სპეციალურ ფსიქოლოგიურ ლიტერატურას არ ვიცი, მაგრამ მხატვრულ ლიტერატურას კითხულობდა. თავისი ასაკისა და ახლანდელ თაობას თუ გავითვალისწინებთ, ძალიან კარგი გემოვნება ჰქონდა. სამწუხაროდ, ნინოს, სანამ ცოცხალი იყო, არ ვიცნობდი, ოჯახმა დახმარება მისი დაკარგვის შემდეგ მთხოვა... წარმოიდგინეთ: დოსტოევსკი, ალბერ კამიუ, ჰესე... ასევე, ფილოსოფიურ ლიტერატურასაც... ნიცშეს „ასე იტყოდა ზარატუსტრა“ და სხვა. ავტორები, რომლებიც მე ჩამოვთვალე, განსაკუთრებით დოსტოევსკი, მისთვის ყველაზე საყვარელი მწერალი იყო. რაც შეეხება გავლენას, საერთოდ უნდა გითხრათ, რომ გავლენას ნებისმიერი ნაწარმოები ახდენს და მით უმეტეს, თქვენ თუ ის მოგწონთ, გავლენის ფაქტი სახეზეა. თუ იმას გულისხმობთ, რომ ეს ავტორები რომ წაიკითხა, თავი იმიტომ მოიკლა, ეს მცდარი მოსაზრებაა.

**– საკუთარი ძმის გარდა, კიდევ სხვისთვის თუ უთქვამს თავისი გადაწყვეტილების შესახებ?**

– რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, არა.

**– ნინოს დაკარგვიდან მალევე გავრცელდა ნინოს წერილი, რომელიც სახლში იპოვეს, სადაც მშობლებს წერდა: არ მინდა თქვენი ნაწილი ვიყოო... შეიძლება გვითხრათ, რას გულისხმობდა ნინო...**

– არ იქნება სწორი, მე ან ვინმემ გითხრათ, რას გულისხმობდა. საიდან უნდა გითხრათ? მნიშვნელობა არ აქვს, რას ვიტყვით, ნინო მაინც ვერც დაადასტურებს და ვერც უარყოფს... მიეცით ადამიანებს ზოგადად იმის უფლება, რაღაც არ თქვან.




**„თვითმკვლელი თავის თავზე ძლიერი ხდება, რადგან თვითონ წყვეტს საკუთარი სიკვდილ-სიცოცხლის საკითხს“**

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

„ფაქტია, „ნაციონალური მოძრაობა“ გრ
საკუთარ შეცდომებზე ისწავლოს და ეს



**my View**

ხათუნა მგალობლიშვილი

„შენ თუ შენს რიგებში არ გაქვს დემოკრატია, დემოკრატიას ვერ ააშენებ“, – ნიკა რურუა საკუთარ გუნდს აკრიტიკებს და ურჩევს, წინსვლისთვის შიდაპარტიული რეფორმირება მოახდინოს. აღმოჩნდა, რომ ბევრს არ მოსწონდა ნაციონალების შიდა დემოკრატია, თვითდანიშნული ლიდერების განსაკუთრებული აქტიურობა და გადაწყვეტილებების მიღების წესი. პრინციპში, არჩევნების შემდეგ „ნაციონალურმა მოძრაობამ“ აღიარა კიდეც საკუთარი მინუსები და ერთ-ერთ ასეთ შეცდომად სწორედ პარტიული დისბალანსი დაასახელა. უკვე ვიცით, ვინ იღებდა გადაწყვეტილებებს ყოფილ მმართველ გუნდში. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ გადაწყვეტილების მიმღები ერთი კონკრეტული ადამიანი ნამდვილად არ ყოფილა. ამას რამდენიმე ლიდერი აკეთებდა, შემდეგ აზრს ერთ კონკრეტულს ეკითხებოდა და უკვე შემდეგ აცნობდნენ სიახლეს თანაპარტიელებს. დღეს ასე აღარ არის. ყოველ შემთხვევაში საპარლამენტო უმცირესობის წევრები ამბობენ, რომ პარტიაში განლაგება რადიკალურადაა შეცვლილი. მათივე განცხადებით, ახლა თითოეულ საკითხს გუნდი ერთად განიხილავს, მსჯელობს, ყველას აქვს საკუთარი მოსაზრების ხმამაღლა დაფიქსირების შესაძლებლობა და სწორედ კამათში ხდება საბოლოო ვერსიაზე შეჯერება.

როგორც აღმოჩნდა, ნიკა რურუა ამ პროცესს შედარებით შორიდან აკვირდება. იშვიათ შემთხვევაში ესწრება კიდეც მსგავს განხილვებს. სწორედ ამიტომ ის აცხადებს, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ ჯერ კიდევ არ არის დასავლური ტიპის დემოკრატიული პოლიტიკური ძალა...



# ნიკა რურუა: „ნაციონალურ მოძრაობაში“ ჯერ კიდევ არის ადამიანების მცირე ჯგუფი, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს, როგორც აქამდე იღებდა“



**ნიკა რურუა, ყოფილი მინისტრი:**

– „ნაციონალურ მოძრაობაში“ ჯერ კიდევ არის ადამიანების მცირე ჯგუფი, ვინც იღებს გადაწყვეტილებებს, როგორც აქამდე იღებდა. ახლა საჭიროა, მათ აირჩიონ დემოკრატიული აღმასრულებელი საბჭო, რომელსაც მთელი პარტია აირჩევს, ანუ კონსენსუსის წესით არჩეული ორგანო და სწორედ მან უნდა დაიწყოს პარტიული საქმიანობის გატარება, პარტიული პოლიტიკის დაგეგმვა და ცხოვრებაში გატარება. არ უნდა არსებობდეს ვერტიკალური სისტემა, ჯერჯერობით ეს რეფორმა „ნაციონალურ მოძრაობაში“ არ დამთავრებულა. როგორც ვიცი, სულ ახლახან დაიწყო ეს პროცესი. ყოველდღიურად არ ვესწრები ამ შეხვედრებს, თუმცა ჩემი კოლეგების დიდი ნაწილი სწორედ იქ არის და მეც ჩემს თავს მივიჩნევ ამ პოლიტიკური ძალის ნაწილად. ამიტომ ვიცი, რაც ხდება და ვუსურვებდი, რომ საკუთარ თავში მოძებნონ ძალა და გადაიქცნენ თანამედროვე, დასავლური ტიპის დემოკრატიულ პარტიად. იმედი მაქვს, რომ ნაციონალები შეძლებენ გადარჩენას და გაძლიერებას, რადგან ოპოზიციის გარეშე ქვეყანაც დაიღუპება და ჩვენი ევროპული მომავალიც. საჭიროა ძლიერი, გამოცდილი და აუცილებლად პასუხისმგებლობის მქონე ოპოზიცია. ჩვენ ასეთი ოპოზიცია არასოდეს გვყოლია და დიდი იმედი მაქვს, რომ ნაციონალები მოძებნიან ძალას, შიდა დემოკრატიული რეფორმა ჩაატარონ. შემდეგ ისინი შეძლებენ, იქცნენ თანამედროვე დასავლურ პარტიად, რომელიც ამ ეტაპზე ოპოზიციაში იმყოფება.

> „საჭიროა, მათ აირჩიონ დემოკრატიული აღმასრულებელი საბჭო, რომელსაც მთელი პარტია აირჩევს“

**– გადაწყვეტილების მიმღებ ორგანოში, როგორც აღნიშნეთ, უნდა შედიოდეს მიხეილ სააკაშვილი, ან თუნდაც მერაბიშვილი, როდესაც ის განთავისუფლდება?**

– ვისაც პარტიის წევრები ისურვებენ, ის უნდა შევიდეს ამ ორგანოში. რა თქმა უნდა, შეიძლება რომ იქ იყოს ერთიც და მეორეც, ან შეიძლება არც ერთი არ იყოს, თუ პარტიის უმრავლესობას არ ენდომება. როგორც პარტიას უნდა და როგორც დემოკრატიული წესი მოითხოვს, ისე უნდა გაკეთდეს.

**– თვითდანიშნული ლიდერი ბევრია ნაციონალებში?**

– ვინ არიან თვითდანიშნული ლიდერები, ამას არ ვიტყვი. ჩემი განცხადება ადამიანების წინააღმდეგ არ არის გაკეთებული, ეს არასწორია, მანკიერი სისტემის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადებაა. ამიტომ ეს სისტემა უნდა შეიცვალოს უკეთესი სისტემით, ეს არის და ეს. ის ადამიანები, ვინც თვითდანიშნულ ლიდერებად მოვიხსენიე, ისინიც უკეთეს სამსახურს



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## ძნობს აუცილებლობას, ძალიან კარგია“

# EXCLUSIVE

# „პოლიტიკური ნიშნით დაჭერილს ჯერ დემონიზაციას უკეთებენ და შემდეგ ამბობენ, ეს დამნაშავეა, სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი და აუცილებლად უნდა დავიჭიროთო“

გაუწევენ საკუთარ პარტიასაც და ქვეყანასაც, თუ დემოკრატიულად იმოქმედებენ.

**– როგორ ფიქრობთ, ამ „მანკიერი სისტემის“ შედეგებს აცნობიერებს „ნაციონალური მოძრაობა“?**

– კი, აცნობიერებს. ვისთანაც მე მაქვს საქმე და ვისთანაც ვლაპარაკობ ხოლმე, ისინი აცნობიერებენ.

**– უმრავლესობა ნაციონალებს ურჩევს, სააკაშვილის გარეშე გააგრძელონ ცხოვრება, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ გადარჩენის შანსი არ ექნებათ. თქვენ როგორ ფიქრობთ?**

– ახალი ხელისუფლება რას იტყვის, გარდა იმისა, რასაც ამბობს... რა თქმა უნდა, ისინი მაქსიმალურად შეეცდებიან, დააკნინონ და დაამცირონ ოპონენტის მნიშვნელობა და შესაძლებლობა. ეს ბუნებრივია. ფაქტია, „ნაციონალური მოძრაობა“ გრძნობს აუცილებლობას, საკუთარ შეცდომებზე ისწავლოს და ეს ძალიან კარგია. რა მოხდება, ამას ხალხი გადაწყვეტს.

**– რამდენად აქტიურად მიმდინარეობს „ნაციონალურ მოძრაობაში“ შიდა დემოკრატიული რეფორმის გატარება?**

– ეს მალე გამოჩნდება.

**– როდის?**

– სულ მალე.

**– რა იქნება ნაციონალების, როგორც ოპოზიციური ძალის, მთავარი როლი?**

– დემოკრატიული პასუხისმგებლობის მქონე უნარიანი ოპოზიციის როლი ძალიან მნიშვნელოვანია ქვეყნისთვის. ფაქტობრივად, შეცდომებისგან დაზღვევის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი არის პატრიოტული ოპოზიცია, რომელიც ქვეყნის ინტერესებზე მუშაობს და კორექტირებას უკეთებს მართველობის სადავეებით აღჭურვილ ძალას, ამ შემთხვევაში სახელისუფლებო ძალას.

**– ასოცირების ხელშეკრულება პარაფირებულია. ვიცით, რაც მოხდა უკრაინაში, ისიც ვიცით, რომ პუტინის ოცნება სააკაშვილის დაჭერა იყო, შეიძლება რუსეთმა საქართველოზე ზეწოლა სწორედ ოპოზიციური ლიდერების დაკავებით გამოხატოს და ამ გზით შეაფერხოს ხელმოწერის პროცესი ერთ წელიწადში?**

– რასაც თქვენ მეუბნებით, არის სპეკულაცია, ანუ ვარაუდი. მე არ მაქვს არანაირი ვარაუდი, რომ ეს შეიძლება ასე მოხდეს, თუმცა ბუნებრივია, შეიძლება მსგავსი იდეა არსებობდეს. დიდი იმედი მაქვს, რომ დღევანდელი ხელისუფლება ასეთ სიბრიყვეს არ ჩაიდენს, რადგან ეს ძალიან დააზიანებს არა მხოლოდ საქართველოს მომავალსა და რეპუტაციას, არამედ თავად იმ პოლიტიკურ ძალასაც, ვინც ასეთ შანტაჟს წამოეგება. ერთხელ მაინც თუ შესრულდება მსგავსი მოთხოვნა, მოწინააღმდეგე აუცილებლად მოითხოვს უფრო დიდსა და დიდს და ბოლოს ყველაფერს. არა მგონია ამ სპირალში შევიდეს თუნდაც საკმაოდ არაწინდახედული დღევანდელი ხელისუფლება.

**– ეს იმიტომ გკითხეთ, რომ უმრავლესობის წევრები, მთავრობის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ მათთვის არავის აუკრძალავს დამნაშავის დასჯა...**

– შეიძლება მათ, როგორც ასეთი, რუსული ინტერესების გატარება არ უნდოდეთ, მაგრამ ემსახურებიან რუსულ ინტერესებს, რადგან აკავებენ პოლიტიკურ ოპონენტებს. ეს თავისთავად არის მტრის წისქვილზე წყლის დასხმა. წინასწარ პატიმრობაში რომ აძლევ ორ მინისტრს, თანაც მშვიდობიანი არჩევნების შემდეგ, ეს ძალიან ცუდია. რა თქმა უნდა, ყველა იტყვის, დამნაშავეს ვსჯიო, ვინ იტყვის, უდანაშაულოა და მაინც ვსჯიო. ნებისმიერი პოლიტიკური დევნა კეთდებოდა სამართლიანობის სახელით და კანონის საფარქვეშ. პოლიტიკური ნიშნით დაჭერილს, ყველას, ჯერ უკეთებენ დემონიზაციას და შემდეგ ამბობენ, ეს დამნაშავეა, სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი და აუცილებლად უნდა დავიჭიროთო. ეს ბუნებრივია და ამას „არავინ ჭამს“, მით უფრო თავისუფალ სამყაროში. მათ ეს ეტაპები დიდი ხნის წინ, დაახლოებით შუა საუკუნეებში აქვთ გავლილი. იქ ყველამ იცის, რომ ნებისმიერი რეპრესია ხორციელდება სამართლიანობის სახელით. სწორედ ამიტომ ოპონენტების დაკავება ძალიან ცუდი იდეაა. თუ მტკიცებულება აქვს ვინმეს, მიიტანოს სასამართლოში და სწორედ იქ მოხდეს მტყუან-მართლის გარჩევა.

**„ვინ არიან თვითდანიშნული ლიდერები, ამას არ ვიტყვი. ჩემი განცხადება ადამიანების წინააღმდეგ არ არის გაკეთებული, ეს არის არასწორი, მანკიერი სისტემის წინააღმდეგ გაკეთებული განცხადება“**



## აკაკი ასათიანი ხელისუფლებას თვითმმართველობის რეფორმის ალტერნატიულ ვარიანტს სთავაზობს

ნინო დათაშვილი

**„ტრადიციონალისტები“ და „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“ თვითმმართველობის კოდექსის ალტერნატიულ ვარიანტს მალე პარლამენტში წარადგენენ. უკვე დაიწყო ხელმოწერების შეგროვება იმისთვის, რომ მათ მიერ შემუშავებული კანონის პარლამენტში ინიცირება მოხდეს. პარტიის ლიდერებმა რეფორმის საკუთარი ვარიანტის შინაარსი პარტიების რეგიონალური ოფისის წარმომადგენლებს გააცნეს. შეეცადნენ, თანაპარტიელებისთვის გასაგებ ენაზე აეხსნათ, მათ მიერ შეთავაზებული კანონპროექტის დადებითი მხარეები.**

აკაკი ასათიანი მიიჩნევს, რომ პირველი პრობლემა, რაც მთავრობის მიერ შეთავაზებულ თვითმმართველობის კანონშია, კანონის ბუნდოვანებაა. მათი აზრით, კოდექსის განხილვა ჩაკეტილ წრეებში არ უნდა ხდებოდეს და მასში არასაპარლამენტო პარტიებიც უნდა მონაწილეობდნენ. ჯავახაძე და ასათიანი იმედოვნებენ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით არასაპარლამენტო ოპოზიცია გაერთიანდება.

**აკაკი ასათიანი, „ტრადიციონალისტთა“ ლიდერი:**

– თვითმმართველობის შესახებ კანონი, რომელიც ხელისუფლებამ შემოგვთავაზა, ძალიან ბუნდოვანია. დამიჯერეთ, რამდენჯერაც არ უნდა წაიკითხოთ ის, ვერ გაიგებთ, რა წერია. ვერ მიხვდებით, როგორი მმართველობა შეიძლება იყოს ქალაქში ან სოფელში. აუცილებელია ამ საკითხებში მოსახლეობის გარკვევა. ბევრი რამ არასწორი და შესაცვლელია. მაგალითად, თვითმმართველი რაიონების გაზრდა. ეს დამატებით თანხებს გამოიწვევს. არჩევის წესიც შესაცვლელია. უნდა გამარტივდეს ადგილობრივი თვითმმართველი სტრუქტურა და მისი არჩევის წესი. ერთი სიტყვით, ბევრი რამ ბუნდოვანია. ვერ გაიგებ, რას გულისხმობს კანონი.

## ვახო სანაია ტელეკომპანია „იმედს“ ტოვებს



ვახოჟურნალისტი ვახო სანაია ტელეკომპანია “იმედს” ტოვებს და “მაესტროზე” გადადის. ამის შესახებ ინფორმაციას სააგენტო “პირველი” ავრცელებს.

როგორც “პირველისთვის” გახდა ცნობილი, ჟურნალისტთან მოლაპარაკებები მიმდინარეობს. აღნიშნული ინფორმაცია “პირველმა” “მაესტროს” გენერალურ დირექტორთან ბაია გადაბაძესთან გადაამოწმა.

“გიდასტურებთ, რომ ვახო სანაიასთან მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ. მისგან წინასწარი სიტყვიერი თანხმობა გვაქვს, თუმცა რაიმეს დაზუსტებით თქმა მხოლოდ მას შემდეგ იქნება შესაძლებელი, რაც ის კონტრაქტს მოაწერს ხელს”, - განაცხადა ბადაგაძემ.

მისივე თქმით, საუბარია კონკრეტულ სატელევიზიო პროექტზე, თუმცა ტელეკომპანიის ხელმძღვანელმა დეტალებზე საუბრისგან ამ ეტაპზე თავი შეიკავა.

“პირველმა” ინფორმაციის დაზუსტება ვახო სანაიასთანაც სცადა, თუმცა მასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ვილნიუსი



# იანუკოვიჩი ლუკაშენკოს ემსგავსება, უკრაინაში ვითარება იძაბება

ქეთი ხატიაშვილი

**უკრაინაში პოლიტიკური ვითარება დაიძაბა. იანუკოვიჩის გადაწყვეტილებამ – ხელი არ მოაწეროს ევროკავშირთან ხელშეკრულებას, გამოსვლები გამოიწვია. მაიდანზე კარვებიც დადგეს. ვილნიუსის სამიტის წინ უკრაინის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ხელისუფლება არ დაუშვებს 2003 წლის განმეორებას. უკვე ვილნიუსის შემდეგ მშვიდობიანი მიტინგი იანუკოვიჩის ხელისუფლებამ დაარბია. სამდღიანი გამოსვლების შემდეგ მილიციამ ტერიტორიის გაწმენდა იმით ახსნა, რომ ახალ წელთან დაკავშირებით მაიდანზე ნაძვის ხე უნდა დაიდგას. დარბევას უკვე მოჰყვა მძაფრი შეფასებები და რადიკალური მოთხოვნები, მათ შორის იანუკოვიჩისა და მთელი მთავრობის გადაყენების შესახებ.**

**„პირველი რადიოს“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით:** უკრაინაში გამთენიისას მომხდარი დარბევის დროს ქართველი ჟურნალისტებიც დაშავდნენ. დაშავებულებს შორისაა „როიტერის“ ოპერატორი დავით ჩხიკვიშვილი. „გუშინ, გვიან ღამით, ჩვენ მოედანზე ვიღებდით აქციას. სიტუაცია იყო ასეთი: ოპოზიციას მოჰყავდა ორი მიკროავტობუსი აუდიოგახმოვანებისთვის და პოლიციამ გაუკეთა ბლოკირება. ხალხი ცდილობდა, გაეთავისუფლებინა, შემდეგ პოლიციასთან რაღაც შეტაკება მოუვიდათ. მერე მოვიდა სპეცრაზმის ნაწილი. ჩვენი ფოტოგრაფი დაშავდა იმიტომ, რომ თავში ხელკეტი მოხვდა და თავი გაუტეხეს. მე კი კამერა დამემტვრა“, – განაცხადა ჩხიკვიშვილმა. დღეს, გამთენიისას, პოლიციის მიერ მომიტინგეთა დარბევის დროს ათეულობით ადამიანი დაშავდა, არიან დაკავებულებიც.

„ინტერფაქს უკრაინას“ მიერ გავრცელებული ცნობით, ვიქტორ იანუკოვიჩის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგეი ლევოჩკინი თანამდებობიდან გადადგა. ამით მან მაიდანის დარბევა გააპროტესტა.

ასე რომ, უკრაინაში პროცესები, როგორც ჩანს, კიდევ უფრო დაიძაბება. არჩევანი, რომლის წინაშეც უკრაინა დადგა, მარტივი არ არის – ევროკავშირი თუ ევრაზია. კიევი თითქოს ცივილიზაციათა დაპირისპირების ხაზზე დგას...

ვილნიუსის სენსაცია შედგა – ევროკავშირის ლიდერებმა იანუკოვიჩი ხელშეკრულების ხელმოწერაზე ვერ დაითანხმეს. უკრაინის პრეზიდენტი მხოლოდ იმიტომ ჩავიდა, რომ კიდევ ერთხელ მოღუშული და შეშფოთებული სახით ეთქვა ევროპელი კოლეგებისთვის, როგორ ზეწოლას განიცდის უკრაინა რუსეთისგან. თუმცა, გაირკვა, რომ ცრემლის მხოლოდ მოსკოვს კი არა, ბრიუსელსაც არ სჯერა. ამიტომაც, როცა გერმანიის კანცლერმა მერკელმა იანუკოვიჩს ხელი არ ჩამოართვა, ამ ჟესტში ყველამ პროტესტი ამოიკითხა.

იანუკოვიჩი შესაძლოა, ის პაიკი იყო, რომლის გათამაშებითაც პუტინმა ევროკავშირს მესიჯი გაუგზავნა, – ამ სახლის პატრონი მე ვარო... თუმცა, ექსპერტების ნაწილმა უკრაინის პრეზიდენტის თავშეკავებულობა მისი პრორუსობით კი არ ახსნა, არამედ ვაჭრობის მცდელობით. კიევი თითქოს ცდილობს, რაც შეიძლება მეტი ფული მიიღოს ევროკავშირისგან ხელშეკრულების გაფორმების სანაცვლოდ. სწორედ ვაჭრობად მოინათლა იანუკოვიჩის მოთხოვნა – ევროკავშირმა 160 მილიარდი დოლარი გადაგვიხადოს, ჩვენ სერიოზული ქვეყანა ვართო. როგორც იტყვიან, ანკესი გადაგდებულია, ახლა ევროკავშირზეა დამოკიდებული, რამდენ ოქროს თევზს „დააჭერინებენ“ სურვილების ასასრულებლად კიევს.

პუტინმა უკრაინის ევროკავშირთან მოლაპარაკებების პროცესს დუმილით უპასუხა, თუმცა, ახლა მან გადაწყვიტა, რომ არა მხოლოდ ნატოს დაუკეტოს გზა, არამედ ევროკავშირსაც.

ბრიუსელს, შეიძლება ითქვას, ხუთწლიანი მოლაპარაკება და მუშაობა იანუკოვიჩმა მოსკოვში ერთი ვიზიტით ჩაუყარა წყალში. მხოლოდ მოსკოვს შეუძლია, უკრაინას შესთავაზოს, მაგალითად, გაზზე ფასების დაწევა. და მხოლოდ მოსკოვს შეუძლია, სხვადასხვა მეთოდებით უკრაინის სამაგალითოდ დასჯა, მაგალითად, იგივე ელექტრომატარებლებზე ფასების აწევით ან ბაზრის დაკეტვით... ევროკავშირს ასეთი რადიკალური მეთოდები არ აქვს, იქ სტანდარტული წესები არსებობს, რომელსაც ან ასრულებ, ან – არა...

უკრაინამ კი ევროკავშირის თამაშის წესებზე უარი განაცხადა, ჯერ კიდევ მაშინ, როცა ტიმოშენკოს (ყოფილი პრემიერის) ციხიდან გამოშვებაზე თქვა უარი. ბრიუსელმა კი 1980 წლის გამოცდილება არ გაიმეორა, მაშინ საბერძნეთი მიიღო მთელი თავისი პრობლემებით თავის რიგებში. ეს გამოცდილება შემდეგ იგივე ესპანეთისა და პორტუგალიის მიღების შემთხვევაშიც დაიცვა და დღემდე ცდილობს, დაწესებულ პრინციპებს არ გადაუხვიოს.

საბერძნეთის მაგალითმა და მოგვიანებით იტალიის შემთხვევამაც – ევროზონაში მისი გაწევრიანების შემთხვევაში – აჩვენა, რომ ზეწოლის ბერკეტები ბრიუსელს აქვს მანამ, სანამ ამა თუ იმ ქვეყანას ევროკავშირში გააერთიანებს. ასე რომ, იანუკოვიჩს შეღავათებს არ მისცემენ, ასე თვლიან ბრიუსელში.

ექსპერტები კიევს სერიოზულ ეკონომიკურ პრობლემებს უწინასწარმეტყველებენ, მით უფრო, რომ ის არ ითვალისწინებს მსოფლიო ბანკის რეკომენდაციებს, რაც, მათ შორის, ფასების ზრდასაც გულისხმობს. პოლიტიკურად იანუკოვიჩის უარი ფასების ზრდაზე გასაგებია – არჩევნები უკრაინაში 2015 წელს გაიმართება. თუმცა, მეორე მხრივ ექსპერტები ამბობენ, რომ აღებული გეზით იანუკოვიჩი ჩიხში შედის.

მით უფრო, რომ ზუსტად არავინ იცის, რა მოლაპარაკებები შედგა იანუკოვიჩსა და პუტინს შორის და რას ელოდება კიევი მოსკოვისგან. ახლა ბევრი იანუკოვიჩს ლუკაშენკოსაც კი ადარებს.

ლუკაშენკომ 2 წლის წინათ რუსეთისგან 20 მილიარდი დოლარი მიიღო, თუმცა, ექსპერტების თქმით, მან ეს ფული უკვე გახარჯა და კრემლისგან ახალ „შემწეობას“ ითხოვს.

შეღავათებს თითქოს მოსკოვი უკრაინასაც დაჰპირდა, წელიწადში 10 მილიარდი დოლარის სახით, გაზზე ფასების დაწევის ხარჯზე. ფასებს პუტინი საკუთარი პოლიტიკური გეგმების ასაწყობად უკვე დიდი ხანია იყენებს.

## ვაჭრობა და პოლიტიკა

ექსპერტების შეფასებით, იანუკოვიჩი იგივე შეცდომას უშვებს, რაც ლუკაშენკომ დაუშვა – ისინი მოსკოვთან გარიგებაზე მიდიან. შესაძლოა, პოლიტიკისთვის გარიგებები უცხო სულაც არ იყოს, მაგრამ, როცა საქმე პუტინს ეხება, იქ არასოდეს იცი თამაშის წესები. თავად პუტინი ხდება ცხოვრების წესი – თუ სურს, ბაზარს გაგიღებს, ან დაგიკეტავს. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, როგორი განწყობები აქვს კრემლის პირველ პირს.





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# და ევრაზია



## კიევი ბრიუსელს ფულით აშანტაჟებს, საპასუხოდ იანუკოვიჩს მოახლოებულ არჩევნებს ახსენებენ



ევროპა, ამ მხრივ, სხვა წესებით თამაშობს. მისი ზეწოლის ბერკეტები მის უპირატესობებშია. მაგალითად, გინდა ისარგებლო უვიზო რეჟიმით ან საბაზრო შეღავათებით? მაშინ იცხოვრე ევროპული სტანდარტებით.

იანუკოვიჩი ახლა არჩევანის პირას დგას – საბაჟო კავშირი თუ ევროკავშირი. არჩევანიც თითქოს მარტივი და ნათელია. ევროკავშირის უპირატესობები იმდენად თვალხილულია, რომ მისი ვერშემჩნევა, უბრალოდ, შეუძლებელია. ევროკავშირის ბაზარი 10-ჯერ აღემატება რუსეთის ბაზარს. ექსპერტების გათვლებით, ევროკავშირთან ერთად უკრაინის ეკონომიკას გაზრდისა და განვითარების მეტი პერსპექტივა აქვს.

იანუკოვიჩი რუსეთის ზეწოლზე საუბრობს და ამით ბრიუსელს აშანტაჟებს, ბრიუსელი კი პოლიტიკურ კალენდარზე იხედება – 2015 წელს არჩევნებია და ცუდი სოციალური ფონი შესაძლოა, სწორედ ის ნალმი აღმოჩნდეს, რომელიც საარჩევნო უბნებზე აფეთქდება.

თუმცა, როცა აქცენტი ევროკავშირის ბაზარზე კეთდება, მაშინ ზოგიერთები მედალს მეორე მხარეს ატრიალებენ – კი მაგრამ, ევროპულ ბაზარზე უკრაინული პროდუქცია ხომ არაკონკურენტუნარიანი იქნება? და ასეცაა. ასეთი კითხვები საქართველოსთან მიმართებაშიც ისმება.

თუმცა, როგორც მიიჩნევენ, ევროკავშირთან თანამშრომლობა ეს ახალ უცხოურ ინვესტიციებსაც ნიშნავს, რომლებსაც არ აფრთხობს ფულის დაბანდება, რადგანაც იციან, რომ მათთვის ევროპული ბაზარი ღიაა.

მეორე მხარეს არის ის, რაც ჯერ პუტინის წარმოსახვაშია – ევრაზიული კავშირი და ის, რაც ჯერ მხოლოდ დაიწყო და ტემპი ვერაფრით აკრიფა – საბაჟო კავშირი.

საბაჟო კავშირში ჯერ მხოლოდ ყაზახეთი და ბელორუსი შევიდნენ. ყაზახეთი დარწმუნებული იყო, რომ ამისგან არაფერი გამოვიდოდა, მის ამ განწყობებს დსთ-ს სივრცეში თითქმის ყველა იზიარებდა, მათ შორის ლუკაშენკოც თუმცა, მას ფინანსების ინტერესი უფრო ჰქონდა. ამის გარდა, ევროპამ პერსონა ნონ გრატად გამოაცხადა, რამაც ლუკაშენკოს, პუტინის გარდა, პარტნიორი აღარავინ დაუტოვა.

ლუკაშენკოც საბჭოთა „პაკალენიაა“. პუტინის მსგავსად, ისიც ვერ ეტევა ევროპულ სტანდარტებში.

იანუკოვიჩსაც, ლუკაშენკოს მსგავსად, შეიძლება მხოლოდ ფინანსები აინტერესებდეს, ამიტომაც შეადარეს ის ექსპერტებმა ბელორუსის პრეზიდენტს.

პუტინი ცდილობს, ევროკავშირის ალტერნატიული ჯერ ეკონომიკური და შემდეგ უკვე პოლიტიკური გაერთიანება შექმნას.

ექსპერტების გამოთვლებით, საბაჟო კავშირში გაერთიანებით ბელორუსის ბაზარი მხოლოდ 10%-ით გაიზარდა, რაც საკმაოდ მცირე სივრცეა ეკონომიკური ზრდისთვის. თუმცა, ვარაუდობენ, რომ უკრაინის ხელშეკრულებასთან მიერთებით ბაზარი კიდევ უფრო გაიზრდება, ამას კი ემატება მთელი ის სივრცე, რასაც ეგრეთწოდებული დსთ ჰქვია, პლუს საქართველო.

ექსპერტებმა ევრაზიულ კავშირზე საუბარი მაშინ დაიწყეს, როცა ჯერ კიდევ 2011 წელს ამის შესახებ თავად პუტინმა გამოაქვეყნა წერილი, თუ არ ვცდები, გაზეთ „იზვესტიაში“.

შეფასებები ასეთია: ევროკავშირი პოლიტიკურად უფრო და ეკონომიკურად შედარებით სტაბილური ქვეყნების ერთობაა. საბერძნეთის ტერიტორიულ პრობლემას თუ არ ჩავთვლით (კვიპროსს), სხვა ტერიტორიული პრეტენზიები ქვეყნებს სხვა ქვეყნებთან არ გააჩნიათ. იმ სივრცეში კი, სადაც რუსეთი გაბატონებას ცდილობს, ყველა ქვეყანას პრობლემები აქვს. საქართველოს, აზერბაიჯანს სომხეთსა და მოლდოვას.

როცა იანუკოვიჩი რუსეთისგან ზეწოლაზე საუბრობს, მას, რა თქმა უნდა, გაზის ფასები აქვს მხედველობაში – რუსეთმა გაზი შეიძლება გააძვიროს ან სულაც გადაკეტოს, ზამთარში მას ასეთი მეთოდები გამოუყენებია, მათ შორის შევარდნაძის დროს საქართველოშიც. მაგრამ ახლა საქართველო ელექტრომატარებლების თვალსაზრისით რუსეთზე დამოკიდებული აღარ არის. ამის შესახებ „რიოტერთან“ საუბარში პრემიერმა **ირაკლი ღარიბაშვილმაც განაცხადა:**

– უკრაინის გადაწყვეტილება ძალიან სამწუხაროა, მაგრამ საქართველოსა და უკრაინას სხვადასხვა ისტორია აქვთ, საქართველო რუსეთზე ნაკლებად დამოკიდებულია, ვიდრე უკრაინა. რუსეთმა შესაძლოა, გამოიყენოს პოლიტიკური და ეკონომიკური ბერკეტები საქართველოზე ზეწოლის განსახორციელებლად, თუმცა მჯერა, რომ ეს არ შეიძლება, იყოს სერიოზული...

ეს შესაძლოა ასეა, თუმცა, აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი სწორედ ის ბერკეტია, რომელიც შეიძლება რუსეთმა გამოიყენოს, როგორც ერთხელ უკვე გამოიყენა და საქართველო იძულებული გახადა, დსთ-ში შესულიყო.

ინფორმაციისთვის: ევრაზიის იდეა რუსეთში ჯერ კიდევ გასული საუკუნის 20-30 წლებში გაჩნდა. ჯგუფს, რომელიც ასეთ გაერთიანებაზე საუბრობდა, საბჭოთა კავშირის რეფორმირება ჰქონდა მხედველობაში. მეორედ ეს თემა დღის წესრიგში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დადგა, სხვათა შორის, ამ პროექტს მხარს სახაროვიც უჭერდა. მესამედ კი ის ახლა პუტინმა გააჟღერა.

ამბობენ, რომ გაერთიანებაში აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონიც შევა. შესაბამისად, საქართველოს ევროკავშირი და საერთაშორისო საზოგადოება წყალივით სჭირდება.

გამოიყენებს თუ არა რუსეთი კონფლიქტებს ბერკეტად? ამბობენ, რომ კი. ისიც ითქვა, რომ, როცა ნინო ბურჯანაძემ იცის, რა უნდა გააკეთოს მას კონკრეტული სქემაც აქვს ტერიტორიული „აღდგნით“ ევრაზიულ კავშირში შესვლის. ეს სქემა კი კონსტიტუცია ყოფილა. კონსტიტუციაში ჩაიწერება, რომ საქართველოს აქვს, მაგალითად, ფედერალური მოწყობა, რასაც არ გააპროტესტებს რუსეთი და ასე შევალთ ევრაზიაში. ანუ რუსეთი კი არ წაიღებს თავის აღიარებას უკან, არამედ ჩვენ ამ ტერიტორიებს ჩავწერთ კონსტიტუციაში, უფრო სწორედ დავაზუსტებთ ქვეყნის მოწყობის ფორმას.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# შურისძიება სადახლოზე




გიორგი ფირანიშვილი

## ვინ იყო საქართველო-სომხეთის საზღვარზე ჩაცხრილული გიორგი ფირანიშვილი? რას უყვებიან გარდაცვლილის მეგობრები „პრაიმტაიმს“? რა საერთო აქვს გარდაცვლილ მერაბ კალანდაძეს ვატო ყიფიანთან?

მირიან ბოქოლიშვილი

**კრიმინალურმა გარჩევამ, რომელიც მსხვერპლით დასრულდა, გასულ კვირას ბევრი აალაპარაკა, თუმცა კვლავაც ბუნდოვანი რჩება, რას მოჰყვა სადახლოზე განვითარებული მოვლენები? მომხდარიდან რამდენიმე წუთში სამართალდამცველებმა ექვსი პირი დააკავეს. მათ რუსთავის საქალაქო სასამართლომ წინასწარი პატიმრობაც შეუფარდათ, თუმცა, როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, არც ერთი მათგანი დანაშაულს ამ დრომდე არ აღიარებს. რამდენიმე მათგანი წარსულში სხვადასხვა დანაშაულისთვისაა ნასამართლევი და პრესაში „ავლაბრის დაჯგუფების“ წარმომადგენლებად მოიხსენიება.**

### პრეისტორია

ირკვევა, რომ სადახლოზე განვითარებულ მოვლენებს წინ უძღოდა ორი დღის წინ ვაკეში, აბაშიძის ქუჩაზე მომხდარი „რაზბორკა“, რომელიც მალე ვაკის პარკის მიმდებარე ტერიტორიაზე ხელჩართულ ჩხუბში გადაიზარდა. სწორედ ამ დროს დაიჭრა „ავლაბრის დაჯგუფების“ ერთ-ერთი წევრი, რომელიც ერთ-ერთი ბრალდებულის ძმა გახლავთ. მეორე მხარეს კი სადახლოზე მომხდარი სროლისას გარდაცვლილი გიორგი ფირანიშვილი და დაჭრილი დილარ მუკბანიანი წარმოადგენდნენ. ერთ-ერთი ვერსიით, ვაკეში დაწყებული და სადახლოზე ტრაგედიით დასრულებული ისტორია გოგოს უკავშირდება, თუმცა ჩვენ შეგნებულად თავს ვარიდებთ ამ გოგონას ვინაობის დასახელებას, ისევე როგორც მასთან დაკავშირებულ დეტალებს. ვაკეში დაწყებული გარჩევის შემდეგ მუკბანიანმა და ფირანიშვილმა სიტუაციისგან გარიდება სცადეს და სომხეთში გადასვლას აპირებდნენ, სადაც მათ მუკბანიანის მამის მეგობარი მერაბ კალანდაძე აცილებდათ, თუმცა საზღვარზე გადასვლა ვერ მოასწრეს. მათ სადახლოსთან თბილისიდან მანქანა წამოეწიათ, საიდანაც „მაკაროვის“ ტიპის იარაღიდან ცეცხლი გაუხსნეს. სროლის შედეგად გიორგი ფირანიშვილი და მერაბ კალანდაძე დაიღუპნენ, დილარ მუკბანიანი კი მძიმედ დაიჭრა. რა გახდა რეალურად ახალგაზრდებს შორის სისხლიანი დაპირისპირების მიზეზი? ეს, ალბათ, უფრო მაშინ გაირკვევა, როდესაც მუკბანიანი სასამართლოს ჩვენებას მისცემს. სროლის შემდეგ თავდამსხმელები, რომლებიც ორი ავტომობილით გადაადგილდებოდნენ, სადახლოდან მიმალვას შეეცადნენ, თუმცა მათ საპატრულო პოლიცია მაშინვე დაედევნათ. გაქცევისას ერთ-ერთი ავტომობილი ბოძს შეეჯახა, მეორე ავტომობილის დაკავებაც მალევე მოხერხდა.

### ვინ იყო გიორგი ფირანიშვილი?

მოკლული ფირანიშვილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარიის სამსახურის უფროსის მოადგილის, ნუგზარ ფირანიშვილის ვაჟია. „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, რომ ის საკმაოდ პერსპექტიული წყალბურთელი გახლდათ და ნაკრების წევრებთანაც ახლო მეგობრობა აკავშირებდა. ჩვენ გარდაცვლილის რამდენიმე მეგობარს გავესაუბრეთ, თუმცა მომხდარის მიზეზებზე საუბრისგან ყველა თავს იკავებს. გთავაზობთ საქართველოს წყალბურთის ნაკრების რამდენიმე წევრის კომენტარს, რომლებიც გიორგისთან მეგობრობდნენ.

**ტატო ნიკოლეიშვილი, წყალბურთელი:**

– გიორგი ჩვენთან შედარებით მაინც ბავშვი იყო, მაგრამ ახლოს ვიყავით. ჩვეულებრივი თბილისელი ბიჭი იყო, პატიოსანი ახალგაზრდა. სამწუხაროა, რომ ასეთი უბედურება დატრიალდა. გიორგი დიდი დანაკარგია წყალბურთისთვისაც, მისი მეგობრებისთვისაც და ზოგადად ქვეყნისთვის. ჩვენთან ერთად ვარჯიშობდა ხოლმე.

**– წარსულში რაიმე კონფლიქტი მოსვლია?**

– არა, გიორგი საერთოდ არ იყო ასეთი ტიპი, რომ ვინმესთან რამე მსგავსი მოსვლოდა. ვარჯიშზე დადიოდა და თავის ძმაკაცებთან ერთად იყო უბანში, მაგრამ რაიმე კონფლიქტი რომ მოსვლოდა, არ მახსენდება.

**– თვითონ ამ შემთხვევასთან დაკავშირებით რა შეგიძლია მითხრა?**

– არაფერი. უბრალოდ, გაოგნებულები ვართ.

**გუგა ქერქაძე, წყალბურთელი:**

– ძალიან საწყენია, რადგან ძალიან კარგი ახალგაზრდა დაიღუპა, კარგი სპორტსმენი და ადამიანი. გიორგი უაღრესად განათლებული და პატიოსანი ბიჭი იყო. სიტყვები არ მყოფნის, რატომ უნდა მომხდარიყო ეს, როდესაც საერთოდ არ იყო კონფლიქტური ადამიანი.

**მიშა ბაღათურია, წყალბურთელი:**

– გიორგი ნაკრებში არ იყო, მაგრამ ხშირად ვხდებოდით ერთმანეთს, თვითონ კლუბში თამაშობდა. სამწუხაროდ, მოხდა ის, რაც მოხდა. ჩვენც, როგორც ყველა, ველოდებით გამოძიებას, რადგან ჩვენც არ ვიცით არანაირი დეტალი. გვაინტერესებს, რისთვის მოკლეს ეს ახალგაზრდა კაცი.

**ბრალდებულებს წინასწარი პატიმრობა შეეფარდათ, თუმცა დანაშაულს არ აღიარებენ**

### რა აკავშირებდა მერაბ კალანდაძეს ვატო ყიფიანთან?

რაც შეეხება გარდაცვლილ მერაბ კალანდაძეს, რომელიც, როგორც უკვე გითხარით, დილარ მუკბანიანის მამის მეგობარია და ბიჭებს სომხეთში გადასვლაში ეხმარებოდა... ის ბიზნესწრეებში საკმაოდ ცნობილი პიროვნება გახლდათ. მერაბ კალანდაძე, არსებული ინფორმაციით, საქართველოში გაზგასამართი სადგურების ბიზნესს ფლობდა და ამ სფეროში მონოპოლისტად ითვლებოდა. მის ბიოგრაფიაში საჯარო სამსახურიც ფიგურირებს: 2009 წელს ის საქართველოს ეკონომიური განვითარების სამინისტროს ზედამხედველობის სახელმწიფო ინსპექციის, ბუნებრივი თხევადი გაზისა და მაგისტრალური გაზსადენების სისტემების ზედამხედველობის სამმართველოში მუშაობდა. იმ პერიოდში კალანდაძე, სხვა 19 პირთან ერთად, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ერთ-ერთ წევრად ცნეს და დიდი რაოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე დააკავეს. დაბოლოს, „პრაიმტაიმმა“ გაარკვია, რომ გარდაცვლილ მერაბ კალანდაძეს ახლო მეგობრობა აკავშირებდა ცნობილ „კანონიერ ქურდ“ ვატო ყიფიანთან. ასე რომ, გამორიცხული არ არის, ამ ტრაგედიით დასრულებულ ისტორიას გაგრძელება მოჰყვეს.



გიორგი ფირანიშვილი



მერაბ კალანდაძე



ვატო ყიფიანი

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ენების დაცვა თუ საქართველოს დაშლა? - ცო

**არჩილ გამზარდია**
**საზოგადოებრივი კომუნიკაციების მართვის სპეციალისტი**

წლების განმავლობაშიც და მათ შორის ბოლო პერიოდში, მცირე ჯგუფები იმ მიზნით აქტიურობენ ხოლმე, რომ საბჭოური რეჟიმის შემდგომაც ცდილობენ ქართული ეროვნული შეგნება განცალკევებულ თემობრივ-ტომობრივ შეგნებამდე დაიყვანონ. ამ მიზნით წარმოდგენილი დარგობრივი სპეციალისტები, უპირველეს ყოვლისა, თავადვე იწყებენ ხმაურს, რომ მათი ინტერესები მხოლოდ პროფესიულია და არაფერი საერთო არ აქვთ პოლიტიკასთან. ამის დასტურის საიმიჯო მახასიათებლის მოპოვების შემდეგ კი ისინი სწორედ რომ ახორციელებენ დაკვეთილ პოლიტიკას.

ასეთი სპეციალისტები, ხშირად საზოგადოების ყველაზე დამსახურებული და საპატიო წრეებიდან გამოდიან, ქმნიან რა საფუძვლებს თავიანთი პროფესიული მიმართულებებით. ამ ეტაპის შემდგომ უკვე ვრცელდება შესაბამისი პოლიტიკის სტრატეგიული გეგმის განხორციელება, ისე რომ უპირველეს ყოვლისა, სწორედ აღნიშნული წარმომადგენლები (საზოგადოებისათვის ცნობილი პირები, მეცნიერები, მკვლევარები, დარგობრივი სპეციალისტები) გაიძახიან, ჩვენს საქმიანობას არაფერი საერთო პოლიტიკასთან არ აქვსო.

პოლიტიკური მიზნების საზოგადოებისათვის წმინდა სამეცნიერო მსჯელობებად გასაღებაც (ანუ გამოთქმა, მეცნიერება პოლიტიკის გარეშე, კულტურა პოლიტიკის გარეშე, სპორტი პოლიტიკის გარეშე და ა.შ.) ასევე პროპაგანდისტული ტექნოლოგიების ნაწილია. პროპაგანდისათვის, ისევე, როგორც სხვა ნებისმიერი სახის მანიპულაციისათვის, მთავარ ამოცანას წარმოადგენს ადამიანის ცნობიერების ფსიქოლოგიური წინააღმდეგობის ლიკვიდირება. იგულისხმება ნებისმიერი საშუალება, რომელიც შეტყობინების მიმართ ინტერესს აღვივებს და ამავდროულად თავისი ინტერესების შესაბამისად ტრანსფორმირებას უწევს მთავარ აზრს, ბლოკავს რა მის კრიტიკულ აღქმას.

მსგავსი სტანდარტული მოდელებითა და ტექნოლოგიებით მიმდინარეობს ამჟამად ჩვენში მიზანმიმართული პოლიტიკა ე.წ. „ენათა და ეთნიკურ ჯგუფთა" სტატუსებთან დაკავშირებით. ეს პროცესი წლების განმავლობაში მიმდინარეობს და ამ წერილის არსებით თემებზე ჯერ კიდევ 2008 წელს ვსაუბრობდი, ამჯერად პროცესს თვითმმართველობის კანონპროექტი ჩაუდგა სათავეში და ხსენებული პოლიტიკა, როგორც მომგებიანი სტრატეგია, არა პირდაპირ პოლიტიკურ, არამედ სხვა საზოგადოებრივ ასპარეზზე ხდება.

ისტორიამ შემოგვინახა ფურცლები, როდესაც რუსული ბატონობის პერიოდში არაერთხელ შეეცადნენ ქართველი ერის დიფერენცირებას. მაგალითად, ცნობილია შემთხვევა, როდესაც რუსულმა მმართველობამ ლამის იყო და დამწერლობა „შეუქმნა" სვანებსა და მეგრელებს, შემდეგ იყო და მღვდელმსახურება კინაღამ აღავლენინეს „სვანურ და მეგრულ ენებზე" ა.შ. და ა.შ. ასეთ პოლიტიკას ჩვენში თავისი წარმომადგენლებიც ჰყავდა, თუმცა, მათი ძალისხმევის მიუხედავად, საბედნიეროდ, ლოგიკური წარუმატებელი შედეგები მოჰყვა და მცდელობები დღემდე მხოლოდ მცდელობებად დარჩა.

„საინტერესო" შემთხვევა მოხდა რამდენიმე წლის წინ საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, გარკვეულ მეცნიერთა ჯგუფის ინიციატივითა და უცხოური დაფინანსებით (მათ ვინაობას ქვემოთ შეიტყობთ), დასავლეთ საქართველოს სამეგრელოს რეგიონში კვლევითი სამუშაოები ჩატარდა, ე.წ. „კითხვარი ქართველურ ენებზე მოლაპარაკეთათვის".


AFP

მეცნიერთა ერთი ჯგუფის განცხადებით, მოცემულ კითხვარში ერთმანეთთან დაპირისპირებულია საერთო ქართული და ადგილობრივი კუთხური ცნობიერება და ერთ სიბრტყეზეა მოცემული სახელმწიფო, სალიტერატურო, საეკლესიო ენა - ქართული და ქართველური კილო-კავები. მეცნიერთა ამ ნაწილის პოზიციაა, რომ ქართველთა სამწიგნობრო ენა დაეფუძნა საერთო ქარველურ ენას და არა რომელიმე ერთ კონკრეტულ ქართულ კილოს. შესაბამისად, ქართველთა საერთო ენასთან (დედა ენასთან) მიმართებაში, ქართველთა ყველა სხვა ზეპირი სამეტყველო ერთეული კუთხურ კილოდ განიხილება.

ხსენებული შეხედულების საწინააღმდეგოდ, მეცნიერთა სხვა ჯგუფი ქართველურ კილოებს ენებად განიხილავს, მათ მფლობელებს კი - შესაბამისად, ენობრივ თუ ეთნიკურ უმცირესობად.

სხვა მასალებს შორის, მე მოვიძიე ხსენებული „კითხვარი", რომელიც, როგორც თავდაპირველად ვივარაუდე, ჩემთვისაც უნდა ყოფილიყო განკუთვნილი. ანკეტის სახელწოდებაა: „კითხვარი ქართველურ ენებზე მოლაპარაკეთათვის". როგორც შევიტყვე, ეს „კითხვა" თურმე ნებისმიერი მეგრელისა თუ სვანისათვის კი არ არის განკუთვნილი, არამედ მხოლოდ „ჭეშმარიტი" მეგრელებისა და „ჭეშმარიტი" სვანებისთვის.

„ჭეშმარიტ მეგრელობასა" თუ „ჭეშმარიტ სვანობასთან დაკავშირებით", იგულისხმება, რომ მაგალითად, თბილისში, ქუთაისში, თელავში ან სადმე სხვაგან მცხოვრები მეგრელი არ არის საინტერესო გამოკითხვის ჩამტარებლებისათვის, დგება საკითხი, საერთო მეგრული კუთხურობიდან გამოიყოს კითხვარისათვის „საჭირო" („ჭეშმარიტი") მეგრელები. კერძოდ, კითხვარის შინაარსის მიხედვით, ჩანს, მათთვის მნიშვნელოვანი მხოლოდ შუაგულ სამეგრელოში მცხოვრები მეგრელები თუ იქნებიან (ოდნავ ქვემოთ იხილავთ, თუ რატომ...).

კითხვარის პირველივე ნაწილი აგებულია ამგვარად: ანკეტის შემვსების ეროვნება, მისი დედის, მამის, მეუღლის, ბებიებისა და ბაბუების ეროვნება და ა.შ. უცბად, ამ შეკითხვების ქვემოთ ასეთი შეკითხვებია: „რომელ ენაზე/ენებზე მეტყველებთ? როგორ მეტყველებთ ამ ენებზე?" და ა.შ. მეტი თვალსაჩინოებისათვის მე ავიღებ რომელიმე ჩემი ბიძაშვილის მონაცემებს და შევეცდები დავხატო სურათი, თუ რა არის ამ და მსგავსი კითხვარების ნამდვილი მიზანი.

ცნობისათვის, საანკეტო კითხვარი ისეა შედგენილი, რომ ნაღმი ნებისმიერი პასუხის შემთხვევისათვის წინასწარვეა დამონტაჟებული, რასაც ოდნავ ქვემოთ თავადვე იხილავთ.

აი, ჩემმა ბიძაშვილმა, კი, რომელიც შუაგულ სამეგრელოში ცხოვრობს (სადაც განსაკუთრებით არის კონცენტრირებული კუთხური ნიშან-თვისებები), ანკეტაში შესაძლოა აღნიშნოს, რომ თავად მეტყველებს მეგრულ „ენაზე" (!), ისევე, როგორც მის გარშემო მყოფი ადამიანები, რომ ამ „ენაზე" დაიწყო ლაპარაკი და ა.შ.

შესაბამისად, ჩემი ბიძაშვილის პირად „დოსიეში" უკვე ჩნდება, რომ ეს ადამიანი, რომელიც სამეგრელოში დაიბადა, ენა მეგრულად „აიდგა", რომელსაც მშობლები, ბებიები და ბაბუები ასევე მეგრელები ჰყავს, რომლის გარშემოც მეგრულად ლაპარაკობენ და ა.შ. მითითებული აქვს ეროვნებაში, რომ ქართველია. ანუ შეკითხვათა A შესაბამის სვეტში, ქართველობის დადასტურება მხოლოდ ერთგან ხდება (!!!),

**„ალბათ, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ეს ანკეტა ტიპური ნაღმია ქართველობისა და ქართულობის წინააღმდეგ"**

**„სარწმუნო წყაროების ცნობით: ენობრივ პოლიტიკაში ამ მოდელის რეალიზატორად ენათმეცნიერების ინსტიტუტი სახელდება; პოლიტიკურ წრეებში ამ პოლიტიკის საყრდენად „რესპუბლიკური პარტია", ხოლო მათზე დაკისრებულ სამუშაოდ, ქვეყნის ფედერაციულ ერთეულად დაშლისკენ სწრაფვა"**

აქ კი შეკითხვა-პასუხთა ასეთმა პოლარიზაციამ შესაძლოა ეს ორი პარამეტრი ერთმანეთისადმი არც თუ სრულ შესაბამისობაში გამოაჩინოს.

ამ „კითხვარის" სტრატეგიაც ეს არის! მით უმეტეს, რომ თანამედროვე მსოფლიოშიც და ადრეც, ენა მიიჩნეოდა და მიიჩნევა ეროვნულობის მთავარ მარკერად!

გავაგრძელოთ... შემდეგ მოდის უკვე შეკითხვების ისეთი სისტემა, როგორიცაა, მაგალითად, რომელია თქვენთვის მეორე, მესამე, მეოთხე და ა.შ. ენა? ძნელი მისახვედრი არაა, რომ პირი, რომელიც აღნიშნავს, რომ „მეგრულ ენაზე" დაიწყო ლაპარაკი, ქართულს, კითხვარის პირობების იძულებით, მხოლოდ მეორე ენად (!) წარადგენს, ესეც უკვე ხაზგასმა ქართულობის მეორეხარისხოვნობის შესახებ (აღარაფერს ვამბობ იმ მუხანათურ სტრატეგიაზე, რაც მეგრულსა და ქართულს ერთ რანგობრივ სიბრტყეში აქცევს და ამასთან, შემვსებს იძულებულს ხდის მათ შორის არჩევანი გააკეთოს, პირველი ანუ ჩემი და მეორე ანუ სხვისი).

მეტიც, აქვეა შეკითხვა, რომელსაც დიფერენცირება უფრო შორს მიჰყავს: „რა სიხშირით ხმარობთ ქართულ ენას? მეგრულ ენას?", - ძნელი გამოსაცნობი არ იქნება, რაც შეიძლება მიუთითოს ჩვენმა პერსონაჟმა. ამ სხვაობის კიდევ უფრო წარმოსაჩენად იქვეა შეკითხვა: „რომელ ენაზე ელაპარაკებით მეზობლებს?", ამას უკვე მოჰყვება სტრატეგიულ დეტალურ შეკითხვათა მთელი სისტემა, თუ რა ენაზე მეტყველებთ ყველაზე კარგად, რა ენაზე ესაუბრებით მამას, დედას, მეუღლეს, შვილებს, ბებია-ბაბუებს, ან თქვენი მეუღლე, ან შვილები სკოლაში შესვლამდე რა „ენაზე" მეტყველებდნენ და ა.შ. და ა.შ.

მსგავსი ნაღმები ყოველთვის ფეთქდება და ასეთი ნაღმებით არის „დატენილი" მთელი ანკეტა. ერთი სიტყვით, ჩვენი პერსონაჟის მონაცემები აჩვენებს, რომ... ჩემი ბიძაშვილი, რომელიც დაიბადა და ცხოვრობს სამეგრელოში, რომელმაც „ენა" მეგრულად აიდგა და გარშემოც ძირითადად მეგრულად მეტყველებს, ეკლესიაში ქართულად ლოცულობს და ეროვნებით ქართველია, თან არკვევს, სურს თუ არა პრესა და ტელევიზია მეგრულადაც იხილოს და ა.შ. და ა.შ. მართალი ვთქვა, ვშიშობ კიდეც, სრული სახით რომ ვაჩვენო ამ პერსონაჟის მონაცემთა ბაზა, რა დასკვნებიც გამომივა.

თანამედროვე პროპაგანდისტულ ტექნოლოგიებში არაერთი ტექნოლოგიაა ცნობილი ე.წ. სოციოლოგიურ და ინტერაქტიულ გამოკითხვებთან დაკავშირებით. ამგვარ გამოკითხვათა ძირითადი არსი არა იმდენად ინფორმაციის შეგროვება ანუ საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვაა, არამედ, საზოგადოებრივი აზრის შექმნას ემსახურება.

მოცემული შემთხვევაც, თავისი პროპაგანდისტული სტრატეგიით, სწორედ საზოგადოებრივი აზრის შექმნას ემსახურება, კერძოდ, ამ კვლევის მიზანია მაქსიმალური განსხვავება გამოჩნდეს საერთო ქართულ და კუთხურ ქართულ ნაწილებს შორის, წარმოჩინდეს თანაბარ სტატუსურ სიბრტყეში „ქართული" და „მეგრული". ხელოვნურად შექმნან აზრი, რომ ქართულობა მათთვის ხელოვნური, მეორეხარისხოვანია და ა.შ. და ა.შ. ალბათ, არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი, რომ ეს ანკეტა ტიპური ნაღმია ქართველობისა და ქართულობის წინააღმდეგ.

საინტერესოა გავეცნოთ სეპარატიზმის მახასიათებელ ისეთ მნიშვნელოვან პარამეტრებს, როგორიცაა ეთნიკურობის სტატუსის ხელოვნურად შემოტანა. ჰოკკაიდოს უნივერსიტეტის სლავური კვლევების ცენტრის მიერ გამოცემულია კრებული „არაღიარებული სახელმწიფოების: დნესტრისპირეთი, მთიანი ყარაბახი, სომხეთი, სამხრეთ ოსეთი და საქართველო ისტორიული დიალოგი" (საპორო, იაპონია, 2007);

მოცემული კრებული წარმოადგენს კვლევითი პროექტის „არაღიარებული სახელმწიფოები ყოფილ სოციალისტურ ქვეყნებში: შედარებითი და მრავალშრიანი მიდგომა" (2005-2008 წ/წ), ნაშრომებს ფინანსურად უზრუნველყოფს COE (CENTER OF EXCELLENCE) XXI საუკუნე და განიხილება, როგორც სამუშაოთა გენერალური სპონსორის პროგრამა (ორივე პროექტს აფინანსებს იაპონიის განათლების, კულტურის, სპორტის, მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სამინისტრო).

კრებულის ავტორთა განცხადებით, მათი მიზანი კონფლიქტურ მხარეთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის წინგადადგმული ნაბიჯის მიღწევაა, რაც, მათივე აზრით, ამ კრებულების გამოცემით გამოიხატება (მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ აფხაზურმა მხარემ არ ისურვა პროექტში მონაწილეობა. ეს განაპირობა სტანისლავ ლაკობას ცნობილმა შეხედულებებმა და ნაშრომებმა, რომლებიც გამოქვეყნებულია სლავური კვლევების ცენტრის ეგიდით).

საინტერესოა თუ როგორ ჩნდებოდა ეთნონიმისა და „ტიტულარული ნაციების" თავისებური წარმოდგენა, რაც მიმართული იყო შიდა ეროვნული დათიშულობის გამოსაწვევად. ამის განსაკუთრებულ რეალიზაციის პერიოდს სპეციალისტები სსრკ-ს პერიოდს უკავშირებენ. „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი, ეს იყო იმპერია, რომელშიც ნაციონალურ უმცირესობებს განსაკუთრებულ უფლებებს ანიჭებდნენ („affirmative action empire")", ")", ეს არის სსრკ-ს ცნობილი განსაზღვრება, რომელიც ჰარვარდის უნივერსიტეტის ისტორიკოსის, ტერი მარტინის მიერ არის შემუშავებული (Affirmative Action Empire: Natons and nationalism in the Soviet Union, 1923-1939. London, 2001).

ბოლშევიკებმა, შეშინდნენ რა ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე „ნაციონალური მოძრაობების" გაჩენით (1917-1921), ასევე ჰაბსბურგის იმპერიის მოულოდნელი დაშლით, გადახედეს თავიანთ შეხედულებებს ნაციონალურ საკითხებთან დაკავშირებით. საკმაოდ მცირე ხნის პერიოდში ბოლშევიკებმა გამოიგონეს ეთნონიმების „სამეცნიერო" და ეთნიკური კატეგორიების განსაზღვრებები. მათ შექმნეს ნაციონალური ტერიტორიული წარმონაქმნების იერარქია, რაც დაფუძნებული იყო „ტიტულარული ნაციის" თავისებურ და უცნაურ გააზრებაში.

თუკი დასავლეთის ქვეყნები ცდილობდნენ ნაციონალური განსხვავებები სოციალურ შესაძლებლობათა ისეთი ტიპის შექმნით გადაელახათ, რომელიც ინდივიდებზე იქნებოდა მიმართული არატერიტორიული ღონისძიებების გზით, სსრკ-ში ამის საწინააღმდეგოდ, ეთნოტერიტორიული წარმონაქმნების სტატუსებს ქმნიდნენ და ანიჭებდნენ.

ასეთი საბჭოური ქვეყნის მოდელი დგებოდა ამგვარად: მაგალითად, სა-



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

## ...ტა რამ თვითმმართველობის კოდექსის შესახებ!

# „მსგავსი ნაღმები ყოველთვის ფეთქდება და ასეთი ნაღმებით არის „დატენილი“ მთელი ანკეტა“




EXCLUSIVE

**„ახალი კოდექსის მიღების შემთხვევაში ეს რისკი საკმაოდ საფუძვლიანია, რასაც, ვფიქრობ, საზოგადოება მკაცრად უნდა აღუდგეს. გავრცელებული შეხედულებით, საქართველოს მოწყობის აღნიშნული ხედვა - ფედერალიზაციის კუთხით, „რესპუბლიკურ პარტიას“ უკავშირდება, რომლის გავლენა დღევანდელ საქართველოს პარლამენტში საკმაოდ დიდია. იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტის მიღებით მართლაც ეს პარტიაა დაინტერესებული, არაა გამორიცხული ამ კანონის მიღება მათივე ლობირებით და ინტერესებით მოხდეს“**

ქართველოს შემთხვევაში საბჭოელებმა შექმნეს ტერიტორიული წარმონაქმნი ავტონომიური სტატუსით (მაგ, აფხაზები), ხოლო ეთნიკურ ჯგუფური სტატუსი მიანიჭეს მეგრელებს, რომლებსაც ე.წ. ტერიტორიული წარმონაქმნი არ გააჩნდათ. ასე იქმნებოდა ე.წ. ნაციათა იერარქია. ამგვარი მიდგომები, სამეცნიერო მნიშვნელობის მიუხედავად, გახდა ნაციონალური პოლიტიკის ინსტრუმენტები, რომელსაც აფუძნებდნენ ეთნოტერიტორიულ ფედერალიზმს და ტიტულარული ნაციების კონცეფციას.

ამ მიდგომის ძირითადი შინაარსი დგება ამგვარად:

(1) ავტოქტორული ეთნიკური ჯგუფი უნდა შედგეს მოცემულ ტერიტორიაზე ტიტულარული ნაციის სახით.

(2) სასურველია, რომ მოსახლეობის ეთნიკური შედგენილობა და ადმინისტრაციული დაყოფა ერთმანეთს დაემთხვას. ავტოქტორულობა დემოგრაფიულ წონაზე მნიშვნელოვანი ხდება.

(3) ტიტულარული ნაციის წარმომადგენლები განათლებისა და კარიერის სფეროში უპირატესობით უნდა სარგებლობდნენ, ძირითადად, ეს უნდა წარმოდგინდეს მოცემულ ტერიტორიაზე პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და სამეცნიერო-კულტურულ სფეროებში.

ხაზი გავუსვათ, რომ ეთნიკურ საზომში მოიაზრება ისინი, ვინც კუთხურ მეტყველებას ენობრივ საზომში აქცევს, ანუ მეგრელი ან სვანი, თუ მათ კუთხურ ენას სრულფასოვან ენად წარმოადგენს, ის არა - ქართველად, არამედ ეროვნებით მეგრელად და ეროვნებით სვანად მოიაზრება, როგორც ცალკე ეთნიკური ნიშანი.

და ა.შ.

ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისათვის კი უკვე კარგად ნაცნობია თუ რამდენად წარმატებულად მოქმედებდა საბჭოური მიდგომები (ფედერალური დაყოფა, ეთნიკური დაყოფა და ა.შ.) ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნებში, მათ შორის კავკასიასა და განსაკუთრებით საქართველოში.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, აფხაზეთის ტერიტორიაზე სამჯერ კიდევ 2008 წელში გამოდიოდა ე.წ. მეგრული გაზეთი რუსული გრიფით. გაზეთის მთავარი იდეოლოგია პროფესორი ჯორჯ ჰიუიტი. კიდევ უფრო ცნობილი ფაქტია „ვეფხისტყაოსნის“ „თარგმნა“ „მეგრულ ენაზე“ ცნობილი ამბავია, სამწუხარო ის არის, რომ დღესაც მოიძიება პირები, რომლებიც ამ წიგნს ჯერ კიდევ ამართლებენ. ამგვარ მიდგომებს გამოხატავდა სახალხო დამცველობის დროს სოზარ სუბარიც, რომელიც თვლიდა, რომ ბიბლიის „თარგმნა“ სვანურად, სვანურის გადარჩენის გზა იყო.

ამ მასალით არაფრის მტკიცებას არ ვაპირებ, მიუხედავად იმისა, რა ლოგიკური დასკვნების გაკეთების საშუალებას მაძლევს არსებული მონაცემები. თუმცა, ჩემი სურვილის საწინააღმდეგოდ, ცხადია, ლოგიკური ხდება ის ვერსიაც, რომ შესაძლებელია მართალიც იყოს „დაკვეთილი პოლიტიკის“ ის მოდელი, რაზეც უკვე დიდი ხანია ფართოდ საუბრობენ ჩვენში. სარწმუნო წყაროების ცნობით: ენობრივ პოლიტიკაში ამ მოდელის რეალიზატორად ენათმეცნიერების ინსტიტუტი სახელდება; პოლიტიკურ წრეებში ამ პოლიტიკის საყრდენად „რესპუბლიკური პარტია“, ხოლო მათზე დაკისრებულ სამუშაოდ, ქვეყნის ფედერაციულ ერთეულად დაშლისკენ სწრაფვა;

ადგილობრივი თვითმმართველობის ახალი კოდექსის მიღების შემთხვევაში კი, არ არის გამორიცხული, ქვეყანაში ფედერალური მოწყობის მოდელი მივიღოთ. თვითმმართველობის აღნიშნული კანონპროექტი მრავალმხრივ დაწუნებულია შესაბამისი დარგობრივი სპეციალისტების მიერ, მათ შორის კონსტიტუციასთან მიმართებაშიც არის ხარვეზები. ასევე, ძირითადი შფოთის საგნად წარმოდგენილია რეგიონალიზმის მოცემული პრინციპი, რომლის თანახმად, ტერიტორიული დაყოფისა და რეგიონალიზმის მიხედვით, იქმნება „დეცენტრალიზმის“ მეტად უცნაური პრინციპი. არ არის გამორიცხული, რომ ამგვარი მიმართებით საქართველოს ფედერალიზაციისკენ წავიდეთ.

საკმაოდ საგანგაშოა, რომ რეგიონები, მათ შორის, ეთნიკური თუ ეთნოგრაფიულ ნიშანთან დაკავშირებული, საკმაოდ დიდ რისკებს ქმნიან. რაც გულისხმობს იმას, რომ ადგილობრივი მოსახლეობისათვის დამახასიათებელმა ენებმა რეგიონული ენების სტატუსიც მიიღოს, ეს კი საკმაოდ საშიში მოვლენაა, რამდენადაც, ენების ქარტიის მიხედვით, მათ შორის სეპარატიზმიც შეიძლება წახალისდეს, ხოლო არაქართველი მოსახლეობით დასახლებულ რეგიონებში სულაც დანარჩენ საქართველოსთან კავშირი გაქრეს. აქცენტი გაკეთდება კიდევ მეტ ჩაკეტილობასთან და ინტეგრირების ნაცვლად დათიშვა მოხდება; ამ პროცესში ძალზე საშიშად მოჩანს ლოგიკური განვითარება, ეს არის ტერიტორიულ ორგანოებში, რეგიონული ენების მქონე ავტოქტონი მოსახლეობის ე.წ. „თვითგამორკვევის“ მსოფლიოში აღიარებული უფლება. ამგვარი განვითარების შემთხვევაში, მსოფლიოს მიერ აღიარების სრულ სივრცეს კოსოვოს ცნობილი პრეცედენტი ქმნის. მარტივ ენაზე, ეს ყველაფერი ნიშნავს, ერთი მხრივ, არაქართველი მოსახლეობით გაჯერებულ რეგიონებში (ქვემო ქართლი, ჯავახეთი), ასევე „ენის“ სტატუსის მქონე საქართველოს სხვა რეგიონები (თუშეთი, სამეგრელო, სვანეთი) სრულად გაქრეს საქართველოს ფარგლებიდან.

ახალი კოდექსის მიღების შემთხვევაში ეს რისკი საკმაოდ საფუძვლიანია, რასაც, ვფიქრობ, საზოგადოება მკაცრად უნდა აღუდგეს. გავრცელებული შეხედულებით, საქართველოს მოწყობის აღნიშნული ხედვა - ფედერალიზაციის კუთხით, „რესპუბლიკურ პარტიას“ უკავშირდება, რომლის გავლენა დღევანდელ საქართველოს პარლამენტში საკმაოდ დიდია. იმ შემთხვევაში, თუ კანონპროექტის მიღებით მართლაც ეს პარტიაა დაინტერესებული, არაა გამორიცხული ამ კანონის მიღება მათივე ლობირებით და ინტერესებით მოხდეს.

საყოველთაოდ ცნობილი ფაქტია, რომ სამეგრელოში მეფის რუსეთის დროს „მეგრულის გადარჩენის“ მიზნით „მეგრულად მოლაპარაკე“ მღვდლები შეუშვეს ეკლესიაში, რომ წირვა-ლოცვა „მეგრულად აღევლინათ“ და მეგრელებმა თავადვე გამოჰყარეს კინწისკვრით. დღეს საუბარი თვითმმართველობის კოდექსით გათვალისწინებულ რისკებზე გვაქვს და მიუხედავად იმისა, რომ დარგობრივმა სპეციალისტებმა ათეულობით შენიშვნა გამოთქვეს ამ კანონპროექტზე, საზოგადოების მოსაზრებები ხელისუფლებამ და კანონპროექტის ავტორებმა პრაქტიკულად არ მიიღეს. წლების განმავლობაში მიმდინარე პროცესები და ამჟამინდელი რისკები, კი, თავად გათვალეთ.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება





© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# რა უამბო გამოძიებას ალექსანდრე დანელიამ გარდაცვალებამდე?



## სკანდალური ჩვენება ხურჩის ტერაქტზე და მოწმე, რომელმაც სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა

## EXCLUSIVE

„ღონისძიება მიზნად ისახავდა ხალხში შიშის დათესვას, რათა მათ ჰქონოდათ არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან საფრთხის შიში, კანონიერად არჩეული იმჟამინდელი ხელისუფლება კი იყო მათი დაცვის რეალური გარანტი“

მირიან ბოქოლიშვილი

**24 ნოემბერს ზუგდიდში დადიანის ქუჩაზე საცხოვრებელ კორპუსში 38 წლის პოლიციელი ალექსანდრე დანელია გარდაცვლილი იპოვეს. ამ ტრაგიკულმა ფაქტმა განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა, გამომდინარე იქიდან, რომ დანელია გახმაურებული ხურჩის ტერაქტის საქმის ერთ-ერთი მთავარი მოწმე გახლდათ. შინაგან საქმეთა სამინისტრომ ფაქტზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს. სამართალდამცველები არკვევენ, ვინ მიიყვანა სუიციდამდე ახალგაზრდა პოლიციელი. სანამ გამოძიება საბოლოო დეტალებს გაახმაურებს, ჩვენ ხელში ჩაგვივარდა „ხურჩის ტერაქტის“ საქმეზე ალექსანდრე დანელიას სკანდალური ჩვენება. მანამდე კი მცირე ექსკურსი გარდაცვლილი პოლიციელის საქმიანობის შესახებ.**

შსს-ს სისტემაში ალექსანდრე დანელია 2003 წლიდან მუშაობდა. 2005 წლის მაისიდან 2013 წლის 12 იანვრამდე მუშაობდა კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის (კუდი) აფხაზეთის მთავარ სამმართველოში სხვადასხვა თანამდებობებზე. 2005 წლის მაისიდან 2006 წლის ჩათვლით იყო ამავე სამმართველოს ოპერატიული თანამშრომელი, 2007 წლიდან კუდ-ის აფხაზეთის მთავარი სამმართველოს მეორე განყოფილების უფროსის მოადგილე, ხოლო შემდეგ, 2007 წლის თებერვლიდან ამავე განყოფილების უფროსი. ბოლო თვეებში კი ის კვლავ ოპერატიული თანამშრომლის თანამდებობაზე გადაიყვანეს. 2007 წლიდან კუდ-ის აფხაზეთის მთავარ სამმართველოს რომან შამათავა ხელმძღვანელობდა, რომელიც ცოტა ხნის წინ „ხურჩის ტერაქტის“ ორგანიზების ბრალდებით დააპატიმრეს.

მოდულის შენობაში 20 ოქტომბერს, სწორედ ამ საქმესთან დაკავშირებით დაიკითხა ალექსანდრე დანელია. ჩვენებაში დანელია ყვება, რომ რეალურად ეს იყო კუდ-ის აფხაზეთის სამმართველოს უფროსის, რომან შამათავას მიერ დადგმული სპექტაკლი, თუმცა თავად შამათავას ადვოკატები მოწმეზე განხორციელებულ ზეწოლაზე მიუთითებენ, რაც საბოლოოდ თვითმკვლელობით დასრულდა. იყო თუ არა ზეწოლა და ვისგან? არის თუ არა საერთოდ კავშირში კუდ-ის თანამშრომლის თვითმკვლელობა ხურჩის გახმაურებულ საქმესთან? ამაზე მსჯელობა, ალბათ, უფრო გაადვილდება მას შემდეგ, რაც გამოძიება თვითმკვლელობის ოფიციალურ მოტივს გაახმოვანებს, მანამდე კი მოდით, ვნახოთ, რა წერია ჩვენებაში, რომელსაც ხელს ალექსანდრე დანელია აწერს.

„2008 წლის აპრილში მქონდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემები და გავიკეთე ნაღვლის ამოკვეთის ოპერაცია. ოპერაციის შემდგომ პერიოდში, დაახლოებით ერთი თვე, ვისვენებდი თბილისში ჩემს ოჯახთან ერთად. რადგანაც ახლოვდებოდა საპარლამენტო არჩევნები, გადავწყვიტე, დამეწყო სამსახურში სიარული. 2008 წლის 21 მაისს მე მივედი სამსახურში, სადაც ვნახე, რომ ჩემი თანამშრომლები: სამმართველოს უფროსი ტარიელ ბარამია, ვლადიმერ თორია, ზამო გაბედავა, ვლადიმერ აბსანძე, ზაზა კაკულია, დათო ადამია და ჩვენი დანაყოფის სხვა თანამშრომლები ემზადებოდნენ ღონისძიებაზე გასასვლელად, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ ჩემს თანამშრომლებს საიარაღოდან გამოჰქონდათ იარაღი და სრული ეკიპირება. მე მივედი ვლადიმერ აბსანძესთან, რომელსაც ებარა შეიარაღება, გასცემდა თანამშრომლებზე იარაღს და თვითონაც ემზადებოდა ღონისძიებაზე გასასვლელად. მას მე ვუთხარი, რომ მეც მინდოდა მათთან ერთად ღონისძიებაზე წასვლა. აღნიშნულზე მან მიპასუხა, რომ ის და ზაზა კაკულია რომან შამათავასგან მიღებული დავალების შესაბამისად მიდიოდნენ ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩისა და გალის რაიონის სოფელ ნაბაკევის გამყოფ ადმინისტრაციულ საზღვართან და მან მითხრა, რომ, თუ მეც მინდოდა მათთან ერთად წასვლა, შემეთანხმებინა ჩვენი მთავარი სამმართველოს უფროსისთვის, რომან შამათავასთვის. აღნიშნულის შემდეგ, მეც მივედი რომან შამათავასთან. მას ვუთხარი, რომ შემეძლო ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება, აღნიშნულზე რომან შამათავამ მითხრა, რომ გავყოლოდი ვლადიმერ აბსანძეს და ზაზა კაკულიას ადმინისტრაციულ საზღვართან. ამასთანავე, რომან შამათავამ მითხრა, რომ დადგმული იყო „სპექტაკლი“, თითქოს აფხაზები შემოვიდნენ და ააფეთქეს სამგზავრო ავტობუსი, სინამდვილეში ავტობუსს თვითონ ააფეთქებდნენ. მან ასევე მითხრა, რომ აფეთქებისას არავინ დაშავდებოდა და აფეთქება მოხდებოდა მას შემდეგ, რაც ავტობუსიდან გადმოვიდოდნენ მგზავრები. მე დადგმულ ღონისძიებაში მონაწილეობაზე მას თანხმობა ვუთხარი,





რადგანაც ის იყო ჩვენი ხელმძღვანელი და მიმაჩნდა, რომ მას უნდა დავმორჩილებოდი. მისი თქმით, ღონისძიება მიზნად ისახავდა ხალხში შიშის დათესვას, რათა მათ ჰქონოდათ არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან საფრთხის შიში, კანონიერად არჩეული იმჟამინდელი ხელისუფლება კი იყო მათი დაცვის რეალური გარანტი. ამის შემდეგ, მივედი ვლადიმერ აბსანძესთან საიარაღოში, ავიღე კალაშნიკოვის სისტემის ავტომატი, ლულისქვეშა ყუმბარმტყორცნი, თავისივე გასროლებით და სხვა ეკიპირება. მას შემდეგ, რაც მოვემზადეთ მე, ზაზა კაკულია და ვლადიმერ აბსანძე ღონისძიებაზე გასასვლელად, ჩვენ გავედით ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩის მიმართულებით, სამსახურებრივი თეთრი ფერის „ტოიოტა 80“ მარკის მანქანით, რომელსაც მართავდა ლადო თორია. როდესაც სამსახურიდან გამოვედით, როგორც მახსოვს, წინ მიგვიძღოდა თეთრი ფერის „ნივით“ რომან შამათავა. როგორც მახსოვს, მას ვიღაც ეჯდა მანქანაში. როდესაც მივედით ზუგდიდის რაიონის სოფელ ხურჩაში, გადმოვედით მანქანებიდან, იქ დაგვხვდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სპეციალურ ღონისძიებათა ცენტრის განსაკუთრებულ დავალებათა დეპარტამენტის თანამშრომელი, რომლის სახელი და გვარი არ ვიცი, „უაზის“ მარკის მანქანით. რომან შამათავამ მას დაავალა, რომ ჩვენ უნდა წავეყვანეთ იმ ადგილზე, სადაც ჩვენ მივუთითებდით. სანამ წავიდოდით, რომან შამათავამ მე, ვლადიმერ აბსანძესა და ზაზა კაკულიას გვითხრა, რომ მისი დავალება მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ უნდა მივსულიყავით ხურჩისა და ნაბაკევის საზღვართან და იმ შემთხვევაში, თუ ჩვენი კონტროლირებადი ტერიტორიიდან გავიგებდით გასროლის ხმას, უნდა გვესროლა ყუმბარმტყორცნიდან ჰაერში ხურჩისა და ნაბაკევის ადმინისტრაციული საზღვრიდან, რითაც შეიქმნებოდა ილუზია სროლებისა, არაკონტროლირებადი ტერიტორიიდან ხურჩის მიმართულებით წარმოების თაობაზე. აღნიშნულზე ჩვენ რომან შამათავას თანხმობა ვუთხარით. მიღებული დავალების შემდეგ, მე, ზაზა კაკულია და აბსანძე, გდდ-ის თანამშრომელთან ერთად, წავედით ნაბაკევის მიმართულებით ადმინისტრაციული საზღვრისკენ. ჩვენ შევედით საზღვრისპირა ტყის სიღრმეში მანქანით, გადმოვედით მანქანიდან, რის შემდეგაც განვაგრძეთ ფეხით სიარული და მივედით ადმინისტრაციულ საზღვართან. იქნებოდა დაახლოებით 11:00 საათი, როდესაც გავიგეთ ჩვენი კონტროლირებადი ტერიტორიიდან სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლის ხმები, გასროლა ხდებოდა როგორც ავტომატებიდან, ასევე ტყვიამფრქვევებიდან, ასევე იყო ყუმბარმტყორცნიდან ორი გასროლის ხმა. რადგანაც ჩვენი ხელმძღვანელის, რომან შამათავას დავალება იყო, რომ ჩვენი კოტროლირებადი ტერიტორიიდან გასროლის ხმის შემდეგ ჩვენც უნდა გვესროლა, მე, ზაზა კაკულიამ და ვლადიმერ აბსანძემ ადმინისტრაციულ საზღვართან ჰაერში, ტყისა და ჭაობის მიმართულებით ვისროლეთ ავტომატის ლულისქვეშა ყუმბარმტყორცნებიდან. ჩვენ განვახორციელეთ დაახლოებით 15-20 გასროლა. როდესაც სროლა შეწყდა, წამოვედით ისევ ტყის მიმართულებით. ვიარეთ ცოტაოდენი მანძილი ფეხით და იქ დაგვხვდა ის ავტომობილი, რომლითაც იქ მივედით. ამის შემდეგ ჩვენ წამოვედით იმ მიმართულებით, სადაც დატოვებული გვქონდა „ტოიოტა 80“ მარკის ავტომანქანა. როდესაც მივედით აღნიშნულ ადგილას, ჩანდა შავი ფერის ბოლი. მე დამაინტერესა, რა იწვოდა, მცირე მანძილი გავიარე და დავინახე, რომ დამწვარი იყო ორი ავტობუსი. მე ავტობუსებთან ახლოს არ მივსულვარ. იქ ვნახე რომან შამათავა, ჩვენს თანამშრომლებთან ერთად. ამის შემდეგ, ისევ დავბრუნდით სამსახურში. რომან შამათავა კმაყოფილი იყო ჩატარებული ღონისძიებით. აღნიშნულიდან რამდენიმე დღის შემდეგ გავრცელდა ხმები, რომ ავტობუსები, რომლებიც თითქოსდა ააფეთქეს აფხაზებმა სინამდვილეში არ იყო აფხაზების მიერ აფეთქებული და ყველაფერი წინასწარ დაგეგმილი იყო ჩვენ მიერ“, – ყვება გამოძიებისთვის ხურჩის ტერაქტთან დაკავშირებით მიცემულ ჩვენებაში ალექსანდრე დანელია.

ამ ჩვენებიდან დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, ალექსანდრე დანელიამ სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა. ხელისუფლების ოპონენტებს დამთხვევების არ სჯერათ და ამ ორ საქმეს შორის კავშირზე საუბრობენ. ხელისუფლება კი ირწმუნება, რომ ხურჩის ტერაქტს, ისევე როგორც ალექსანდრე დანელიას თვითმკვლელობას, სრულიად ობიექტურად გამოიძიებს. სპეკულაციების თავიდან ასაცილებლად, ალბათ, სჯობია წინასწარი დასკვნებისგან ჩვენც თავი შევიკავოთ. ვნახოთ, როგორ განვითარდება სასამართლო პროცესები, სადაც, სავარაუდოდ, ამ საქმეზე კიდევ ბევრი დეტალი გახდება ცნობილი.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ყაზტრანსგაზ-თბილისი“ გაფრთხილებთ

- გაუმართავი გაზის ხელსაწყოებისა და არასტანდარტული საკვამლე და სავენტილაციო არხების ხმარებისას შესაძლებელია სათავსში მხუთავი აირის – CO-ს გამოყოფა, რომელიც უფერო, უსუნო, უგემო და ძლიერ მომწამლავია. გარემოში CO-ს 0.5%-ს დაგროვება 20-30 წუთში ახდენს ადამიანზე სასიკვდილო ზემოქმედებას, ხოლო 1% შესუნთქვისას 1-2 წუთში იწვევს სიკვდილს.
- უსაფრთხოების პირობების დაუცველობა დიდ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ გაზის დანადგარების მომხმარებელს, ასევე მისი მეზობლების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.




**ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ შეგახსენებთ:**

- ნუ მიანდობთ გაზის დანადგარების სამონტაჟო სამუშაოების ჩატარებას პირს, რომელსაც არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია;
- სათავსი, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ვენტილაციით; გაზის ხელსაწყოებით სარგებლობის დროს ხშირად გაანიავეთ სათავსი;
- გამათბობლის ან წყალგამაცხელებლის ჩართვამდე შეამოწმეთ კვამლსადენში წევა;
- შენობაში გაზის სუნის შემჩნევისას შეწყვიტეთ გაზის მოხმარება, გადაკეტეთ გაზის ონკანები, გამოაღეთ კარ-ფანჯრები, გაანიავეთ სათავსი. არ იხმაროთ ღია ცეცხლი, ელექტროხელსაწყოები და არ ჩართოთ ან არ გამორთოთ შუქი.



## დარეკეთ 114-ზე!

- გაზის მიწოდების შეწყვეტის შემთხვევაში აბონენტი ვალდებულია, შეამოწმოს, გადაკეტილია თუ არა ონკანები: გაზის მრიცხველთან, გაზქურასთან, წყალგამაცხელებელთან და გამათბობელ ხელსაწყოებთან;
- ნება მიეცით გაზის მეურნეობის მუშაკს, შპს „ყაზტრანსგაზ-თბილისის“ მიერ გაცემული სამსახურებრივი მოწმობის წარმოდგენის შემდეგ, შემოვიდეს თქვენს ბინაში მრიცხველიდან ანათვლების აღების, გაზგაყვანილობების, გაზის ხელსაწყოების დათვალიერებისა და ტექნიკური მომსახურების ჩასატარებლად.



**კატეგორიულად აკრძალულია!**

- საცხოვრებელ სახლებში, სკოლებში, ბაგა-ბაღებში, საზოგადოებრივი დანიშნულების შენობებში გაზზე მომუშავე ყველა სახეობის გამათბობელი და წყალგამაცხელებელი მოწყობილობების მონტაჟი და ექსპლუატაცია, რომელთა გამოყენებისას წვისთვის საჭირო ჰაერი აიღება სათავსიდან და წვის პროდუქტების გაწოვა არ ხდება კვამლსადენების მეშვეობით (ვინაიდან წვის პროდუქტები სათავსშივე რჩება);
- სავენტილაციო არხების საკვამლე არხებად გამოყენება;
- არასტანდარტული და თვითნაკეთი გაზის ხელსაწყოებისა და სანთურების გამოყენება;
- გაზის ხელსაწყოებისა და გაზგაყვანილობის თვითნებური მონტაჟი, გადაადგილება, შეერთება, გაზგაყვანილობის შეცვლა, მისი გაჯის, ცემენტის ხსნარის, შპალერის, ხის პანელის, კარადების ქვეშ მოქცევა, სავენტილაციო ცხაურის დაფარვა (დაგმანვა);
- დასასვენებლად და დასაძინებლად იმ სათავსების გამოყენება, სადაც დამონტაჟებულია გაზის ხელსაწყოები, გარდა სახელმწიფო სტანდარტით გათვალისწინებული გამათბობელი ღუმელისა;
- გაზის ხელსაწყოების ჩამკეტი მოწყობილობების, საკვამლე-სავენტილაციო არხების არარსებობის შემთხვევაში ბუნებრივი გაზის გამოყენება;
- ანთებული გაზის ხელსაწყოების უმეთვალყურეოდ დატოვება;
- გაზსადენიდან ან გაზის ხელსაწყოებიდან გაზის გაჟონვის დადგენის მიზნით ღია ცეცხლის გამოყენება.



**გახსოვდეთ, რომ:**

- პასუხისმგებლობა საცხოვრებელ სახლებში გაზის საყოფაცხოვრებო ხელსაწყოების ექსპლუატაციაზე ეკისრებათ მომხმარებლებს.

**პატივცემულო მომხმარებლებო!**

გთხოვთ, დაიცვათ გაზის უსაფრთხოდ სარგებლობის წესების მოთხოვნები.


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „აიძულეს, ეღიარებინა, რომ ვითომ დათომ იცოდა ყველაფერი, რაც იგეგმებოდა“




## რას უყვება „პრაიმტაიმს“ გახმაურებული ტერაქტის საქმეში ბრალდებულის დედა?

### „შემიყვანეს ციხის მორგში და მაჩვენეს გარდაცვლილი ოთარ როგავა. ამით ჩემზე განახორციელეს გამანადგურებელი ზეწოლა“



**my View**

**მირიან ბოქოლიშვილი**

**„მინდა მადლობა გადავუხადო ყველა იმ ოფიცერს, ვინც ეს საქმე გახსნა. მათ ყველაფერი გააკეთეს იმისთვის, რომ ჩვენი თანამებრძოლის მკვლელობის საქმე გახსნილიყო“, – ამ სიტყვებით ვანო მერაბიშვილი 2010 წლის 5 მაისს ბათუმში მომხდარი ტერორისტული აქტის გახსნას გამოეხმაურა, რა დროსაც შსს-ს საგანგებო სიტუაციების აჭარის სამართველოს უფროსი დიმიტრი კორძაძე გარდაიცვალა. ოფიციალური ვერსიით, ტერორისტული აქტის უკან რუსეთის სპეცსამსახურები იდგნენ, უშუალო მონაწილეებად კი აფხაზეთიდან, კერძოდ, გალიდან დევნილი პირები დასახელდნენ. ერთ-ერთი მათგანია დავით როყვა, რომელიც საპყრობილიდან დაახლოებით ერთი წლის წინათ დაინვალიდებული განთავისუფლდა, მას სმენა მთლიანად აქვს დაქვეითებული. ის ყვება, რომ თავის დროზე დანაშაულის აღიარების მიზნით სასტიკად აწამეს და სმენაც სწორედ მას შემდეგ დაუქვეითდა. დავით როყვას ოჯახმა საჩივრით მიმართა პროკურატურას და ამ საქმის ხელახალ გამოძიებასთან ერთად ძვირადღირებული ოპერაციის ანაზღაურებაც მოითხოვა, რომელიც, მათი თქმით, სწორედ პატიმრის წამების შემდეგ გახდა აუცილებელი. „პრაიმტაიმი“ დავით როყვას დედას, მანანა მეგრელიძეს ესაუბრა, თუმცა მანამდე გაგაცნობთ როყვას აღიარებით ჩვენებას:**

„მე დამიკავშირდნენ თემურ ბუთბაია და ოთარ როგავა. მთხოვეს კორძაძის საცხოვრებელი მისამართი, სამსახური და გადაადგილების მარშრუტი. მე მივედი ლევან ქორცხავასთან და გიორგი გაბუნიასთან, ვთხოვე მათ, თუ შეგიძლიათ გამიგეთ ეს ინფორმაცია-თქო. გავიგე მისამართი, რის შემდეგაც 2010 წლის 5 მაისს ოთარ როგავამ და თემურ ბუთბაიამ ააფეთქეს კორძაძე“, – ყვებოდა დავით როყვა აღიარებით ჩვენებაში.

დღეს კი მისი ოჯახი აცხადებს, რომ აღიარებითი ჩვენება დავით როყვას წამების შედეგად დააწერინეს.

**მანანა მეგრელიძე, დავით როყვას დედა:**

– ჩემი შვილი 28 წლის იყო, რომ დააკავეს. თავიდან ბრალი ყაჩაღობაში წაუყენეს, შემდეგ კი – დანაშაულის დაფარვაში, თითქოს მან იცოდა ამ აფეთქების შესახებ და არ განაცხადა. მიუსაჯეს ორი წელი პატიმრობა და 6 წელი პირობითი. აღიარებითი ჩვენება დააწერინეს, მაგრამ, ალბათ, ხვდებით, როგორ აღიარებინეს. თუ ხელს არ მოაწერდა ამ დანაშაულს, მოკვლით ემუქრებოდნენ. სასტიკად სცემეს. ციხის უფროსმა მუხაძემ, უსაფრთხოების უფროსმა ყაჭეიშვილმა და კონტრდაზვერვის თანამშრომელმა ბექაურმა სასტიკად აწამეს. ისე სცემეს, რომ საკანში მყოფი ბიჭები ამბობენ, ვერაფრით წარმოვიდგენდით, თუ გადარჩებოდაო. მთლიანად გაშავებული იყო. ეს საქმე დახურეს, საიდუმლო მასალები დევსო.

**– ანუ რეალურად თქვენმა ვაჟმა არაფერი იცოდა ტერაქტის მომზადების შესახებ?**

– არანაირად. მან ტელევიზორით გაიგო ეს ყველაფერი. უბრალოდ, სიტუაციით ისარგებლეს და იმის გამო, რომ აფეთქების უშუალო მონაწილეებს იცნობდა, აიძულეს, ეღიარებინა და ხელი დაედო მათთვის, რომ ვითომ დათომ იცოდა ყველაფერი, რაც იგეგმებოდა.

**– და ტერაქტის უშუალო მონაწილეებს, ვინც გაასამართლეს, საიდან იცნობდა დათო?**

– ერთად გაიზარდნენ, აქ სულ 80 ოჯახია დევნილი და ყველა ყველას იცნობს. ოთარ როგავამაც გაურკვეველ ვითარებაში ჩამოიხრჩო თავი ციხეში, მაგრამ... ახლაც მძიმე მდგომარეობაშია ჩემი შვილი. მე იმ ადამიანების დაჭერა არ მინდა, ამით დათოს არაფერი ეშველება. აუნაზღაურონ ის ოპერაცია, რომელიც მას სჭირდება და რომელიც სმენას დაუბრუნებს.

როგორც მანანა მეგრელიძე ამბობს, ამ საქმეში ბრალდებული ერთ-ერთი პირი – ოთარ როგავა ციხეში გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. ოფიციალური ვერსიით, მან თავი ჩამოიხრჩო, თუმცა იმთავითვე გაჩნდა ვარაუდი, რომ შესაძლოა, პატიმარი მოკლეს, ან თვითმკვლელობამდე მიიყვანეს. ეს ვარაუდი ცოტა ხნის წინ ამ საქმის ერთ-ერთი ფიგურანტის მიერ პროკურატურისთვის მიცემულმა ჩვენებამ კიდევ უფრო გაამყარა, რომლის ფრაგმენტიც რამდენიმე თვის წინ პრესაშიც გავრცელდა, თუმცა ჩვენების ავტორის ვინაობა ინკოგნიტოდ დარჩა.

„მე დასახელებული ვიყავი დიმა კორძაძის საქმის თანამონაწილედ და ბრალი ძალით მაღიარებინეს. ჯინჯოლიამ, კახა კვარაცხელიამ და გია ბარამიამ მიმიყვანეს ბათუმის კონტრდაზვერვის შენობაში, ჩემი თავი გადააბარეს ჩემთვის უცნობ ორ პიროვნებას. მათ კი დამადეს ხელბორკილები, ჩამსვეს მანქანაში და მთელი გზა მცემდნენ მანქანაშივე. იმავე საღამოს ჩამომიყვანეს თბილისში. როგორც მითხრეს, შემიყვანეს ანტიტერორისტული სამსახურის შენობაში, სადაც დამკითხა ვინმე ზურა ჟვანიამ. სანამ დამკითხავდნენ, შემიყვანეს ოთახში. მაგიდაზე ელაგა სხვადასხვა ხელსაწყო – ელდრელი, დუბინკა, ბრტყელტუჩა. ვიღაც ახალგაზრდა ბიჭმა ახსნა დამიწყო, რისთვის იყენებდნენ აღნიშნულ ხელსაწყოებს. მას უყურებდა და უსმენდა იმავე ოთახში მყოფი გამომძიებელი ჟვანია. ამის შემდეგ გამიყვანეს სპეციალურ ოთახში, სადაც ისე მცემდნენ, რომ ვითიშებოდი და ისევ ცემაში ვფხიზლდებოდი... ორშაბათამდე მომცეს დრო აღიარებისთვის, თუმცა ამასობაში თავი მოიკლა პატიმარმა ოთარ როგავამ. რამდენიმე დღის შემდეგ მე შემიყვანეს ციხის მორგში და მაჩვენეს გარდაცვლილი ოთარ როგავა. ამით ჩემზე განახორციელეს საბოლოოდ გამანადგურებელი ზეწოლა. აქ ბოლოჯერ გამაფრთხილეს, რომ კარგად დავფიქრებულიყავი. ამის შემდეგ თვითგადარჩენაზე ვიზრუნე და გადავწყვიტე დავთანხმებოდი მათ შემოთავაზებას!“, – ესაა ფრაგმენტი გახმაურებულ ტერაქტში ბრალდებულის მონათხრობიდან.


დათო როყვა

რა მოხდა რეალურად 2010 წლის 5 მაისს ბათუმში და რას შეეწირა დიმიტრი კორძაძე? ცხადია, საკმაოდ ბევრი არგუმენტი დასჭირდება იმის მტკიცებას, რომ ეს საქმეც ფალსიფიცირებულია, მით უმეტეს, როდესაც საუბარია რუსეთის სპეცსამსახურებზე, რომელთა პირად ინტერესში შედიოდა კორძაძის ლიკვიდაცია. როგორც ამბობენ, კორძაძე წლების წინათ აფხაზეთის ტერიტორიაზე საიდუმლო ოპერაციებს ხელმძღვანელობდა, ეს მაშინ, როდესაც ის შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს, ზუგდიდის მე-2 სამმართველოს უფროსად მუშაობდა. შესაძლოა, ტერაქტის რუსულ სპეცსამსახურებთან კავშირი ეჭვს არ ბადებდეს, თუმცა წამების ის მეთოდები, რომლებზეც ამ საქმის ფიგურანტები მიუთითებენ, სავარაუდოდ, ძიებას დაექვემდებარება, იმ ელემენტარული მიზეზის გამო, რომ ყველა პატიმარს, მათ შორის ტერაქტში ბრალდებულებსაც კი, იცავს კანონი და აღიარებითი ჩვენების წამების გზით მოპოვება დანაშაულია.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# Carolina Herrera-ს „Eau De Parfum Sublime“ - ახალი სურნელი მიმზიდველი და იდუმალი ქალბატონებისთვის











**„Sublime-ს მთავარი ინგრედიენტი ველური ვარდია, რომლის თითოეულ ტოტზე ამოსულ ყველა ყვავილს ერთმანეთისგან განსხვავებული სურნელი აქვს. ამ სუნამოს ხასიათიც ასეთია - მიპკურების შემდეგ რამდენიმე გრადაციას გადის, მძაფრი არომატიდან ნელ-ნელა ტკბილ სურნელში გადაიზრდება“**







**26 ნოემბერს კაფე-ბარ „Chek In“-ში „ისი პარიმ“ Carolina Herrera-ს ახალი სუნამოს „Eau De Parfum Sublime“-ს პრეზენტაციაზე მიგვიწვია. იასამნისფერ ტონალობაში მორთული გარემო უმალ ყვებოდა ახალი სურნელოვანი პროდუქციის ამბავს. ერერას დომინანტი წითელი ფერი ახალ სუნამოში იასამნისფრად გარდაისახა. კოკეტური ფორმის ბაფთიანი ფლაკონი ავტორის ზედმეტად ქალურობას კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს. „ისი პარიმ“ სუნამოს წარდგენა წვრილი ველური ვარდით მოფენილ ინტერიერში გადაწყვიტა. ეს შემთხვევითი არ იყო. Sublime-ს მთავარი ინგრედიენტი ველური ვარდია, რომლის თითოეულ ტოტზე ამოსულ ყველა ყვავილს ერთმანეთისგან განსვავებული სურნელი აქვს. ამ სუნამოს ხასიათიც ასეთია - მიპკურების შემდეგ რამდენიმე გრადაციას გადის, მძაფრი არომატიდან ნელ-ნელა ტკბილ სურნელში გადაიზრდება.**

ახალ სუნამოს მოდის კრიტიკოსები კაროლინა ერერას მოდის სახლის და მოდური გამოცდილების საუცხოო სინთეზს უწოდებენ. Sublime მსოფლიო ბაზარზე რამდენიმე თვის წინ გამოჩნდა. საქართველოში კი „ისი პარი“ პირველად ახალ სუნამოს მედიის წარმომადგენლებს აცნობს. „Eau De Parfum Sublime“-ი „ისი პარის“ ქსელში საქართველოს მასშტაბით უკვე იყიდება და მისი ფასი 100 ლარიდან იწყება.

„ეს არის სურნელი გამორჩეული, სექსუალური





**ხატია შამუგია: „არ ვიცი, მარკეტინგის ნაწილია თუ არა, მაგრამ როდესაც მე ეს სუნამო ვიპკურე, მეგონა სულ სხვანაირად გამოვიყურებოდი“**

და ძალიან განსხვავებული ქალბატონისთვის. როგორც პარფიუმერები აღნიშნავენ, მან 20-იანი წლების ვინტაჟური არომატი თანამედროვეობასთან გააერთიანა. ეს ყველაფერი კი ამ ულამაზეს არომატში გადმოგვცა, რომელიც ველური ვარდის სამი სხვადასხვა ფერისა და სურნელის კოკრისგან არის შექმნილი. ეს არის ერერას ლეგენდარული სამყაროს ახალი ვერსია. არ ვიცი, მარკეტინგის ნაწილია თუ არა, მაგრამ, როდესაც მე ეს სუნამო ვიპკურე, მეგონა სულ სხვანაირად გამოვიყურებოდი“, - აცხადებს ხატია შამუგია, „ისი პარის“ პიარმენეჯერი.

მისი შექმნისას დიზაინერი შთაგონებული იყო დახვეწილი და მგრძნობიარე ქალბატონით. სუნამო მომხმარებელს განუმეორებელს ხდის. როგორც პროფესიონალები გვიხსნიან, არომატის კონცეფცია დაფუძნებულია სილამაზეზე, ბუნებრივ ელეგანტურობასა და მიმზიდველობაზე. როცა „Eau De Parfum Sublime“-ი ასხია იდუმალებით სავსე ახალგაზრდა ლედი უფრო მიმზიდველი და დამაინტრიგებელია.

სიახლეა ის, რომ სუნამოს შემქმნელებმა უარი თქვეს ერერასთვის დამახასიათებელ წითელ ფერზე და ის იასამნისფერით შეცვალეს. ფლაკონის დიზაინს ეს ფერი წარმოადგენს.

სუნამოს არომატის ხასიათი გაჯერებულია რომანტიკული შიპრის ნოტებით. ბერგამოტი, ფაჩული, ხავსი და ამბრი შერწყმულია ტყავისა და ყვავილოვან ხილოვან აკორდებთან. პრეზენტაციაზე სუნამოს ქაღალდის სინჯები რომ ჩამოგვირიგეს, პირველი, რაც შეიგრძნობოდა, ეს ვარდის დახვეწილი სუნია. მერე ის ნელ-ნელა მოტკბო არომატს იძენს. შედარებით მძაფრად მოტკბო სურნელი აქვს კანზე პკურებისას. საბოლოო ჯამში, კოკეტური ქალბატონის სურნელს ტოვებს, ფლაკონი სავსებით გამოხატავს მის ხასიათს.



**სუნამოს შემქმნელებმა უარი თქვეს ერერასთვის დამახასიათებელ წითელ ფერზე და ის იასამნისფერით შეცვალეს. ფლაკონის დიზაინს ეს ფერი წარმოადგენს**

არომატის გულს ვარდი და ორქიდეა ქმნის. ბრენდის ხაზისგან განსხვავებული ახალი სუნამო 30 მილიგრამიან და 50 მილიგრამიან ფლაკონებში შეგიძლიათ იხილოთ.

კაროლინა სურნელოვან სამყაროს 80-იან წლებში მიუახლოვდა და ესპანეთში სუნამოების მწარმოებელ კომპანია ანტონიო პუიგს დაუკავშირდა. ერერას პარფიუმერია იყოფა ორ ხაზად: CH და 212. პირველი არომატები 1988 წელს გამოვიდა ქალბატონებისთვის.

ვენესუელური ფესვების მარია კაროლინა ჟოზეფინა პაკანინსს მოხდენილი ტანისამოსისა და სუნამოების მიმართ დიდი ინტერესი ბავშვობაშივე გაუჩნდა. თამაშის დროს ხშირად ურევდა ერთმანეთში სხვადასხვა არომატულ ზეთებს, ჩაცმის დროს კი ფერთა შეხამების დიდი ნიჭი ჰქონია. ერერა დიზაინერის მეუღლის გვარია. რენალდო ერერასა და მარია კაროლინა ჟოზეფინა პაკანინს ერთმანეთი ერთი ნახვით შეუყვარდათ. წყვილი საცხოვრებლად ნიუ- იორკში გადავიდა. 1971-1980 წლებში კაროლინა „საუკეთესოდ ჩაცმულ ქალბატონთა“ ნუსხაში მოხვდა. 1980 წელს კი მან თავისი პირველი კოლექცია წარმოადგინა, რომელიც მოდის კრიტიკოსებმა ძალიან მოიწონეს. კაროლინა ერერას მოდა დახვეწილობის, სრულყოფილებისა და ემოციის კომბინაციაა. „მუსიკა მოდაში“ - ეს ერერას მისამართით ნათქვამი ეპითეტია. თავდაპირველად მისი შთაგონების წყაროდ 40-იანი წლების ჰოლივუდი იქცა, შემდეგ კი ვარსკვლავები - ოდრი ჰეფბერნი, ჯეინ ბირკინი და კეტრინ დენევი, საოცრად დახვეწილი და ელეგანტური ქალები. წითელ ხალიჩაზე მისი კაბის ტარება კაშკაშა ვარსკვლავებისთვის კრიტიკოსების მხიდან გარანტირებული აღიარებაა.

ასე რომ, ძვირფასო მამაკაცებო, თუ გსურთ თქვენი საყვარელი სქესი თქვენს გვერდით ყველაზე დახვეწილ, იდუმალ ქალბატონად გარდაიქმნას, მას „ისი პარიში“ აუცილებლად უყიდეთ Carolina Herrera-ს „Eau De Parfum Sublime“ და ველური ვარდის სხვადასხვა სურნელი მუდამ ჩარჩება თქვენს მეხსიერებაში.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით საქართველოში ჰოვარდის გოსპელის გუნდი ჩამოდის



# თანამედროვე და კლასიკური მუსიკის ნაზავი ქართველი მსმენელისთვის






ნინო დათაშვილი

**9 დეკემბერს საქართველოს რელიგიური ჟანრის მუსიკის შემსრულებელი, მსოფლიოში აღიარებული ჰოვარდის გოსპელის გუნდი ეწვევა. ისინი ქართველი მსმენელისთვის კონცერტებს თბილისსა და რეგიონებში გამართავენ და მსმენელს თანამედროვე და კლასიკური გოსპელის ნაზავს შესთავაზებენ. ასევე ჩატარდება ე.წ. ვორქშოპები კონსერვატორიის სტუდენტებისთვის. ჰოვარდის გოსპელის გუნდი საქართველოს 11 დეკემბერს დატოვებს. ჰოვარდის გოსპელის გუნდი საქართველოში ამერიკის საელჩოს ეგიდით ჩამოდის.**

ჰოვარდის გოსპელის გუნდი, 1968 წელს, მელანი როსელის და როზალინდ ტომპკინსის მიერ დაარსდა. გუნდის ყოფილი წევრები არაერთი ჯილდოს მფლობელები არიან, „გრემის" გამარჯვებული რიჩარდ სმალვუდი, კორ კოტონი, ელბერნიტა კლარკი (ლეგენდარული „კლარკ სისტერს"-ის წევრი) და ასევე R&B-ს ვარსკვლავი ანჯელა ვინბუში.

გასული ოთხი ათწლეულის განმავლობაში ჰოვარდის გოსპელის გუნდმა შეძლო საშემსრულებლო ხელოვნების უმაღლესი სტანდარტისათვის მიეღწია. გუნდს აქვს პრივილეგია წარსდგეს თეთრ სახლში, საკონსტიტუციო დარბაზში, ვაშინგტონის ეროვნულ საკათედრო ტაძარში, ჯონ კენედის ხელოვნების ცენტრში, კორკორანის ხელოვნების გალერეაში, ლინკოლნის მემორიალთან, ბრიტანეთის საელჩოში, ენდრიუ მელონის აუდიტორიაში, ეროვნული მუზეუმში, უორნერისა და ლინკოლნის თეატრებში და სხვა.



ამჯერად ჰოვარდის გოსპელის მოსმენის საშუალება ქართველ მსმენელს ეძლევა. ჰოვარდის გოსპელის ქართული ტურნეს შესახებ „პრაიმტაიმს" ამერიკის საელჩოს კულტურის პრესატაშე ჯეიმს ბიუვი ესაუბრა.

**ჯეიმს ბიუვი, ამერიკის შეერთებბული შტატების საელჩოს კულტურის ატაშე:**

- ჰოვარდის გოსპელის გუნდი პირველ კონცერტს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სააქტო დარბაზში გამართავს. 10 დეკემბერს ისინი ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში იმღერებენ, მესამე კონცერტს კი 11 დეკემბერს ზუგდიდში დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში გამართავენ. ეს იქნება მათი ბოლო კონცერტი აქ. შემდეგ იქნება ვორქშოპი თბილისში.

**- ვის ჩაუტარდებათ ვორქშოპი?**

- კონსერვატორიის სტუდენტებს.

**- რა პროგრამით წარსდგებიან ისინი მსმენელის წინაშე?**

- კონცერტს და პროგრამას რაც შეეხება, თითოეული კონცერტი დაახლოებით საათ-ნახევარს გასტანს. იქნება, რა თქმა უნდა, გოსპელის მუსიკა და ასევე იქნება გათანამედროვებული გოსპელი.

**- ვისთან მიმდინარეობდა მოლაპარაკებები გოსპელის გუნდის ჩამოყვანასთან დაკავშირებით?**

- ჰოვარდის გოსპელის გუნდი, როგორც ამერიკაში, ასევე საერთაშორისო საზოგადოებაში ძალიან ცნობილია. თითქმის 45 წელია ეს გუნდი შეიქმნა. ძალიან პოპულარულები არიან, როგორც ამერიკაში, ისე მსოფლიოში, განსაკუთრებული სტილის გამო, გოსპელის მუსიკას ვგულისხმობ. ბევრმა ცნობილმა ამერიკელმა მომღერალმა კარიერა გოსპელის გუნდში დაიწყო. ასეთები იყვნენ ჯენიფერ ჰადსონი, უითნი ჰიუსტონი და ასე შემდეგ. ამერიკაში ეს სტილი ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან ეს სტილი ისტორიულია. განსაკუთრებით აფროამერიკელებისთვის არის ძალიან მნიშვნელოვანი. ჰოვარდის გოსპელის გუნდი დიდი შემადგენლობისაა. ის 70 ადამიანისგან შედგება, თუმცა საქართველოში გუნდის მხოლოდ 20 წევრი ჩამოდის. ძალიან კარგი კონცერტები გველოდება.

**- რატომ გაკეთდა არჩევანი მაინცდამაინც ჰოვარდის გოსპელის გუნდის ჩამოყვანაზე? რა კრიტერიუმებით შეირჩა ეს გუნდი?**

- ეს არჩევანი გავაკეთეთ იმიტომ, რომ ისინი ამერიკის კულტურის წარმომადგენლები არიან. ისინი ამ კულტურის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენენ. გოსპელის მუსიკა ამერიკაში დაიბადა. პირველად იყო გოსპელის მუსიკა და შემდეგ იყო როკ ენ როლი, ჰიპ-ჰოპი და ასე შემდეგ. ეს არის ერთ-ერთი ფესვები ამერიკის პოპულარული მუსიკისა.

**- ვისი ეგიდით ჩამოდიან ისინი საქართველოში?**

- გოსპელის გუნდი საქართველოში ამერიკის საელჩოს მხარდაჭერით ჩამოდის.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება






# COOLIO „კლუბ მოსკოვში“

თბილისს 11 დეკემბერს ამერიკელი რეპერი ქულიო ეწვევა. რეპერს კლუბ „მოსკოვში“ 12 დეკემბერს 22 საათზე ერთსაათიანი პროგრამა აქვს დაგეგმილი. მას თან ჩამოჰყვება თავისი საქსოფონისტი. კონცერტის ორგანიზატორი კლუბი „მოსკოვია“, კლუბის პარტნიორი კი კომპანია „მაქსიმუმი“. ქულიოს ვიზიტის გენერალური სპონსორი ტურისტული კომპანია „კაპიტანი პლიუსი“ გახლავთ. კონცერტის მხარდამჭერი და სპონსორი კომპანია „მაქსპრომია“. სულ 500 მსურველს შეეძლება ამ კონცერტზე დასწრება. განსაკუთრებული კაპრიზი რეპერს არ ჰქონია თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მოითხოვა დაცვა და ესკორტი. არჩევანი ხუთვარსკვლავიან სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასზე“ გააკეთა, როგორც პირველი ვიზიტისას. ქულიომ თავისი მენიუს ჩამონათვალში ქართული თაფლი მოითხოვა. გარდა ამისა კონცერტის მსვლელობისას უნდა ჰქონდეს: არაყი „გრეიგუსი“, შამპანური „მოეტი“, „კოკა-კოლა“, „სპრაიტი“, ფორთოხლის, ანანასის და ჟოლოს წვენები, ყველის ასორტი, ჩიფსები. რეპერი თბილისიდან პარიზში მიფრინავს, ევროპაში ტურნე აქვს.




# „ფრანისა“ და „суХие“-ს საქველმოქმედო კონცერტი

ჯგუფი „სუხიე“ კონცერტს „ფრანთან“ ერთად 6 დეკემბერს, თბილისის „ივენთ ჰოლში“ გამართავს. საქველმოქმედო საღამო კომპანია „სოკარი“-სა და „ბრავო რექორდს“-ის მხარდაჭერით ჩატარდება. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ბილეთებიდან შემოსული თანხა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დღის ცენტრს „პირველი ნაბიჯი საქართველოს“ გადაერიცხება.

„სუხიე“ შედარებით ახალი კოლექტივია და წლიდან წლამდე ძალიან იხვეჭს სახელს, ავტორიტეტს და ფანებსაც. ვფიქრობ, ამ ჯგუფს ქართველი მაყურებელი ძალიან კარგად მიიღებს. მაგრამ, ვინაიდან ჯერ ასე კარგად არ იცნობს ჩვენი მსმენელი, გადავწყვიტეთ მათი გამოსვლა ჩვენს ყველაზე ახალგაზრდულ, პოპულარულ ჯგუფ „ფრანთან“ ერთად ყოფილიყო. „ფრანი“ ამ კონცერტზე წარსდგება სრულიად ახალი, ჯერ ფართო მაყურებლისთვის უცნობი, გაუჟღერებელი სიმღერებით. ვფიქრობ, რომ ჩვენს მაყურებელს და მუსიკის მოყვარულებს ძალიან საინტერესო საღამო ელით“, - აცხადებს ზაზა შენგელია.

# ეთერ კაკული

**29 ნოემბერს „თბილისი მერიოტის“ თამარ მეფის დარბაზში ეთერ კაკულიას მეგობრებმა იუბილე აღუნიშნეს. ლამაზი საღამოს ორგანიზატორი კი კონკრეტულად ტელესტუდია „ინკოგნიტოს“ დამფუძნებელი მანანა გაბრიჩიძე გახლდათ. უკვე ტრადიციად ქცეული საღამო ორგანიზატორმა უკვე მეორედ აჩუქა იუბილარ მომღერალს. საღამოსთვის მზადება ერთი თვის წინ დაიწყეს. დარბაზი სტუმრებს ვერ იტევდა. იუბილარი ძალიან ბედნიერი ჩანდა. სცენაზე იჯდა, მილოცვებსა და საჩუქრებს იღებდა და მომღერალ მეგობრებს ჰყვებოდა ხოლმე. იუბილარს ესტრადის მომღერლები და მსახიობები სულ ლექსებითა და სიმღერებით ულოცავდნენ დაბადების დღეს. ქალბატონ ეთერში რაც მომწონს, არის მისი უშუალობა, მხნეობა, სილაღე და ძალიან დადებითი აურა. ამას ყველა გრძნობს და ეს იუბილეც ამის დასტური იყო, დაპატიჟებული 60 სტუმრის ნაცვლად საღამოს 200-მდე სტუმარი ესწრებოდა.**



### „ძალიან ბედნიერი ვარ“

**ეთერ კაკულია:** - მიყვარს საკუთარი დაბადების დღე. მეგობრებმა ასეთი სიურპრიზი მომიწყვეს და იცით, როგორი მადლობელი ვარ? ახლობლებს, ნათესავებს, მეგობრებს, ქართულ საზოგადოებას ჩემს იუბილეზე რომ ვხედავ, ძალიან ბედნიერი ვარ. მინდა მადლობა ვუთხრა ჩემს ქართველ ხალხს. ზოგჯერ მათი სიყვარულის გამო მეტირება კიდეც. ასეთი თბილი საღამოები ხშირად რომ ტარდებოდეს, აუცილებელიც არის. მინდა ერთმანეთი შევიყვაროთ ძალიან.

**- ამდენ სტუმარს ელოდით?**

- მე მთელ საქართველოს ველოდი. ყველა ფეხის ნაბიჯზე ხალხის სიყვარულს ვგრძნობ და მე ამით უბედნიერესი ვარ. ხალხს ასე ვუყვარვარ.




### „102 წელს ერთი დღე არ დააკლოს“

**ნაზი ალასანია:** - ჩვენ, მისი მეგობრები, უკვე ხვალიდან ვიწყებთ ეთერის შემდეგი დაბადების დღის დაგეგმვას, რომ უკეთესი გამოგვივიდეს. გვინდოდა ვიწრო წრეში აღგვენიშნა, მაგრამ ბევრმა გაიგო. 60 მოსაწვევი გვქონდა დარიგებული და 200 სტუმარი მოვიდა. ეს იმის ნიშანია, როგორ უყვარს ხალხს ეთერი. ჯანმრთელობამ ცოტა შეაფერხა და ამბობს, 102 წელი 80 წელზე ხომ არ დავიყვანოო. მე კიდევ მოვითხოვ, 102 წელს ერთი დღე არ დააკლოს.

### „ასეთი ხალისიანი გვყავდეს დიდხანს“

**მანანა გაბრიჩიძე:** - პირველად 2011 წელს გავაკეთეთ ქალბატონ ეთერის იუბილე „შერატონ მეტეხი პალასში“. 2012 წელს ბატონ ნუგზარ რუხაძეს გავუკეთეთ იუბილე, წელს ისევ გავაგრძელეთ ტრადიცია. მე მინდა წინა თაობა ყველა მომდევნო თაობას უყვარდეს. ეს იდეა იყო ჩადებული ამ ღონისძიებაში. ჩემი სტუდიის მოსწავლეებს ძალიან უყვართ ქალბატონი ეთერი. ვისურვებდი ასეთი ხალისიანი გვყავდეს დიდხანს. როდესაც გაიგო, რომ იუბილეს ვუწყობდით, სიხარულისგან გაგიჟდა.

### ყველა 29 ნოემბერი

**ალეკო კაკულია:** - მე მივულოცავ ისე, როგორც დას მიულოცავს ძმა. მინდა სიხარული ვუსურვო. მახსოვს მისი დაბადების დღე და იქიდან მოყოლებული ყველა 29 ნოემბერი. მადლობა ყველას, ვინც ჩემი და დააფასა.

**ვაჟა აზარაშვილი:** - მინდა ჯანმრთელობა და ახალი სიმღერების სცენაზე გამოტანა ვუსურვო. მეამაყება, რომ პირველი სიმღერა „მზე ჩემი მეგობარია“ მე დავუწერე. მას შემდეგ ჩემი 15 სიმღერა შეასრულა. ყველა სიმღერა უყვარს ხალხს, იმიტომ რომ ეთერი ასრულებდა


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება




თამარ გონგაძე

# ას მეგობრებმა იუბილე აღუნიშნეს

























ლალი ბადურაშვილი: „მას ყველა თავისი ხუმრობით იცნობს- „ხოოო?“ „არაა?“ ეს არ არის ეთერი. მას ბევრი პრობლემა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ თავზე არასოდეს არ გახვევს“

ბრწყინვალედ. ლამაზი ხმა აქვს.

**ნუნუ გაბუნია:** - მინდა კარგად იყოს, მისი ხმა მრავალი წლის მანძილზე ჟღერდეს. ულამაზესი ტემბრი აქვს, რომლის მსგავსი საქართველოში არავის ჰქონია. მინდა, როგორც თვითონ ამბობს, 102 წლამდე ჟღერდეს მისი ხმა.

**გივი სიხარულიძე:** - ჩემთვის ეთერი ის ულამაზესი ცისარტყელის ხიდია, რომელზეც სიყვარული მტევნებად კიდია. ვფიქრობ, საქართველოში ეთერით იწყება სიმღერის ანბანი და ეთერიზევე მთავრდება.

**გურამ ჯაში:** - ეთერი ჩემი მეგობარია და მივულოცავ. მინდა ჩემმა ქვეყანამ დიდხანს ისიამოვნოს ჩემი ეთოს ხმატკბილობით.

**ლალი ბადურაშვილი:** - ეთერიკოს მთელი სულითა გულით მივულოცავ დაბადების დღეს. ეთერი არის ის პიროვნება, რომელსაც თავისი ნიჭიერებისა და ხიბლის გარდა აქვს დღესასწაულის მოწყობის რაღაც არაჩვეულებრივი უნარი. მას ყველა იცნობს თავისი ხუმრობით - „ხოოო?“ „არაა?“ ეს არ არის ეთერი. მას ბევრი პრობლემა შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ თავზე არასოდეს არ გახვევს. თვითონ გადაიტანს და დარდით შენ არასდროს არ დაგამძიმებს. მინდა, რომ თავის შვილთან და შვილიშვილთან ერთად სულ ბედნიერი იყოს. ის ჩვენ, მეგობრებს და საქართველოს გვჭირდება. ყველას გვამშვენებს.

**თემურ წიკლაური:** - ვუმღერე, სუნამო ვაჩუქე, ვაკოცე კიდეც. ეთერი საოცრად თავმდაბალი ქალია. ძალიან მიყვარს.

**ნუგზარ კვაშალი:** - მინდა ისევე ომახიანად მივულოცო, როგორი ხმაც აქვს, ისეთივე შემართებით, როგორიც თვითონ არის. რამდენიმე ათეული კონცერტი გვაქვს ერთად ჩატარებული, ყოველთვის ცეცხლი, ქარიშხალი და ცუნამია. მინდა მართლა 102 წელი იცოცხლოს. დიდხნას ჰქონდეს ეს ლამაზი ხმა.

**ბესო ბერულაშვილი:** - ეთერმა წლები დაამარცხა და კიდევ დაამარცხებს. ჩემთვის დიდი პატივია თქვენ გვერდით მოღვაწეობა, ქალბატონო ეთერ.

**მერაბ გეგეჭკორი:** - ვულოცავ ქალბატონ ეთერს იუბილეს. სიცოცხლეს და ასეთ სიყვარულს ვუსურვებ. დღევანდელი საღამო სიყვარულის საღამოა. ეს არის ღონისძიება, რომელიც ყველას გვეძლვნება. ყველას თავისი სათქმელი აქვს და იცის, ვინ არის ეთერ კაკულია.



ნაზი ალასანია: „60 მოსაწვევი გვქონდა დარიგებული და 200 სტუმარი მოვიდა. ეს იმის ნიშანია, როგორ უყვარს ხალხს ეთერი“

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჯადოქარი ვიზაჟის

**my View**
**თამარ გონგაძე**

ჰოლანდიის სატელევიზიო-საპროდიუსერო კომპანია „ენდემოლის“ პროდუქტს ქართველი მაყურებელი კარგად იცნობს. „ვა-ბანკს“, „ვარსკვლავების აკადემიას“, „შიშის ფაქტორს“, „შერეკილებს“ ახლა უკვე „ერთი ერთში“ მიემატა, რომელიც უკვე რამდენიმე კვირაა „GDS“-ზე გადის. შოუ მაყურებელს მოსწონს. მეც მომწონს. ამ სამი წლის პროექტის ქართულ ანალოგში კი მაინც კონკრეტულად ვიზაჟისტების ჯადოსნურ ხელს და კონკურსანტების ნიჭიერებას გამოვყოფდი. ეს ორი კომპონენტი შოუს არსს სრულად ამართლებს. შოუს პროდიუსერისგან, გვანცა კილასონიასგან შევიტყვე, რომ პროექტზე ვიზაჟისტების ექვსკაციანი გუნდი მუშაობს, „ჯადოქრებში“ კი ორი ბულგარელი ქალბატონი ურევია. ანა ანდრეევასა და იანა სტრუიანოვას, გარდა იმისა, რომ „ოსკაროსან“ ფილმებზე აქვთ ნამუშევარი, „ერთი ერთშის“ ბულგარულ ანალოგშიც უმუშავით. უკვე ნათელი ხდება, როგორ ემსგავსებიან ყოველ ოთხშაბათს ცნობილი ქართველები მსოფლიოს ვარსკვლავებს. სოფიადან სპეციალურად შოუსთვის ჩამოსული ქალბატონები შოუს ერთადერთი უცხოელი მონაწილეები არ არიან. ჟიურის ორი წევრიც უცხოელია. „მისტერ ეფრემი (ვოკალის პედაგოგი) ამერიკიდან სპეციალურად ჩამოვიდა. მას უცხოელ ვარსკვლავებთან მუშაობის გამოცდილება აქვს. მისტერ ეფრემი ბერას პედაგოგია. ის საქართველოში 2 წლის წინ ჩამოვიდა. რადგან ბერას მასთან მუშაობის გამოცდილება ჰქონდა, პროექტისთვის მისი შერჩევა შემოგვთავაზა. ასევე, უცხოელი ქორეოგრაფები გვყავს“, - აცხადებს გვანცა. ჟიურის მეორე წევრი ზაკი ქორეოგრაფია.












**ამიკო:**
**„ბიონსე ჩემთვის სრულყოფილი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს, ძალიან ქალურია. მეც ვცდილობდი ქალს დავმსგავსებოდი. ბიონსეს „ღირსება“ რომ მქონოდა, სამი საცვალი მეცვა თავისი სილიკონის ჩადგმით. კონცერტის დასრულებისთანავე ძალიან უცებ გავქრი დარბაზიდან, მოწყურებულ მამაკაცებს გავექეცი“**

### ფერწერა სახეზე

ვიზაჟისტები ეთერიდან ეთერამდე დროს საგრიმიოროში ატარებენ და მუდმივად კონკურსანტების ნაკვთების „შეცვლა-შელამაზებით“ არიან დაკავებულნი. ტესტს აკეთებენ, აკვირდებიან ნაკვთებს, ამუშავებენ, პარიკებს ამზადებენ. მოკლედ, ტელევიზორთან მოკალათებული ყურება რომ ძალიან მოგვწონს, შოუს უკან უზარმაზარი შრომაა. ამაში დასარწმუნებლად საგრიმიოროში ცოტა ხნით ცხვირის შეყოფაც საკმარისია. ჯერ ანა და იანა კონკურსანტების სახეებზე სილიკონით ნაკვთებს გამოსახავენ, სასურველ არტისტს რომ დაამსგავსონ და მერე ქართველი ვიზაჟისტები ზევიდან ჩვეულებრივ „ფერწერულ აქტს“ ატარებენ. თითოეულ კონკურსანტზე მუშაობა საათ-ნახევრიდან სამ საათამდე გრძელდება. ამას კოსტიუმები ემატება, რომელზეც მხატვარი თინათინ კვინიკაძე ზრუნავს.

**ელა ვოინვარცი (ვიზაჟისტი):** „ეს მხატვრის სამუშაოა. ყოველ ჯერზე ახალ ტილოზე გვიწევს დახატვა. მხატვარი უნდა იყო, რომ ეს ყველაფერი გააკეთო და დაინახო. სულ სხვა ადამიანს ვქმნით. ეს რთულია. რთულია იმითაც, რომ ზოგი კონკურსანტი არ გემორჩილება, თავისი ხედვა აქვს. ქალის კაცად გარდასახვა ბევრად ადვილად გამოდის, ვიდრე პირიქით. ტრანსვესტიტი რომ არ გამოვიდეს, გვიწევს გავანაზოთ, დავარბილოთ. გმირი რომ კარგი გამოვიდეს, ეს მსახიობზეც არის დამოკიდებული. თუ ის როლში არ არის და ვერ შეიგრძნო „ობრაზი“, მიმიკა ვერ დაიჭირა, ჩვენ რაც არ უნდა ვხატოთ, არაფერი გამოვა.

**- ვფიქრობ, რომ ამ შოუში ერთ-ერთი მთავარი კომპონენტი ვიზაჟია.**

- ამ შოუს ვიზაჟისტების კონკურსად თვლიან:) ბევრისგან გამიგია, რომ გრიმს უფრო ვუყურებთ, ვიდრე შესრულებასო; გვეჩვენება, რომ ეს გრიმის კონკურსიაო. კოსტიუმს დიდი მნიშვნელობა აქვს. შეიძლება გრიმით ვერ დაამსგავსო, კოსტიუმით და ვარცხნილობით ადამიანი უკვე იმას ხედავს, ვინც უნდა რომ დაინახოს.

**- ბულგარელ კოლეგებზე რას იტყვით?**

- ფანტასტიკური ადამიანები და პროფესიონალები არიან. მათ ბევრ ოსკაროსან ფილმზე აქვთ ნამუშევარი. მათი რანგის ვიზაჟისტების სკოლა რუსეთშიც არ არსებობს. მოსკოვში ამ შოუსთვის ჰოლანდიიდან ჩაჰყავთ ვიზაჟისტები. საამაყოა მათთან ერთად მუშაობა. ბევრ რამეს ვსწავლობთ. სილიკონზე მუშაობა ბოლომდე ვისწავლეთ-მეთქი რომ გითხრათ, არა. ამ ყველაფრის სწავლას კიდევ ბევრი დრო უნდა. დაჯდომის და სწავლის დრო არ გვაქვს და თვალებით ვიპარავთ ცოდნას. მუშაობის





**„ჟიურის შეფასების კრიტერიუმი ვერ გავიგე. ერთადერთი ჟიური, რომელსაც არ ვეწინააღმდეგები და თავს ვუხრი - ეს ტელემაყურებელია. მე ჟიურისთვის არ ვმუშაობ, ხალხისთვის ვმუშაობ“**








© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ტები „ერთი ერთში“



**ელენე კალანდაძე: „აღფრთოვანებული ვარ დაიანა როსით. კარგად მოვირგე, მანერებით დავემსგავსე. წინა ტურის აჩიკო მეფარიძის როლიდან დიდი ნახტომი გავაკეთე. ჩანაწერს რომ ვუყურებ, თვითკმაყოფილება მაქვს“**











**ელა ვოინვარცი: „ამ შოუს ვიზაჟისტების კონკურსად თვლიან. გმირი რომ კარგი გამოვიდეს, ეს მსახიობზეც არის დამოკიდებული. თუ ის როლში არ არის და ვერ შეიგრძნო „ობრაზი“, მიმიკა ვერ დაიჭირა, ჩვენ რაც არ უნდა ვხატოთ, არაფერი გამოვა“**



EXCLUS



**„გამარჯვება? როგორ არ მინდა. მიზნად მაქვს დასახული“**

პროცესში ვაკვირდებით, „ქურდულად“ მაქსიმალურად ვიპარავთ:). მადლობა, რომ ჩვენს გვერდით დგანან. ეს პრაქტიკა ჩემთვის დიდი სწავლაა, რა გამოცდილების მქონეც არ უნდა ვიყო.

**ანა ანდრეევა**: „შოუმდე ერთი თვით ადრე ჩამოვედით, ანუ მოსამზადებლად ერთი თვე გვქონდა, ეს კი ძალიან ცოტაა. სილიკონისგან ყველა კონკურსანტის სახის ნიღბები გავაკეთეთ, ანუ მათი სახეების ასლები. მერე მათზე ხდება სხვადასხვა სახეების გამოძერწვა. საერთო სახე რომ მივიღოთ, არამხოლოდ ვიზაჟისტები, გრიმიორებიც ჩვენთან ერთად მუშაობენ. ასევე ჩვენთან ერთად მუშაობს კოსტიუმის ავტორი, ოპერატორები... ერთობლივად ხდება“.

**იანა სტრუიანოვა:** „ზოგ სახეს ფერწერული მეთოდით ვაკეთებთ, ზოგ სახეს სკულპტურული „აბიომით“.

სკულპტურული „აბიომი“ მაშინ კეთდება, როდესაც ცხვირზე კეხია „დასამატებელი“, ან სახის სხვა ნაკვთი - შუბლი, ყვრიმალი თუ ასე შემდეგ. ვიზუალურად მიმსგავსების თვალსაზრისით ლიდერი იყო - ელენე კალანდაძის ემი უაინჰაუზი, ანრი ჯოხაძის ეთერ კაკულია, სალომე ქათამაძის ლელა წურწუმია, ლაშა რამიშვილის ანდრეა ბოჩელი, ამიკოს ბიონსე... ჩოხარაძე-ბიონსეზე ხომ შოუს მეორე დღეს ყველა ლაპარაკობდა“.

### ნიჭიერი მეზღვაური

ამიკო „GDS“-ზე ოთხ პროექტს არის შეჭიდებული. თემო მჟავიასთან და ლევან გოგორელიანთან („ფაქოსთან“) ერთად ფროდაქშენის ხელმძღვანელია, რომელიც ამზადებს გადაცემებს - „ტყუილის გარეშე“, „კიბერჰაუსი“ და „მისტერ ამიკო“. ამას ემატება შოუ „ერთი ერთში“.

**ამიკო:** - საკმარისად ბევრი, წელიწად-ნახევარი დავისვენე. ვისვენებდი ეკრანისთვის, თორემ კულისებს მიღმა ამ ყველაფრისთვის ვემზადებოდი. ახლა პირველად ვარ ხელმძღვანელი. წინა სამსახურის ხელმძღვანელობასთან მქონდა პრეტენზიები. იმ შეცდომებს არ ვიმეორებ. ვიღაც რომ ნაკლებად იხარჯება და ის შენზე მეტ ანაზღაურებას იღებს, არ იქნები კმაყოფილი. უკმაყოფილო ადამიანი ცუდ პროდუქტს დაგიდებს. თანამშრომლებზე ისე გავცემ ხელფასს, როგორც იხარჯებიან. დიდ რეიტინგებს მიჩვეული ვარ და ამ ეტაპზე არ ვარ ჩემი გადაცემების რეიტინგით კმაყოფილი. თუმცა დამწყები ტელევიზიისთვის ნორმალური რეიტინგია და გაიზრდება.

პროექტი „ერთი ერთში“ რომ დაგვეწყო, მეც მსურდა. ვთქვი და მიპასუხეს, მისი განხორციელების იდეა უკვე განიხილებაო. დაემთხვა...

მე საკუთარი თავით კმაყოფილი არასდროს ვარ. როცა ჩემს თავს ვუყურებ, მგონია, რომ ამაზე ასჯერ მეტად უკეთ შემეძლო გაკეთება. ბიონსე ყველაზე მეტად მომეწონა. მაყურებელმაც მაგრად აიტაცა. ბიონსე ჩემთვის სრულყოფილი ქალის შთაბეჭდილებას ტოვებს, ძალიან ქალურია. არაფერი კაცის მასში არ არის, ერთი მანერაც კი. მეც ვცდილობდი ქალს დავმსგავსებოდი და არა კონკრეტულად ბიონსეს. მითხრეს, ბევრ ქართველ გოგოსაც კი ჯობდიო. ბიონსეს „ღირსება“ რომ მქონოდა, სამი საცვალი მეცვა თავისი სილიკონის ჩადგმით, პატარა მკერდი გავიკეთე. ბიონსეს არ აქვს დიდი მკერდი. მისი რამდენიმე სიმღერა კარგად ვიცი, სტილი მომწონს. ჩემთვის სირთულე იყო მაღალ ქუსლებზე ცეკვა. სახლში მეუღლესთან ერთად გავიარე რეპეტიცია, კიბეებზე ჩამოსვლას მასწავლიდა. და ეს ნომერი ორ დღეში გავაკეთე. მეტი დრო რომ მქონოდა (ჩემი ბრალია), ვთვლი, ბევრად კარგს გავაკეთებდი. მეტი შემიძლია. თუმცა თავი გავართვი, სექსუალურად ვმოძრაობდი :) კონცერტის დასრულებისთანავე ძალიან უცებ გავქრი დარბაზიდან, მოწყურებულ მამაკაცებს გავექეცი. „ფაქო“ მოვიდა რეკლამის დროს, რომ მორჩები ძმაკაცები მოვიდნენ და გვინახულეო. გრიმს გზაში ვიცლიდი და გავქრი. სადმე ვინმე დამშეული მამრობითი სქესი რომ წამომწეოდა, რთული სიტუაცია შეიქმნებოდა. რაც შეეხება ჟიურის, ნანუკა ხუსკივაძე ერთადერთი იყო, ვინც 9 ქულა დამიწერა, მიხვდა, როგორ ვიწვალე ქალის როლი მაგრად რომ შემესრულებინა. დანარჩენებმა 5 და 6 ქულა დამიწერეს. კახი კანდელაკი ქუსლებზე შედგეს, ცეკვა-ცეკვით მოვიდეს, თვალებში ჩამხედოს და ისე დამიწეროს ქულა. უკმაყოფილო ვიყავი კორეელი „გამგამ სთაილის“ შემსრულებლის შეფასების დროს. მეტი ქულა მეკუთვნოდა. ერთ კვირაში კორეული დავძლიე. პერსონაჟი მეტის საშუალებას არ მაძლევდა. მას დამახასიათებელი მანერული არაფერი აქვს. ცეკვა, რომელიც მსოფლიომ იცის, შევასრულე, თან ძალიან კარგად. ჟიურის შეფასების კრიტერიუმი ვერ გავიგე. მე შემფასებლით ყოველთვის უკმაყოფილო ვიქნები. ადამიანებს არ უყვართ შემფასებელი. ერთადერთი ჟიური, რომელსაც არ ვეწინააღმდეგები და თავს ვუხრი - ეს ტელემაყურებელია. მე ჟიურისთვის არ ვმუშაობ, ხალხისთვის ვმუშაობ.

პროფესიით არც მოცეკვავე ვარ, არც მსახიობი, არც მომღერალი. მე ნიჭიერი მეზღვაური, აწ სიძე და ორი შვილის მამა გახლავართ. არ არის გამორიცხული ერთ ორ წელიწადში მომღერლადაც მოგევლინოთ. ამ პროექტში მომღერალ კონკურენტებს ვოკალური თვალსაზრისით მეტი შანსი აქვთ. სამაგიეროდ, მე გარდასახვა მარტივად შემიძლია.

ვფიქრობ, ეს შოუ მაგარი არ არის, უფრო მაგარი შეიძლება იყოს. მეტი რესურსი შეიძლება დაიხარჯოს. ამ ეტაპზე ზედმეტს ვერიდებით და ეტაპობრივად შოუს ელემენტებს ვზრდით. მე იმის „ჟილკა“ უფრო მაქვს, რომ ეს გადაცემა ძალიან მაგარი გამოვიდეს, ვიდრე მე მოვუგო ვიღაცას. მაყურებლის გადასაწყვეტია, რომელ ადგილზე გავალ, მე ნებისმიერ ადგილს მივიღებ.

აქ იმაზე მეტს ვერ გავაკეთებ, რასაც ვაკეთებ. უცხო ენას თუ კარგად ვისწავლი, შემეძლება სხვაგან წასვლა. ამ ეტაპზე ბევრი საქმე მაქვს.

**- მამობამ რითი შეგცვალა?**

- მეტი მოვითხოვე ცხოვრებისგან. მყავს 2 წლის საბა და 7 თვის ემილი და უკვე მეტი მჭირდება.

### მიზნად ლიდერობა

ელენე კალანდაძეს მაყურებელი პროექტ „ვარსკვლავების აკადემიიდან“ იცნობს. ახლა ის ერთ-ერთი ლიდერი კონკურსანტია „ერთი ერთში“. მისი ემი უაინჰაუზი და დაიანა როსი შოუს ერთ-ერთი შთამბეჭდავი ნომერი იყო. წელიწად-ნახევარია ელენე ქმარს, ნოდარ ხუციშვილს გაეყარა. უხარია, რომ ეს ადრევე მოხდა.

**ელენე კალანდაძე:** - ქორწინებიდან ორ თვეში გავიყარეთ. ღმერთის ნებით მოხდა და კარგია, რომ ასე მალე მოხდა. მიხარია, რომ მარტოხელა დედა არ დავრჩი. რადიკალურად სხვანაირად წავიდოდა ჩემი ცხოვრება. როგორ ვთქვა, რომ მძიმე პერიოდი არ მქონდა. დათრგუნული ვიყავი. განვიცდიდი ოჯახი მენგრეოდა, რომელიც ორი თვის წინ შევქმენი. ოჯახის დანგრევაზეა ლაპარაკი. თუმცა დეპრესიულობა არ მახასიათებს. სახლში არ დავმჯდარვარ, პირიქით. თან ცუდი ფაქტების დავიწყების უნარი მაქვს. სამი წელი ვიცნობდით ერთმანეთს და გააზრებული ნაბიჯი იყო. მაგრამ ასე მოხდა. ჩვენ შორის მესამე ჩადგა. მე ორივეს დიდ ბედნიერებას ვუსურვებ. და მსგავსი რამ ნაკლებად გააკეთონ. მე არ ვარ შეყვარებული. ჯერ ისეთი ადამიანი არც შემხვედრია და ვერც ვიცლი.

ამ პროექტით ჩემი ცხოვრება გახალისდა. არაჩვეულებრივი პროექტია და გადავერთე. ტელევიზიაში რომ მოვდივარ, ზაფხული მხვდება, მზიანია აქაურობა. მეგობრები შევიძინე, ბევრს ვსწავლობ. ყველა დაფუსფუსებს. დეკემბერში, პროექტი რომ მორჩება, მართლა არ ვიცი, რა მეშველება.

საკუთარი განსახიერებული როლებიდან აღფრთოვანებული ვარ დაიანა როსით. კარგად მოვირგე, მანერებით დავემსგავსე, შევისისლხორცე. წინა ტურის აჩიკო მეფარიძის როლიდან დიდი ნახტომი გავაკეთე. ჩანაწერს რომ ვუყურებ, თვითკმაყოფილება მაქვს. როლში შევედი, ვაკვირდებოდი დაიანას საუბრის მანერებს. აჩიკო რომ „გავაკეთე“, მაშინ მიზნად დავისახე შემდეგი ეთერის ლიდერობა და ასეც მოხდა. ცხოვრებასავით არის, წინა ნომერი თუ არ გამოგივიდა, შემდეგი გამოგივა. შენ აძლევ შენ ცხოვრებას მიმართულებას. როგორც წაიყვან, ისე იქნება.

ძალიან კომფორტულად ვიყავი ემი უაინჰაუზის როლში. თუმცა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მაინც რობი უილიამსის როლია. პირველ კონცერტზე მამაკაცი ვიყავი, რადიკალური გარდასახვა იყო ჩემთვის.

მიხარია, რომ შიდა სამზარეულოში დაძაბულობა და კონკურენცია არ შეიმჩნევა. პირიქით, კარგ განწყობაზე ვარ. დადებითია ყველა კონკურსანტი.

გამარჯვება? როგორ არ მინდა. მიზნად მაქვს დასახული. მე მაქსიმუმს ვაკეთებ და მინდა ჩემიანებს გული გავუხარო.

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# GEORGE SHAGASHVILI და აფრიკული ტომების გაცოცხ

ნანა შონია

**„აქრომატული გამა, აფრიკული ორნამენტები, შთამბეჭდავი გარემო და დიზაინერ GEORGE SHAGASHVILI-ს პირველი პერსონალური ჩვენება. სამეფო უბნის თეატრის სცენაზე, იმ დღეს, აფრიკული მასაის და დინკას ტომები გაცოცხლდნენ. ეს ყველაფერი კი დიზაინერმა ამჯერადაც კრეატიულად მოარგო 80-იანი წლების პაციფისტურ იდეას. ინსპირაცია კიკი სმიტის პერფორმანსიდან წამოვიდა, რომელსაც ფონად დაჰყვა Alva Noto,Ghana Drum–ის მუსიკა. ჩვენება ბოლოს იმაზე შთამბეჭდავი გამოდგა, ვიდრე ამას რეალურად ვინმე წარმოიდგენდა. თეთრ კაბაში გამოწყობილი მოდელები მოულოდნელად გაფერადნენ, პოდიუმი კი ჭრელ ქსოვილში გახვეულმა მანეკენებმა დაიკავეს. შავი ფერის მოყვარულმა ქართველმა დიზაინერმა ძირითადი ხაზის შენარჩუნება ამჯერადაც შეძლო, თუმცა 2014 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია მთლიანობაში, შეიძლება ითქვას, რომ გაფერადდა.**

**გიორგი შაღაშვილი, დიზაინერი:** „კოლექციაში დაცული იყო ჩემი სტილი, აქრომატული გამა, თუმცა შეიძლება ითქვას, რომ კოლექცია მთლიანობაში ფერადი იყო. ძალიან რთული იქნებოდა მასაის თემის ჩვენება ისე, რომ არ ყოფილიყო საღებავების ღვრა. შთაგონება კიკი სმიტის 80-იანი წლების პერფორმანსიდან წამოვიდა, რომელიც პაციფისტურ ხასიათს ატარებდა. როდესაც მან იარაღი აიღო და კედელზე არსებულ თეთრ ჭურჭელს დაუწყო სროლა, ჭურჭელი იმსხვრეოდა, იქიდან ფერადი საღებავები გადმოდიოდა, ამით სმიტმა ხმამაღლა დაგმო იარაღის დატვირთვა. კოლექციაში გამოყენებული იყო „მასაის" და სუდანის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები, დინკას ტომში არსებული ორნამენტები, მოხვევის ტექნიკის კვანძები. ძალიან ხშირად მეორდებოდა ორმაგი სახელო, რომელიც იკვანძებოდა ან მხარზე, ან ზურგზე, ან მკერდქვეშ. არ მინდოდა ეს ყველაფერი ბუკვალურად ყოფილიყო გამეორებული, ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ეს ყველაფერი კონსტრუქციებში ჩამედო. ასევე ორნამენტები, რომელიც სხეულზე ნაჭდევების სახით არის გამოსახული. ეს ტომები ამ ყველაფერს რეალური ყოფიდან იღებენ, იმ ყოფიდან, რომელშიც ცხოვრობენ. შუბი, ისარი, რომელიც საკვების მოპოვების ერთგვარი ფორმაა და თავდაცვის ერთგვარი საშუალება, იარაღი. კვეთის წერტილები ამ ორ ტომს შორის ერთნაირია. ისინი, ორივე, მშრალ ადგილებში ცხოვრობენ, მისდევენ მესაქონლეობას. ეს არის ადგილი სადაც სხეულზე სამოსს დიდ მნიშვნელობას არ ანიჭებენ და მთავარია შესამკობელი, რომელსაც ხშირ შემთხვევაში შიშველ სხეულზე ხმარობენ. „მასაის" ტომები იყენებენ მოხვეულ შარფებს, დიადემებს, გვირგვინებს, სამაჯურებს. თავისთავად, ძალიან საინტერესოა მათი კულტურა. მგონი რაღაც დონეზე მაინც შევძელი, ამ სამი თვის მანძილზე მენახა, გამეთავისებინა და მომეტანა ქართველ მაყურებლამდე ის, რაც მე დავინახე. მთლიანობაში 50 კოსტიუმი იყო წარმოდგენილი. გამოყენებული მქონდა თხელი შალი, ტრიკოტაჟი, ბამბა, პოლიესტერთან ნარევი ბამბა და ასევე ნატურალური ტყავი, აპლიკაციის სახით. რაც შეეხება აქსესუარებს, გამოყენებული იყო ტყავის ჩანთები, აფრიკული ხის და ძვლის სამკაულები, რომლებიც ორიგინალებია, სწორედ იმ ტომებისათვის დამახასიათებელი. წარმოდგენილი იყო ხის ჩანთებიც, რომლითაც აფრიკელები ადრე ბალახებს აგროვებდნენ, ჩამოდიოდნენ კენიაში და იქ ახდენდნენ ამ მცენარეების რეალიზებას. დღეს, რა თქმა უნდა, ხის ჩანთებს აღარ იყენებენ, ეს ერთგვარი წარსული იყო, რომელიც, ვფიქრობ, საინტერესო გამოვიდა".






### პირველი პერსონალური ჩვენება და თბილისის მოდის კვირეული

სამი თვის წინ დანიიდან კენიაში ოჯახთან ერთად საცხოვრებლად გადასულ ქართველ დიზაინერს საზოგადოება ყოველ წელს თბილისის მოდის კვირეულზე ელოდა. შაღაშვილს ტრადიციისთვის არც მაშინ ულალატია, როდესაც თბილისში ორი მოდის კვირეულს შორის კონკურენცია არსებობდა. მაშინ დიზაინერი პუბლიკას აქტიურად პასუხობდა, რომ მან მოწვევა პირველად „თბილისის მოდის კვირეულის" ორგანიზატორებისგან მიიღო და კოლექციებსაც სწორედ ამ კვირეულის ფარგლებში წარმოადგენდა. მოგვიანებით სიტუაცია შეიცვალა, დიზაინერებმაც ჩვენებები მხოლოდ ერთი „თბილისის მოდის კვირეულის" ფარგლებში გააგრძელეს. სწორედ „თბილისის მოდის კვირეულისთვის" შეიქმნა წლევანდელი 2014 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექცია. მოგვიანებით გაირკვა, რომ კვირეულის წლევანდელი სეზონი ფინანსური პრობლემების გამო აღარ გაიმართებოდა. მიღებული ცნობა სამწუხარო იყო ყველა ქართველი დიზაინერის და მოდის მოყვარულისთვის... თუმცა, გიორგი შაღაშვილი იმ დღიდანვე, მის უახლოეს მეგობრებთან ერთად, აქტიურად შეუდგა პერსონალური ჩვენების იდეის განხორციელებას და შეიძლება ითქვას, რომ გაამართლა კიდეც George Shaghashvili Fashion Show შედგა.

**გიორგი შაღაშვილი, დიზაინერი:** „მე მოვიაზრებოდი „თბილისის მოდის კვირეულის ფარგლებში" და ისინი ახდენდნენ ჩვენებების ორგანიზებას. თუმცა, წელს სამწუხარო შემთხვევა მოხდა და გაირკვა, რომ „თბილისის მოდის კვირეული" აღარ ჩატარდებოდა. მიუხედავად იმისა, იქნებოდა თუ არა მოდის კვირეული, კოლექცია მაინც გაკეთდებოდა, რადგან მე მყავს ჩემი მომხმარებელი, ადამიანები, რომლებიც ელოდებიან ჩემს სამოსს და მე ამ ხალხს ვერ ვუღალატებდი. გარდა ამისა, ამ კოლექციაში ძალიან ბევრი შრომა იყო ჩადებული, ბევრი ნაფიქრი და ის აუცილებლად უნდა შემდგარიყო.




პერსონალური ჩვენება მეტად ამბიციური განაცხადია, ის, რომ ეს ჩვენება შედგა, ამის უკან მარტო მე არ ვარსებობ, ამის უკან დგანან ადამიანები, ჩემი მეგობრების მთელი გუნდი, თეა მურვანიძე, თინი და ქეთი რაზმაძეები, ანუკა მურვანიძე თავისი გუნდით, ვარცხნილობაზე და „მეიქაფზე", ის თვითონ იყო დაინტერესებული, რომ კარგი შედეგები დაგვედო, ამიტომაც ჩემთან სახელოსნოში რამდენჯერმე ტესტი ჩავატარეთ. ნატა მურვანიძე, ნიკა და დათა თავაძეები, „სამეფო უბნის თეატრის" მთელი პერსონალი, გამნათებელი, მუშა, ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჩვენება წარმატებული ყოფილიყო, რა თქმა უნდა, სააგენტო „ჯეომოდელსი", „იმიჯცენტრი" და „ნატალი" მეხმარებოდნენ უსასყიდლოდ, ჰონორარის გარეშე. ნინო ახობაძე, რომელმაც ღვინით მოგვამარაგა, ასევე კომპანია „ბესინი". ძალიან ბედნიერი ვარ და ვამბობ, თუ გყავს კარგი მეგობარი, ყოველთვის ყველაფერი კარგად იქნება".

### ფეხსაცმლის წარმატებული ხაზი შაღაშვილის შემოქმედებაში

ორიგინალური, კომფორტული, ხარისხიანი და მორგებულია, ასეთია გიორგი შაღაშვილის ფეხსაცმლის ხაზი, რომელიც თამამად შეიძლება ითქვას, რომ წარმატებულია და მომხმარებლის სიმცირეს არ უჩივის. 2014 წელს დიზაინერი ოდნავ ამაღლებულყელიან და ნატურალური ტყავისგან დამზადებულ ფეხსაცმელს გვთავაზობს.

**გიორგი შაღაშვილი, დიზაინერი:** „ფეხსაცმელი აფრიკული განწყობისაგან ძალიან შორს არის, თუმცა ამ ფორმით მისი შექმნის იდეა აფრიკასთან არის კავშირში. საფარაში, როდესაც ცხოველების სანახავად მიდიან, იქ პირდაპირ გთხოვენ სქელლანჩიანი, მაღალყელიანი ტყავის ფეხსაცმლის ჩაცმას, რადგან იქ შეიძლება იყოს ან გველი ან მორიელი და გიკბინოს. აქედან გამომდინარე, მსურდა, რომ ეს აფრიკული აქსესუარები და ტანსაცმელი ერ-


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლეგული ისტორია „სამეფო უბნის“ თეატრის სცენაზე...







## GEORGE SHAGHASHVILI FASHION SHOW შედგა




**„ამ კოლექციაში ბევრი შრომა იყო ჩადებული, ბევრი ნაფიქრი და ის აუცილებლად უნდა შემდგარიყო“**






# EXCLUSIVE



თმანეთისთვის შემეხამებინა. მე ყოველთვის ვცდილობ, რომ ჩემი ტანსაცმელი და ფეხსაცმელი კარგად მორგებული და კომფორტული იყოს. იმისთვის, რომ რაც შეიძლება კომფორტულად იგრძნოს თავი ქართველმა მომხმარებელმა. ფეხსაცმელში მხოლოდ ნატურალურ ტყავს ვიყენებ, თავისი სუპინატორებით და ის ყველანაირად გამართულია. ფეხსაცმლის ხარისხი ძალიან მაღალია, შესაბამისად, მასზე მოთხოვნაც დიდია. საქართველოში „ელიტშუზის“ საწარმოში იკერება ჩემი ფეხსაცმელი. მომხმარებელს ვერ შესთავაზებ ისეთ პროდუქციას, რაც ყველგან არის, ამიტომაც შენი სამოსი გამორჩეული უნდა იყოს. ამ მხრივ, ვფიქრობ, რომ ჩემი სამოსი გამორჩეულია, აქრომატულ გამაში ვმუშაობ და მახასიათებს ტრანსფორმაცია. გარდა ამისა, არ ვქმნი მარტო ყოველდღიურ სამოსს; დაწყებული სპორტულიდან, აქ არის „ლუქსი“ და „ნახევრად ლუქსის“ ტიპის სამოსი. ფასიც შესაბამისად სპორტულიდან „ლუქსამდე“ იზრდება“.

### GEORGE SHAGASHVILI-ს და ახალი მაღაზია თამარაშვილის N3

წარმატებული აფრიკული ჩვენების შემდეგ „სამეფო უბნის თეატრში“ შეკრებილმა საზოგადოებამ თამარაშვილის N3-ში გიორგი შაღაშვილის მაღაზიის გახნაზე გადაინაცვლა. მაღაზია საკმაოდ მოკრძალებულია, შეიძლებოდა უფრო დიდი და გრანდიოზული ყოფილიყო, თუმცა დიზაინერს ამაზე საკუთარი შეხედულება აქვს.

**გიორგი შაღაშვილი:** „პატარა სივრცე მაქვს და ესეც ძალიან მომწონს. როდესაც ხელოვნების ისტორიას ვსწავლობდი იქ იყო ასეთი რამ, სპარსეთში შაჰის კარზე დიდი დარბაზები შეგნებულად იყო გაკეთებული იმისათვის, რომ იქ შესულ ადამიანს დათრგუნულად ეგრძნოთ თავი. ამიტომაც ჩემი სურვილია, ამ სივრცეში შემოსულმა ადამიანმა კომფორტულად და დიდად იგრძნოს თავი. მაღაზია პატარაა, სახელოსნო ძალიან დიდი, არადა თავისუფლად შეიძლებოდა პირიქით ყოფილიყო. ამ სივრცეში კომფორტულად ვგრძნობ ხალხს, ვხვდები ჩემს ახალ მომხმარებლებს, მეგობრებს. მე არ შემიძლია სამოსი შევქმნა ისეთი ადამიანისთვის, რომელსაც არ ვიცნობ. არ ვიცი მისი გემოვნება, მისი დამოკიდებულება ამათუ იმ საკითხის მიმართ. აუცილებელია სამოსი ხასიათთან იყოს თანხვედრაში, წინააღმდეგ შემთხვევაში ის მორგებული ვერ იქნება. თუ ადამიანს არ იცნობ, ადამიანის სამოსი, რომელსაც შექმნი, შეიძლება საკიდზე დარჩეს. მაშინ, როდესაც ადამიანი კარგად გრძნობს თავს სამოსში და მოხდენილი კოსტუმი აცივია წვეულებასა თუ სამსახურში, ის ყოველთვის იქცევს გარშემო მყოფთა ყურადღებას, ადამიანები ინტერესდებიან ამ ყველაფრით და თვითონაც უჩნდებათ სურვული, რომ მოვიდნენ შენთან, როგორც დიზაინერთან. სწორედ ამ სურვილმა და ამ ხნის გამოცდილებამ გადაწყვიტა ჩემი მაღაზიის ბედი. მაღაზიის გახნა ეს არის ბიზნესი, აქამდე მე ვაფერხებდი ამ პროცესს, თორემ საშუალება ყოველთვის იყო. გარკვეული ტესტი იყო ჩემთვის, თუ მომხმარებელი ირგებს შენს სამოს და ის უკან გიბრუნდება, ეს იმას ნიშნავს, რომ შენზე მოთხოვნა არსებობს. როდესაც დანიაში ხდებოდა ჩემი ტანსაცმლის რეალიზება, იქ მოდიოდნენ „ბაიერები“, მიკვეთავდნენ ტანსაცმელს და თავად იღებდნენ მის გაყიდვაზე პასუხისმგებლობას. საქართველოში მსგავსი რამ არ არსებობს, ამიტომაც აბსოლუტურად სხვა სპეციფიკით არის საჭირო მუშაობა“.

### დიზაინერის სამომავლო გეგმები

პერსონალური, წარმატებული ჩვენების შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ დიზაინერმა უკვე სამომალო კოლექციაზე დაიწყო ზრუნვა. როგორც „პრაიმტაიმთან“ საუბარში გიორგი შაღაშვილი ამბობს, ის კენიაში დაბრუნებისთანავე მომავალი კოლექციის კოსტიუმებზე დაიწყებს ზრუნვას.

**გიორგი შაღაშვილი, დიზაინერი:** „ვიმედოვნებ, რომ მომავალში აუცილებლად ჩატარდება „თბილისის მოდის კვირეული“, თუ ორგანიზატორების მხრიდან იქნება სურვილი, რომ მონაწილეობა მივიღო, აუცილებლად მივიღებ. გეგმები საკმაოდ დიდია, კენიაში 42-ამდე ტომია, იმედი მაქვს, რომ იქ ცხოვრების სამი წლის მანძილზე, ბევრად უფრო საინტერესო და განსხვავებულ კოლექციას შევქმნი, ხშირად ჩამოვალ საქართველოში და ჩემს ქართველობას ჩავეხუტები“.

## „მე მყავს ჩემი მომხმარებელი, ადამიანები, რომლებიც ელოდებიან ჩემს კოლექციებს და მე მათ ვერ ვუღალატებდი“









© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# „ჩვენ გამოგვივა“ მესამე საქველმოქმედო ღონისძიებით



**my View**
**თამარ გონგაძე**

საქველმოქმედო ფონდის - „ჩვენ გამოგვივას“ ფარგლებში ანუკი არეშიძე და ანა ჩანგიანი მესამე საქველმოქმედო ღონისძიების გამართვას აპირებენ. 4 დეკემბერს „თბილისი მერიოტში“ სოციალურად დაუცველი ბავშვების დასახმარებლად ორგანიზატორები 20 საქმიან ქალბატონს მოუყრიან თავს. ქალბატონები ანა ჩანგიანის დამზადებულ თექის შარფებს იძენენ, შესული თანხა კი საქველმოქმედო ფონდ „ჩემი სახლის“ მოსწავლეების ფსიქორეაბილიტაციის კურსს მოხმარდება. „ჩვენ გამოგვივას“ დამფუძნებლები უკვე ორი თვეა ემზადებიან ამ ღონისძიებისთვის. სოციალურად დაუცველი ბავშვების დახმარების იდეა დიდი ხანია არსებობს. თუმცა კონკრეტულ ღონისძიებას თავისი ისტორია აქვს. ანა ჩანგიანის „ხელოვნების სახლში“ ერთი წელია „ჩემი სახლის“ მოსწავლეები (სოციალურად დაუცველი ბავშვები) გამოყენებითი ხელოვნების დარგებს ეუფლებიან. სწავლობენ თექასა და თიხაზე მუშაობას და ინგლისურ ენას. „ჩემი სახლის“ დამფუძნებელი მსახიობი ნინელი ჭანკვეტაძეა. სწორედ მასთან საუბრისას გამოიკვეთა ის პრობლემა, რომელიც ამ მოსწავლეების გარშემო არსებობს. მოზარდებს ფსიქოლოგიური დახმარება ესაჭიროებათ. ბევრი მათგანი ცუდ სიტუაციაში ცხოვრობს, მძიმე პირობებში არსებობამ კი ისინი დათრგუნა. იმისთვის, რომ საზოგადოებაში ამ სამოციოდე ბავშვის ინტეგრირება მოხდეს, მათ ფსიქორეაბილიტაციის კურსი უნდა გაიარონ. ეს სოციალურად დაუცველი ბავშვები ამ სახლში ცხოვრობენ. ზოგი მათგანი („დღის ბავშვებს“ ეძახიან) საღამოობით სახლში ბრუნდება, უმეტესს კი პანსიონში სძინავს. რადგან სახლი თვითონ ვერ გაუმკლავდა მათთვის ფსიქოლოგის დაქირავების საკითხს, ეს საქმე სწორედ ამ საქველმოქმედო აქციის მეშვეობით თავის თავზე ანუკი არეშიძემ და ანა ჩანგიანმა აიღეს. გასულ ზაფხულს ანუკი სტუმრობდა „ჩემ სახლს“. დიზაინერს მაშინ მოუვიდა საქველმოქმედო ღონისძიების გაკეთების იდეა. როგორც აღვნიშნე, ამ სახლის 15 ბავშვი „ხელოვნების სახლში“ დადიოდა. სამომავლოდ იგეგმება, რომ პანსიონშივე გაუკეთდეთ სახელოსნო, სადაც „ხელოვნების სახლიდან“ მისული პედაგოგები მათ თექაზე მუშაობას შეასწავლიან. უკვე ადგილზე გაცილებით მეტი ბავშვი დაეუფლება გამოყენებით ხელოვნებას.

**ანუკი არეშიძე**: „ამ ღონისძიებას, რომელიც ჩემი იდეითა და ქალბატონი ანა ჩანგიანის ორგანიზებით ტარდება, საფუძველი ივლისში ზედაზენზე ჩაეყარა, სადაც ამ პატარებთან ერთად გახლდით და მათ პრობლემებს გავეცანი. ამ პრობლემის გადაჭრაში 20 ქალბატონი თავიანთი კეთილი ნებით გვეხმარება. რამდენიმე მათგანზე აქცენტი მქონდა და მადლობელი ვარ, რომ პროექტში ჩაერთნენ. მათ შეიძინეს ანას შარფები, შემოსული თანხა კი მთლიანად მოხმარდება ბავშვების ფსიქორეაბილიტაციას.

ანა ჩანგიანმა სპეციალურად ღონისძიებისთვის 20 შარფი დაამზადა და პროექტში ჩართულმა საქმიანმა ქალბატონებმა შეიძინეს (შარფის ფასი 150 ლარია). წვლილის შესატანად ღონისძიებაში ჩაერთნენ - სამინისტროების პიარწარმომადგენლები, პარლამენტარები, კომპანიების წარმომადგენლები, „ზედაზენი“, ტელეკომპანია „ჯიდიესი“, გაზეთი „პრაიმტაიმი“, საქართველოს კულტურის პალატა, კულტურის სამინისტრო და ქალბატონები, რომლებსაც საკუთარი საქმიანობა აქვთ. ღონისძიების პარტნიორია „სოკარი“.

**ანა ჩანგიანი**: „მოხარული ვარ, რომ არც ერთი ქალბატონისგან უარი არ მიგვიღია. სიამოვნებით დაგვთანხმდნენ. სწორედ ეს იყო დიდი სტიმული და მოტივაცია, რომ ეს ღონისძიება მალე დაგვეგეგმა. ფიზიკურად ვერ მოვასწრებდი მეტი შარფის დამზადებას, რომ მეტი ქალბატონი ჩაგვერთო. ისინი მოდიოდნენ „ხელოვნების სახლში“ და თვითონ ირჩევდნენ შარფებს ფერის, ფორმისა თუ სასურველი ვიზუალის მიხედვით. ისეთი შარფი დავუმზადე, როგორიც სურდათ. ამ ქალბატონებს საზოგადოება ახლოს საქველმოქმედო საღამოზე გაიცნობს.

ღონისძიება 4 დეკემბერს 7 საათზე „თბილისი მერიოტთან“ არსებულ „შარდენ გალერეაში“ იმართება. გალერეაში გოგა ჩანადირის ფოტოგამოფენა მოეწყობა. გოგამ ამ ბავშვების ფოტოპორტრეტები გააკეთა. ფოტოპორტრეტებზე ეს ოცი ქალბატონი თავის ავტოგრაფს დატოვებს. ფოტოები „ჩემ სახლს“ გადაეცემა.

**ანა ჩანგიანი:** „ფოტოების გადაღების დროს იმდენად დადებითი ენერგია მოდიოდა ბავშვებისგან, რომ იმ ფოტოებს არანაირი დამუშავება არ სჭირდება. რომ შეხედავთ, მიხვდებით, რამდენად ლაღები არიან და როგორ სჭირდებათ ჩვენი გვერდში დგომა. ლაღები არიან, თუმცა არიან მათ შორის ისეთი ბავშვები, რომელთაც შიშის შეგრძნება აქვთ, მკაცრად არ მოექცე და არ ეჩხუბო. სითბო ოდნავ თუ აჩვენე, თან გადაგყვებიან. ფეხებზე გეკვრიან, ხომ არ მიდიხარო... ჩვენს სახლში როცა აქვთ გაკვეთილები, თითქმის ყველა გაკვეთილზე ქალბატონ ნინელის უკეთებენ საჩუქარს, მძივი იქნება თუ სხვა აქსესუარი. თვითონ ქალბატონი ნინელი ისე ექცევა ამ ბავშვებს, როგორც საკუთარს. თვითონ აკეთებს აბსოლუტურად ყველაფერს. დადებითი აურა აქვს. სამსართულიანი შენობა უჭირავთ და ძალიან თბილი გარემო აქვთ.

არ გვინდა ღონისძიება პომპეზური იყოს. ღონისძიების წამყვანი იქნება თეონა დოლენჯაშვილი. ისიც მონაწილეობს ქველმოქმედებაში, იმ 20 ქალბატონს შორის არის“.

„ჩვენ გამოგვივას“ დამფუძნებლებს ქალთა კლუბის ჩამოყალიბება აქვთ გადაწყვეტილი.

**ანა ჩანგიანი:** „მე და ანუკი ღონისძიებაზე ვაპირებთ ამ იდეის გაჟღერებას. კლუბი საინტერესო იდეას ითვალისწინებს. აქ გაერთიანებული იქნება სხვადასხვა სოციალური სეგმენტი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანები, სოციალურად დაუცველი ბავშვები და ქალბატონები, ონკოლოგიური პრობლემის მქონე ქალბატონები და კლუბის წევრ ყველა ქალბატონს საშუალება ექნება თავისი წვლილი შეიტანოს და დაეხმაროს იმ სეგმენტს, რომელსაც თავისი ქველმოქმედებით შეძლებს, რომ ცხოვრება გაუადვილოს. თეთრ ბანერზე გაწევრიანების მსურველი ავტოგრაფს დატოვებს. შემდეგ „ხელოვნების სახლის“ ბაზაზე რეგისტრაციას გაივლიან და დეტალურ ინფორმაციას მიიღებენ. დარწმუნებული ვართ წამოწყებას ძალიან ბევრი ქალბატონი აუბამს მხარს. ალბათ, ეს 20 ქალბატონი იქნება პირველი, რომელთაც მოესურვებათ, რომ ქალთა კლუბის წევრები იყვნენ.

ონკოლოგიური პრობლემის მქონე ქალბატონებისთვის ანამ და ანუკიმ საქველმოქმედო ფონდი - „ჩვენ გამოგვივა“ დააფუძნეს. ეს ქალბატონები „ხელოვნების სახლში“ თექაზე, თიხასა და ქსოვილზე მუშაობით თერაპიას გადიან. იანვარში საკუთარი ნაკეთობებით წარსდგებიან საზოგადოების წინაშე.

„ერთ-ერთი მათგანი დავასაქმეთ კიდეც. ბისერებზე საინტერესო ნამუშევრებს აკეთებს, პედაგოგია უკვე და გაკვეთილებს თვითონ ატარებს. კონსტრუირება მოდელირების გაკვეთილებს ანუკი და ირაკლი რუსაძე უტარებს. ანუკი შეპირდა, რომ ყველაზე წარჩინებულს თავის სამკერვალო სახლში დაასაქმებს“ - აცხადებს ანა.

**ანუკი არეშიძე: „რამდენიმე მათგანზე აქცენტი მქონდა და მადლობელი ვარ, რომ პროექტში ჩაერთნენ“**



## 20 საქმიანი ქალბატონი სოციალურად დაუცველი ბავშვების დასახმარებლად ერთიანდება





**EXCLUSIVE**







**ანა ჩანგიანი: „მოხარული ვარ, რომ არც ერთი ქალბატონისგან უარი არ მიგვიღია. სიამოვნებით დაგვთანხმდნენ. სწორედ ეს იყო დიდი სტიმული და მოტივაცია, რომ ეს ღონისძიება მალე დაგვეგეგმა“**



**„ფოტოების გადაღების დროს იმდენად დადებითი ენერგია მოდიოდა ბავშვებისგან, რომ იმ ფოტოებს არანაირი დამუშავება არ სჭირდება. რომ შეხედავთ, მიხვდებით, რამდენად ლაღები არიან და როგორ სჭირდებათ ჩვენი გვერდში დგომა“**



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ანუკი არეშიძე მესამე შვილის მოლოდინში

**my View**
**თამარ გონგაძე**

**ანუკი არეშიძემ კიევში ჩვენება გამართა. ეს იყო უკვე ცალკე მოღვაწე დიზაინერის სადებიუტო ჩვენება. მოგეხსენებათ, ანუკი დიზაინერის ამპლუაში მოდის სფეროში ბიჭოლასთან ერთად შემოვიდა და ბრენდით „ანუკი ბიჭოლა“ გახდა ცნობილი. რამდენიმეწლიანი თანამშრომლობის შემდეგ დიზაინერებმა ცალ-ცალკე ბრენდებად დაშლა გადაწყვიტეს. დაშლის მიზეზად სხვადასხვა გემოვნებასა და სტილს ასახელებენ.**

> „კაბა, რომლითაც ირინა შეიკმა ჩემი ჩვენება დახურა, მე შევურჩიე. ძალიან მაგარი გოგოა, სუფთა, თავმდაბალი, უბრალო ადამიანია. უმაკიაჟოდ კიდევ უფრო ლამაზია. პროფესიონალურად იმუშავა და რაც მთავარია, გულით. ეს იმიტომ არ გაუკეთებია, რომ ჩემთან საერთო მეგობარი ან თუნდაც ჩვენი მეუღლეების კარგი ნაცნობობა აკავშირებდა. უბრალოდ, ის ნამდვილი პროფესიონალია“












23 ნოემბერს კიევში „გალერეა M17“-ში ANOUK-ის ბრენდის ქვეშ მოწყობილმა დეფილემ დიდი მოწონება დაიმსახურა. 2014 წლის გაზაფხული-ზაფხულის კოლექციის თემა ოკეანე და წყლის სამყარო გახლდათ. ფერთა გამა და ტონები ინსპირაციის თემის შესაბამისი. ნაქარგებით, მარგალიტებითა და ძვირფასი ქვებით გაფორმებული წყლის ფერების 24 კოსტიუმზე დიზაინერმა ოთხი თვე იმუშავა. ამ კოლექციაზე ბევრმა ადამიანმა იმუშავა და რეზულტატით მე ძალიან კმაყოფილი ვარო, ჩვენთან საუბარში აღნიშნა ანუკიმ. ჩვენებისთვის დიზაინერმა კიევში აარჩია მოდელები. დეფილე კი კრიშტიანუ რონალდუს ცოლმა, რუსმა მოდელმა ირინა შეიკმა დახურა.



**ანუკი არეშიძე:** „ირინა შეიკს საერთო მეგობრის მეშვეობით დავუკავშირდი. ვაჩვენე კოლექცია და მეგობრულად ჩამოვიდა. კიევში ჩვენებაზე პირველად გამოვიდა. კაბა, რომლითაც მან ჩემი ჩვენება დახურა, მე შევურჩიე. ძალიან მაგარი გოგოა, სუფთა, თავმდაბალი, უბრალო ადამიანია. ამან კი ორმაგად წარმოაჩინა მისი სილამაზე. ძალიან მომწონს, უმაკიაჟოდ კიდევ უფრო ლამაზია. შეიკმა პროფესიონალურად იმუშავა და რაც მთავარია, გულით. ეს იმიტომ არ გაუკეთებია, რომ ჩემთან საერთო მეგობარი ან თუნდაც ჩვენი მეუღლეების კარგი ნაცნობობა აკავშირებდა. უბრალოდ, ის ნამდვილი პროფესიონალია.

კოლექციიდან რამდენიმე კაბა სპეცშეკვეთით გაყიდულა. პრესამ დეფილე გააშუქა და როგორც არეშიძე ამბობს, ყველა ტელევიზიამ გაუშვა. გაყიდვაში კოლექცია იანვრიდან გავა. ამჟამად ანუკი ონლაინ მაღაზიაზე მუშაობს, რომლითაც ნებისმიერი ქვეყნის მოქალაქეს შეეძლება სასურველი კაბის შეძენა.

## „ძალიან მიხარია, რომ 24 წლის ასაკში სამი შვილის დედა ვხდები, ჩემზე უფრო ბედნიერი კახაა“

„ჩემი მაღაზია კიევში მაისში გაიხსნა, მაგრამ ახლა ვხურავ, რადგან ვთვლი, რომ ჯერ ადრე იყო. გარდა ამისა, 24 საათით ჩემს იქ ყოფნას მოითხოვდა, რაც არ შემიძლია. ახლა მინდა ონლაინ მაღაზია და თბილისის მაღაზია კარგად ავამუშაო. „Anouk“-ი გაიყიდება უკრაინაში, ოღონდ უკვე მულტი ბრენდ მაღაზიებში. გული მწყდება, რადგანაც ძალიან ბევრი ფინანსები, დრო და ძალისხმევა ჩავდე, თუმცა, სამწუხაროდ, ვიჩქარე და დილეტანტ ადამიანებს ვენდე. აქ ორმაგი ძალებით შევუდგები მუშაობას. მთელი ჩემი ადამიანური და ფინანსური რესურსი დაეთმობა თბილისისა და ონლაინ მაღაზიებს“.






**მესამე შვილის მოლოდინში**

**- პატარას როდის ელოდები?**

- პატარას იანვარში ველოდები და ძალიან მიხარია, რომ 24 წლის ასაკში სამი შვილის დედა გავხდები. ჩემზე უფრო ბედნიერი კახაა, რადგანაც გიჟდება ბავშვებზე და ყოველთვის მთხოვდა, რომ ოთხი შვილი მაინც გვყოლოდა. კახა ისეთი მეუღლე და მამაა, რომ ნამდვილად იმსახურებს ოთხი შვილის ყოლას:)



**- როგორია შენი ახლანდელი შინაგანი მდგომარეობა? სენტიმენტალური ხარ?**

- სენტიმენტალური გავხდი, ყველაფერზე მეტირება. ემოციური ისედაც ვიყავი. განსაკუთრებით ყნოსვის რეფლექსები მაქვს გამძაფრებული. მთელი ორსულობის პერიოდი აქტიურად ვმუშაობდი და დრო ისე გავიდა, ვერც გავიგე. დღეებსა და კვირეებს ვითვლი, რომ მალე გავაჩინო. ოჯახში ახალი წევრის მოლოდინი განსაკუთრებით ჩემს უფროს ვაჟს აქვს. კახის მშობლები სიხარულისგან ხომ საერთოდ დაფრინავენ. მეორე ბავშვმა ბევრი რამ შეცვალა ოჯახში. ჩემთვის ყველაზე მთავარია ის, რომ მათ თვალებზე აღარ არის ცრემლები... ბავშვებმა საოცარი სითბო და სიყვარული აჩუქეს მათ, განსაკუთებით პატარამ, რომელიც გიჟდება ბებიებსა და ბაბუებზე.



© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ლევან თუთბერიძისა და აკა მორ

**my View**
**თამარ გონგაძე**

**სამწლიანი პაუზის შემდეგ რეჟისორი ლევან თუთბერიძე რიგით მეხუთე მხატვრულ ფილმზე მუშაობს. ფილმი, რომლის სახელწოდებაც „ფოლკლორია“ რეჟისორს უკვე გადაღებული აქვს, ახლა დროის დიდ ნაწილს სამონტაჟოში ატარებს. ფიქრობს, რომ ფილმი მზად გაზაფხულზე ექნება. ამ სიახლეზე თორნიკე გოგრიჭიანისგან შევიტყვე, რომელიც აღფრთოვანებულია თავისი ახალი პერსონაჟით. მთიელ კოპალეს როლში ვარ, რომელსაც მდუმარების აღთქმა აქვს დადებული. ვერ მიხვდებით დადებითი პერსონაჟია თუ უარყოფითი. ვიზუალურადაც სხვანაირი ვარ, ვერ მიცნობთო, ამბობს.**












ორი წელია ლევან თუთბერიძე ამ პროექტზე აკა მორჩილაძესთან ერთად მუშაობს. აკა სცენარის ავტორია.

**ლევან თუთბერიძე:** „იდეა, თუ როგორ მიდის მთებში ახალგაზრდა მასწავლებელი განათლების შესატანად, 80-იან წლებში გამიჩნდა. მაშინ ვერ განვახორციელე, თუმცა თავში სულ მედო. მერე ბრიტანელმა და ამერიკელმა მასწავლებლებმა ჩამოსვლა რომ დაიწყეს, ჩემთვის ჩანიშნული ფაბულა გამახსენდა, აკა მორჩილაძეს მოვუყევი - ფილმის გადაღება მინდა-მეთქი. მოეწონა იდეა, მოდი, გავაკეთოთო... აკამ დაიწყო სცენარის წერა. პროდიუსერი გია ბაზღაძეც ჩაგვერთო. სცენარის რამდენიმე ვერსია გაკეთდა. თავდაპირველად დიდი ვერსია დაიწერა, მერე შევამოკლეთ. სულ ორი წელი წაიღო სცენარზე მუშაობამ. ერთი წლის წინ, ზუსტად ამ დროს მივიტანეთ კინოცენტრში და კონკურსში გავიმარჯვეთ. პროექტი ნაწილობრივ კინოცენტრმა დააფინანსა, ნაწილობრივ დიდი ბრიტანეთი და ავსტრია აფინანსებს. ფილმის ბიუჯეტი დაახლოებით მილიონ ლარამდეა.

პროდიუსერები არიან გია ბაზღაძე და კოტე რიჟინაშვილი“.

### „ფოლკლორი“

„ფილმს ჰქვია „ფოლკლორი“. ფოლკლორი რატომღაც მხოლოდ ცეკვებთან ასოცირდება. ამ დროს ზეპირსიტყვიერების - ლეგენდების, ზღაპრების, თქმულებების გადმოცემაა. ცეკვაც იმიტომ შედის ფოლკლორში, რომ წინაპარმა თავის შთამომავალს გადასცა. სიუჟეტს ძალიან მოკლედ მოგიყვებით, ფინალის გარეშე, სრულად მერე თავად ნახეთ. ინგლისელი გოგონა ქართველ ფოლკლორისტ მეგობრებთან ერთად მთაში მიდის, ლეგენდების და სხვადასხვა ამბების შესაგროვებლად და ჩასაწერად. მათში ერთ-ერთი ამ გოგონას ბოიფრენდია. ამ როლში თორნიკე ბზიავაა. მთაში იქმნება კონფლიქტი ევროპულ აზროვნებასა და მთის მითოლოგიას, ადათ-წესებსა და ფასეულობებს შორის. იქ საუბარია წაწლობაზე და არა ერთ მთის წესზე, რომელსაც ეს ინგლისელი გოგონა უპირისპირდება. ფილმის იდეა ეს კონფლიქტია. არაფერში არ შეიძლება ზედმეტი ჩარევა, რაც არ უნდა ბევრი სიკეთის გაკეთება უნდოდეს ადამიანს“.

### ინგლისელი მსახიობი

მთავარი როლის შესასრულებლად ინგლისელი ახალგაზრდა მსახიობი კრისტალ ბენეტი მიიწვიეს. მანამდე ამ როლზე ჯერ ჯასტინ ვოდელი, შემდეგ კი ლავინია ვილსონი განიხილებოდნენ, თუმცა მათ საკმაოდ დიდი ჰონორარი მოითხოვეს. მერე გია ბაზღაძემ რეჟისორს კრისტალ ბენეტი შესთავაზა.

„ნახე, დაელაპარაკე, თუ მოგეწონებაო, მითხრა. ვნახე და კრისტალ ბენეტი ზუსტად ის ტიპაჟი აღმოჩნდა, ვინც გვინდოდა. ბენეტს ძალიან გაუხარდა ჩვენი შეთავაზება“.

ფილმში ასევე თამაშობენ თორნიკე გოგრიჭიანი, მიშა გომიაშვილი, მარლენ ეგუტია, გივი ჩუგუაშვილი, ნუგზარ ყურაშვილი, ნატო მოლოდინაშვილი, ვახო ჩაჩანიძე. ოპერატორი გიორგი შველიძეა. მხატვრები თემურ ხმალაძე და დათო საჯაია არიან. მუსიკაზე ზაზა მიმინოშვილი მუშაობს.

### ხადას ხეობა

„ფილმი 45 დღის განმავლობაში მთიულეთში, ხადას ხეობაში გადავიღეთ. აგვისტოს ბოლოს დავიწყეთ და ოქტომბრის დასაწყისში მოვრჩით. მთელი ეს პერიოდი იქ გავატარეთ. მუშაობის 12 საათიანი გრაფიკი გვქონდა. ვცხოვრობდით სოფელ ქვეშეთში და ყოველდღე ავდიოდით 500 მეტრის სიმაღლეზე. სერიოზული წნევის ცვალებადობა იყო. სამ-ოთხ დღეში მიეჩვია ორგანიზმი, ადაპტაცია გავიარეთ. ღამით ციოდა. თბილისში რომ ცხელოდა, ჩვენ „პუხის“ ქურთუკები გვეცვა. ყოველდღე ზღაპარში ვიყავით. იქ ისეთი ადგილებია, კიდევ ერთხელ დავწრმუნდი, რომ მიწებს ტყუილად არ გვართმევენ. ჩვენს მიწაზე ყველაფერს საოცარი ფასეულობა აქვს. კალმისტარი რომ დაგივარდეს, ისეთი მიწა გვაქვს, შეიძლება ალუბლის ხე აღმოცენდეს. საოცრებაა ხადას ხეობა. გადაღების დროს იქ პირველად მოვხვდი. ზოგადად მთა ძალიან მიყვარს. ხევსურეთში ვარ ნაცხოვრები, თუშეთში გადაღებებზე. გადასაღებად ყაზბეგში ადგილს რომ ვეძებდით, მეგობარმა კოტე გაბრიჩიძემ (ყოფილმა კინორეჟისორმა) შემომთავაზა მთიულეთში გადაღება. რომ ვნახე ეს ადგილი - მზა, ბუნებრივი პავილიონი დამხვდა. მოატრიალებ კამერას თოთიას სახლია, იქით მიატრიალებ - სხვისი სახლი, აქეთ ტყე, ყველაფერი იქვე გაქვს. გვყავდა ორი შეძენილი ცხენი, რომელიც მერე ლომისას წმინდა გიორგის მონასტერში ბერებს დავუტოვეთ. ჩვენი იქ ყოფნით იქაურობა გამოცოცხლდა. რეგიონებში კინო უნდა გადაიღო, ხალხი დასაქმდება. ადგილობრივები ჩვენთან მუშაობდნენ, კმაყოფილები იყვნენ დ თან მათთვის ზღაპარი იყო. შენთან ეზოში კინოს რომ იღებენ, წარმოიდგინეთ... ბევრად უკეთ მუშაობდნენ, ვიდრე ჩვენ. მხატვრებთან ერთად აშენებდნენ დეკორაციებს, გადატანა-გადმოტანაში გვეხმარებოდნენ“.



### სადა ფილმი

**- ზუსტად ის გამოდის, რაც ჩაიფიქრეთ?**

- ზუსტად ის გამოდის. მე ყოველთვის ასე ვაკეთებ. არ მიყვარს, როდესაც ამბობენ, ის არ გამოვიდაო. კინო სცენარიდან და კადრირებიდან იწყება. ზუსტად უნდა იცოდე, რას აკეთებ, რომ ის გამოგივიდეს, რაც გინდა. სადა ფილმია თავისი დრამატურგიული სიმძაფრით, ინტრიგებით, სასიყვარულო ხაზით, აზროვნების საინტერესო დაჯახებით. პატარა დეტექტივითაც. კომერციულიც არის და საფესტივალოც. ავატარი არ არის, მაგრამ სათავგადასავლოა. დიდი ფილმია, სამი საათის მასალა მაქვს. საბოლოოდ ორსაათიანი მინდა იყოს. ერთსაათიანი მასალის ამოღება რეჟისორისთვის კატასტროფაა. დაახლოებით იგივეა, საკუთარი სხეულის ნაწილები მოიჭრა. რეჟისურაც ის არის შეელიო მასალას.

უნდა გითხრათ, რომ ჩვენთან გააბანძეს ტერმინი „საფესტივალო ფილმი“. ამ გაგებით საფესტივალო ფილმი არის ფილმი, რომელსაც მაყურებელი ვერ უყურებს და მხოლოდ სპეციალისტები უყურებენ, ეს არასწორი მიდგომაა. ამას არ ნიშნავს. ჩემი კრიტერიუმით უნდა გადაიღო კარგი ფილმი. არ შეიძლება დაპროგრამირებული ფილმის გადაღება. ჩვენთან დღეს ის ტენდენციაა, რომ ბევრი ახალგაზრდა იღებს ფილმს სპეციალურად ფესტივალისთვის. იციან, რა სტილისტიკის უნდა იყოს, რა თემის და გამიზნულად ამისთვის მუშაობენ. ეს ხელოვნებისთვის დამანგრეველია. ფელინი არასდროს ფიქრობდა, რომ ფილმი კანის ფესტივალისთვის გადაეღო. იღებდა ემოციებზე და იმაზე, რაც ში-







© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

# ჩილაძის ტანდემი - „ფოლკლორი“



## „სადა ფილმია, თავისი დრამატურგიული სიმძაფრით, ინტრიგებით, სასიყვარულო ხაზით, აზროვნების საინტერესო დაჯახებით, პატარა დეტექტივითაც. დრამატურგიულად კარგად აწყობილი ლამაზი ფილმი უნდა გამოვიდეს“

**EXCLUSIVE**

**„მთაში იქმნება კონფლიქტი ევროპულ აზროვნებასა და მთის მითოლოგიას, ადათ-წესებსა და ფასეულობებს შორის. არაფერში არ შეიძლება ზედმეტი ჩარევა, რაც არ უნდა ბევრი სიკეთის გაკეთება უნდოდეს ადამიანს“**





**„ბრიტანელმა და ამერიკელმა მასწავლებლებმა ჩამოსვლა რომ დაიწყეს, ჩემთვის ჩანიშნული ფაბულა გამახსენდა, აკა მორჩილაძეს მოვუყევი - ფილმის გადაღება მინდა-მეთქი. მოეწონა იდეა, მოდი, გავაკეთოთო“**







გნიდან აწუხებდა. ყველა ნამდვილი ხელოვანი ასეა. ამიტომ, როგორც მე ვგრძნობ, ისე ვიღებ ფილმს. „ფოლკლორი“ პასტორალური თემით არის. მშვიდი ფილმია, მონტაჟიც წყნარი აქვს „ყარაბახისგან“ განსხვავებით, რომელსაც „დაფლეთილი მონტაჟი“, რიტმი და ემოციები ახლდა. „ფოლკლორი“ დრამატურგიულად კარგად აწყობილი ლამაზი ფილმი უნდა გამოვიდეს. დანარჩენი მაყურებელმა უნდა შეაფასოს. არის მაყურებელი, რომელსაც კარგად ესმის კინო. არის მეორე ტიპის მაყურებელი, რომელსაც არ ესმის და გასართობად მოდის კინოთეატრში. ნამდვილი ხელოვანის სიძლიერე იმაშია, როდესაც ამ ორივე ტიპის მაყურებელს დააბამს. ვერც ერთი კატეგორია ვერ უნდა მიხვდეს - რატომ მოეწონა ფილმი.

**- თქვენ ბოლო პერიოდის რომელი ქართული ფილმი მოგეწონათ?**

- ზაზა ურუშაძის „მანდარინები“. ვითომ ტრივიალური თემაა, მაგრამ ძალიან ოსტატურად გაკეთებული ემოციური ფილმია. ზაზა ჩემი მეგობარია და მიხარია, რომ წარმატება ხვდა ფილმს.

**- ეს ფილმი რითი აბამს მაყურებელს?**

- სიკეთე მოდის ეკრანიდან. გადმოცემული აქვს გულუბრყვილო და ადამიანური ამბავი, კონკრეტულად და ზედმეტობის გარეშე, ყველასთვის მისაღებად.

**- თქვენი ფილმი რა ჟანრისაა?**

- ჟანრი დღეს კინოში აჭრილია. ეს ფილმი შეიძლება მიაკუთვნო დრამას, ოღონდ სათავგადასავლოს.

**- ყველა რეჟისორს თავისი „წიკები“ აქვს, თქვენსაზე გვითხარით.**

- კინოს ისე ვერ გადაიღებ, დისციპლინა მაღალ დონეზე თუ არ არის. მე ჯგუფთან მაქვს ჩემი მოთხოვნები და ამას ნორმალურად იღებენ. ჯობია ზუსტად აუხსნა და გააგებინო ყველას, რა უნდა გააკეთონ, ვინც ვერ აკეთებს მიდის და ნერვებს არ ვიშლი. არ მიყვარს მონიტორთან ბევრი ხალხის ყოფნა. გადაღებულ მასალას როცა ვუყურებ, გვერდით ოპერატორის გარდა არავინ უნდა იყოს. ეს „წიკი“ მაქვს. სხვებს რომ ჰკითხოთ, ბევრ რამეს მოგიყვებიან. საკუთარ თავზე რა გელაპარაკოთ. მსახიობი არის ადამიანი, რომელსაც რეჟისორი უნდა მიეხმარო. მსახიობს გადასაღებ მოედანზე რეჟისორი ქმნის, რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს. მისი ნიჭიერება იმაშია, რომ რეჟისორი სწორად ესმის და იმას აკეთებს, რასაც ავალებ. თუ მსახიობმა არ იცის, რა გინდა, რაც არ უნდა ნიჭიერი იყოს, თავისებურად წაიყვანს და ყველაფერი აიჭრება. „მსახიობმა ვერ ითამაშა“ - არ არსებობს. მაშინ არ უნდა აგეყვანა. რეჟისორის ბრალია. ყველაფერი მაინც მასთან მიდის. ცუდი ფილმი გამოვა, რეჟისორმა ვერ გადაიღოო, ამბობენ. კარგი რომ გამოვა, აი, ყველამ რა მაგარი ფილმი გავაკეთეთო.

**მნიშვნელოვანი ეტაპი**

**- რა ეტაპია ეს ფილმი თქვენ კარიერაში?**

- მნიშვნელოვანი ეტაპია. ველოდები და მგონია, რომ ძალიან სერიოზული რამ უნდა გამოვიდეს. ვნახოთ რა... ყოველ ფილმს აქვს იმის ეტაპი, რომ შემდეგი ფილმი გადაიღო. ყველაფერს შრომა უნდა. თუ ვერ შეძელი, ესე იგი არ უნდა გაგეკეთებინა. ანტონიონი ამბობდა - ამერიკაში რომ წავედი გადასაღებად ყოველი ფილმის გადაღების წინ პროდიუსერებისთვის ახსნა მჭირდებოდა, რომ იდიოტი არ ვიყავიო. ამ დროს მას უკვე თავისი ფილმები გადაღებული ჰქონდა. ვიღაც ჯიბიდან ფულს რომ გაძლევს, სერიოზული მუშაობა სჭირდება. უნდა დაუმტკიცო, რომ ტყუილად არ გადაგიხადა. ყოველი ფილმის მერე ფიქრობ, ეს არ უნდა ჩავარდეს, რომ შემდეგი გადაიღო. ჩემი ფილმი „ნაზარის უკანასკნელი ლოცვა“ ფსიქოლოგიური დრამაა. 1989 წელს გადავიღე და თავისებური წარმატება ჰქონდა, პრიზებიც აღო. მერე მოკვდა და ვერ განვითარდა. სულ სხვა ბედი ჰქონდა „ყარაბახს“. უცებ აფეთქდა იმ დროს. „წარსულის აჩრდილები“ ჩავარდა, მიუხედავად იმისა, რომ საინტერესო სცენარი ჰქონდა, მაგრამ ომის დროს ვიღებდით, 1992 წელს და ამან იმოქმედა ფილმზე. ამიტომ უკმაყოფილების განცდა მაქვს. „უშენოდ მგონი მოვკვდები“ 2011 წელს გამოვიდა ეკრანზე. თუმცა გადაღება 2007 წელს დავიწყეთ, მერე ომი იყო... ეს ფილმი ძალიან მიყვარს. კრიმინალური მელოდრამაა. რაინა ფამინამ, სეილ აგენტმა წაიღო ფილმი, მე მივხედავო, მაგრამ დაწვა ფილმი. ძირითად ფესტივალებზე წაიღო, რა კარგი ფილმიაო კინომცოდნეები ამბობდნენ, თუმცა მაგ დონეზე დარჩა. პატარ-პატარა ფესტივალებზე არ გაუშვა, არ დაიხარჯა. ეს ფილმი კიდევ არც კანის ფესტივალის ფილმი იყო და არც ვენეციის. ამიტომ ფილმი დაიწვა. ფილმს რომ აკეთებ, უნდა იცოდე, რომელი ფესტივალიდან დაიწყო, ვის მისცე ფილმი და ასე შემდეგ. ეს ჩემთვის გაკვეთილი იყო...

© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება

PRIME Time
N48 (246), ორშაბათი 2 დეკემბერი 2013 წ.
ყოველკვირეული გაზეთი
ფასი 2 ლარი
www.ptpress.ge





# ანუკი არეშიძე მესამე შვილის მოლოდინში

EXCLUSIVE



## COOLIO „კლუბ მოსკოვში“

ISSN 1987-7404



## GEORGE SHAGHASHVILI FASHION SHOW შედგა



# ჯადოქარი ვიზაჟისტები „ერთი ერთში“


© ყველა უფლება დაცულია, რედაქციის ნებართვის გარეშე მასალების გამოქვეყნება იკრძალება